
კვირის პალიტრა

№ 23 (484) ◆ 7 – 13 ივნისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„ვინც იმას მეტყვის, პაპიოსან ხალხს იჭერდიო, პირველად ქვა მან მესროლოს!“



„თუ მომკლავენ, რა ვქნა, თუ ვერ მომკლავენ, გადავრჩები და ძალიანაც კარგი...“

ბოლო ინტერვიუ შს მინისტრის რანგში

„ჩვენს საზოგადოებას არ სჭირდება ბაიყუშივით კაბინეტში მჯდომი შეშინებული შს მინისტრი“ გვ.7,27

აქ დავრწმუნდი, რომ პოლიციაში რაც უნდა სუფთად იმუშაო, რაღაც ჭორს უთუოდ შეგითითხნიან, რაღაცას მაინც მოგიგონებენ.

„იძულებული ვიქნები, შური ვიძიო, თუნდაც სიცოცხლის ფასად“



„ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან ადგილი აქვს სამსახურებრივ სიყალბეებს, უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას და სხვა დანაშაულებებს“

– თუ ბოლო არ მოეღო ამ უსამართლობას და თავაშვებულობას, ანუ არ აღდგა ჩემი კანონიერი უფლებები, იძულებული ვიქნები, თუნდაც სიცოცხლის ფასად, შური ვიძიო იმათზე, ვინც დამნაშავეებს მფარველობს და ვისაც წვლილი მიუძღვის ჩემს წამებასა და დამცირებაში...

– მინისტრის მოადგილემ, რომელიც არც წილში ჩავსვი და არც 25 ათასი დოლარი მივეცი, ობიექტის პრივატიზება შეაჩერებინა და მერე კი სრულიად ამოაღებინა ის საპრივატიზაციო ნუსხიდან... გვ.5,24

ვინ იყო სასამართლო რეფორმის ავტორი საქართველოში?!

სამხედრო თემაზე: ქალოვნების „კარუსელი“ ქართულად

...არ არის გამორიცხული თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი დროებით აღმოჩნდეს ახალ თანამდებობაზე. მით უმეტეს, რომ კულუარებში უშიშროების საბჭოს მდივნის სავარძელს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ირაკლი ჩუბინიშვილსაც უწინასწარმეტყველებდნენ. გვ.8,9

როგორია თვითმარქვია რესპუბლიკის სეპარატისტული მთავრობის რეალური სამხედრო ძალა

БЕНДУКИДЗЕ ПРОСИЛ ПЕРЕДАТЬ...

გვ.6,27

სად გააგზავნა კახა ბენდუქიძემ უხერხული კითხვების ავტორი რუსი ჟურნალისტები?

რომელი საათია?

რატომ იგვიანებს „ყველაფერი“ საქართველოში?!

დაგვიანების მიზეზი ქართველებს არასოდეს დაგველევა... გვ.12



ნუგზარ შევარდნაძესაც დაიბარებენ?!

„დღეს უშიშროებას გაუჭირდება ნუგზარ შევარდნაძის ბულალტერიის ხელში ჩაგდება... ამას მიახლოებით მაშინ გაიგებენ, თუ მასთან დაახლოებული პირები მოინდომებენ ინფორმაციის გაცემას. ...სამართალდამცველები ნიადაგს ამზადებენ ნუგზარ შევარდნაძემდე მისაღწევად... ეს შეხვედრა აუცილებლად შედგება.“ გვ.5

უშიშროება ბოლო ათწლეულის ნავთობის მეფეზე გასვლას ცდილობს?

ვინ ხდება ყველაზე ხშირად თქვენი კრიზისის ობიექტი?


გვ.35

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

ეს რა ჩაიდინე, კაენ!

თავიც რომ მოიკლან, ვერ დაგვიმსგავსებენ

გვესაუბრება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, რეჟისორი **ალექსანდრე ჟღენტი...**



გვ.17

ბოლო წლების ყველაზე ცოდვიანი იარაღი საქართველოში(!)

გვ.11

დანით თამაში სახიფათოა – რას ამბობს კანონი და რას ფიქრობს ხალხი?

„რომელ დედას უნდა მისი შვილი დანით დადიოდეს, ვის უნდა შვილი მოუკლან ან მკვლელის დედად იქცეს?! მაშინ რატომ არავინ იღებს ხმას იმაზე, რაც ჩვენს თავს ხდება?“



ანალიზი: სამთავრობო „მაგიდაზე“ ჯოკერი და ბუზკოზირი ამთამაშდა...

გვ.6



თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

„დაბრიალდა ქარუსელი“

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში ეკონომიკის მინისტრად ცნობილი ბიზნესმენის კახა ბენდუქიძის დანიშვნის შემდეგ ერთგვარი კარუსელი დატრიალდა და პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით ძალოვანი სამინისტროების პირველმა პირებმა ერთმანეთს ადგილები გაუცვალეს. შს მინისტრი გია ბარამიძე თავდაცვის მინისტრის პორტფელს იბარებს. გელა ბეჟუაშვილი კი უშიშროების საბჭოს მდივანი ხდება. ამ პოსტის ყოფილი „მეპატრონე“ ვანო მერაბიშვილი ზურაბ ადეიშვილს შეცვლის უშიშროების მინისტრის ამპლუაში. ადეიშვილი კი გენერალურ პროკურორად ირაკლი ოქრუაშვილის ცვლად გვევლინება. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გახმაურებული პროგნოზის თანახმად, შსს-ს ჩაიბარებს. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია უარყოფს ხმებს ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის შესაძლო გათავისუფლებისა და ამ უწყების პირველ პირად რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველის, ლევან ვასაძის (რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება) დანიშვნის შესახებ. „ეტყობა იმდენად არ მოსწონთ ვიღაცებს ამ ახალგაზრდის აქტიური საქმიანობა, რომ დღედაღამ გილაურის მოხსნაზე ოცნებობენ“, — აცხადებს ჟვანია. ადგილმონაცვლებული მინისტრები კი უკვე აკეთებენ პირველ კომენტარებს. სახელისუფლებო კულუარებში ვრცელდება ხმები, თითქოს გელა ბეჟუაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამს. ვარაუდობენ, რომ იგი მალე დატოვებს საქართველოს და კვლავ აშშ-ში გააგრძელებს სწავლასა და საქმიანობას. ამასთან, იგი მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტის ნებისმიერი დავალების შესასრულებლად. გია ბარამიძე კი კმაყოფილებას არ მალავს ცვლილების გამო და თავსაც იწონებს შს სამინისტროში მის მიერ განხორციელებული საქმიანობით.

ქართველები ლიახვის ხეობაში შევიდნენ

6 ივნისს, ცხინვალში, სამშვიდობო ძალების ქართულ ბატალიონში როტაცია დაიწყო. 150-კაციანმა დანაყოფმა ნიქოზიდან ცხინვალის გავლით დიდი ლიახვის ხეობაში უპრობლემოდ შეაღწია და აჩაბეთის საგუშაგო ბატალიონში განლაგდა. ბატალიონს შინაგანი ჯარის შტაბის უფროსის მოადგილე ალეკო კიკნაძე ხელმძღვანელობს. ქართული მხარე სამშვიდობო ბატალიონში შემადგენლობას ეტაპობრივად 500 კაცამდე გაზრდის. პარიტეტულ საფუძველზე ქართული, ოსური და რუსული ქვედანაყოფების არსებობას და ერთობლივ პატრულირებას 1992 წლის შეთანხმება ითვალისწინებს. დღემდე სამშვიდობო ბატალიონში ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობა 120-ს არ აღემატებოდა. ქართულ პოსტებზე რუსებისა და ოსების დადგომის შემდეგ, ქართველმა სამართალდამცველებმა ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კონტრაბანდასთან მებრძოლი დამატებითი საგუშაგოები შექმნეს, რადგან მათი თქმით, რუსებისა და ოსების დგომა ერთობლივ პოსტებზე, ცხინვალიდან კონტრაბანდის გადმოტანაზე კონტროლს ხელს უშლის.

ოპერაცია „სასუქი“ გრძელდება

ოსურ სოფლებში ქართული სასუქის დარიგება გრძელდება. ზოგიერთ სოფელში საქართველოს ხელისუფლება უპრობლემოდ შედის. უკვე დაარიგეს ამონიუმის გვარჯილა ახალგორის მიმდებარე სოფლებში. მოსახლეობა ხელისუფლების საჩუქარს პირდაპირ მანქანებიდან „იტაცებდა“ და შიდა ქართლის რწმუნებულს, მიხეილ ქარელს სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან ეპატიჟებოდა, სადაც ოსები საქართველოს პრეზიდენტის სადღეგრძელოს სვამდნენ. საქართველოს ხელისუფლება, ოსური სეპარატისტული მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ცხინვალის რეგიონში აგრძელებს ოპერაციას — „სასუქი ვარდების სურნელით“. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო კი სამაჩაბლოს რეგიონში მოსახლეობასთან შეხვედრებს და მათ უფასო სამედიცინო კვლევა-დიაგნოსტირებას განაგრძობს.

რუსეთში ვბრუნდებით?

ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებას „უცნაურად დამტკბარი ტონი“ აქვს რუსეთთან. „ქართული ხელისუფლება დათმობების პოლიტიკის წარმოებას იწყებს რუსებთან. ვეჭვობ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენასაც აპირებენ, რადგან ხშირად ახსენებენ ე. წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსს. გაურკვეველია, რა ტიპის ტერიტორიულ მოწყობას უპირებენ საქართველოს. ასე მგონია, ჩვენ კი არ დავიბრუნებთ სამაჩაბლოს, არამედ აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან ერთად დავბრუნდებით რუსეთში“, — აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე. პარლამენტის ვიცე-სპიკერი, სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი მიხეილ მაჭავარიანი კი მიიჩნევს, რომ თუ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობისას ხელოვნურ პრობლემებს შექმნის, ასლან აბაშიძის ბედს გაიზიარებს. „კოკოითს აქვს კიდევ ერთი შანსი ან მიიღოს საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა და გახდეს საქართველოს მოქალაქე, ან უღიმღამოდ დაასრულოს საკუთარი მოღვაწეობა“, — აღნიშნავს მაჭავარიანი. თუმცა საეჭვოა, ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის რჩევა ყურად იღოს.

საჯინგა ცხინვალს გულშემატკივრობს

სამაჩაბლოს რეგიონში სიტუაციის გამწვავების შემდეგ აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის თვითმარქვია პრემიერ-მინისტრის, რაულ ხაჯინბას განცხადებით, საქართველოს მხრიდან ცხინვალის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში აფხაზეთი და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას სამხედრო ძალითა და ტექნიკით დაეხმარებიან(!). მისი მტკიცებით, აფხაზეთის ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ყურადღებით ადევნებს თვალს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს და იმ სიტუაციას, რომელიც ცხინვალის მისადგომებთან ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ქართველი ჯარისკაცებისა და მძიმე ტექნიკის გამოჩენის შემდეგ შეიქმნა. „იმ შემთხვევაში, თუ ვითარება სამხრეთ ოსეთში უკიდურესად დაიძაბა, აფხაზეთის ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, ოს ხალხს განსაცდელში არ დატოვებს და ყველა საშუალებით შეეცდება ოსი ხალხისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვას“, — აღნიშნა სეპარატისტების ლიდერმა. მისი თქმით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის აგრესიული განცხადებების შემდეგ, აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელები უახლოეს ხანებში სოხუმში შეკრებას გეგმავენ, რომელზეც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ერთობლივი მოქმედების სამომავლო გეგმებზე იმსჯელებენ.

პრობლემები ისევ გაგაქვთების გამო

დიღმის ავტომანქანების ბაზრობაზე ისევ გაიმართა საპროტესტო აქცია. მონაწილეები ძველი მთავრობის დროს განბაჟებული მანქანების ხელახალ განბაჟებას აპროტესტებენ და ქვეყნის ხელისუფლებისგან ყურადღებას მოითხოვენ. „ჩვენ ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებს გადავუხადეთ განბაჟების თანხები, ქვითრები მოგვცეს და მაინც გვეუბნებიან, ეგ „ლევი“ განბაჟებააო. თუ ასეა და მართლაც დანაშაულს აქვს ადგილი, ჩვენ რა შუაში ვართ? პასუხი იმათ მოსთხოვონ, ვინც სახელმწიფო სტრუქტურებში ჩვენგან ფულს იღებდა და ყალბ ქვითრებს გვაძლევდა. როგორც ჩანს, მათი შემწუხებელი არავინ არის, რადგან ვინც ძველი ხელისუფლების დროს „გვძარცვავდა“, დღესაც იგივე ხალხია თანამდებობებზე და საკუთარ თავს ხომ არ მოიჭრიან. ხელისუფლებამ მოგვხედოს, თორემ მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გახდება. თუ გუშინ გაკეთებულ განბაჟებაზე გვეუბნებიან, „ლევიაო“, რა გარანტია გვაქვს, რომ ხვალ დღევანდელზე იმავეს არ გვეტყვიან. სისტემა და განბაჟების მეთოდი ხომ იგივე დარჩა“, — აცხადებენ საპროტესტო აქციის მონაწილეები.

დენი ზაფხულშიც არ გვექნება?!

ზამთრამდე დარჩენილი დიდი დროის მიუხედავად, საქართველოს ენერგოსისტემაში ზამთრისთვის მზადების სამუშაოები ფერხდება. „საქჰიდროპროექტის“ დირექტორის, ანზორ ჭითანავას განცხადებით, საქართველოს ენერგოსისტემის 2004-2005 წლების ზამთრის სეზონისთვის მზადება მიმდინარე წლის აგვისტოში უნდა დასრულდეს, თუმცა ამჟამად სისტემაში არსებული ტექნიკური პრობლემების გამო, ეს პროცესი შეფერხდება. ჭითანავას განცხადების მიხედვით, არა მარტო მომავალი ზამთარი, არამედ „წლევანდელი ზაფხულიც რთული იქნება, რადგან ენერგოსისტემა უსახსრობის გამო ტექნიკურად მძიმე მდგომარეობაშია. ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლის გამო ენერგოსისტემა კუთვნილი თანხების მხოლოდ 12%-ს იღებს. ამ პირობებში შეუძლებელია მას 100-პროცენტიანი მუშაობა მოვთხოვოთ“.

ჭითანავას თქმით, გენერაციის ობიექტი მხოლოდ თანამშრომელთა ხელფასებისთვის საჭირო თანხებს იღებს, მაშინ, როცა ხელფასების გარდა, „ჭამა“ აგრეგატებსაც სჭირდებათ — ზეთისთვის, რემონტისა და მარაგნაწილებისთვის თანხები არ არის.

„სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებმა უკეთ უნდა იმუშაონ და ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლები გაზარდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბითუმო ბაზარს გასანაწილებელი თანხები არ ექნება და ყოველთვის ასეთი პრობლემების წინაშე ვიქნებით“, — ასეთია ჭითანავას პროგნოზები.

მაჟორიტარების ადგილი თავისუფალია

საკანონმდებლო ხელისუფლებიდან ზოგიერთი დეპუტატის აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადანაცვლების შედეგად პარლამენტში ექვსი მაჟორიტარი დეპუტატის ადგილი კვლავაც ვაკანტურია. დიდუბის, კრწანისის, გორისა და ზესტაფონის სადეპუტატო ვაკანსიების დასაკავებლად „ბრძოლა“, სავარაუდოდ, ივნისსა და ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართება, ამას ემატება ქობულეთისა და ბათუმის მაჟორიტართა აწ თავისუფალი ადგილებიც. ჯემალ გოგიტიძისა და როსტომ ჯაფარიძის უფლებამოსილება პარლამენტს საერთოდ არ უცნია, რადგან გოგიტიძე ჯერ კიდევ პრეზიდენტის ინაუგურაციამდე გახდა აჭარის შს მინისტრი. გოგიტიძეს და ჯაფარიძეს არც ნარკოლოგიური შემოწმება გაუვლიათ, რისი ვადაც უკვე ამოიწურა და შესაბამისად, აჭარელი მაჟორიტარების ორი ადგილი კვლავაც თავისუფალია.

ჯარში აბსანძეც ვიდის

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო მოხელეების სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ ბრძანების გაცემის შემდეგ, თავდაცვის სამინისტრო ჩინოსან „წვევამდელთა“ მისაღებად ვაზიანისა და საჩხერის სამხედრო ბაზებს ამზადებს. სამინისტროს ხელმძღვანელობის განცხადებით, პირველად სამხედრო სამსახურში ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებს და მათ მოადგილეებს გაიწვევენ, „რათა პირადად ნახონ, თუ რა პირობებში მსახურობენ ჯარისკაცები“. სამხედრო სამსახურში რამდენიმედღიანი კურსის გავლა მძიმეწონიან მინისტრებსაც მოუწევთ. კულუარული ინფორმაციით, სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე სამხედრო სამსახურის გავლას ენთუზიაზმით შეხვდა, თუმცა თავდაცვის უწყებამ ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით ასევე მძიმეწონანი ეკონომიკის ახალდანიშნული მინისტრის, კახა ბენდუქიძის აზრი ჯერჯერობით არ იცის. „წონა პრობლემა არ არის, ადგილს ყველას მოვუძებნით და სამხედრო სამსახურს ყველა მაღალი თანამდებობის პირი გაივლის. ეს არ იქნება ხანგრძლივი კურსი, მაგრამ ხელქვეითებს მაგალითი ჩვენ უნდა ვუჩვენოთ“, აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, როგორ მოხდება ჩინოსანთა ჯარში გაწვევა. ვარაუდობენ, რომ სამხედრო სამსახურის თავიდან არიდების მცდელობას ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება.

ამერიკიდან ჯარისკაცებსაც დააზღვევენ

ერაყში საომარი მოქმედებების დროს ქართველი ჯარისკაცების დაჭრის შემდეგ გაირკვა, რომ ისინი ფულად კომპენსაციებს ვერ მიიღებენ, რამაც საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საზღვარგარეთის ქვეყნებში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ქართველი სამხედროების სავალდებულო დაზღვევას გეგმავს. ამ მიზნით თავდაცვის უწყება შესაბამის პროექტს ამზადებს, რომელსაც განსახილველად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს. თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ერაყიდან დაბრუნებულ ქართველ სამხედროებს ომის მონაწილის სტატუსი მიენიჭოთ, ამიტომ მიმდინარეობს მუშაობა, რათა მოხდეს მათი სავალდებულო დაზღვევა და დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში სამედიცინო და სხვა ხარჯები სახელმწიფომ ანაზღაუროს. ჯარისკაცის სავალდებულო დაზღვევა მსოფლიოში მიღებული ფორმაა და მას საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს, თუმცა ასეთი რამ საქართველოში დღემდე არ ხდებოდა. 2005 წლისთვის დაგეგმილია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაიდოს სავალდებულო დაზღვევისათვის საჭირო თანხა იმ კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც სამხედრო მისიას უცხო ქვეყანაში ასრულებენ.

„ჯანყი გურიაში“ გრძელდება

„ჯანყი გურიაში“ პიკს აღწევს, თითქმის დღე არ გადის საპროტესტო აქციების გარეშე. ამჯერად ოზურგეთის რაიონის დაბა ნარუჯას 200-მდე მკვიდრი ოზურგეთში „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის წინ შეიკრიბა და შველას ითხოვდა. მათი განცხადებით, ფირმა „მარტინ ბაუერის“ ადგილობრივი ხელმძღვანელობა ნარუჯელებს „საშინელ ექსპლუატაციას“ უწევს — არ უხდის ხელფასს და სისტემატურად უგულებელყოფს მათ უფლებებს. თუ რამდენიმე დღეში „მარტინ ბაუერის“ პრეზიდენტი შალვა ცეცხლაძე არ დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს, ისინი გრანდიოზული აქციების გამართვით იმუქრებიან. ნარუჯელი მეჩაიეები გაწეული სამუშაოსათვის შეპირებული ანაზღაურების მიღებას და ერთი კილოგრამი ჩაის ფასის 10 თეთრიდან 15 თეთრამდე გაზრდას მოითხოვენ. „ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ოფისის წარმომადგენლის, ნესტორ რამიშვილის განცხადებით, ფირმა „მარტინ ბაუერს“ მეტი კორექტულობა მართებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისას. ოზურგეთის ხელისუფლება კი „ნაციონალების“ წარმომადგენლებმა უუნარობაში დაადანაშაულეს. დაბა ნარუჯაში, ძირითადად, ზემო აჭარიდან ჩამოსახლებულები ცხოვრობენ და ჩაი მათთვის შემოსავლის თითქმის ერთადერთი წყაროა.

მესხიშვილის „მძაფრსიუჟეტიანი შოუ“

თბილისის სანიტარული ზედამხედველობის უფროსის დავით მესხიშვილის მიერ სკოლმეურნეო ბაზარში ჩატარებული რეიდი „მძაფრსიუჟეტიან შოუში“ გადაიზარდა. სანიტარული მდგომარეობის შესასწავლად ბაზრის ტერიტორიაზე შესული მესხიშვილი მოვაჭრეებმა ძალით გამოაგდეს. „მოძალადეების“ გაღიზიანება მესხიშვილის განცხადებამ გამოიწვია ბაზრის შესაძლო დაკეტვასთან დაკავშირებით. მესხიშვილი ბაზრის დირექტორს სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგებისა და მოვაჭრეთა დროებით სავაჭრო ადგილებით დაკმაყოფილებისათვის 10-დღიან ვადას აძლევს. ბაზრის დირექტორის განცხადებით, აქ ევროპული დონის სავაჭრო ცენტრი უნდა მოეწყოს და დროებითი სავაჭრო ადგილების გამოყოფას ბაზრის დირექცია ხელისუფლებისგან ითხოვს. „ბაზრის მოწესრიგებას 5-6 თვე დასჭირდება. ჩვენ აქ მოვაჭრეთა ამდენი ხნით დაბინავება არ შეგვიძლია და სახელმწიფო გვერდით უნდა დაგვიდგეს“, — აცხადებს დირექცია.

რა არ ხდება?!

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 15 მაისს, ერთ ქალბატონს საკუთარი ვაჟის, გიორგი იოსელიანის გატაცების ამბავი უცნობებია. გატაცებიდან 20 დღის თავზე დანაშაული გაიხსნა და გამტაცებელი გატაცებულის მამა, სხვადასხვა დანაშაულისთვის ორგზის ნასამართლევი ბაჩუკი იოსელიანი აღმოჩნდა. მამა შვილის სანაცვლოდ მისივე ნათესავს — მოსკოვში მცხოვრებ ბიზნესმენს 40 ათას დოლარს ძალავდა. ბაჩუკი იოსელიანი სამ თანამზრახველთან ერთად მოქმედებდა. ყველა მათგანი დაკავებულია. გიორგი იოსელიანის დედა ბაჩუკი იოსელიანთან განქორწინებულია. ქალის მშობლები მდიდრები არ არიან, მაგრამ ბაჩუკი იოსელიანს ყოფილი ცოლის მდიდარი ნათესავის იმედი ჰქონდა და ეგონა, საკუთარი შვილის გატაცების წყალობით ფულს მიიღებდა, თანაც ისე, რომ ვერავინ გაიგებდა ბავშვის ნამდვილი გამტაცებლის ვინაობას. სამართალდამცველებს პირველადი გამოძიებისთანავე ეჭვი სწორედ ბაჩუკი იოსელიანზე გაუჩნდათ, რაც მალე რეალობად იქცა და გამტაცებელს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

რეიგანი გარდაიცვალა



გარდაიცვალა XX საუკუნის დიდი პოლიტიკოსი, აშშ-ის ექსპრეზიდენტი, 93 წლის რონალდ რეიგანი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მას ალცჰეიმერის დაავადება აწუხებდა, რის გამოც თავის მეუღლესთან, ნენსი რეიგანთან ერთად საზოგადოებისაგან განმარტოებით ცხოვრობდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებმა ექსპრეზიდენტის ქვრივს სამძიმარი გამოუცხადეს. რეიგანთან გამომშვიდობების ოფიციალური ცერემონიალი ვაშინგტონში შედგება. ამერიკის მე-40 პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი ჯორჯ ბუშმა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ჟაკ შირაკთან პარიზში ვახშმობისას შეიტყო. „დღეს დასრულდა დიდი ამერიკელის სიცოცხლე, რომელმაც ყველა ამერიკელის პატივისცემა მოიპოვა თავისი რწმენით, თავდადებითა და სიმტკიცით“, — განაცხადა ბუშმა. რონალდ რეიგანს პრეზიდენტის პოსტი 1981-1989 წლებში ეკავა. მისი პრეზიდენტობის ხანა ცივი ომის დამთავრებითა და საბჭოთა წყობილების ქვეყნებში კომუნიზმის კრახით აღინიშნა. „პრეზიდენტი, რომელმაც ცივი ომი გაასროლის გარეშე მოიგო“ — ასე უწოდებდნენ მას თანამედროვეები.

ბენეგი წავიდა

ამერიკული დაზვერვა ცნობილი ხელმძღვანელის — ჯორჯ ტენეტის გარეშე დარჩა. ამის შესახებ საზოგადოებას აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამცნო. ქვეყნის დაზვერვის ყოფილ შეფს კი კომენტარი არ გაუკეთებია. ბუში ტენეტის გადადგომას „პირადი ხასიათის მოტივებით“ ხსნის, თუმცა, ექსპერტთა განცხადებით, დაზვერვის გავლენიანი შეფის თანამდებობა 11 სექტემბრის ტრაგედიის, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილ ამბებს შეეწირა. ტენეტთან ერთად გადადგა კიდევ ერთი გავლენიანი მზვერავი, საიდუმლო ოპერატიული დირექტორატის ხელმძღვანელი, ჯეიმს პავიტი, რომელიც იმდენად გასაიდუმლოებული ფიგურა იყო, რომ მისი სახე არც ერთ ამერიკელ ჟურნალისტს არ უნახავს, მიუხედავად იმისა, რომ იგი 31 წელი მუშაობდა დაზვერვაში. პავიტის გადადგომას პენსიაში გასვლით ხსნიან. თუმცა, არსებობს ეჭვი, რომ ისიც იმავე მიზეზებს შეეწირა, რომელმაც ტენეტის კარიერა იმსხვერპლა. ჯორჯ ტენეტის მიმართ წაყენებული ბრალდება ასეთია: სადამ ჰუსეინის საფრთხის გადაჭარბება და ალ-ქაიდასთან არაეფექტური ბრძოლა. 11 სექტემბრის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას ის გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფთან ერთად ინაწილებს. სავარაუდოდ, მისი ბედის გაზიარება აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტ ბუშსაც მოუწევს, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლო დამარცხების შემდეგ.

CMYK

დღეს საქართველო „3+1+?“ პრინციპით იმართება – ეს რევოლუციის სამეული არ გეგონოთ



რამდენი ოსი ეროვნების მოქალაქე გახდა იძულებული, საცხოვრებელი ადგილი მიეტოვებინა და გადახვეწილიყო? ან, პირიქით, რამდენმა ქართველმა დატოვა დღევანდელ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში“ თავისი ქონება და სახლკარი? უპირველესად, სასუქის დარიგებამდე ან მასთან ერთად, სწორედ ამ კომპენსაციის განსაზღვრაა საჭირო, რადგან ქართველმაც და ოსმაც იცოდეს, რომ მათი დაპირისპირება პოლიტიკოსთა მიერ დაშვებული შეცდომების შედეგი იყო და ამის გამო მიღებული მორალური და მატერიალური ზარალი აუნაზღაურდებათ.

აფხაზეთში არჩევნების ჩატარებამდე სამაჩაბლოში აქტიურობა არაფრით არ შეიძლება

...ალბათ უპრიანი იქნებოდა, საქართველოს სახელმწიფო გერბზე წითელი ვარდი და ერთი ტომარა სასუქი — „ამონიუმის გვარჯილა“ გამოგვესახა. ამით ჰერალდიკის თაობაზე ატეხილ დავასა და კამათს ერთი ხელის მოსმით მოეღებოდა ბოლო... ხუმრობა იქით იყოს და, ფაქტია, რომ შეიარაღებული ძალადობის გარეშე და ვარდის დახმარებით ხელისუფლების შეცვლის პრეცედენტი სწორედ საქართველოში მოხდა. ისიც ფაქტია, რომ სასუქს ქვეყნის ერთიანობისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებაში საქართველომდე არსად დიდი როლი არ უთამაშია — როგორც წესი, მთელ მსოფლიოში „ამონიუმის გვარჯილას“ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშულებით იყენებენ ხოლმე. თუმცა ყველაფერი არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. რაც დრო გადის, მით უფრო თვალნათელი ხდება, რამდენი რამ არის გასაკეთებელი ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განმტკიცებისკენ სავალ გზაზე. უფრო და უფრო ნათელი ხდება ისიც, თუ როგორ არ ადარდებდა წინა ხელისუფლებას ზოგადად, ცნება „სახელმწიფოს შენება“ და როგორ იყო გაიგივებული იგი საკუთარი ეზოკარის მოწყობასთან, თორემ არც ვარდი აყვავებულა პირველად ჩვენში და აზოტის საწარმოც, უკვე რამდენი ათეული წელია, „ამონიუმის გვარჯილას“ ამზადებს...

ცხადია, რაც მეტია სიმაღლე, მით უფრო მტკივნეულია იქიდან ჩამოვარდნა და, დღეს, მიღწეული წარმატებების ფონზე, ახალ ხელისუფალთ განსაკუთრებული სიფრთხილისა და გონიერების გამოჩენა ჰმართებთ — პოლიტიკაში მეხი ყველაზე მოწმენდილ ცაზეც კი შეიძლება გავარდეს, მით უმეტეს, როცა საქმე ეთნოკონფლიქტის მოგვარებას ეხება. პოლიტიკური აქტიურობის მიღმა, ჯერჯერობით, უძრაობაა ეკონომიკურ ფრონტზე — თუ არ ჩავთვლით ეკონომიკის მინისტრის პოსტზე კახა ბენდუქიძის ჩამოყვანას, რომელიც თავისი რეალისტური მიდგომების დაფიქსირებით ქართულ ეკონომიკას და ბიზნესს ბევრ სიკეთეს უქადის. ისიც ფაქტია, რომ ამ, თუნდაც უმნიშვნელოვანესი, მაგრამ მაინც მხოლოდ საკადრო ცვლილების გარდა, ჯერჯერობით, ახალ ხელისუფლებას ეკონომიკური რეფორმებისკენ ნაბიჯი არ გადაუდგამს. გასული კვირის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ძალოვან უწყებებში შესაძლო ცვლილებების შესახებ. „შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება“ — რამდენად ახლოს დგას მათემატიკა პოლიტიკასთან, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ, რადგან თუ წინასწარ განცხადებული გადანაცვლების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ ნაბიჯით აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების გზაზე მეორე, რეფორმისტული ეტაპი უნდა დაიწყოს.

საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და მასთან მიმართებაში საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაზე პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილს** ვესაუბრებით:

— იმისდა მიუხედავად, კარგად კეთდება ეს თუ ცუდად, ფაქტია, რომ რეგიონებისადმი დამოკიდებულებაში ახალმა ხელისუფლებამ მკვეთრი და ცოცხალი დინამიკა შემოიტანა. შევარდნაძის დროს ამ მხრივ ყველაფერი სტაგნაციის გზით მიდიოდა, საქმე ფუჭდებოდა, თორემ არაფერი გაკეთებულა. რეგიონებისადმი ასეთი ცოცხალი ინტერესი და დამოკიდებულება ალბათ იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ ეს ყველაზე პოპულარული თემებია — ასლან აბაშიძის პრობლემა, რომელიც ამდენი წელია პრობლემად რჩებოდა, სააკაშვილის ხელისუფლებამ საკმაოდ უმტკივნეულოდ მოაგვარა, ამოქმედება სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, განცხადებები და შეხვედრები აფხაზეთთან დაკავშირებით... ყველაფრის მიღმა დღეს უკვე შეიძლება სააკაშვილის ხელისუფლების უმთავრეს მიღწევაზე ლაპარაკი — მან ხალხს წარმატების რწმენა ჩაუნერგა. ყველაზე კარგი კი, ამ შემთხვევაში ის არის, რომ ეს წარმატების რწმენა საერთოეროვნული და დადებითია, ის ვინმესადმი აგრესიას კი არა, პირიქით, შემორიგებას ითვალისწინებს. თუმცა, ხელისუფლების მიერ პრიორიტეტად არჩეული ტერიტორიების დაბრუნება და ერთიანობის აღდგენა კითხვის ნიშნებსაც აჩენს — რა იქნება შემდეგ? გადავხედოთ ჩვენი მეზობელი სომხეთის მდგომარეობას, რომელსაც ჩვენთვის საოცნებო, ტერიტორიული პრობლემები ზედმიწევნით წარმატებით აქვს გადაჭრილი — მათ არა მხოლოდ დაიბრუნეს, არამედ ისიც დაიმატეს და დაიპყრეს, რაც სურდათ. დეკლარირებული პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, სომხეთი დღემდე ძალიან დიდ, ბიუჯეტზე ორჯერ მეტ ინვესტიციებს იღებს და, სხვათა შორის, არა ვალის სახით. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ სომხეთს ყველა თავისი ეროვნული პროექტი განხორციელებული აქვს, სომხური საზოგადოება მაინც უკმაყოფილოა და თავისი ლიდერის, ქოჩარიანის წინააღმდეგია. სავსებით სამართლიანადაც, რადგან ამის იქით სომხეთში, სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის განვითარების თვალსაზისით, არაფერი გაკეთებულა. სწორედ ეს მაშფოთებს ჩვენს სამშობლოსთან დაკავშირებითაც — ახალი ხელისუფლება საეჭვოდ ჩქარობს კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობის მოგვარებას — აქ ხომ ძალიან ღრმა დინამიკასთან და უამრავ პრობლემასთან გვაქვს საქმე — ესენია პოლიტიკური, ეკონომიკური და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფაქტორები, რუსეთისა და ამერიკის როლი და ინტერესები და სხვა მრავალი. ისეთი სურათი იხატება, რომ ხელისუფლებას, თავისი მოქმედებით, მოსახლეობაზე შთაბეჭდილების მოხდენა და ამით მმართველობის გახანგრძლივება-განმტკიცება სურს. თავის დროზე ასე შევარდნაძემაც დაანგრია ბერლინის კედელი და შემდეგ ათეული წელი ჭაობში მყოფ საქართველოს სწორედ ამ კედლის ბეტონით კვებავდა. ეს — ერთ მიმართულებას რაც შეეხება, მეორე კი კორუფციასთან ბრძოლა გახლავთ. ამ შემთხვევაში ქების მეტი არაფერი გვეთქმის, რადგან ხელისუფლება სრულიად ლოგიკურად მოიქცა, როდესაც პირველ რიგში კონტრაბანდის ხვრელები დაგმანა — ბუნებრივია, როდესაც აბაზანიდან წყალი გადმოვა, უწინარესად წყლის დაკეტვას ვცდილობთ და მხოლოდ ამის შემდეგ ვზრუნავთ მის დაშრობაზე. აჭარის პრობლემის მოგვარებაში აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი საქართველოში შემოდინებული კონტრაბანდის აღკვეთა იყო. ანალოგიური რამ მოხდა სამხრეთ ოსეთთან მიმართებაშიც — როდესაც ერგნეთის ბაზრობა დაიკეტა. მაგრამ აქ უკვე ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკურმა საკითხებმაც იჩინა თავი. ვფიქრობ, აჯობებდა, ერგნეთის დაკეტვის შემდეგ ხელისუფლებას მოვლენათა მომწიფებისთვის დაეცადა და დაუყოვნებლივ მოქმედებაზე არ გადასულიყო. წარმოუდგენელიც რომ მოხდეს და საქართველომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნოს, საზღვრების ჩაკეტვისა და გაკონტროლების შემთხვევაში, ცხინვალის მოსახლეობის ცხოვრებას, უბრალოდ, აზრი დაეკარგება, რადგან მათი ერთადერთი შემოსავალი სწორედ დანარჩენ საქართველოსთან კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობა გახლავთ. მაშ, რა საჭიროა ფაციფუცი და ზედმეტი გაღიზიანება? ვაცალოთ, მოვლენები თავისთავად მომწიფდეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეთ მოქმედებაზე. ასეთ შემთხვევებში სისწრაფე არაკომპეტენტურობის ნიშანია ხოლმე. არადა, საჭიროა რა არის — ვინმე დაასწრებს? სააკაშვილის ხელისუფლებას მინიმუმ, 5 წელი აქვს საიმისოდ, რომ ქვეყანაში ძირეული რეფორმები განახორციელოს, ხელი შეუწყოს ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოების გონებასა და არა ემოციაზე დაყრდნობილი ამომრჩევლის ჩამოყალიბებას და ამის შემდეგ, სრულიად დამსახურებულად, არჩევნებშიც გაიმარჯვოს. ჩვენ კი, ჯერ აჭარაში განვითარებული მოვლენების ლეგიტიმაცია არ მომხდარა არჩევნების გზით და, უკვე ცხინვალს მივადექით. ან რატომ მოინდომა პრეზიდენტის მეუღლემ თამარაშენის შემდეგ ცხინვალში ჩასვლა? — ეს, დაახლოებით იმ შეცდომის ტოლფასია, დილის 6 საათზე ქართველი ძალოვანი მინისტრები, რომლებიც ბათუმში აპირებდნენ ჩასვლას, ჩოლოქის ხიდზე რომ გააჩერეს და შემდეგ საქმის გამოსწორება პრეზიდენტს დიდ ძალისხმევად დაუჯდა. ფაქტია, რომ ცხინვალის რეგიონის ოსი მოსახლეობა დანარჩენი საქართველოსადმი კარგად არის განწყობილი. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ადგილობრივ ხელისუფლებას დემაგოგიის საშუალება არ უნდა მივცეთ. სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან შემოერთება სრულიად უმტკივნეულოდ, გეგმაზომიერი ნაბიჯებით, სულ რაღაც 7-8 თვეში იქნება შესაძლებელი. ამისთვის პოლიტიკურთან და ეკონომიკურთან ერთად, საკანონმდებლო ღონისძიებებიც უნდა გატარდეს — უკვე გამზადებულია კანონპროექტი რესტიტუციის შესახებ, რომელიც გასულ წლებში, სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად, მოქალაქეებისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაციას გულისხმობს. რამდენი ოსი ეროვნების მოქალაქე გახდა იძულებული, საცხოვრებელი ადგილი მიეტოვებინა და გადახვეწილიყო? ან, პირიქით, რამდენმა ქართველმა დატოვა დღევანდელ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში“ თავისი ქონება და სახლკარი? უპირველესად, სასუქის დარიგებამდე ან მასთან ერთად, სწორედ ამ კომპენსაციის განსაზღვრაა საჭირო, რათა ქართველმაც და ოსმაც იცოდეს, რომ მათი დაპირისპირება პოლიტიკოსთა მიერ დაშვებული შეცდომების შედეგი იყო და ამის გამო მიღებული მორალური და მატერიალური ზარალი აუნაზღაურდებათ — მათი უფლებები გარკვეული და დაცული იქნება. მათთვის ყველაზე დამაინტერესებელი დღეს ეს არის, თორემ სასუქს დღეს დახარჯავენ და ხვალ აღარ ექნებათ — როგორი ემოციებითაც არ უნდა მიიღონ იგი. სხვათა შორის, როდესაც პარლამენტში ვიუშაობდი, ხშირად ძალიან უაზრო და აღმაშფოთებელი საქმეები მხვდებოდა — გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ქარელის სკოლის ცხრა მასწავლებელი ქალი სამსახურიდან გაათავისუფლეს და იცით, შრომის წიგნაკში რა მოტივაცია ეწერა? — „ოსი ეროვნების გამო“! დღეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. სწორედ აქედან იწყება დაპირისპირებაც და ყველანაირი უბედურებაც.

— გორში მძიმე ტექნიკის გადასროლა, ერგნეთის ბაზრობის დახურვა და მოსახლეობისთვის სასუქის დარიგება — ეს ნაცნობი სცენარია, მაგრამ ამ შემთხვევაში რამდენად გაამართლებს „თაფლა-კვერისა და მათრახის“ მეთოდი? თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რუსეთი — საქართველოში ეთნოკონფლიქტების ტრადიციული ინსპირატორი და, ამავე დროს, მედიატორი, აჭარის მოვლენების მსგავსად, დღესაც განაბულია. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც რუსეთ-ამერიკის შეთანხმებით მიღწეული კარტ-ბლანში გვაქვს?

— სააკაშვილის სტრატეგია ძალიან გონივრულია. ის დღეს ისევე ექცევა რუსეთს, როგორც გასულ წლებში რუსეთი ექცეოდა შევარდნაძეს — დღეს თბილისი აყენებს კრემლს ფაქტის წინაშე და ისიც იძულებულია, ჩვენი თამაშის წესებს აჰყვეს, რადგან შექმნილ ვითარებაში მინიმალური დივიდენდები მაინც მიიღოს. ასე იყო შევარდნაძესთან მიმართებაში, როდესაც ბოლო წუთამდე მოსკოვს თითი არ გაუნძრევია და ასე იყო აბაშიძის გამოც — თუმცა ის მაინც ჩაიწერა ქულად, რომ ივანოვმა აბაშიძე მოსკოვში წაიყვანა და ამით მოვლენათა შემდგომ ესკალაციას შეუშალა ხელი. ადვილი შესაძლებელია, ასევე მოხდეს კოკოითის შემთხვევაშიც, მაგრამ ხელისუფლების ადგილზე გაცილებით ფრთხილად ვიმოქმედებდი. რუსეთი ის მონსტრია, რომლის ზედმეტად გაღიზიანებაც, რბილად რომ ვთქვათ, არ ღირს. ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად მიწევს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მოგზაურობა და იქ ძალიან მკვეთრად იგრძნობა შიში. შიში, რომელიც საქართველოში მომხდარი რევოლუციითა და მოვლენებით არის გამოწვეული. როგორც რუსეთის, ისე მის მიერ კონტროლირებადი სხვა ქვეყნების ხელისუფალთ დღეს ძალიან ეშინიათ, ძალაუფლება ისევე არ დაკარგონ, როგორც შევარდნაძემ დაკარგა. უკიდურესად გამკაცრებულია მედიისა და არასამთავრობო სექტორის კონტროლი, უნდობლად უყურებენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოური მისიების ნებისმიერ აქციასა თუ განცხადებას და ა. შ. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, ყველაფერი ძალიან იოლად და უსისხლოდ ხდება, ვითარება უკიდურესად დაძაბული შეიძლება იყოს — შესაძლოა რუსეთმა საქართველოს სამაგალითოდ დასჯა მოინდომოს და ამით სხვებსაც აჩვენოს, რომ მასთან გათამამება არ ღირს, თუნდაც დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები სულითა და გულით გიჭერდეს მხარს. თავისთავად, პოლიტიკური მანევრები კარგია, მაგრამ როდესაც მასში სატანკო პოლკის მანევრებიც არის ჩართული, ცეცხლმა ნებისმიერ წუთს შეიძლება იფეთქოს; მით უმეტეს, რომ, აჭარისგან განსხვავებით, ეთნოკონფლიქტურ რეგიონში დაპირისპირების გამოწვევა არც ისე ძნელია. ვფიქრობ, ახალი ხელისუფლება ცხინვალის პრობლემასაც საკმაოდ უმტკივნეულოდ მოაგვარებს, მაგრამ სწორედ აქ შეიძლება იმალებოდეს საფრთხე და ხაფანგი, რომელსაც კრემლი გვიმზადებს — ძალიან მეშინია, ბათუმისა და ცხინვალის წარმატებებით გათამამებულმა ხელისუფლებამ მაშინვე აფხაზეთის დაბრუნებაზე არ დაიწყოს ანალოგიური მეთოდებით ბრუნვა, რადგან აქ უკვე მარცხი გარდაუვალი იქნება — მით უმეტეს, თუ ზემოხსენებული მიზეზების გამო, ხელს რუსეთიც წააშველებს. მართალია, ვაშინგტონი გვაქეზებს და სრულ მხარდაჭერასაც გვიცხადებს, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილი ვითარებაც უნდა გავითვალისწინოთ — ამერიკას დღეს ძალიან უჭირს. როდესაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი გადადგა და თავდაცვის მინისტრის პორტფელი საშიშროების ქვეშ დგას, ეს გასაჭირი კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და ასეთ დროს საგარეო პოლიტიკისადმი ყურადღება სუსტდება. ასე რომ, რაც უნდა არასასურველი იყოს, ჩვენ მაქსიმალური სიფრთხილე გვმართებს, რათა საქართველოში რამდენიმე წლის წინანდელი სცენარი არ განმეორდეს და ჩვენი შეცდომებით — ისევ რუსეთს არ შევრჩეთ ხელში. მით უმეტეს, რომ ახალი ხელისუფლება სახელმწიფოს შემადგენელი სხვადასხვა კონცეფტუალური სეგმენტის (ეკონომიკა, სამოქალაქო საზოგადოება, კანონის უზენაესობა და ა.შ.) განმტკიცებაზე მეტად, საკუთარი ძალაუფლებისა და რეიტინგის განმტკიცებაზე ზრუნავს. ზემოთაც აღვნიშნე — მას რომ რეფორმები დაეწყო, ეს რეიტინგი ნელ-ნელა დაბლა დაიწევდა, მაგრამ ლეგიტიმურობის დრო — 5 წელი — სრულიად საკმარისი იყო საიმისოდ, რომ მოსახლეობას, რეფორმების შედეგებიდან გამომდინარე, მთავრობის ნდობა გაორმაგებული ძალით დაბრუნებოდა. დღევანდელი სურათი კი ძალიან სახიფათოა — ასე სწორხაზოვნად, მაღალ ნიშნულზე შენარჩუნებული რეიტინგი ერთი შეცდომის დაშვებისთანავე კი არ დაიწევს, ელვისებურად ჩაინგრევა და მასთან ერთად გაქრება ის მორალური განწყობაც, რაც 9 აპრილის შემდეგ ქართველ ხალხს არ ჰქონია და ძლივსღა ეღირსა. კიდევ ერთი მომენტი — აფხაზეთში არჩევნების ჩატარებამდე სამაჩაბლოში აქტიურობა არაფრით არ შეიძლებოდა. აფხაზეთის დღევანდელი მოსახლეობა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, საკმაოდ კრიტიკულად უყურებენ თავის ხელისუფლებას. სწორედ ამაზე თამაში იყო საჭირო და ვფიქრობ, ეს საკაშვილსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, როდესაც განაცხადა, — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მდგომარეობის მოგვარების გზა ქართულ ეკონომიკაზე გადისო. მაგრამ დღეს, როდესაც აფხაზეთში წინასაარჩევნო აქტიურობაა, სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში თბილისის გააქტიურებამ აფხაზ პოლიტიკოსებს დემაგოგიის საშუალება მისცა — იქ სოციალურ მოტივს უკვე სხვანაირი, „პატრიოტული“ მოტივი ჩაენაცვლა — რა დროს გაჭირვებაა, „დამოუკიდებლობას“ ვკარგავთო. შესაბამისად, არძინბას რეჟიმის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვაც აღარ არის პოპულარული. მიდის გამალებული ვითომ მზადება „სამხრეთ ოსეთში აფხაზეთის ინტერესების დასაცავად“ და ამ მიზნით, მოხალისეთა რაზმებიც კი დგება. ვისი და რისი დამხმარებლები არიან, მაგრამ სამაგიეროდ, ასეთი მოქმედება დემოგრაფიისა და პროპაგანდის კლასიკური ნიმუში გახლავთ. შედეგად კი იმას მივიღებთ, რომ თვითმარქვია აფხაზეთის რესპუბლიკის მოსახლეობა ოქტომბერში ხმას ძალიან პრორუსულ და ანტიქართულ ძალებს მისცემს. ამის გამო არ იყო გამართლებული სამხრეთ ოსეთის შემორიგების საქმეში პოლიტიკური მომენტების ოქტომბრამდე შეტანა.

— ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან ერთად, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ახალი გადაადგილებები იწყება — იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალი ხელისუფლება საგარძელში „ცმუკავს“ — ჯერ კიდევ ვერ მოერგო ქვეყნის მართვის სადავეებს; ან პირიქით — სახელმწიფოს მართვის მექანიზმები სრულყოფა გეგმაზომიერად მიმდინარეობს...

— ღღეს საქართველო „3+1+?“ პრინციპით იმართება. ეს რევოლუციის დღეებიდან ცნობილი სამეული არ გეგონოთ — საკაშვილთან ერთად მთავარ პროცესებს ოქრუაშვილი და მერაბიშვილი მართავენ. ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღებაში კი ადეიშვილიც მონაწილეობს. რაც შეეხება კითხვის ნიშანს — ეს ექსპერტისთვის დატოვებული ადგილი გახლავთ. ისინი, უბრალოდ, უსმენენ მათთვის საინტერესო საკითხში ჩახედულ თანაგუნდელს და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ, მის გარეშე, იღებენ, რის შემდეგაც მის მიღებას პოსტფაქტუმ სთავაზობენ ჟვანია-ბურჯანაძეს. ის კონფიგურაცია, რომელიც ძალოვანი უწყებების გადანაწილების შესახებ გასულ კვირაში გახდა ცნობილი, მიუთითებს, რომ ზემოთ ნახსენები პირები პირადად იღებენ ხელში მართვის სადავეებს და, აქედან გამომდინარე, პირადად არიან პასუხისმგებელნი ამ სტრუქტურების მუშაობაზე. ეს, თავისთავად, კარგი ფაქტორია. რაც შეეხება თავდაცვის უწყებაში ბარამიძის გადასვლას, ეს მისთვის უცხო სფერო არ არის — მისი სახე ასეთ სტაბილურ და, ასე ვთქვათ, უფრო ცივილიზებულად სამართავი უწყების ხელმძღვანელობას კარგად ერგება. ვნახოთ, როგორ გაართმევს ოქრუაშვილი თავს შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმების ელვისებურ განხორციელებას. დანარჩენი გადაადგილებაც მეტყველებს ხელისუფლების მცდელობაზე, უკეთ მოხდეს მართვის სტრუქტურების შექმნა და ათვისება...

დაჩი გრძელიშვილი

– ვფიქრობ, ახალი ხელისუფლება ცხინვალის პრობლემასაც საკმაოდ უმტკივნეულოდ მოაგვარებს, მაგრამ სწორედ აქ შეიძლება იმალებოდეს საფრთხე და ხაფანგი, რომელსაც კრემლი გვიმზადებს – ძალიან მეშინია, ბათუმისა და ცხინვალის წარმატებით გათამამებულმა ხელისუფლებამ მაშინვე აფხაზეთის დაბრუნებაზე არ დაიწყოს ანალოგიური მეთოდებით ბრუნვა, რადგან აქ უკვე მარცხი გარდაუვალი იქნება. მართალია, ვაშინგტონი გვაქეზებს და სრულ მხარდაჭერასაც გვიცხადებს, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილი ვითარებაც უნდა გავითვალისწინოთ – ამერიკას დღეს ძალიან უჭირს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და ასეთ დროს საგარეო პოლიტიკისადმი ყურადღება სუსტდება.

შენდება „საქართველოს მატიანე“



მსოფლიოში აღიარებული ფერმწერისა და მონუმენტალისტის ზურაბ წერეთლის მიერ 20 წლის წინ დაწყებული მონუმენტური კომპლექსის, „საქართველოს მატიანის“ მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ბევრი რამ შეიცვალა ამ 20 წლის მანძილზე. გარდა იმისა, რომ საუკუნიდან საუკუნეში გადავედით, არნახული ცვლილებები მოხდა როგორც სახელმწიფოებრივ, ისე თითოეული ჩვენგანის აზროვნებაში. მკითხველს შევახსენებ, რომ თბილისის ზღვაზე, ყაენის მთაზე, როცა საძირკვლის ჩაყრა დაიწყო, მაშინ ქართველ მეფეთა ხსენებაც კი ტაბუდადებული იყო, ვერც წმინდანებისა და მათ სახელზე ესოდენ გრანდიოზული პროექტის წამოწყებას გაბედავდა ვინმე.

...სავარაუდოდ, ოქტომბერში სამუშაოები დასრულდება. ახლა კი, ყოველ სისხამ დილიდან აქ მომუშავე მშენებლებს, რომელთა სამუშაო ტანსაცმელს დიდი ასოებით აწერია „მატიანე“, ჟურნალისტებთან სასაუბროდ არ სცალიათ. მოკლედ მიგვანიშნებენ, თუ რომელ მხარესაა აღმართული მონუმენტურ ბრიჯაოში ჩამოსხმული დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე... სად არის ილიას, გალაკტიონის სკულპტურები... აქვეა ფარნავაზი, ცოტნე დადიანი... აფორიზმებად ქცეული ქართული პოეზიის მარგალიტები, ქვაში გადმოტანილი ერის უძველესი ცივილიზაციის დამადასტურებელი წარწერები...

კომპლექსის ქვედა ინტერიერი გარშემორტყმულია სახარების ფრაგმენტებით, ბიბლიური პერსონაჟებით. ამ ყველაფერს შაბიამნისფრად ჩამუქებული ბრინჯაო გასაოცარ ხიბლს ანიჭებს.

კომპლექსში სარიტუალო დარბაზებიც იქნება, წყვილები ჯვარს დაიწერენ... ერთი სიტყვით, მრავალი ნიუანსია გათვლილი...

ზემოდან კომპლექსს ჯვრის ფორმა აქვს, შუაგულში კი... წმინდანად შერაცხული თამარ მეფის სიმბოლური საფლავი იქნება...

„საქართველოს მატიანის“ შესასვლელში თამარ მეფის სახელობის საყდარიც აიგება. სწორედ მისი საძირკვლის კურთხევაზე, ქაშუეთის ტაძრის დეკანოზმა, მამა ღვთისომ იქ მყოფთ შეახსენა, რომ ბასიანის ბრძოლის წინ თამარ მეფე საგანგებოდ წაბრძანებულა ვარძიაში და 3 დღის მხურვალე ღოცვის შემდეგ მიახლებია ლაშქარს, საომრად გამგზავრების წინ რომ დაელოცა. მემატიანე ასე გადმოგვცემს თამარის მიმართვას მებრძოლებისადმი: „ძმანო ჩემნო! ნუ შეგაშინებთ მტრის სიმრავლე და ჩვენი სიმცირე... ჩვენთან არს ღმერთი!“ ქართველთათვის ძლევამოსილად დამთავრდა ბასიანის ბრძოლა 1204 წელს. ასე რომ, ამ ომის 800 წლისთავსაც მიუძღვნის ალბათ ზურაბ წერეთელი ამ გრანდიოზული პროექტის გახსნას.

დოდო იორდანიშვილი

„ქართული სული“, „გედების ცეკვა“ და უამრავი ოვაცია

— „რუსთავის“ გამოსვლა გერმანიაში ფანტასტიკურია. ჯეროვანი სიტყვები ვერ გვიპოვია... ბედი ჰქონია, ვინც ქართველთა ცეკვა-სიმღერა ნახა და მოისმინა... — წერდა 1988 წელს გერმანული პრესა. ეს უმნიშვნელო ნაწილია იმ აღტაცებისა, რომელიც ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლს მოუგვრია უცხოელებისათვის. ეს წლების წინათ იყო, თუმცა ანსამბლი „რუსთავი“ დღესაც ატყვევებს მაყურებელს. „ქართული სული“ — ასე ერქვა სამდღიან საკონცერტო პროგრამას, რომელიც ანსამბლმა ცოტა ხნის წინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარმოადგინა თითქმის სრულიად ახალი შემადგენლობით, განახლებული პროგრამითა და განუმეორებელი ფრიდონ სულაბერიძით. „რუსთავმა“ ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოახდინა. ერთ-ერთ კონცერტს ქართული ეროვნული ბალეტის ღირსეული წარმომადგენელი თენგიზ სუხიშვილიც ესწრებოდა. „ანსამბლი აშკარად პროფესიონალურია, ამას მგონი, აღნიშვნა არც უნდა. ცეკვავენ სუფთად. აქვთ კარგად აწყობილი პროგრამა. წინათ საკონცერტო გამოსვლებში სიმღერა ცალკე ნომრად იყო. ცეკვა — ცალკე. ახლა გაუერთიანებიათ, ანსამბლის ვოკალური სოლისტების სიმღერის თანხლებით მიდის ცეკვა. ეს ძალიან კარგია. ამით „რუსთავმა“ ნამდვილად მოიგო. ამიტომაც კონცერტი ეფექტური იყო“. — ასეთი შეფასება მისცა ბატონმა თენგიზმა „რუსთაველებს“.




პირველსავე კონცერტზე განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო უცხოელ მაყურებელთა რეაქცია. ჩემ გვერდით ახალგაზრდა ლაზები ისხდნენ. აღფრთოვანებულები უკრავდნენ ტაშს და კითხულობდნენ — სად შეიძლება ვისწავლოთ ასეთი ცეკვა, სად შეიძლება დავეუფლოთ ხანჯლებით ბრძოლის დროს ოთხ კაცთან გამკლავების ხელოვნებას. „ხანჯლური“ ცეკვა კი არა, სცენაზე გამოტანილი საბრძოლო ხელოვნებაა, — აღნიშნავდნენ ისინი. აშკარა იყო, „ქართულმა სულმა“ თავისი გაიტანა. გერმანელი ქალბატონი ინგე განსაკუთრებით მოიხიბლა ქალების სინატიფით, გრაციით. „ქალთა ცეკვის“ შესრულების შემდეგ მან გაოცებულმა იკითხა — „ეს რა, გედების ცეკვაა? როგორ დაცურავენ, თითქოს ეს ჩვეულებრივ იატაკზე კი არა, ყინულის მოედანზე ან სულაც ტბის ზედაპირზე ხდება. ქართველები ნამდვილი ჯადოქრები ხართ. მეც უნდა ვისწავლო რაღაც ამ ცეკვების მსგავსი“. გერმანელი ქალბატონი „ქართულ სულს“ ძლივს „ითქვმდა“ აღტაცებისაგან. როცა ანსამბლმა „ძველი თბილისის სურათების“ თეატრალიზებული ნომერი წარმოადგინა, უცხოელი ჯერ ჩუმად იყო, მაგრამ ფრიდონ სულაბერიძის მიერ ერთ-ერთი ფრაგმენტის შესრულების შემდეგ ფეხზე წამოხტა ბრავოს შეძახილით. „მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეს ცეკვა, მაგრამ ასე მგონია, წინათ საქართველოში ასეთი „სპექტაკლებით“ უხსნიდნენ სიყვარულს ქალებს. მინახავს ფესტივალები ბრაზილიაში, მექსიკაში, იტალიაში. ყველგან თავს იწონებენ ცეკვებით. თქვენ რომ ქუჩებში საცეკვაო ფესტივალები გამართოთ, ხალხური სიმღერები იმღეროთ, ასე მგონია, ადამიანები უფრო ნაზი, ფაქიზი, კაცთმოყვარე და ძალიან ვაჟკაცური გახდებიან. თქვენი სიმღერების მოსმენისას კი ყველაზე ჯადოსნურად მომღერალი მგალობელი ფრინველებიც კი „ტაიმ-აუტს“ გამოაცხადებენ“. — ქალბატონი ინგე ასე ასხამდა ხოტბას ქართულ ხელოვნებას. ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელების: ანზორ ერქომაიშვილის და ფრიდონ სულაბერიძის შემართებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. მთელ საკონცერტო პროგრამაში მათ 11 საცეკვაო ნომერი და ათი ხალხური სიმღერა ისე ჩაუხვევ-ჩაუორნამენტებიათ ერთმანეთში, რომ მაყურებელი ოვაციისგან სულის მოთქმას ვერ ასწრებდა. „რუსთავის“ განახლებულ საკონცერტო პროგრამაშა მალე მთელი საქართველო იხილავს. ფრიდონ სულაბერიძის განცხადებით, ივნისში სადასტროლო ტურნე ბათუმიდან დაიწყება და მისი „დაფარვის ზონა“ მალე ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოიცავს. შემოდგომაზე კი „რუსთავი“ უცხოურ საგასტროლო ტურნეს დაიწყებს. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მაყურებლებს წინ დაუვიწყარი სანახაობა ელით, რისთვისაც თუნდაც მხოლოდ ერთი ნომერი, ფრიდონ სულაბერიძის და ია მაქაცარიას ცეკვა „ქართული“ იკმარებს, სადაც სულაბერიძისეული გასმა კვლავაც განუმეორებელი და ფანტასტიკურია.

ეკა ლომიძე

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრას“ ურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 39-ე გვერდზე.*

წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ვაჟა გავაშელი** — „ბათუმიდან გატაცებული პირველი საბჭოთა თვითმფრინავი“ — 69 ხმა
2. **ეკა ლომიძე** — „დღეს სამჩაბლოში...“ — 61
3. **ვაჟა გავაშელი** — „იქ, სადაც შესვლა აკრძალულია“ — 44
4. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 35
5. **იზო რიკაძე** — „საქართველო მთელი სამყაროს გულისგული მეგონა“ — 31
6. **იზო რიკაძე** — „საქართველოს ხელისუფლების არც ერთ დონეზე აღარ არის ხელშეუხებელი ხალხი“ — 30
7. **მარინა ბაბუნაშვილი** — „როცა სამშობლოს ნატვრა სხვაგან დარჩენის ნებას არ გაძლევს“ — 17
8. **დაჩი გრძელიშვილი** — „დაპირისპირება რომ არის, ეს ფაქტია და ვერსად დავემალებით“ — 15
9. **ლელა ჯიყაშვილი** — „ნანი ჩიქვინიძე: — ახლა მხოლოდ იმ როლს შევასრულებ, რომელიც ძალიან საინტერესო იქნება“ — 13
10. **ემა ტუსიაშვილი** — „რა სურთ რუს ბიზნესმენებს“ — 9

პრემიას ურნალისტი **ვაჟა გავაშელი** მიიღებს.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 359-მა მკითხველმა გამოავლინა

მალე „მზეზე“ ცოდნა დაფასდება

— ისწავლე, შვილო, ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანისთვის ცოდნაა, — არიგებს მშობელი შვილს.

— შენ თუ ისწავლე და ორი დიპლომი გაქვს, რა მოიგე? — უკმეხად პასუხობს შვილი.

ამგვარი დიალოგი ალბათ ყველა თქვენგანს მოუსმენია, ბევრს საკუთარ ოჯახშიც კი. უმუშევრობამ და სიდუხჭირემ ბევრი რამ შეცვალა ჩვენ ირგვლივ. ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ ცოდნა გაუფასურდა. ბავშვების უმრავლესობას სრულიადაც არ აინტერესებს წიგნი. ისტორიის, ლიტერატურის, მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლის გარეშეც კარგად გრძნობენ თავს და არც ის იციან, რომც ისწავლონ, გამოადგებათ კი ეს ცოდნა? სწორედ ამ საშიში „სენის“ წინააღმდეგ განხორციელდება ტელეკომპანია „მზისა“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ერთობლივი პროექტი „ეტალონი“. მალე ჟურნალ „რეიტინგის“ ყოველ ნომერში გამოქვეყნდება კითხვარი და მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, სწორი პასუხები გამოგზავნონ „რეიტინგის“ რედაქციაში. სექტემბრიდან კი მათ ტელეკომპანია „მზის“ ყოველკვირეულ გადაცემა „ეტალონში“ მიიწვევენ.

გადაცემა, როგორც ავტორები ირწმუნებიან, მეტად საამო საყურებელი იქნება. გადაცემის ბოლოს კი ერთ-ერთ მონაწილესა და მის დამრიგებელს ერთი წლის განმავლობაში დაეინიშნებათ სახელობითი სტიპენდია, ყოველთვიურად 50-50 ლარის ოდენობით და ასე იქნება ყოველ კვირა დღეს.

პროექტს ასეულობით მხარდამჭერი გამოუჩნდა — პედაგოგი, პოლიტიკოსი, სპორტსმენი, მსახიობი... და, რაც მთავარია, დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ქვეყანაში, სადაც ვინმეს შეიძლება აზრად მოუვიდეს ჰაგიოგრაფიული თხზულებების სასკოლო პროგრამიდან ამოღება ან საქართველოს ისტორიის კურსის შემცირება, სადაც ინტელექტს არანაირი მატერიალური უკუგება არა აქვს, ასეთი პროექტი მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იღებს, რადგან მას შეუძლია შემოაბრუნოს ყმაწვილი წიგნისკენ.

პროექტის შესახებ ვესაუბრეთ სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორს, დეკანოზ **გიორგი ზვიადაძეს**:

— ეკლესია, როგორც ყოველივე კეთილის შესაკრებელი, ყოველთვის მხარს დაუჭერს და მიესალმება ნებისმიერ კეთილშობილურ განზრახვას, რაც საზოგადოების სულიერ გაჯანსაღებას უკავშირდება; ამიტომ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნება პროექტი „ეტალონი“, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩვენი სამშობლოს ისტორიით, ლიტერატურით, ქრისტიანული კულტურით დაინტერესებას. ეკლესიისთვის ფასეულია მომავალ თაობაში სიღრმისეული აზროვნების დანერგვა, ისტორიული მაგალითების გაცოცხლება, რომლებითაც მკაფიოდ წარმოჩნდება ქართველი ხალხის სიყვარული ღვთისა და მამულისადმი. საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერმა უნიკალური კულტურა შექმნა. უფლისთვის ნებისმიერ ეპოქაში ფასეულია ჭეშმარიტი რწმენა, პატიოსნება, სიკეთე, მიმტევებლობა და ამ გზით



მავალი ყოველი ადამიანი თუ მთელი ერი ღვთის განსაკუთრებულ წყალობას იმსახურებს.

— ეს პროექტი მიზნად ისახავს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მატერიალურ წახალისებასაც. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი?

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მასწავლებელს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. შემთხვევითი არ არის, რომ მაცხოვარი, უპირველესად, მოძღვრად, მასწავლებლად იწოდება. პედაგოგები მომავალ თაობებს ზრდიან. ეს კი დიდ ძალისხმევას მოითხოვს. აუცილებელია მათ ყველა პირობა შეექმნათ, რომ მთელი არსებით მოეკიდონ თავიანთი მოვალეობის აღსრულებას..

— დღეს ბევრი მოზარდი განათლებას ალმაცერად უყურებს.

— განათლების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება უმძიმეს შედეგს მოგვიტანს. დიდი დაფასება ჰქონდა განათლებას, ცოდნას, რწმენას. მაცხოვარი ბრძანებს: „მე ვარ ნათელი სოფლისა და რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელს, არამედ აქუნდის ნათელი ცხოვრებისა“. რწმენასთან ერთად შეთვისებული ცოდნა ნათელმოსილებას გულისხმობს. ვინც თვალს გაუსწორებს ჩვენს ისტორიას, კულტურას, უეჭველად მიხვდება, რომ განათლება, ცოდნის წყურვილი როგორ აღამაღლებს საზოგადოებას.

ერთ მცირე სტატიაში იმის სრულად აღწერა, თუ როგორი იქნება სატელევიზიო პროექტი „ეტალონი“, შეუძლებელია, ამიტომ მომავალშიც გვსაუბრებით ამ პროექტის შესახებ და იმ კითხვებზეც გიპასუხებთ, რომლებიც გაგიჩნდებათ. მანამდე კი, ორიოდე კითხვის ნიმუშსაც შემოგთავაზებთ:

1. დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი გამორჩეულად სამ ქართველ მეფეს ასახელებს: „გლეხთა უწიგნოთაც იციან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და...“ კიდევ რომელ მეფეს ასახელებდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი?

ა) გიორგი V ბრწყინვალეს;
გ) დემეტრე II თავდადებულს;
ბ) თამარ მეფეს;
დ) ალექსანდრე I დიდს.

2. ვინ არის ავტორი სიტყვებისა: „როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა“?

ა) ვაჟა-ფშაველა;
გ) რაფიელ ერისთავი;
ბ) ილია ჭავჭავაძე;
დ) ნოდარ დუმბაძე.

ლელა ჯიყაშვილი

ნუგზარ შევარდნაძესაც დაიბარებენ



უშიშროება ბოლო ათწლეულის ნავთობის მეფეზე გასვლას ცდილობს?

რამდენიმე დღის წინ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლებმა რევაზ ხვედელიძე დაკავეს. ეს ფაქტი შეიძლება რიგით აქტად ჩავთვლილიყო, რომ არა ერთი გარემოება — თავის დროზე რევაზ ხვედელიძე „ივერია პლუსის“ თანამშრომელი იყო. „ივერია პლუსი“ კი ექსპრეზიდენტის ძმისშვილის — ნუგზარ შევარდნაძის კუთვნილებაა. ხვედელიძე და შევარდნაძე ბიზნესპარტნიორები იყვნენ. ასე რომ, დაკავებისთანავე გაჩნდა ვერსია, რომ უშიშროება ნუგზარ შევარდნაძეზე გასვლას გეგმავს და ამომწურავი ინფორმაციის მიღებას მისი ყოფილი პარტნიორისგან ცდილობს.

საოცარია, მაგრამ უშიშროებამ ხვედელიძე წმინდა კრიმინალური ბრალდების გამო დააკავა. ხვედელიძეს ვინმე ვანო ლომიძისათვის მანქანისა და აგარაკის წართმევას ედავებიან. ბრალდების თანახმად, შვიდი წლის წინ რევაზ ხვედელიძე ბიზნესმენ ვანო ლომიძეს თავს დაესხა და ჯიპი „ლენდ-კრუიზერი“ მოსტაცა. ცოტა ხნის შემდეგ კი წყნეთში აგარაკიც წაართვა. მანქანისა და აგარაკის წართმევის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებენ, რომ ლომიძეს ხვედელიძის ვალი ჰქონდა. იმ პერიოდში ვალის დაბრუნების ასეთი ხერხი გავრცელებული იყო და პოლიციას იშვიათად თუ მიმართავდა ვინმე. ამიტომ მაშინ პოლიციაში არც ვანო ლომიძე გამოცხადებულა. სამაგიეროდ, რამდენიმე დღის წინ უშიშროებაში შეიტანა საჩივარი, რასაც ხვედელიძის დაკავება მოჰყვა.

რატომ შეიტანა საჩივარი ლომიძემ მაინცდამაინც უშიშროებაში და არა შს სამინისტროში? წესით და რიგით, ასეთი სახის დანაშაული საპოლიციო უწყებას უფრო ექვემდებარება, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. ამიტომ გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავების ფაქტი უშიშროებამ გაცილებით ადრე დაგეგმა და ყველაფერი ნუგზარ შევარდნაძეზე გასასვლელად არის გათვლილი. ყოველ შემთხვევაში, როცა რევაზ ხვედელიძის ადვოკატს, ვახტანგ თალაკვაძეს მივმართეთ კითხვით, ასეთი პასუხი მივიღეთ: „რა თქმა უნდა, უშიშროება ასეთ შემთხვევაში არაფერ შუაში იყო, მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. საოცარია, კაცს შვიდი წლის მანძილზე მომხდარის შესახებ განცხადება არ შეუტანია — ანუ გასულია ხანდაზმულობის ვადა — და ამას დღეს აკეთებს? მით უმეტეს, რომ ხვედელიძესთან დაპირისპირებისას ლომიძემ ისეთი სერიოზული არგუმენტის მოყვანა ვერ შეძლო, რომლითაც ყაჩაღობის ფაქტს დაადასტურებდა. რაც შეეხება ხვედელიძის სახლში ჩხრეკისას აღმოჩენილ იარაღს, იგი რეგისტრირებულია და ეს ბრალდებაც არასერიოზულია...“

ერთი სიტყვით, ხვედელიძის დაკავების ფაქტმა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დაბადა. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი გიორგი ღვინიაშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება დაკავების ფაქტთან ნუგზარ შევარდნაძის პერსონის დაკავშირებას, კულუარული ინფორმაციით, უშიშროება შემოვლით გზას დაადგა და ექსპრეზიდენტის ძმისშვილზე კომპრომატების მოპოვებას ცდილობს.

ამ საქმეში კი როგორც ხვედელიძემ, ასევე ლომიძემ, უშიშროებას შეიძლება ფასდაუდებელი სამსახური გაუწიონ. საქმე ის არის, რომ როგორც უკვე ვთქვით, ხვედელიძე და შევარდნაძე თავის დროზე ბიზნესპარტნიორები იყვნენ და ხვედელიძეს ბევრი რამის თქმა შეუძლია „ივერია პლუსის“ საქმიანობის შესახებ. ვანო ლომიძეკი, რომელიც საქართველოში რუსეთიდან 10 წლის წინ დაბრუნდა, ასევე ნავთობის ბიზნესში იყო ჩაბმული. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ლომიძემ შევარდნაძესთან ერთად რამდენიმე ფინანსური ოპერაცია განახორციელა, მაგრამ არ გაუმართლა და ვალი დაედო. შევარდნაძემ დაიბარა ლომიძე და ვალის დაუყოვნებლივ გადახდა მოსთხოვა. ამ დროს ლომიძე, ფაქტობრივად, გაკოტრებული იყო და მას ვალის გადახდა არ შეეძლო. მაშინ შევარდნაძემ ჯიპი და წყნეთში მის საკუთრებაში არსებული მიწების გადაცემა მოსთხოვა. ამ საქმეში „ისპოლნიტელის“ როლი ნუგზარ შევარდნაძის საიმედო პარტნიორმა, ხვედელიძემ შეასრულა. ლომიძის მანქანაც და აგარაკიც მან გადაიფორმა. ამის შემდეგ ლომიძემ აგარაკსა და მანქანასთან ერთად ბიზნესიც დაკარგა. ნუგზარ შევარდნაძე ამ სფეროს მონოპოლისტად დარჩა.

საქართველოში პოსტშევარდნაძისტული ეპოქის დადგომისთანავე ბევრი ფიქრობდა, რომ მე-5 იზოლატორში გამოკეტილ ბევრ კორუმპირებულ ჩინოვნიკს მალე ნუგზარ შევარდნაძესაც მიუსვამდნენ გვერდით, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. ჯერ ერთი, ექსპრეზიდენტის ძმისშვილი სახელმწიფო მოხელე არ იყო, და რაც მთავარია, ფინანსურ დანაშაულებში მისი მამხილებელი ფაქტობრივი მასალები თითქმის არ არსებობს.

„ნუგზარ შევარდნაძე ნავთობის ბიზნესში მონოპოლისტია, — გვესაუბრება სპეცსამსახურების ექსპერტი **დავით ლორთქიფანიძე**, — ეს, უპირველესად, ძლიერი კლანით იყო განპირობებული. თითქმის იმავე დროს, როცა მანქანა და აგარაკი

ღღეს უშიშროებას გაუჭირდება ნუგზარ შევარდნაძის ბუღალტერიის ხელში ჩაგდება; ანუ ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ, სინამდვილეში, რა მასშტაბის ბიზნესს აწარმოებდა შევარდნაძის ძმისშვილი. ამას მიახლოებით მაშინ გაიგებენ, თუ მასთან დაახლოებული პირები მოინდომებენ ინფორმაციის გაცემას. ასე რომ, ვფიქრობ, ხვედელიძის დაკავებით სამართალდამცველები ნიადაგს ამზადებენ ნუგზარ შევარდნაძემდე მისაღწევად.

წაართვეს ლომიძეს და ბიზნესიც ჩაუძირეს, „ივერია პლუსს“ უთანხმოება ჰქონდა ბერძენ ბიზნესმენებთან (ისინი ნუგზარ შევარდნაძეს „გადაგდებაში“ ადანაშაულებდნენ), მაგრამ მაშინ ყველაფერი ჩაიფარცხა. შევარდნაძე ბიზნესის სათავეში მოექცა და კონკურენტები უმტკივნეულოდ ჩამოიცილა. ყველგან შევარდნაძის მიერ შემოტანილი ნავთობპროდუქტები იყიდებოდა და სხვა ბიზნესმენების იმავე საქმიანობაში ჩაბმის ნებისმიერი მცდელობა მათთვისვე სავალალოდ მთავრდებოდა. მათ ან კონტრაბანდაში სდებდნენ ბრალს და აპატიმრებდნენ, ან ფასების თამაშით აკოტრებდნენ. ერთი სიტყვით, ნუგზარ შევარდნაძე ბოლო ათწლეულში ნავთობის მეფედ იქცა და კოლოსალური შემოსავლებიც ჰქონდა, მაშინ, როცა ბიუჯეტში რაღაც საცოდავი თეთრები შეჰქონდა.

— დადის ხმა, რომ ხვედელიძის დაკავებით უშიშროება ნუგზარ შევარდნაძეს უმიზნებს. რამდენად რეალურია ეს მოსაზრება?

— გამორიცხული არ არის, რომ ხვედელიძის დაკავებას ასეთი საბაბიც ჰქონდეს. დღეს უშიშროებას გაუჭირდება ნუგზარ შევარდნაძის ბუღალტერიის ხელში ჩაგდება; ანუ ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ, სინამდვილეში, რა მასშტაბის ბიზნესს აწარმოებდა შევარდნაძის ძმისშვილი. ამას მიახლოებით მაშინ გაიგებენ, თუ მასთან დაახლოებული პირები მოინდომებენ ინფორმაციის გაცემას. ასე რომ, ვფიქრობ, ხვედელიძის დაკავებით სამართალდამცველები ნიადაგს ამზადებენ ნუგზარ შევარდნაძემდე მისაღწევად. ვფიქრობ, ეს ყველა შემთხვევაში მოხდებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ცდილობენ, მომავალი „შეხვედრა“ კარგად მოამზადონ.

— ანუ ნუგზარ შევარდნაძესაც დაიბარებენ უშიშროებაში?

— დიახ, თუმცა მე არ ვგულისხმობ, რომ აუცილებლად დააპატიმრებენ. ეს არ არის საჭირო. უბრალოდ, მასაც აღებათ დამალული თანხების გადახდას მოსთხოვენ ბიუჯეტის სასარგებლოდ. ვნახოთ, რა მოხდება.

დავით დევდარიანი

„იძულებული ვიქნები, შური ვიძიო, თუნდაც სიცოცხლის ფასად“

ვინ იყო სასამართლო რეფორმის ავტორი საქართველოში?!

საქართველოს შს სამინისტროს ერთმა მხცოვანმა გენერალმა შარშან „გამოცდილება“ გამიზიარა. მითხრა: „თუ უკანონობას სჩადი, ამაზე ხმამაღლა არ უნდა იკაპარაკო. დავუშვათ, გაგიწყრა ღმერთი და რაღაც წამოროშე, მაშინ იმდენი ჭკუა უნდა გეყოს, რომ ნათქვამი ფურცელზე არ გადაიტანო. თუ მოხდა სასწაული და მეორედაც გაგიწყრა ღმერთი და შენ მიერ ჩადენილი უკანონობა წერილობით დაადასტურე, მაშინ ხელი მაინც არ უნდა მოაწერო და ბეჭედი არ უნდა დაარტყა. თუ ამას მაინც ვერ ასცდი და ეშმაკმა მესამედაც გაცდუნა, მაშინ მხოლოდ ერთი გამოსავალი დაგრჩება — „სუხოი ატკაზზე“ უნდა წახვიდე და კატეგორიულად უარყო შენ მიერვე ხელმოწერილი დოკუმენტი. უნდა თქვა, რომ ხელმოწერა გაყალბებულია ან ხელქვეითს უნდა დააბრალო“. სწორედ ეს შეგონება გამახსენდა, როდესაც დღევანდელი სტატიის მასალებს ვეცნობოდი. საქართველოს წინა მოწვევის პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის დასკვნაში ასეთი რამ ამოვიკითხე (სტილი დაცულია): „მთელი რიგი ინსტანციების მოსამართლეების მხრიდან ადგილი აქვს სამსახურებრივ სიყალბეებს, უკანონო სასამართლო განჩინებას და გადაწყვეტილების გამოტანას, აგრეთვე სხვა დანაშაულებრივ მოქმედებებს“. ვერ გეტყვით, რამდენჯერ გაუწყრა ღმერთი ზოგიერთ მოსამართლეს, მაგრამ კორუფციასთან ბრძოლის საპარლამენტო კომისიის მასალების გაცნობისას დავრწმუნდი, რომ მას საკმაოდ არგუმენტირებული მტკიცებულებები ჰქონია ასეთი დასკვნისთვის. სწორედ ეს დასკვნა შეიქნა იმის საფუძველი, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა (ამჟამად კი შინაგან საქმეთა მინისტრმა) ირაკლი ოქრუაშვილმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2002 წლის 1-ელ და 6 ნოემბერს გამოტანილი არასწორი განჩინების გამო. როგორც გაირკვა, ეს დადგენილება კონფიდენციალურ ინფორმაციათა რიცხვს განეკუთვნება და საქართველოს უზენაეს სასამართლოში სულაც არ გახარებიათ, რომ იგი ჟურნალისტს ჩაუვარდა ხელთ. თუმცა, სანამ გენერალური პროკურორის დადგენილებას გაგაცნობდეთ, ჯობს თავიდან დავიწყოთ.

გაგაცნობთ ერთ სამოქალაქო დავას, რომელმაც შეიძლება მომავალში არაერთი მოსამართლისა და ჩინოვნიკის თანამდებობები შეიწიროს. სამოქალაქო დავის ერთი მხარე, თადარიგის გენერალი გურამ ჭუმბურიძე საქართველოს უშიშროების მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს მიმდინარე წლის 13 აპრილს წერილით მიმართავს (სტილი დაცულია.): „როგორც თქვენთვის ცნობილია, ზოგიერთი თახსირი, ნამუსგარეცხილი და უპასუხისმგებლო სახელმწიფო მოხელის, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურის, შს სამინისტროსა და სხვა უწყების მაღალი თანამდებობის პირების წყალობით, ქრთამისა და ძმაკაცური ურთიერთობების სანაცვლოდ წლების განმავლობაში შეგნებულად ჭიანურდებოდა საგამოძიებო მოქმედებები და იჩქმალებოდა ისეთი დანაშაულებრივი ფაქტები, როგორიცაა: სახელმწიფო ქონების დატაცება, ბიუჯეტიდან სოლიდური თანხების მითვისება, ყალბი დოკუმენტების გამოყენება, უკანონო პრივატიზაცია, ქრთამის გამოძალვა, თანამდებობების ბოროტად გამოყენება, ასევე მოსამართლეთა მიერ ყალბი გადაწყვეტილებების მიღება და რაც მთავარია, ადამიანის ჩაგვრის, ციხისწამებისა და მისი ნაოფლარი ქონების წართმევა... თუ ბოლო არ მოეღო ამ უსამართლობას და თავაშვებულობას, ანუ არ აღდგა ჩემი კანონიერი უფლებები, იძულებული ვიქნები, თუნდაც სიცოცხლის ფასად, შური ვიძიო იმათზე, ვინც დამნაშავეებს მფარველობს და ვისაც წვლილი მიუძღვის ჩემს წამებასა და დამცირებაში“.

ჩვენ დავუკავშირდით წერილის ავტორს, თადარიგის გენერალს, შს „სენაკის“ დამფუძნებელ გურამ ჭუმბურიძეს და ასეთი მძაფრი წერილის დაწერის მიზეზი ვკითხეთ. **გურამ ჭუმბურიძე**: — საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან არსებული „ავტოსაწარმოს“ დირექტორს, ვალერი გოგოლაძეს სამინისტროს ხელმძღვანელი პირებისაგან დავალებული ჰქონდა ისეთი პარტნიორის გამონახვა, რომელიც „ავტოსაწარმოს“ კეთილმოწყობასა და ამოქმედებას შეძლებდა. გოგოლაძემ მე შემომთავაზა ერთობლივი საქმიანობა. 1996 წლის 25 მარტს დადებული ხელშეკრულების მიხედვით, მე გადმომცა „ავტოსაწარმოს“ ადმინისტრაციული და სხვა სახის შენობა-ნაგებობები მიმდებარე ტერიტორიითურთ. ხელშეკრულების მე-5-6 პუნქტებით ვალდებული ვიყავი საწარმოს აღდგენითი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები შემესრულებინა, რაც 1996-1997 წლებში გავაკეთე კიდეც. სამუშაოების დანახარჯმა 93 ათასი დოლარი შეადგინა. მოგვიანებით, ფინანსებზე ერთობლივი კონტროლის დაწესების მიზნით, მე და გოგოლაძემ სოფლის მეურნეობისა და ქონების მართვის სამინისტროებთან შეთანხმებით, დავაფუძნეთ შპს „სენაკი“. ის იყო, მუშაობა უნდა დაგვეწყო, რომ მოულოდნელად სოფლის მეურნეობის მინისტრის მაშინდელი მოადგილე გურამ დიდბარიძე და ამავე სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი აკაკი კოპალეიშვილი ჩვენი საქმიანობით დაინტერესდნენ.

— რას გულისხმობთ დაინტერესებაში?

— შპს „სენაკი“ თბილისის ცენტრში, გუდაუთის ქუჩაზე მდებარეობდა. აქვე იყო სამინისტროს ცენტრალური მომარაგების ბაზა. სწორედ ჩემ მიერ გარემონტებული და აღდგენილი „ავტოსაწარმოს“ მითვისება გადაწყვიტეს დიდჩინოსნებმა. შექმნეს დანაშაულებრივი ჯგუფი და განზრახვის სისრულეში მოყვანა გადაწყვიტეს. თავდაპირველად, შპს „სენაკის“ სარეგისტრაციო ნომრით რეგისტრაციაში გაატარეს ახალშექმნილი შპს „სენაკი“. წესდება იგივე დატოვეს, ხოლო წილები თვითნებურად გადაინაწილეს და ყოველივე ეს ნოტარიუსს დაამოწმებინეს. ნოტარიუსმა ისე დაამტკიცა ახალი წესდება და წილები, რომ თვალით არ ვუნახავარ. ჩემი წილი — 70% ჩემს უკითხავად 10%-მდე შეამცირეს (გოგოლაძე სრულიად უწილოდ დატოვეს). შპს „სენაკის“ მითვისების შემდეგ დიდბარიძემ, კოპალეიშვილმა და სხვებმა ასევე უკანონოდ მიისაკუთრეს

„ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან ადგილი აქვს სამსახურებრივ სიყალბეებს, უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას და სხვა დანაშაულებებს“



უზენაეს სასამართლოში (ჯერჯერობით მხოლოდ) ფასადს არემონტებენ

იმავე ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური მომარაგების სასაწყობე ბაზა, სადაც დააფუძნეს სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96“. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ სახელმწიფო ქონება მას ქონების მართვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად გადასცა. ორი თვის შემდეგ სახაზინო საწარმოს ბაზაზე დააარსეს საწარმო „არილი“. სასამართლო მასალებში შავით თეთრზე წერია: „გამომდინარე იქიდან, რომ „ავტოსერვისი-96“ შექმნილია უკანონოდ, ამდენად მისი უფლებამონაცვლე „არილი“ დაფუძნებულია უკანონოდ და მის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება შეუსაბამოა საქართველოს კანონმდებლობასთან“. არც „არილის“ შექმნა შეთანხმებულა ქონების მართვის სამინისტროსთან. „არილის“ განკარგულებაში მოექცა 12,5 ათასი კვმეტრი ტერიტორია თბილისის ცენტრში და ათეულათასად ღირებული მოძრავი ქონება. „არილის“ ხელმძღვანელმა ბესიკ დავითულიანმა გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება და სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში საქმის გადაცემა-გადმოცემის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს. მოსამართლე მსხილაძემ არ გაიზიარა ჭუმბურიძისა და მისი ადვოკატის შუამდგომლობა აცილების შესახებ და უარი თქვა მის დაკმაყოფილებაზე. ოქმში შეტანილ განჩინებას მოსამართლე ხელს არ აწერს, რითაც დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

(გაგრძელება იხ. გვ. 24)

ᲙᲐᲮᲐ ᲑᲔᲜᲓᲣᲥᲘᲫᲔ — ᲨᲔᲠᲘᲮᲔᲑᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

БЕНДУКИДЗЕ ПРОСИЛ ПЕРЕДАТЬ...

„რას დამყვებით, მსახიობი ხომ არ ვარ!“ — ასე უპასუხა ჟურნალისტების გაცხოველებულ ინტერესს თავის პირველ სამუშაო დღეს საქართველოს ეკონომიკის ახალდანიშნულმა მინისტრმა. როგორც თავად ყოფილი ოლიგარქი და ახალი ჩინოსანი ამბობს, სამშობლოში ის იშვიათი სტუმარი იყო, წინაალმდეგ შემთხვევაში ბენდუქიძეს ეცოდინებოდა, რომ პოლიტიკოსები, და მით უმეტეს, მინისტრები, ჩვენს ქვეყანაში მსახიობებზე არანაკლებ პოპულარულები არიან. თუმცა, ხავერდოვანი ურთიერთობა ბენდუქიძეს არც რუს ჟურნალისტებთან ჰქონია. შარშან, თავის ერთ-ერთ რადიოინტერვიუში, ჟურნალისტის კითხვაზე: — ხომ არ იცით, პატივცემულო კახა, რა ბედი ეწევა რუსეთის ეკონომიკას, თუ პრეზიდენტის მიმდინარე კურსი შენარჩუნდებაო, ახლანდელი საქართველოს ეკონომიკის მინისტრი პასუხობს: „Можете им сказать: Каха Бендукидзе просил передать, чтобы все шли на х... с такими вопросами“. მისი ბიოგრაფიისა და გარეგნული მონაცემების გამო, რუსული მასმედია ბენდუქიძეს ახალი რუსი ოლიგარქების კლასიკური ტიპს მიაწერს, რომელიც ქართული შარმით არის შერბილებული. თუმცა, რუსი ჟურნალისტები კახა ბენდუქიძის ცინიკურ გულახდილობაზეც მიუთითებდნენ. მის სამშობლოში დაბრუნებას გაზეთი „კომერსანტი“ ამგვარ კომენტარს უკეთებს: „საბოლოო ჯამში, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა, ქვეყნიდან ისეთი რეფორმატორი, როგორიც კახა ბენდუქიძეა, გაეძევებინა და აი, ისიც წავიდა“. როგორც ჩანს, მიუხედავად თავისი ულტრალიბერალური იდეებისა, ბატონი ბენდუქიძე, რუსეთის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. განსაკუთრებით არ უყვარდათ ბენდუქიძე რუსეთის ფინანსთა სამინისტროში. როგორც ირკვევა, სწორედ ბიზნესმენის აქტიური ლობირების წყალობით აქვს რუსეთს სავსებით ლიბერალური კანონი სავალუტო რეგულირების შესახებ და საკმაოდ დაბალი განაკვეთი საშემოსავლო გადასახადზე. საინტერესო იყო, აგრეთვე, რუსეთის ვიცე-პრემიერის, ალექსანდრ ჟუკოვის განცხადება, კახა ბენდუქიძის თბილისში სამუშაოდ გადმოსვლის თაობაზე: „მიხარია, რომ ახლა მას ეძლევა საშუალება, საკუთარი იდეები პრაქტიკულად განახორციელოს“.

როგორც ამბობენ, პირველი რუსული ინვესტიცია საქართველოში უკვე განხორციელდა თავად ბენდუქიძის სახით. ცნობილი ხდება, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ამ საკითხზე ტელეფონით ესაუბრა პუტინს. ამბობენ, რომ ეს უკანასკნელი გაკვირვებული ჩანდა, თუმცა დაეთანხმა ქართველ კოლეგას. უკვე ღიად საუბრობენ, რომ ბენდუქიძის გამინისტრება ნიშნავს რუსული კაპიტალისთვის საქართველოს ეკონომიკაში შემოსაღწევად ყველა წინაღობის მოხსნას. არც იმას გამორიცხავენ, რომ ეს ფაქტი შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გადახდილი საფასური. გავრცელებული ინფორმაციით, ბენდუქიძის გამინისტრების ინიციატორად ზურაბ ჟვანიაა მიჩნეული. ამბობენ, რომ მოსკოვში უკანასკნელი ვიზიტის დროს, იგი ტელეფონით დაუკავშირდა რუს ოლიგარქს და სამშობლოში დაბრუნება სთხოვა. ამას მოჰყვა თბილისში ორგანიზებული ქართულ-რუსული ეკონომიკური ფორუმი და ჟვანია-ბენდუქიძის მრავალსაათიანი საუბარი პირისპირ. როგორც ჩანს, ბიზნესის მართვიდან წასვლა ბენდუქიძემ კარგა ხანია გადაწყვიტა. 2004 წლის იანვარში, ერთ-ერთი რუსული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში იგი სამომავლო გეგმებს ამხელს: *„მომავალი წლის მაისში ვაპირებდი „OM3“-ის (გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნები) გენერალური დირექტორის თანამდებობის დატოვებას.*

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

სახელისუფლებო გუნდი ჯერჯერობით ერთიანობას ინარჩუნებს და როგორც ამბობენ, ამის მიზეზი სააკაშვილის მიერ წამოწყებული „დიდი საქმეებია“ — აჭარის, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დაბრუნება. პრეზიდენტის მუშაობის ტემპი ამ ეტაპზე ურთიერთდაპირისპირების გამოვლენის საშუალებას სპობს, მაგრამ სააკაშვილის სასტარტო შემართება თუ ოდნავ დაეცა, ამბობენ, უმრავლესობის მრავალპოლუსიანობაც გაცხადდებაო. ჯერჯერობით კი ის ჩანს, ჟვანია და ბურჯანაძე რომ ისევ უმძრახად არიან. ამას კონტროლის პალატის თავმჯდომარის დანიშვნაზე გამართული ბატალიებიც მოწმობს. რაკი ჟვანიაზე გაბრაზებულ ბურჯანაძეს პრემიერზე შურისძიების შესაძლებლობა მიეცა, დავით ტყეშელაშვილის კანდიდატურაზე უარის თქმით ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა. ჩანს, დამდურებული მეგობრების შერიგებას დიდად არც სააკაშვილი ცდილობს, თორემ ვინ გაუბედავდა წინაალმდეგობას? ამ შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის მხარესაა და არ აპირებს ნინოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატის დასახელების უფლება წაართვას. ამ ბრძოლაში გამარჯვებას ბურჯანაძეს უწინასწარმეტყველებენ და ჟვანიასაც მოუწევს ერთ სიბრძნეში დარწმუნება — თუ ქალმა გაიწია, ცხრა ულელი ხარკამეჩი ვერ დააკავებსო(!).

პოლიტიკურ კულუარებში დემოკრატებსა და ნაციონალებს შორის გარდაუვალ ომს შემოდგომაზე ან ზამთრის დასაწყისში ვარაუდობენ. თუ კახა ბენდუქიძემ კონკურენციას გაუძლო და პოსტი შეინარჩუნა, ბიუჯეტისა და ენერგეტიკული პრობლემების გამო პრემიერ ჟვანიაზე მაინც ძლიერი დარტყმა მზადდება. გილაური მომავალ ზამთარსაც ვერ გვპირდება სინათლეს ჩვენს ფანჯრებში, რასაც პარლამენტში უთუოდ დიდი შეხლა-შემოხლა უნდა მოჰყვეს. სწორედ ამ დროისთვის გეგმავენ ჟვანიას ფარული მტრები სინათლეზე გამოსვლას.

უნდა ითქვას, რომ დიდი ერთსულოვნება არც თავად ნაციონალთა ბანაკშია. რესპუბლიკელებზე რომ არაფერი ვთქვათ, იქაც რამდენიმე ერთმანეთზე წაკიდებული ჯგუფია და ეს გამოააშკარავა კიდეც კუნჭაძის საქმემ, როდესაც ყველაზე რადიკალურმა ბოკერია-თარგამაძის გუნდმა მერაბიშვილის „სასტავს“ დაარტყა. კუნჭაძის ავანტიურა სწორედ მერაბიშვილის დასასუსტებლად გათამაშდა და წინასწარვე ვარაუდობდნენ, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი ამ სკანდალს გადაჰყვებოდა. ერთ დროს მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე ნაციონალებისთვის „აღმოჩენაც“ იყო, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ასეთი „აღმოჩენა“ ხელს ყველას არ აძლევდა და... მერაბიშვილს სავარაუდოდ უშიშროების სამინისტროში მიავლენენ. გახმაურებული დაპატიმრებების ავტორს, ირაკლი ოქრუაშვილს თანამდებობის მალე დატოვებას ჩვენთან საუბრისას ფსიქოლოგი შოთა ნადირაშვილიც უწინასწარმეტყველებდა — როდესაც ოქრუაშვილი მსხვილ ბობოლებს დაიჭერს, მის ადგილზე უფრო სხვა ყაიდის კაცი მოვა, რომელიც „დამსჯელის“ ტიპის ხელმძღვანელი არ იქნებაო. მოსაზრება, ხელისუფალნი ხშირად იცვლიან ფავორიტებსო, ჩანს, ოქრუაშვილზე არ ვრცელდება. ის ისევ რჩება სააკაშვილის უდავო ფავორიტად და ყველაზე სანდო კაცად. ამიტომაც შინაგან საქმეთა მინისტრად მისი დანიშვნა სწორედაც რომ უნდა უნდოდეს პრეზიდენტს — ქვეყანაში წესრიგის დამყარებას ყველაზე საიმედო კაცს რატომაც არ ანდობს სააკაშვილი?..

როგორც ამბობენ, პროკურატურას ოქრუაშვილის წასვლის შემდეგ ზურაბ ადეიშვილი ჩაიბარებს. ამ ნაბიჯით გენპროკურატურას ხელმძღვანელად საკმაოდ კვალიფიციური იურისტი მოუძებნეს, რომელიც სავსებით ესადაგება შოთა ნადირაშვილის მიერ დახასიათებულ ოქრუაშვილის შემცველის ფსიქოლოგიურ ტიპსაც.

საკადრო ცვლილებების ტალღა, სავარაუდოდ, შეარყევს შევარდნაძის დროინდელი კადრის, ლადო ჭანტურიას სკამსაც. მაგრამ ამბობენ, ჭანტურია ჯერჯერობით პოსტს იმიტომ ინარჩუნებს, რომ შემცვლელი ვერ მოუძებნესო. ქვეყნის მთავრობაში დიდის ამბით მიწეული ქალბატონები კი სავარაუდოდ, პოსტებს მამაკაცებს დაუთმობენ (სავარძელზე ვაჟკაცურად მხოლოდ სალომე ზურაბიშვილი რჩება). ყოველ შემთხვევაში, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის სამინისტროებში მატრიარქატი დასრულდება და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტს კახა ბენდუქიძე შეითავსებს, რომელიც საქართველოში სავარაუდოდ, სწორედ ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის რანგში მოინვიეს. რაკი თამარ ლებანიძეს ზურაბ ჟვანიას თანაკურსელობაც ვერ შველის, უკვე ლაპარაკობენ — მთავრობაში ჟვანიას კადრების ჩანაცვლება დაიწყოო. ამ ვერსიას გასულ კვირას ბარამიძეზე დაწყებული შეტევებიც ამყარებდა. რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური გმირი და კანცელარიის ამღები გიორგი ბარამიძე, როგორც იქნა, თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს, საითკენაც როგორც ამბობს, თავიდანვე მიეწევდა გული. სამთავრობო კარტების ახლებურად გადაწყობის შემდეგ ჯოკერსა და ტუზკოზირსაც მივადექით — მაინც რა ხდება კანცელარიის მე-10 და მე-11 სართულებზე? პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობაზე ათასი ხმა დადის. ამბობენ, ჟვანია მორჩილად თამაშობს მეორის როლს და პრეზიდენტის საყვედურებსაც „მშვიდად“ ისმენს და ბევრსაც უთმობსო. თუმც ესეც თქვეს — მართალია, სააკაშვილი პირველობით ტკბება, ჟვანიას „ბოლომდე გაბრაზებას“ მაინც ერიდება, რათა პრემიერს ოპოზიციაში გადაბარგების საბაბი არ მისცეს. სააკაშვილს ჟვანია ბოლომდე ახლოს ეყოლება, თორემ ვინ იცის, რას იზამს გაოპოზიციონერებული ზურიკოო... როგორც წესი, მისი გაოპოზიციონერება პრეზიდენტებს ცუდად აქვთ დაცდილი და ეს სააკაშვილმაც იცის.

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ „ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ“ ᲯᲝᲙᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲖᲙᲝᲖᲘᲠᲘ ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ...

ამბობენ, ჟვანია მორჩილად თამაშობს მეორის როლს და პრეზიდენტის საყვედურებსაც „მშვიდად“ ისმენს და ბევრსაც უთმობსო. თუმც ესეც თქვეს – მართალია, სააკაშვილი პირველობით ტკბება, ჟვანიას „ბოლომდე გაბრაზებას“ მაინც ერიდება, რათა პრემიერს ოპოზიციაში გადაბარგების საბაბი არ მისცეს. სააკაშვილს ჟვანია ბოლომდე ახლოს ეყოლება, თორემ ვინ იცის, რას იზამს გაოპოზიციონერებული ზურიკოო... როგორც წესი, მისი გაოპოზიციონერება პრეზიდენტებს ცუდად აქვთ დაცდილი და ეს სააკაშვილმაც იცის.



„ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘ, ᲛᲘᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ, ᲞᲝᲠᲢᲘ ᲗᲣ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲯᲘᲮᲣᲠᲘ, ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ“



„ფოთის პორტი დიდი ხნის წინ გაიყიდა

საკაშვილმა საქართველოს ეკონომიკის მინისტრად მძიმეწონიანი ბიზნესმენი, კახა ბენდუქიძე მიიწვია და „გრძელ დისტანციაზე მორბენლობით“ განთქმულ ოლიგარქს ქვეყნის ეკონომიკური აყვავება დაავალა — აბა, შენ იცი, საქართველოს ეკონომიკასაც თუ ისე ააღორძინებ, როგორც საკუთარ ბიზნესსო.

როგორ შეხვდნენ ქართულ პოლიტიკურ და ბიზნესწრეებში კაცს, რომელსაც სინდის-ნამუსის გარდა ყველაფერი აუქციონზე გააქვს, ამის გარკვევა „მემარჯვენე ოპოზიციასთან“ ვცადეთ.

ზურაბ ტყემალაძე: — კახა ბენდუქიძის საქართველოს ეკონომიკის მინისტრად დანიშვნა, ვფიქრობ, დადებითი მოვლენაა. ის საქმიანი და გამოცდილი კაცია, — რუსეთში წარმატებული ბიზნესი აქვს, რაც იოლი ნამდვილად არ არის. ასეთი კაცის დანიშვნა ეკონომიკის მინისტრის პოსტზე, ვფიქრობ, სასიკეთო გავლენას მოახდენს დარგის აღორძინებაზე. ბენდუქიძე მემარჯვენე ორიენტაციის კაცია და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკის განვითარების მომხრეც. როგორ შეიძლება ბენდუქიძის რაიმე საწინააღმდეგო გვქონდეს, როდესაც თავად ვუჭერთ მხარს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას?

— მაგრამ გაისმის შეფასებები — რაც გასაყიდი დარჩა, ბენდუქიძე ყველაფერს რუსებს მიჰყიდისო. გარკვეულწილად, ამის საფუძველი თავად ახალმა მინისტრმაც გააჩინა, როდესაც თქვა: — სინდის-ნამუსის გარდა ყველაფერი უნდა გაიყიდოსო.

— გაცილებით ადრე ვამბობდი, ადამიანმა მხოლოდ ნამუსი არ უნდა გაყიდოს-მეთქი, თორემ დანარჩენი... ერთადერთი, სტრატეგიული ობიექტების გასხვისება არ შეიძლება. ეს ჩვენს კონსტიტუციაშიც წერია — სტრატეგიული ობიექტები განეკუთვნება სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობასო; ანუ გაყიდვაც შეიძლება, მაგრამ სახელმწიფომ მის მართვაზე კონტროლი უნდა შეინარჩუნოს. თუმც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული სტრატეგიული ობიექტების ნუსხა.

— პრეზიდენტმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, სტრატეგიული ობიექტები მაგისტრალური გაზსადენი და ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზებია, ასევე არ შეიძლება რკინიგზის გასხვისებაო.

— ზეპირი განცხადებებით კი არა, კანონით უნდა იყოს განსაზღვრული, რომელი ობიექტია სტრატეგიული და რომელი — არა. სანამ ეს კანონით არ განისაზღვრება, ჩვენ ვერ გავმიჯნავთ. ამიტომ გაზსადენი იქნება, მილსადენი, პორტი თუ უბრალოდ ჯიხური, ყველა ერთნაირად გაიყიდება.

— ფიქრობთ, რომ პორტები არ არის სტრატეგიული ობიექტები და უნდა გაიყიდოს?

— ვერ გავიგე, რატომ ატყდა პორტების გაყიდვაზე ასეთი ამბავი? ფოთის პორტი დიდი ხნის წინ გაიყიდა. მისი პრივატიზაცია ევროკავშირის მოთხოვნით მოხდა. ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო ფოთის პორტის პრივატიზაცია და დღესაც „წარმატებით“ მიმდინარეობს. სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, ფოთის პორტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ შექმნილი კომისიით დღესაც ახორციელებს პრივატიზაციას.

„მრეწველებისაგან“ განსხვავებით, „ახლები“ ყოველთვის გაცილებით მეტ სიმპათიას გამოხატავდნენ აშშ-ისა და დასავლეთის მიმართ, ვიდრე რუსებისადმი. რუსეთში დაფრთიანებული კახა ბენდუქიძის მინისტრად დანიშვნის შესახებ აზრი მათაც ვკითხეთ.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲩᲘᲮᲠᲐᲫᲔ: — ცუდი ფაქტია-მეთქი, ვერ ვიტყვი. ბენდუქიძე სერიოზული ბიზნესმენია, დიდი კაპიტალის მფლობელი და დეკლარაციაშიც აცხადებს: — ლიბერალური რეფორმების გატარებას ვაპირებო. ასეთი განცხადება ჩემთვის მისაღებია, მაგრამ კითხვის ნიშნებს აჩენს ის ფაქტი, რომ დიდი კაპიტალი რუსეთში ყოველთვის გადაჯაჭვულია რუსეთის ხელისუფლების ინტერესებთან. ვხედავ იმასაც, რომ რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტი არცთუ მოკრძალებული აღფრთოვანებით შეხვდა ამ დანიშვნას. იყო ლაპარაკი იმაზეც, რომ სააკაშვილს ბენდუქიძის თაობაზე მოლაპარაკებაც ჰქონია პუტინთან. უდავოა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები უნდა არსებობდეს, მაგრამ თუკი ამას ჩვენს ეკონომიკაზე ისეთივე პოლიტიკური ზეგავლენა მოჰყვება, როგორც ეს რუსეთშია, მაშინ შესაძლოა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, რომ ბენდუქიძე ქართველია, მთავარია, რა პოლიტიკურ ინტერესებს დაიცავს იგი საქართველოში. ცოტა უცნაურად მეჩვენა, რომ ბუნდუქიძე ჟურნალისტებს მიედავა სოციალისტურ აზროვნებაში, მაშინ, როდესაც იმავე განცხადებებს აკეთებს პრეზიდენტი სააკაშვილი (ეტყობა, ეს არ იცოდა ბენდუქიძემ) — ნებისმიერ ინვესტიციას მივესალმები, ოღონდ სტრატეგიული ობიექტების გაყიდვას არ დავუშვებო. აღბათ ჯობდა პრეზიდენტს და ბენდუქიძეს წინასწარ გაერკვიათ თავიანთი შეხედულებები და მერე დანიშნულიყო ბატონი კახა მინისტრად.



შესაძლოა გაჭირდეს ცალსახად იმის თქმა, რომ ამერიკელებს რუსი ინვესტორები ენაცვლებიან, მაგრამ ხდება სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთი გრძელვადიანი პროექტების გადაფასება, როგორიც არის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი და შაჰ-დენიზის გაზსადენი. ეს პროექტები მიიჩნეოდა ჩვენი დასავლური ორიენტაციის გარანტად (გვახსოვს რუსეთის დამოკიდებულება საქართველოში ამ პროექტების განხორციელების მიმართ) და ამიტომ სერიოზული ეჭვი ჩნდება პოლიტიკური ორიენტაციის ვექტორის გადაადგილებაზე.

— ხომ არ არის ეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის გაღებული ხარკი?

— ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ღირს დათმობებისა და სხვადასხვა პოლიტიკური ნაბიჯის ფასად, მაგრამ ზღვარი მაინც არის გასავლები. დათმობების ფასად ვიბრუნებთ ტერიტორიებს თუ ვთმობთ მთავარს — დამოუკიდებლობას და ამ შემთხვევაში დაკარგულ ტერიტორიებთან ერთად ვბრუნდებით რუსულ სივრცეში, ეს საკმაოდ საჭირბოროტო კითხვაა.

ᲘᲝᲖᲝ ᲠᲘᲥᲐᲫᲔ

„ვინც იმას მეტყვის, პატიოსან ხალხს იჭერდიო, პირველად ქვა მან მესროლოს!“

გასულ კვირას მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების მოწმენი გავხდით. ამაზე გარკვეულ მინიშნებებს პრემიერ-მინისტრი წინასწარ აკეთებდა, მაგრამ მინისტრების ერთი შეხედვით გაუგებარმა ადგილმონაცვლეობამ ბევრი დააბნია. ამ დიდი გადანაცვლებების შედეგად შს მინისტრი გიორგი ბარამიძე თავდაცვის სამინისტროში აღმოჩნდა... სხვათა შორის, ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა სწორედ ამ საკადრო ცვლილებას მოჰყვა, — ლაპარაკობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის შეცდომებზეც და იმაზეც, რომ მავანთ მისი პრინციპულობა არ მოსწონდათ. ასევე ითქვა სახელისუფლებო კულუარებში გათამაშებულ ინტრიგაზეც.

„კვირის პალიტრამ“ გიორგი ბარამიძესთან ინტერვიუ მაშინ ჩაწერა, როდესაც ის ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. ბარამიძე თავის გეგმებზე გვესაუბრა და არც ის ემოციები დაუმალავს, რომელიც ალბათ შს მინისტრობას ბუნებრივად ახლავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მან ამ გადაადგილების შესახებ ჯერ კიდევ შაბათს არაფერი იცოდა... ამიტომაც, ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე გიორგი ბარამიძის ბოლო ინტერვიუ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

რაკი გასულ კვირას გიორგი ბარამიძე რამდენჯერმე გააკრიტიკეს, ითქვა: — შს მინისტრის საწინააღმდეგო კამპანია იწყება და მალე მოხსნიანო, მაგრამ პრეზიდენტმა ყველას ცივი წყალი გადაასხა, როდესაც ბარამიძის მოხსნაზე კი არა, შესაძლო დაწინაურებაზეც ილაპარაკა.

გიორგი ბარამიძეს მძიმე და დაძაბული კვირის ბოლოს შევხვდით. მის სიცოცხლეს თურმე საფრთხეც ემუქრება, რატომ? ამ საკითხზე და კიდევ, რას ფიქრობს საკუთარ თანამშრომლებზე, რატომ ვერ იტანს ქურდებს და რამდენი საათი სძინავს დღე-ღამეში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ინტერვიუდან შეიტყობთ.

შინაგან საქმეთა მინისტრთან საუბარი ცხინვალის ინციდენტით დავიწყეთ (როდესაც იქ პოლიციის ნაწილები შეიყვანეს), რომელსაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა (ერთნი ამბობდნენ, პოლიცია პროვოკაციაზე წამოაგესო, მეორენი კი გამჭრიახობას უქებდნენ ქვეყნის მთავარ პოლიციელს):

— ჩვენ გავაკეთეთ ის, რისი გაუკეთებლობაც არ შეიძლებოდა. აუცილებელი იყო იმ საგუშაგოების გაძლიერება, რომლებიც ცხინვალის რეგიონიდან დანარჩენ საქართველოში კონტრაბანდის გავრცელებას აღკვეთენ. კონტრაბანდა ქვეყნის ეკონომიკას რომ ანგრევს, ამაზე 10 წელზე მეტია, ლაპარაკობენ, მაგრამ თავი ვერ მოაბეს მასთან ბრძოლას. ახლა კი გადავწყვიტეთ ამ პრობლემისთვის მოგვეღო. რაკი დაინახეს, ქართველებმა კონტრაბანდას ბრძოლა გამოუცხადესო, რუსმა სამშვიდობოებმა ზემოხსენებულ საგუშაგოს გაუქმება დაუპირეს. ოფიციალურ თათბირზე, რომელსაც ქართველი ოფიცრებიც ესწრებოდნენ, რუსმა გენერალმა ბრძანება გასცა, ქართული საგუშაგოები ძალის გამოყენებით ავიღოთო. ბუნებრივია, შესაბამისი ზომები მივიღეთ და საგუშაგოები შინაგანი ჯარისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის მეშვეობით გავაძლიერეთ, ვინმეს არც თავს დავსხმივართ და არც შეურაცხყოფა მიგვიყენებია. ჩვენ ჩვენს ტერიტორიაზე ქვეყნის ინტერესებს ვიცავთ და რომელი ჭკუათამყოფელი გვეტყვის — რატომ ებრძვით კონტრაბანდასო. თუ ჩვენმა ნაბიჯმა ვინმეს შეშფოთება გამოიწვია, ძალიან კარგი. შეშინებულები ისინი არიან, რომლებიც წლობით საზრდოობდნენ ამ კონტრაბანდით (უპირველესად ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებას ვგულისხმობ). მათ ნება-სურვილზე თუ ვიარეთ, საქართველოს ერთიანობაზეც უნდა ავიღოთ ხელი. საგუშაგოების გაძლიერებით დაზარალდნენ რუსი სამშვიდობოებიც, რომლებიც ამ კორუფციულ ჭაობში იყვნენ ჩაფლულნი. ოსი სეპარატისტებისა და რუსი სამშვიდობოების განერვიულების გამო ხელს ვერ ავიღებთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაზე. ჩვენ არ ვაპირებთ აგრესიულ ქმედებებსა და ვინმეზე თავდასხმას, მაგრამ მშვიდობიანი გზით, მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ ვეცდებით საქართველოს გამთლიანებას.

— რა ძალები დგანან ამჟამად ცხინვალის რეგიონში და რატომ არ გვყავდა იქ ჩვენი კვოტით განსაზღვრული 500 მშვიდობისმყოფელი? რა გარანტიაა, რომ ეს ხალხი თავიდან არ შევა კორუფციულ გარიგებაში სეპარატისტებთან?

— ოთხმხრივი შეთანხმებით, ცხინვალში იდგა ჩრდილო ოსეთის, სამხრეთ ოსეთის, რუსეთისა და საქართველოს ძალები. თავიანთი კვოტა ყველას შევსებული ჰქონდა. ჩვენ კი 200 კაცზე ნაკლები სამხედრო გვყავდა. ამის მიზეზი ფინანსურ პრობლემებთან ერთად ის იყო, რომ წინა ხელისუფლება ამ პრობლემის გადაწყვეტით არ იყო დაინტერესებული. ბუნებრივია, გარანტია არ არსებობს იმისა, რომ იქ კორუფცია აღარ იქნება, მაგრამ სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, პროკურატურამ და საზოგადოებამ უნდა ადევნონ თვალყური, რომ პოლიციის, შინაგანი ჯარისა თუ ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები არ ჩაებან კორუფციულ გარიგებაში. წინასწარ თამასუქებს ვერავინ გასცემს, მაგრამ სახელმწიფო იმიტომ არსებობს, რომ კანონდარღვევა აღმოფხვრას.

„თუ მომკლავენ, რა ვქნა, თუ ვერ მომკლავენ, გადავრჩები და ძალიანაც კარგი...“



— თუ ამის საჭიროება იქნება, არავინაც არ ვიქნები...

„ჩვენს საზოგადოებას არ სჭირდება ბაიყუშივით კაბინეტში მჯდომი შეშინებული შს მინისტრი“

— კარგია, რომ გამომძალველ ინსპექტორებს ფარული კამერებით ამხელთ და სჯით კიდეც, მაგრამ პოლიციაში სხვა არანაკლებ კორუმპირებული განყოფილებებია (მაგ., ნარკომანიასთან ბრძოლის, სისხლის სამართლის სამძებრო და ა.შ.), მათთვის როდისღა მოიცლით?

— მხოლოდ პოლიციაში კი არა, ერთ სტრუქტურასაც ვერ დამისახელებთ, რომ კორუფცია არ იყოს. თავს დავდებ, რომ კორუფცია არ არის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და მინისტრების დონეზე, მაგრამ სამინისტროებსა და უწყებებზე ვერავინ იტყვის, იქ კორუფცია არ არისო. კორუფცია არის ყველგან და არის პოლიციის ყველა მსხვილ დანაყოფშიც. შს სამინისტროდან კორუფციის 6 თვეში აღმოფხვრას არავინ ელოდა. რეფორმების ჩატარების შემდეგაც ვერ დავდებ თავს, რომ აქ კორუფცია აღარ იქნება, დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავთ არაკორუმპირებულ პოლიციას. თუ ვინმეს შარის მოდება უნდა, კი, ბატონო, იძახოს, შსს-ში კორუფციააო. მეც ვიცი, რომ აქ კორუმპირებულები არიან, მაგრამ ჩვენ ვწმენდთ საკუთარ რიგებს და წმენდის პროცესი კვლავაც გაგრძელდება.

საგზაო პოლიციელებზე ყურადღება იმიტომ გამახვილდა, რომ მათ უფრო ხშირად აქვთ შეხება ხალხთან. ჩვენ მოვახსენეთ პრეზიდენტს, თუ რა ხდებოდა ამ სტრუქტურაში. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მოთხოვნაა, კანონი არავინ დაარღვიოს, კანონზე მაღლა არავინ დადგეს — არც ერთი კორუმპირებული და ხალხის მყვლეფავი არ უნდა იყოს დაცული და ხელშეუხებელი. ამიტომ ყველა ბანდიტმა, ქურდმა და მამაძაღლმა უნდა იცოდეს, რომ კანონის დარღვევისათვის პასუხს მოვთხოვთ. ადრე თუ გვიან, ასევე მოვკითხავთ ყველა კორუმპირებულ პოლიციელსაც. ეს ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია, ამით შევებრძოლებით კორუფციასაც და ჩვენს სტრუქტურასაც გავწმენდთ. რა მორალური უფლება აქვს პოლიციას, დამნაშავეებს ებრძოლოს, როდესაც თავად არის დამნაშავე? თუ პროკურატურა კორუმპირებული პოლიციელების გამოვლენაში დამეხმარება, მადლობის მეტი რა მეთქმის. ეს ადრე, სხვა მინისტრების დროს იყო, რომ წყენად და ღამის შეურაცხყოფად აღიქვამდნენ კორუმპირებული პოლიციელის გამოვლენას.

ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი არის ნარკომანიასთან ბრძოლაც და, შესაბამისად, მათთვისაც მოვიცლით, რომელთაც სწორედ ნარკომანიასთან ბრძოლა ევალებათ.

— ბატონო გია, რატომ ხდება, რომ ყველა გახმაურებული „აყვანა“ წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს, — რატომღაც ყველა ეჭვმიტანილის სახლში გაუფორმებელ იარაღსა და ხელყუმბარას პოულობენ, თან ისეთ ადგილას, რომ კაცი თუ ოდნავ მაინც აზროვნებს, ნამდვილად არ დადებდა სამხრილს?

— ჩვენ ქურდებს ვიჭერთ. ამის შესახებ საჯაროდ განვაცხადე და ეს გასართობი საქმე არ არის. მოყვარე უნდა აფასებდეს იმას, რომ ქვეყანაში ქურდები სანთლით საძებარი გახდა. ჩემი ინფორმაციით, ქვეყანაში დღეს არც ერთი ქურდი არ არის და თუ გამოჩნდება სადმე ვინმე, აუცილებლად გამოვძებნით ლეგალურ საფუძველს, რომ დავაპატიმროთ.

როდესაც პოლიციელი მეუბნება, ბატონო მინისტრო, ქურდი დავიჭირეთ და იარაღი ჰქონდაო, არ დავუჯერო? დამნაშავეს იარაღი ჰქონდა თუ ვინმემ ჩაუდო, მე რა ვიცი, ამაზე კონტროლს ჯერ პროკურატურა ახორციელებს, მერე კი — სასამართლო. დავუშვათ, ჩვენ ცუდები ვართ და ჩავუდეთ იარაღი, თუ ასეთი სიყალბე ჩავიდინეთ, პროკურატურა და მოსამართლე თვალს დახუჭავენ? ქურდი რომ ციხეში უნდა იჯდეს, ეს სადავო უნდა იყოს? ჭორების შეთხზვა ყველაფერზე შეიძლება, საზოგადოებამ კი ჩვენი გაკეთებული საქმეებით უნდა გამოიტანოს დასკვნა. ჩვენ საქართველოს ქურდებისაგან ვწმენდთ. თუ ასეთი შინაგან საქმეთა მინისტრი არ მოსწონთ, ამ საქმეზე გამოკერებული კი არ ვარ, დავიხურავ ქუდს და წავალ. არაფერი მომაკლდება ნერვიულობისა და ხიფათის გარდა, ქურდების, კორუმპირებულებისა და მძარცველებისაგან რომ მემუქრება. ისეთებისგან, რომელთაც ჩემთან მოსასვლელი გზა ვერ გამონახეს.

— ე. ი. ჰქონდათ მცდელობა, მაინც რას გთავაზობდნენ?

— მუქარაც იყო, დაშინების მცდელობაც. ჩემს მოსაკლავად უკვე დაწესებულია განსაზღვრული თანხაც. ისიც ვიცი, ეს თანხა ვინც გაიღო (ამჯერად არ დავასახელებ).

— რამდენად შეგაფასეს?

— ზუსტად არ ვიცი. შესაძლოა, რომელიმე ავტორიტეტს უფასოდაც გაუკეთოს ვინმემ ეს საქმე და „უსასყიდლოდაც“ მომკლან, მაგრამ ოპერატიული ინფორმაციით ვიცი, რომ ჩემი თავი შეკვეთილი აქვთ, მაგრამ რა ვქნა, ამის გამო გულზე ხელებს ვერ დავიკრეფ. საფრთხე აფხაზეთშიც მელოდა და აჭარაშიც. როდესაც აჭარაში ორი ავტობუსი შეიარაღებული ხალხი განვაიარაღეთ, პირველად მე შევედი იმ ავტობუსში და რა გარანტია მქონდა, რომ ვიღაცას ტვინი არ გადაუბრუნდებოდა და არ მესროდა? გარანტია არც ახლა მაქვს და არც ვითხოვ. თავდაცვას ყველანაირად შევეცდები, მაგრამ საფრთხეს არ დავეშინდები.

შესაძლოა, რომელიმე ავტორიტეტს უფასოდაც გაუკეთოს ვინმემ ეს საქმე და „უსასყიდლოდაც“ მომკლან, მაგრამ ოპერატიული ინფორმაციით ვიცი, რომ ჩემი თავი შეკვეთილი აქვთ, მაგრამ რა ვქნა, ამის გამო გულზე ხელებს ვერ დავიკრეფ.

ზოგჯერ იმასაც ამბობენ, პოლიციაში ისევ ძველი კადრებია, რომლებიც შემჩნეულნი არიან რაღაც საქმეებშიო. რა ვქნა, აბა, თუ ძველი კადრები დავითხოვე, ლოყებღაჟღაჟა, ახალმოსული ბიჭები გამიკეთებენ საქმეს? სისტემა იყო ისეთი, რომ ყველა ყველაფერში იყო გარეული და ამის გამო გამოცდილ კადრებზე უარს ვერ ვიტყოდი. სამწუხაროდ, არც ვიცნობ აბსოლუტურად უმწიკვლო რეპუტაციის მქონე პოლიციელს. აქ დავრწმუნდი, რომ პოლიციაში რაც უნდა სუფთად იმუშაო, რაღაც ჭორს უთუოდ შეგითითხნიან, რაღაცას მაინც მოგიგონებენ.

მალები. მაშინ რა მინდა აქ? თუ შს მინისტრი ქურდს, მამაძაღლს და საფრთხეს შეუშინდა და იფიქრა — თუ ეს გავაკეთე, შეიძლება მომკლანო, არც უნდა იყოს ამ თანამდებობაზე. აქ ყოფნა ჩემთვის ომია. თუ მომკლავენ, რა ვქნა, თუ ვერ მომკლავენ, გადავრჩები და ძალიანაც კარგი.

მარტო ის რად ღირს, რომ ხალხის გატაცება აღარ ხდება. ჩემი მინისტრად დანიშვნის შემდეგ ერთი ასეთი შემთხვევა იყო და გავხსენით.

— კანონიერი ქურდის, სერგი ქუთათელაძის (მეტსახელად „ბაიკოს“) გათავისუფლების გამო თქვენ სასამართლო გააკრიტიკეთ, რასაც იუსტიციის საბჭოს მდივნის კრიტიკული განცხადება მოჰყვა — ბარამიძემ საკუთარ კორუმპირებულ უწყებას მიხედოსო. რა მოხდა ქუთათელაძის საქმესთან დაკავშირებით? პოლიციამ შესცოდა თუ სასამართლომ?

— შესაძლოა ქუთათელაძეს მართლაც ჩაუდო ვიღაცამ იარაღი და ამიტომაც გაუშვა სასამართლომ. მე არ მითქვამს, გინდა თუ არა სასამართლოში ვინმემ ქრთამი აიღო-მეთქი. მე ის ვიცი, რომ ეს კაცი დავიჭირეთ და ჩვენ არ გაგვითავისუფლებია. ვერ მიეხვდი გია გეწაძის გაღიზიანების მიზეზს. ვიღაცამ რომ მითხრას — პოლიცია კორუმპირებულიაო, ნამდვილად არ გავბრაზდები და არ ვეტყვი, წადი და შენს სისტემას მიხედე-მეთქი. რა თქმა უნდა, პოლიცია კორუმპირებულია და ყველას ვთხოვ, დამეხმარონ, რომ ეს სტრუქტურა კორუფციისაგან გაიწმინდოს. მეც მხარში ამოვუდგები ყველას. კიდევ დიდხანს დაგვჭირდება ბრძოლა, მაგრამ რამდენსაც დავიჭერთ, იმდენს ვაგებინებთ პასუხს, არც ერთს არ დავინდობ.

— ისევ გაუფორმებელი იარაღის ამოღების ფაქტებს მინდა დავუბრუნდეთ. ვიდეოკადრები, რომელიც იარაღის ამოღების სცენას ასახავს, რატომღაც ნაკლებდამჯერებელია ხოლმე. ისიც ხომ საფიქრებელია, თუკი დამნაშავეს იარაღი აქვს, გააფორმებს, რატომ შეუქმნის მიდავების საფუძველს პოლიციას?

— დამნაშავეს შესაძლოა გაფორმებული იარაღიც ჰქონდეს, მაგრამ მას ყოველთვის სჭირდება გაუფორმებელი იარაღი, რომელსაც დანაშაულის ჩადენისას გამოიყენებს. აბა, გაფორმებულ იარაღს ვინ იხმარს კრიმინალურ საქმეში? ერთი პატიოსანი კაცი მაინც დამისახელეთ, რომელიც იარაღის უკანონო ტარებაზე დავიჭირეთ და ვინც იმას მეტყვის, პატიოსან ხალხს იჭერდიო, პირველად ქვა მან მესროლოს. ჩვენს საზოგადოებას არ სჭირდება ბაიყუშივით კაბინეტში მჯდომი შეშინებული შს მინისტრი, რომელიც იმის ფიქრში იქნება, ვაიმე, ისეთი არაფერი ჩავიდინო, რომ ვინმემ გამაკრიტიკოსო. იმიტომ რომ იმათ, რომელთაც ვიჭერთ, ფულიც აქვთ, ნაცნობობაც და გავლენაც.

ნახევარი წლის წინ ქუთაისში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად (რომელმაც შოკში ჩამაგდო) გაირკვა, რომ იქაური გოგონების 80%-ს ოცნებად ჰქონია ქურდის ცოლობა. ეს ხომ ერის დეგრადაციაა. ის გოგონები ცუდები კი არ არიან, უბრალოდ, ხედავენ, რომ ქურდს კარგად აცვია, კარგი მანქანით დადის, ხელს ვერავინ ჰკიდებს, ქეიფობს, კარგად ცხოვრობს, პატივს სცემს ახლობლებს, კეთილი კაცია, ზოგჯერ ზრდილობიანიც და არც ქალის რესტორანში დაპატიჟება ავიწყდება. მაგრამ მათ არ იციან, რამდენი სისხლი, გაუბედურებული და დაჩაგრული ადამიანი დგას ამ მოჩვენებითი კაიბიჭობის მიღმა. ეგენი კაი ბიჭები კი არა, ნაძირალები არიან. სხვათა შორის, მაგ „კარგ ბიჭებს“ „გრეხად“ მიაჩნიათ საქართველოსთვის ბრძოლა. ისინი ციხეში მოხვედრილ ნაომარ ბიჭებს ავიწროებდნენ. ქურდული ფილოსოფიით სამშობლოს დაცვა „გრეხია“. შევარცხვინე ეგეთი კაცობაც და ქართველობაც! ამიტომაც გამოვუცხადე ომი არაკაცებს, ქურდებსა და მამაძაღლებს და ვისაც რამდენი სურს, მაკრიტიკოს. მადლობა ღმერთს, ამ დუნიაზე მარტო არ ვარ. თუ ვინმეს რამე აქვს ჩემთან სადავო, პროკურატურას მიმართოს. რიგით ქურდს იარაღი ჰქონდაო, გასაკვირია? გამოდის, ქურდს და მის დამცველს უნდა დავუჯერო და პოლიციელს — არა.

— ხშირად მესმის — წინასწარ დაკვეთების საკნებში პატიმრებს აწამებენ, ასეთი რამ შევარდნაძის დროსაც არ ხდებოდაო. არასამთავრობო ორგანიზაციებმა დიდი ხმაური ატეხეს, ბოლო დროს ორი კაცი პოლიციაში ცემით მოკლესო.

— შევარდნაძის დროს ხალხი ფანჯრებიდან ხტებოდა და არავინ დასჯილა ამის გამო. ახლა კი, როდესაც საპყრობილეში ერთმა პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო (მხოლოდ ეს შემთხვევა მოხდა ჩემი გამინისტრების შემდეგ), სამსახურიდან დავითხოვეთ იზოლატორის უფროსი.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

ძალოვნების „კარუსელი“ ქართულად



საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობას დიდი პერტურბაცია ელოდებაო, არ ცხრებოდა მითქმა-მოთქმა, მაგრამ არც მთავრობაში დატრიალებულ ამგვარ საკადრო „კარუსელს“ ელოდა ვინმე. მორიგი „ვარდების რევოლუციის“ ტექნოლოგიის ცხინვალის რეგიონში წამოწყებისას ძალოვანი სტრუქტურების ყველა ხელმძღვანელის საკადრო „კარუსელი“ ცოტა გაუმართლებელი და საშიშიც კი გვგონია.

5 ივნისს უკვე აღარავინ მალავდა, რომ გიორგი ბარამიძე შინაგან საქმეთა სამინისტროდან თავდაცვის სამინისტროში გადაინაცვლებდა, მის ადგილს გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი დაიკავებდა, ხოლო გენპროკურორის თანამდებობას — უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი. ამ უკანასკნელის სავარძელში უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი ჩაჯდებოდა, ხოლო უშიშროების საბჭოს მდივანი — ყოფილი თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გახდებოდა.

შეიძლება ამ „კარუსელის“ შემდეგ, რომლის შედეგადაც სკამი არავის დაუკარგავს, ერთგვარი „სამართლიანობა“ აღდგა და ყველა იმ სავარძელში აღმოჩნდა, რომელზეც ჯერ კიდევ მთავარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველ დღეებში „ოცნებობდა“.

ყოველ შემთხვევაში, არავისთვის დასამალი არ იყო, რომ გიორგი ბარამიძეს თავიდანვე თავდაცვის მინისტრობა ჰქონდა გულში განზრახული და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას, როგორც ამბობენ, პრეზიდენტ სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით დათანხმდა. ისეთი უზარმაზარი „მონსტრის“, როგორსაც საქართველოს დღევანდელი შსს წარმოადგენს, მორევა არათუ ბარამიძეს, დღეს ლავრენტი ბერიასაც გაუჭირდებოდა, თუმცა ბარამიძეს ცდა არ დაუკლია და დიდი ენერგია შეალია შსს-ში არსებულ ძლიერ კორუფციასთან ბრძოლას. კორუფცია არც თავდაცვის სამინისტროს აკლია, მაგრამ იგი შსს-თან შედარებით, ერთგვარი შვება იქნება გიორგი ბარამიძისთვის, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს წასათვლემადაც არ ეცალა.

ირაკლი ოქრუაშვილის გამორენა შსს-ში მოსალოდნელი გახლდათ, რადგან მან ჯერ გორში და შემდეგ გენპროკურატურაში მუშაობისას აჩვენა, რომ უკან არ დაიხევს პრეზიდენტ სააკაშვილის ნებისმიერი ბრძანების სწრაფად შესასრულებლად. ამასთან, ეტყობა, ოქრუაშვილი ის რამდენიმე თვე საჭირო იყო იმ უწყებაში, როდესაც გენპროკურატურამ პირდაპირ „გაწურა“ რამდენიმე მსხვილი ოლიგარქი და ბიზნესმენი. აქედან გამომდინარე, მას მაინცდამაინც არ უნდა გაუჭირდეს შსს-ს „მოთვინიერება“.

მოსალოდნელი გახლდათ ზურაბ ადეიშვილის გადანაცვლებაც გენპროკურორის სავარძელში, რადგან კულუარებში უკვე ლაპარაკობდნენ, მას უშიშროების მინისტრის პოსტზე მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის მკაცრი მოთხოვნა აკავებსო.

ყველაზე მოულოდნელი მაინც ვანო მერაბიშვილის უშიშროების მინისტრად გადაყვანა იყო. ერთი შეხედვით, მერაბიშვილი მეტ-ნაკლებად უძღვებოდა უშიშროების საბჭოს მდივნობას და მიუხედავად გარკვეული გარე ნიშნებისა, მან გამოიჩინა ძალოვანი სტრუქტურების მაკოორდინირებლის ფხა. ამ საკადრო ცვლილებებს კულუარებში ზოგი იმით ხსნის, რომ დეპუტატ კენჭაძის საქმესთან დაკავშირებით ხშირად ფიგურირება სახელი „ვანო“, რომელიც ძალაუნებურად ვანო მერაბიშვილს აგონებდა ხალხს.

ასეა თუ ისე, ვანო მერაბიშვილი „ჩამოალაბორანტეს“, თუმცა ვფიქრობ, მას შესწევს ძალა, ეს მძიმე საკადრო ცვლილებაგამოვლილი სპეციალური სტრუქტურა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის უფრო ეფექტიანად ამუშაოს.

თავდაცვის მინისტრის, გელა ბეჟუაშვილის „გადასროლა“ უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე, ასევე ნაკლებსავარაუდო გახლდათ და, არ არის გამორიცხული, იგი დროებით აღმოჩნდეს ამ თანამდებობაზე. მით უმეტეს, რომ კულუარებში ამ სავარძელს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ირაკლი ჩუბინიშვილსაც უწინასწარმეტყველებენ.

საკადრო ცვლილებები, განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში, ყოველთვის მტკივნეულად ხორციელდება, როგორი შეკრული გუნდიც არ უნდა იყოს მთავრობაში. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თითოეულ ახალდანიშნულ მინისტრს თავისი გუნდი გადაჰყავს ერთი ადგილიდან მეორეზე, ხოლო საკადრო ცვლილებები სამინისტროს შიგნით, უფრო დაბალ საფეხურებზე, ხშირად თვეობითაც კი გრძელდება.

თბილისის მოსალოდნელი ინიციატივა

ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი რუსული სამხედრო ბაზების სანაცვლოდ?!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წინადადებამ, რომელიც რამდენიმე დღე გასაიდუმლოებული იყო, რუსეთის სახელისუფლებო წრეები საგრძნობლად ააფორიაქა.

ქართული მხარის თაოსნობა — 10 ივნისისთვის თბილისში, სამხედრო საკითხებზე მოსალაპარაკებლად მე-9 რაუნდი გავმართოთო, კი არ აღელვებთ, არამედ ის, თუ რას შესთავაზებს საქართველო მოსკოვს.

შეთავაზება კი შეიძლება მართლაც მოულოდნელი იყოს კრემლისთვის — რუსული სამხედრო ბაზების 3 წელიწადში გაყვანის სანაცვლოდ, თბილისი თანახმაა, საქართველოში გაიხსნას ერთობლივი ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრი, რომელიც შეებრძოლება საერთაშორისო ტერორიზმის ყველა იმ გამოვლინებას, რომელიც ორივეს ერთნაირად აწუხებს.

უეჭველია, ამ ახალ, მოულოდნელ ქართულ ინიციატივას ამერიკული ფესვები გააჩნია. ეჭვს აძლიერებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამასწინანდელი ოფიციალური სტუმრობა აშშ-ში და მისი მაღალი დონის შეხვედრები ვაშინგტონში.

ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, იმ სახით, როგორადაც საქართველოში რჩება ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე რუსული სამხედრო ბაზები, უპირველესად თავად კრემლს არ უნდა უნდოდეს.

თუნდაც იმიტომ, რომ ეს ბაზები ვერ გადაწყვეტენ იმ ოპერატიულ-ტაქტიკური დონის საბრძოლო ამოცანებს, რაც მათ საბჭოთა პერიოდში ეკისრებოდათ, ანუ თურქეთის მე-3 საველე არმიასთან გამკლავება; ამასთან, რუსული ბაზების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა არაეფექტურია, მათ არ გააჩნიათ საბრძოლო ავიაციის მხარდაჭერა. ამ ბაზებში გაერთიანებული საბრძოლო დანაყოფები ნახევრადაც არ არის დაკომპლექტებული პირადი შემადგენლობით, ხოლო ამ ბაზებში განთავსებულ 5 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დამატებით ანაზღაურებას აძლევს. უნებურად იბადება აზრი, რომ ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებს კრემლი იმიტომ ინარჩუნებს საქართველოში, რომ საბოლოოდ არ დაკარგოს გავლენის ბერკეტები სამხრეთ კავკასიის ამ ძირითად სახელმწიფოზე და საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს ქვეყნის შინაურ საქმეებში, თუნდაც თავისი ბაზების დისლოცირების ადგილის მახლობლად ახალი შეიარაღებული კონფლიქტების წამოწყებით.

იცვლება დრო. საქართველოს ახალი ხელისუფლება ბევრად უფრო მოქნილ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებს და შეუძლია ვარირება. ამიტომაც ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების იმ სახით გამოყენება, როგორც ეს კრემლმა ორჯერ უკვე მოახერხა (ცხინვალში მენაღმეთა და საშვეულმფრენო პოლკების, ხოლო აფხაზეთში — გუდაუთის სამხედრო ნაწილების დახმარებით), დღესდღეობით ძალიან გაუჭირდება, რაც აჭარის მოვლენებმაც აჩვენა.

ორი, თითქმის უფუნქციო სამხედრო ბაზის შესანახად ფულის ხარჯვას კრემლისთვის ალბათ აჯობებდა, საქართველოში თავისი ინტერესები თბილისთან შეთანხმებით დაიცვას.

რა შეიძლება მოიგოს ამით საქართველომ?

ამ სამხედრო ბაზების საქართველოდან გასვლა, უპირველესად, რუსული ხიშტის იმედს დაუკარგავს ათასი ჯარის სეპარატისტს, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, უფრო მყისიერი და თამამი მოქმედებები განახორციელოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ქართველები დაიჭრნენ ერაყსა და მუხროვანში

ის, რაც გარდაუვალია ომში, მშვიდობიანობის დროს არ უნდა ხდებოდეს

მიუხედავად დიდი დაძაბულობისა ცხინვალის მისადგომებთან, იქ ტყვია არ გავარდნილა, მაგრამ ქართულ სამხედრო ძალებს მაინც დაეჭრათ შვიდი კაცი.

სამმა სამხედრომ სხვადასხვა სახის ჭრილობა საქართველოდან ათასი კმ-ის დაშორებით, ერაყში მიიღო. სამწუხაროდ, ამის, და შეიძლება უარესის მოლოდინში ყოველთვის ვართ, რადგან 159 ქართველი სამხედრო მოსამსახურე ერაყში მიმდინარე პარტიზანული ომის შუაგულში იმყოფება!

სამი ქართველი სამხედროს დაჭრა სხვის ომში ალბათ გააააქტიურებს ოპოზიციას და ისინი გააგრძელებენ ხელმოწერების შეგროვებას მათი ერაყიდან გამოყვანის მოთხოვნით, თუმცა ისიც სავარაუდოა, რომ ხელისუფლებამ რამდენიმე დღეში პირიქით, დამატებითი დანაყოფი გაგზავნოს ერაყში ამერიკელების დასახმარებლად.

მე-16 სამთო ბატალიონის უმცროსი სერჟანტები: ოთარ ბაბიაშვილი, ზურაბ ჩაჩანიძე და კაპარალი გოჩა ზურაბიანი ერაყელი პარტიზანების ნაღმსატყორცნის ცეცხლში მოყვნენ. ერაყელებმა ამერიკული ბაზის ტერიტორია დაბომბეს, სადაც ამერიკელებთან ერთად ქართველი სამხედროებიც დგანან. საერთოდ, ნაღმსატყორცნი, რომელიც დახურული პოზიციიდან ნაღმების სროლის საშუალებას იძლევა, ყველაზე ეფექტიანი და საშიში იარაღია ერაყელების ხელში, რადგან მათ 3-4 კმ-ის სიშორიდან შეუძლიათ დაარტყან ნებისმიერი სისქისა და სიმაღლის გალავნით შემოზღუდულ ბაზას.

საბედნიეროდ, ქართველი სამხედროების ჭრილობები მსუბუქი გამოდგა და პირველადი სამედიცინო დახმარების შემდეგ ისინი მწყობრში დაბრუნდნენ.

სამაგიეროდ, მწყობრში საეჭვოა დაბრუნდეს შინაგანი ჯარების ის ოთხი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც მშვიდობიან პირობებში დაიჭრა შინაგანი ჯარების მუხროვანის ბრიგადის ტერიტორიაზე.

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ერთსა და იმავე ადგილას, დღის სხვადასხვა მონაკვეთში ორი აფეთქება მოხდა, ანუ პირველი აფეთქების შემდეგ ვერავინ გააკეთა საჭირო დასკვნა!

პირველი აფეთქება მუხროვანში დღისით გაისმა, როდესაც ახალგაწვეულმა ჯარისკაცმა ბალახებში უცხო ნივთი იპოვა და მას ქვით „გაეთამაშა“. ჭურვის მასრის კაფსულა აფეთქდა და ჯარისკაცმა გამჭოლი ჭრილობა მიიღო.

რამდენიმე საათის შემდეგ სხვა ნაპოვნი ჭურვის მასრასთან უკვე სამი სამხედრო მოსამსახურე ატარებდა „ექსპერიმენტს“... ლურსმნით. აფეთქებამ არც ამ შემთხვევაში დააყოვნა, სამივე დაიჭრა, ლურსმნით „შეიარაღებულს“ კი ხელის მტევნის ამპუტაცია დასჭირდა.

ყოველივე ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სამხედრო ნაწილებში არ არის დაცული საბრძოლო მასალებთან მოქცევის უსაფრთხოების წესები, ნაწილების ტერიტორიებზე მიმოფანტულია ფეთქებადსაშიში საბრძოლო მასალის ნარჩენები.

„ექსპერიმენტატორებს“ (ჯერ ქვით და შემდეგ ლურსმნით) ალბათ ეგონათ, ჭურვის დარჩენილი მასრა უხიფათო იქნებოდა. კიდევ კარგი, საბრძოლოქობინიან ჭურვს არ „გაეთამაშნენ“, თორემ იმ დღეს მუხროვანიდან დაჭრილებს კი არა, დაღუპულებს წაასვენებდნენ.

ასეთი ფაქტებისგან არც მოსახლეობაა დაზღვეული, რადგან სხვადასხვა სახისა და ტიპის საშინაო საბრძოლო მასალის ნაწილები ჯერ კიდევ საკმაოდაა მიმოფანტული საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში — ისინი ერთგვარ „შენელებული მოქმედების ბომბებს“ წარმოადგენენ.

თავის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს — ხელი არ ახლოთ უცხო, სამხედრო დანიშნულების ხელსაწყოს ან ნივთს და მის შესახებ სპეციალისტებს აცნობეთ!

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობი“

აცხადებს ღია კონკურსს კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად

კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- უმაღლესი განათლება საინჟინრო, საფინანსო, ეკონომიკურ, ბიზნესის მართვის ან ბიზნესის სამართლის დარგში;
- გამოცდილება საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მართვაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ავტობიოგრაფიული მონაცემები, განათლების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, მოტივაცია საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად (არა უმეტეს 2 გვერდისა).


საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 30 ივნისი. 16.00სთ. მისამართი: თბილისი, გ. კოსტავას ქ. №65. „საქნავთობი“. მე-4 სართული. სამეთვალყურეო საბჭოს ოფისი. ტელ: 33-53-94; 33-34-90. ფაქსი: 33-51-43. ელ. ფოსტა: saknavtobi@gol.ge

კონკურსის დასკვნით ეტაპზე დაშვებულმა კანდიდატებმა (short-list) ა.წ. 15 ივლისამდე დამატებით უნდა წარმოადგინონ 3 სარეკომენდაციო წერილი ვაკანტური თანამდებობისათვის მათი შესატყვისობის დასაბუთებით და გაიარონ გასაუბრება საკონკურსო კომისიაში.

ს.ს. „საქნავთობი“-ს სამეთვალყურეო საბჭო

საჩელშვილის ლიცენზირებული საქართველო-ისრაელის

სტომატოლოგიის ინსტიტუტი და მრავალპროფილიანი სამედიცინო კოლეჯი



მინიმალური გადასახადი

საჩელშვილი დისტანციური დასაქმება

ი.ჭავჭავაძის, ჩარგლის 14 (ყოფილი „ლენინგრადი“ (164-ე სპც. სკოლა)

☎ 61-54-23 (დილით)
61-69-77 (საღამოს)
71-55-11

www.medical.edu.ge

„ᲒᲐᲧᲘᲜᲣᲚᲘ“ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ „ᲚᲦᲝᲑᲐᲡ“ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

სარკინიგზო „შეტევის“ პარალელურად ოსური სოფლების სასუქებით „დაბომბვა“ იწყება...



საქართველოს მალალჩინოსნების განცხადებების მიუხედავად, გენერალი ნაბზდოროვი ყურყუტრობით ისევ თავის თანამდებობაზე და ქართველებს კვლავ მუქარას უგზავნის

ბოლო დღეებში ცხინვალის მისადგომებთან რაც ხდება, უთუოდ 12-წლიანი „გაყინული“ კონფლიქტის „ლღობის“ დასაწყისია საქართველოს ამ რეგიონში.

ორშაბათს, 31 მაისს თბილისმა კონფლიქტის ზონასთან სასწრაფოდ გადაისროლა შინაგანი ჯარების მსხვილი შენაერთი. ამის გამო საქართველოზე კვლავ გაცხოველებით ალაპარაკდა რუსეთის მასმედია.

კვირის ბოლოს თითქოს მოხერხდა შეთანხმება, ვნებები დაცხრა და შინაგანი ჯარების დანაყოფებმაც დატოვეს ტყვიავისა და ფხვენისის საგუშაგოები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ოფიციალურმა თბილისმა უკან დაიხია — უბრალოდ, საქართველოს ახალი ხელისუფლება იწყებს მისთვის კარგად ნაცნობი „მათრახისა და თაფლაკვერის“ პრინციპით მოქმედებას, რის შემდეგაც ცხინვალის რეგიონში არსებული საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის მიუღებელი სიტუაცია ადრე თუ გვიან შეიცვლება ან მშვიდობიანი, ან ომის გზით.

ამ სტატიის ავტორმა ნახა, 12 წლის წინ როგორ შემოდიოდნენ კონფლიქტის ზონაში დაგომისის ხელშეკრულების თანახმად რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის და საქართველოს სამშვიდობო ბატალიონები.

მართალია, მაშინ მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი მოგვიგია, რადგან დავკარგეთ რეალური კონტროლი ერთ-ერთ ჩრდილოეთ რეგიონზე, საიდანაც ათწლეულის განმავლობაში შემოდიოდა მსხვილი კონტრაბანდული საქონელი, რამაც ძალიან დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა.

ამ კონტრაბანდულ ექსპანსიაში ჩარეული აღმოჩნდა კონფლიქტის ზონაში მდგარი შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურობისა და პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი, მათ შორის, საქართველოს მხრიდანაც. ამიტომაც, წლების განმავლობაში ძალიან ბევრ ძალას აძლევდა ხელს, ცხინვალში შენარჩუნებული ყოფილიყო ამგვარი მდგომარეობა.

ეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებში არ შედიოდა...

შერეული სამშვიდობო ძალები

საქართველოს თითქმის 400-კაციანი სამშვიდობო ბატალიონი, რომელიც შინაგანი ჯარებიდან იყო დაკომპლექტებული, კონფლიქტის ზონაში 12 წლის წინ შევიდა. ამით შენარჩუნებული იყო ერთგვარი პარიტეტი რუსულ და ჩრდილოოსურ ბატალიონებს შორის, თუმცა, თუ ჩვენი სამხედროები ზემო ნიქოზში „იკარუსებით“ ჩაიყვანეს, რუსული და ოსური ბატალიონები მედესანტეთა და ქვეითთა საბრძოლო მანქანებით შემოვიდნენ როკის გვირაბიდან.

ბოლო რამდენიმე წელია კი არანაირ პარიტეტზე ლაპარაკი აღარ შეიძლება, რადგან კონფლიქტის ზონაში მდგარი ქართული სამშვიდობო ბატალიონი გახლდათ თვალნათლივი მაგალითი, თუ როგორი შეიძლება იყოს თავდაცვის სამინისტროსგან და, საერთოდ, ხელისუფლებისგან მიტოვებული და მიგდებული სამხედრო ნაწილი.

1992 წლის შემოდგომაზე ახალციხიდან ზემო ნიქოზში ქართული სამშვიდობო ბატალიონის გასაძლიერებლად ჩაყვანილი 22 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1, 3 წლის შემდეგ რუსული და ოსური მხარეების დაჟინებული მოთხოვნით, ქართველებს გაყვანინეს. მას შემდეგ ქართულ საგუშაგოებზე მხოლოდ 2 ცალი ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანა БРДМ-2 და 5 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70 რჩებოდა, მაგრამ საეჭვო იყო მათი გამართულობა. ისინი სამი თვის წინ გასარემონტებლად წაიყვანა თავდაცვის სამინისტრომ და დღემდე ქართული სამშვიდობო ბატალიონი მხოლოდ სამიოდე დანჯღრეული სატვირთო ავტომობილის ამარა რჩება.



ცხინვალისკენ მიმავალ სარკინიგზო ხაზს, რომელზეც 12 წელია მატარებელს არ გაუვლია, სპეციალური შენადნობით წმენდენ. რკინიგზელებს შინაგანი ჯარების მებრძოლები იცავდნენ, ხოლო წინ, სანგრებიდან შეირაღებულ ოსებს მიზანში პყავდათ ამოღებული რკინიგზის აღმდგენლები

მაგრამ ყველაზე მძიმე სანახავი იყვნენ საგუშაგოებზე მდგარი ქართული სამშვიდობო ბატალიონის ჩამოძონძილი ჯარისკაცები.

3 თვის წინ სიტუაცია ცოტა გამოსწორდა, როდესაც სამშვიდობო ბატალიონი შეავსეს კოსოვოდან ჩამოსული გერმანული ბუნდესვერის მიერ მომზადებული ქართული სამშვიდობო ასეულით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ბატალიონის 1-ელი ასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა გიორგი მიშველიანმა არ დაგვიმალა, — ცხადია, კოსოვოში ბევრად უკეთეს პირობებში იყვნენ ჩემი ჯარისკაცები, ვიდრე ზემო ნიქოზის ბაზაში. საწოლებიც არ ყოფნიდათ და მაგიდებსა და კარადებზე ეძინათო.

კოსოვოდან ჩამოსულ „ცისფერჩაფხუტიანებს“ გერმანელების ნაწყალობევი ნორმალური სამხედრო ფორმები ეცვათ, რასაც ვერ ვიტყვით ახალციხის ბრიგადიდან მივლინებულ, ჩამოფლეთილსამოსიან 62 ჯარისკაცზე, რომლებიც ბლოკ-საგუშაგოებზე გამვლელებს აფრთხობდნენ.

ყოველივე ეს კი, რუსი და ოსი სამშვიდობო ბატალიონების ფონზე საკმაოდ დამთრგუნველად მოქმედებდა და ღაპარაკი რაიმე პარიტეტზე კონფლიქტის ზონაში ზედმეტიც კი იყო.

შესაბამისად, ირღვეოდა ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის ინტერესებიც.

ჩვენი დოსიე: დღემდე კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სამი ბატალიონიდან ყველაზე კარგად დაკომპლექტებული, შეიარაღებული და აღჭურვილი არის რუსული ბატალიონი. ამჟამად ბატალიონში შტატით გათვალისწინებული 548 კაციდან 460-ზე მეტია, იგი შეიარაღებულია 4 ჯავშნიანი სადაზვერვო БРДМ-2-ით, 4 ჯავშანტრანსპორტიორ БТР-ით და, რაც მთავარია, 38 ცალი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1-ით. რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ შეიარაღებაშია 6 ავტომატური ყუმბარსატყორცნი АГС-17 Пламя. 6 ავტომატური ნაღმსატყორცნი 2Б14 Василёк-ი, 565 ავტომატი, 26 ხელის ყუმბარსატყორცნი РПГ-7 და 18 სნაიპერული შაშხანა СВД.

საკმაოდ კარგი შეიარაღება აქვს ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონ „ალანას“ — 458 კაცი (შტატით გათვალისწინებულია 480), 20 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-ი, 316 ავტომატი, 28 ცალი РПГ-7 და ერთი СВД. ქართული სამშვიდობო ბატალიონის დაკომპლექტება და შეიარაღება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს — 498 საშტატო ადგილზე მხოლოდ 149 სამხედრო იმყოფება, არა ჰყავთ არც ერთი შეჯავშნული საბრძოლო მანქანა.

თვითმარქვია რესპუბლიკის რეალური სამხედრო ძალა

1994 წლის იანვარში ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ. პირველი თავდაცვის მინისტრი გახდა ვალერი ხუბულოვი, ხოლო შეიარაღებული ძალების სარდალი — ალან ჯიოევი, მეტსახელად — „პარპატა“.

დღეისათვის თვითმარქვია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ძალოვან უწყებებს წარმოადგენს თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტრო, რომელშიც ათას კაცამდეა გაერთიანებული და 1100-კაციანი შსს, რომელსაც მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი „ომონი“ ჰყავს (სხვათა შორის, შსს-ში ხელფასს რუსეთის შსს-ს უწყისებით იღებენ); სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და საემიგრაციო კონტროლის სამსახური.

თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ზელიმხან მულდაროვი ერთი თვის წინ გარდაიცვალა გულის შეტევით, თუმცა იმასაც ამბობენ, გაზით გაიგუდაო. იგი ცხინვალში შარშან ზაფხულს მიიწვიეს ჩრდილოეთ ოსეთიდან. მისი სახელი ერთ-ერთ სამხედრო დანაყოფს მიანიჭეს.

ჩვენი დოსიე: ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების განკარგულებაშია 16 ცალი Т-55 და Т-72 ტიპის ტანკი; 80-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ჯავშანმანქანა, მათ შორის, ორ ათეულამდე БМП-2, ხუთამდე თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С1 Гвоздика, 4 ქვემეხი Д-44; 6 ავტომატური საზენიტო ქვემეხი ЗУ-23-2; რამდენიმე ცალი 82 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნი. ეს შეიარაღება ძირითადად, ზნაურსა და ჯავაშია განთავსებული.



ცხინვალის რეგიონში ქართველ სამშვიდობოებს რამდენიმე დღეში შინაგანი ჯარების მომზადებული სამხედრო დანაყოფით გააძლიერებენ

ყველაზე სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალას, რაც სეპარატისტების განკარგულებაშია, წარმოადგენს თვითმავალი Гвоздика-ები, რომლებსაც 122 მმ-იანი ჭურვების სროლა 15 კმ-ის სიშორეზე შეუძლიათ. გასათვალისწინებელია, აგრეთვე მათ შეიარაღებაში არსებული ათზე მეტი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები: Стрела და Игла, რომლებიც მარჯვედ ყრის ძირს 3-3,5 კმ სიმაღლეზე მფრენ აპარატებს.

სავარაუდოდ, გასული კვირის განმავლობაში, ცხინვალის ხელისუფლებამ მოახერხა როკის გვირაბით დამატებითი შეიარაღებისა და ტყვია-წამლის მიღება და რამდენიმე ათეული დაქირავებული მებრძოლის გადმოყვანა.

საბრძოლო საჭურვლის შევსება ცხინვალის ხელისუფლებას არ გაუჭირდება, რადგან როკის გვირაბის ჩრდილოეთით მდგარი რუსეთის 58-ე არმიის სამხედრო ნაწილების მეთაურობა მათ უარით არ გაისტუმრებს (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით).

ყოველივე ზემოთქმული ალბათ გასათვალისწინებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ახალი ხელისუფლება ეცდება ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას. მაგრამ არსებობს ამ მიზნის არანაკლებ რთული, თუმცა უსისხლო — სამშვიდობო გზაც.

წინ, სასუქითა და მატარებლით!

მართლაც შთამბეჭდავი სანახავია, სარკინიგზო რანდის ორივე მხარეს გამოშვებული უზარმაზარი დანები რა მარჯვედ ჩეხენ და წმენდენ ეკალ-ბარდისგან ცხინვალისკენ მიმავალ ღიანდაგს 5 მ-ის სიგანეზე. ამ გზაზე 12 წელია მატარებელს არ გაუვლია.

№3 სალიანდაგო-სამანქანო სადგურის ხელმძღვანელის, ბატონ ვასილ ტალახაძის თქმით, შინდისიდან ნიქოზის ბაქნამდე 3 კმ-იანი სარკინიგზო ხაზი უმოკლეს დროში აღდგა, მაგრამ ნიქოზის ბაქნიდან საქართველოს მაღალჩინოსნების განცხადების მიუხედავად ცხინვალის მიმართულებით გზის გამართვას ბევრი დაბრკოლება ახლავს.

ჯერ ერთი, დაბეჯითებით ვერავინ იტყოდა, რომ 12 წლის წინ მიტოვებული, გაძარცული ღიანდაგი დანაღმული არ იქნებოდა, თანაც, 3 ივნისს, ღამით, ცხინვალის ახლოს, შეიარაღებულმა ოსებმა ექსკავატორით გათხარეს სანგრები და ჩასაფრდნენ.

მათ ქართველ რკინიგზელებს შეუოუთვალეს, ცხინვალის საზღვართან მოახლოება არ გაბედოთო. მიუხედავად ამისა, ნიქოზიდან ცხინვალისკენ მიმავალი სარკინიგზო ხაზის 300 მ მაინც აღდგენილია, დარჩენილ 200 მ-ს შეიარაღებული ოსები აკონტროლებენ. 4 ივნისის საღამოს რკინიგზელები იძულებულნი გახდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ, რადგან დარჩენილი ღიანდაგის აღდგენაზე შეთანხმება სხვა დონეზე უნდა მოხდეს.

ოფიციალური თბილისი სამშვიდობო სარკინიგზო „შეტევის“ პარალელურად, ოსური სოფლების სასუქებით „დაბომბვით“ იწყებს საავტომობილო-სამგზავრო მიმოსვლას ცხინვალთან...

ყველა ეს სამშვიდობო ქმედება თბილისმა ერთხელ უკვე წარმატებით გამოსცადა აჭარაში. მართალია, ცხინვალის რეგიონი აჭარა არ არის, მაგრამ ზნაურელ გლეხს ისევე უჭირს, როგორც — ქედელს.

ასე რომ, პრეზიდენტ სააკაშვილის შემტევ პოლიტიკას აქვს დიდი შანსი, საქართველოსკენ მოაბრუნოს ცხინვალის რეგიონის ოსი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა



გარშემოების მსხვერპლი, თუ ჩვენებური დამნაშავე

მხოლოდ ის ადამიანები კი არა, საკუთარი თავიც შეეზიზღა



არ ვიცი, რას განიცდიდნენ მოსამართლეები, როცა განაჩენი გამოჰქონდათ, მაგრამ პირადად მე დღემდე ვერ მივმხვდარვარ, გარემოების მსხვერპლია თუ ჩვეულებრივი დამნაშავე ჩემი ამბის გმირი. მერე რა, რომ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ჩაიდინა დანაშაული (ასეთ შემთხვევაში, კანონიც კი ითვალისწინებს შეღავათებს). სამაგიეროდ, ჩადენილი ქმედება იმდენად შემზარავია, რომ ზოგიერთი გასამართლებელი მოტივის მიუხედავად, ძნელია დამნაშავის სასარგებლოდ ენა მოგიბრუნდეს. ამიტომაც შევეცდები პირუთვნელად გიამბოთ მომხდარი, მტყუან-მართლის განსჯა კი მკითხველისთვის მიმინდვია.

მოგზაურობა სარჩოს საძებნელად

დიდხანს ეომა მიწას ანდრო ბანძელაძე (გვარ-სახელები შეცვლილია). რა ექსპერიმენტი აღარ ჩაატარა, ყველაფერი მოსინჯა, მაგრამ მწირ მიწაზე, თევზის არ იყოს, უწყლოდ არაფერმა იხარა და იმ წელსაც რომ მშიერი დარჩა ექვსსულიანი ოჯახი, მოისროლა თოხიც და ბარიც. ნათესავ-მეგობრების დახმარებით გროშები მოისესხა და იმდენი მოახერხა, ოთხი ტომარა მწვანილი იყიდა. მერე მემწვანილეების რჩევით შიგ ყინულის პარკები ჩააწყო, მოსკოვი-თბილისის ავტობუსში შეყარა და წარსულში სანაქებო ინჟინერი მოსკოვის ბაზარზე მწვანილის გამყიდველად დაიდგა. სამაგიეროდ, თავსაც ირჩენდა და დამშეულმა ოჯახმაც ამოისუნთქა. საქმეს კარგი პირი უჩანდა და ბაზრის მახლობლად მალე ბინაც იქირავა ახალგაცნობილ ფასკო ცხოვრებოვთან ერთად. ფასკო ცხინვალელი ოსი იყო (განათლებით ფილოლოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახლდათ) და ისიც მწვანილით ვაჭრობდა. ანდროსავით გაჭირვებას გამოჰქცეოდა, ამიტომ ერთ ბედქვეშ მყოფებმა ადვილად გამონახეს საერთო ენა. მწვანილს ყოველ მეორე დღეს იქვე, ბაზრის შესასვლელთან, როსტოველი მომმარაგებლებისაგან ყიდულობდნენ და კმაყოფილებიც იყვნენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბაზარში ახალი რეკეტიორები გამოჩნდნენ. ძველებს იცნობდნენ, ისინი, ძირითადად, ხორცით მოვაჭრეებს ატერორებდნენ, მემწვანილეებს კი არავინ აგდებდა ანგარიშში. ესენი, ახლები, სწორედ მემწვანილეებისგან ითხოვდნენ ფულს და ვინც გაბედა და უარი უთხრა, თავბედი აწყევლინეს. მწვანილი დახლებიდან გადმოუყარეს და ფეხით გაუთელეს. ანდრომ მაინც უარის თქმა დააპირა, მაგრამ ფასკომ იმარჯვა, ორივეს მაგივრად გადაიხადა და გამომძალველებსაც ისე შინაურულად გაესაუბრა, იფიქრებდით, დიდი ხნის ნაცნობები არიანო. თუმცა ანდრო მიხვდა, ოსი ამ გზით სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა და ეს მოახერხა კიდეც.

— ღამის ფიანდაზად გაეგე. ღირსებასაც გაუფრთხილდი, ფასკო, მერე რა, რომ გარემოება აქ დგომას გვაიძულებს. ყველა გარეწარს თუ ასე ვეფერეთ, წავსულვართ ხელიდან და ეგაა, — უსაყვედურა ანდრომ თავის მეწყვილეს და ზიზღით სავსე მზერა გააყოლა რეკეტიორებს.

— შენი დაბღვერილი სახის შემხედვარეს, სხვა რა გზა მქონდა. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, უარესად შეილახებოდა ჩემი და შენი თავმოყვარეობა. აბა, დააკვირდი, ვინ უფრო მოიგო, ჩვენ თუ იმათ, ვინც უარი თქვა გადასახადზე. ქართველებს გაქვთ ანდაზა: — ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. თუკი მე მახსოვს, შენ რაღამ დაგავიწყა ეს ბრძნული გამონათქვამი. მე და შენ უფრო მეტის მოთმენა გვმართებს, ამ საქმეში ახალბედები ვართ, ძლივს გაგვემართა ხელი...

და ანდრომაც მოითმინა, მეტი რა ჩარა ჰქონდა? იცოდა, ერთი მოუზომავი ნაბიჯი და ოჯახი შიმშილისთვის უნდა გაეწირა. ამიტომაც იყო ფასკოს მადლიერი. ეს დამყოლი, ბევრის მომთმენი კაცი აწონასწორებდა ანდროს ყოფას, ხასიათს, მაგრამ ერთხელაც, როცა რეკეტიორებს შორის ანდრომ თავისი სკოლის მეგობრის ვაჟიშვილი შენიშნა, ფასკომაც ვეღარ შეაკავა და ისე მაგრად გამოლანძღა მომხდური, ცოტაც და ალბათ ხელჩართული ჩხუბი ატყდებოდა. რუსმა რეკეტიორებმა ანდროს ქართულისა ვერაფერი გაიგეს და საქმის დაბოლოება თავიანთ ქართველ კოლეგას აცალეს. იმან კი, კესარიანთ ნოდარამ, სიტყვა ვეღარ შეუბრუნა უფროსს:

— მირჩევნია, ორმაგად ვუხადო რუსებს, ვიდრე ჩემიანმა გამძარცვოს, თანაც ჩემივე მეგობრის შვილმა, — ფასკოს გასაგონად ჩაილაპარაკა. სასწორის ორივე მხარეს გაფენილი მწვანილი ყუთებში ჩაყარა, მერე დახლს ქვემოთ შეუძახა და იმ დღეს ადრიანად დატოვა ბაზარი.

— შენ თუ ყველა წვრილმანზე ასე გაცხარდი, ნერვები აღარ შეგრჩება და დაიღუპები. ხომ გახსოვს, მხოლოდ საკუთარი თავი რომ არ გაბარია. რაკი იმას შეეგუე, რომ გძარცვავენ, არც იმან უნდა აღგაშფოთოს, ვინ გაგაძარცვავს — რუსი თუ ქართველი. ვითომ რაო, საქართველოში სულ უცხოტომელები ძარცვავენ იქაურებს თუ როგორაა საქმე?

— ვხვდები, რისი თქმაც გინდა, ფასკო, მაგრამ ვიმეორებ, აქ მეტად მიჭირს ჩემიანისგან შეურაცხყოფის ატანა, თორემ საქართველოში ხშირად რომ ერთმანეთს არ ვინდობთ, ამას არც ვმალავ.

მდგმური

ასე გავიდა სამი წელიწადი. რომ იფიქრებდა, აგერ-აგერ ორიოდ კაპიკს მოვუყარე თავიო, ან რეკეტი ჩამოუქროლებდა, ან ადგილობრივი მილიცია და დაუცარიელებდნენ ჯიბეს. როგორღაც მაინც გაჰქონდა თავი. ცოტ-ცოტას ოჯახსაც ეშველებოდა, მაგრამ აშკარად ატყობდა, სულ უფრო გაძნელდა საქმიანობა. ამჯერად, თვითონ რეკეტიორები დაერიენენ ერთმანეთს და ბოლოს მოსკოველმა კანონიერმა ქურდებმა დაადეს ხელი მწვანილის ბიზნესს. ახლა ის მაინც იცოდა, რამდენი უნდა გადაეხადა და ვისთვის. ასე ერჩიათ მასაც და სხვებსაც. გულში კი აგინებდა ისეთ ცხოვრებას, სადაც ქურდების ფრთებქვეშ შეფარება სანატრელი გამხდარიყო.

იმ ზაფხულს ფასკოს ცოლ-შვილმა ჩამოაკითხა ცხინვალიდან. ანდრომაც დიდსულოვნად დაუთმო ერთოთახიანი ბინის თავისი ნახევარი და ღამის გასათევის ძებნას შეუდგა. განა საქირაო ბინები არ იშოვებოდა, მაგრამ ანდროს რომ აწყობდა, იმ ფასად ჭირდა. სიგარეტის გამყიდველი ლენკა რომ არა, რომელიც იმავე ბაზარში მის გვერდით ვაჭრობდა, რამდენიმე დღე ალბათ ბაზარში მოუწევდა ღამის გათენება.

— ერთ ბებიას ვიცნობ. მართალია, შინ ლოთი შვილი და რძალი ჰყავს, მაგრამ მათგან ხმაური და აყალ-მაყალი ჯერ არავის სმენია. დიდი კომფორტი არ გექნება, მაგრამ დასვენებას შეძლებ. სამოთახიან ბინაში ერთი პატარა ოთახი გექნება და არავინ შეგაწუხებს. ბებია და მისი ლოთები ამ ოთახის ქირით ირჩენენ თავს. მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცებზე აქირავებს ბებია ბინას. ეშინია, ქალი რომ შეუშვას, ვაითუ ორსული აღმოჩნდეს, იმშობიაროს და ნაბიჭვარი ბინის ნაცვლად შეატოვოს ხელში. ორი დღის წინ გადავიდა მოხუცის ძველი მდგმური და ახლა ახალს ეძებენ. შენზე უკეთესს ვის იშოვიან. ამიტომ დღესვე ჩაგიწყობ საქმეს, — ჩაიქირქილა ლენკამ და ანდროსთან ერთად დასახელებულ მისამართზე გაეშურა.

სამი თვე გავიდა მას შემდეგ და ნაქირავებ ოთახში დასასვენებლად მისულ ანდროს ყოველ საღამოს ერთი და იგივე სურათი ხვდებოდა: წინა ოთახში, სავარძელში ჩასკუპებული ნასტასია კირილოვნა გამუდმებით ქსოვდა, სამზარეულოში კი მისი უქნარა შვილი იურა და მისი ცოლი თუ საყვარელი, ვინმე ირა, იაფფასიან სასმელს შეექცეოდნენ და მართალია, საქმე ჩხუბამდე არ მიდიოდა, მაგრამ მუდმივად კამათობდნენ, ლოთებისათვის გასაგებ ჟარგონზე იგინებოდნენ და ვიდრე მათი პაექრობა არ დასრულდებოდა, ანდრო თვალსაც ვერ ხუჭავდა. ისედაც განერვიულებულს, აქ კიდევ უფრო მეტად ეშლებოდა ნერვები და ბოლო დღეებში სულ იმაზე ფიქრობდა, როგორმე გასცლოდა იქაურობას.

— რაო, გიჭირს ლოთების ბუტუტურის შეგუება? ამისთვის გამოსავალი არსებობს — შენც უნდა დალიო, — ეხუმრებოდა სიგარეტის გამყიდველი ლენკა.

— მიჭირს კი არა, ღამისაა გავგიჟდე, თუმცა არაფრით მაწუხებენ. ოღონდ ბინის ქირა აუცილებლად დათქმულ დღეს უნდა გადავუხადო. იმ დღეს სამივენი კართან მხვდებიან და ფულს ითხოვენ. ის მაკვირვებს, როგორ ყოფნით ჩემი მიცემული კაპიკები ყოველდღე სალოთაოდ. ლენკა, შენი დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ ამ ბინაში ვეღარ ვიცხოვრებ. იქნებ ცოტაოდენი ფული მოვიგდო ხელში და რიგიან ბინას მოვძებნი. მე და ფასკომ ბოლო კაპიკები ერთ კრასნოდარელ მძღოლს წინასწარ გადავუხადეთ მწვანილში, ნახევარ ფასად მოგვცემს.

— ვითომ რატომ ნახევარ ფასად? დავიჯერო, ისეთი ქაჯია, რომ მწვანილის ფასი არ იცის?

— არა, ქაჯი სულაც არაა, პირიქით, სასწრაფოდ ფული დასჭირდა და...

— ფრთხილად იყავით, მშრალზე არ დაგტოვოთ. ვიცნობ მე მაგათ, — ისე მტკიცედ გამოაცხადა ლენკამ, ანდროს წამით ეჭვმაც კი გაჰკრა, მაგრამ ის მძღოლი ისეთი სანდო და ალალი ჩანდა, ამას როგორ დაიჯერებდა.

განგაში

ამაოდ რეკავდა მთელი ხუთი დღე ბებიასთან იურას შვილი პირველი ცოლისაგან — ვიტალი ბანკინი. „დავუშვათ, ბებია ავადაა და ყურმილს ვერ იღებს, მაგრამ იურა და ირა სადღა არიან? არა, აქ რაღაც სხვა ამბავია“, — დაასკვნა და ბებიის ბინისაკენ გასწია. არ უყვარდა ვიტალის მათთან სტუმრობა. მამისა და მისი საყვარლის ალკოჰოლისაგან გამოთაყვანებული სახეების დანახვა ზიზღს ჰგვრიდა ბიჭს. მათ გამო არც სხვა ნათესავები, არც მეზობლები არ ეკარებოდნენ აქაურობას, მაგრამ ახლა მოვალე იყო, მისულიყო. შვილიშვილს ბებიის ამბავი ხომ უნდა გაეგო. ბებიისაგან კარგის მეტი არაფერი ახსოვდა ვიტალის...

დიდხანს რეკავდა ზარს, მაგრამ არავინ პასუხობდა. მერე კარს მიაწვა და აღმოჩნდა, რომ კარი ღია დარჩენოდათ. ბინაში უცნაური სიხალვათე იგრძნობოდა. აღარსად იყო მისი ბავშვობის დროინდელი ვეებერთელა დივანი, მაცივარი, ტელევიზორი. აღარც ბუფეტი იდგა ბებიის ოთახში — ერთი სიტყვით, ავეჯის ნასახი აღარსად ჩანდა. „ნუთუ ბინა გაცვალეს? მაგრამ ახალი მეპატრონე კარს მაინც ჩაკეტავდა...“, გაიფიქრა ვიტალიმ.

ბოლო ოთახში, სადაც იურასა და ირას ეძინათ, ერთ კუთხეში ტანსაცმლისა და ლეიბ-საბნების გროვა ეყარა. ფეხი წინ წადგა და რაღაც უსიამოვნო სუნი იგრძნო. ბიჭს ამაზრზენმა წინათგრძნობამ დაუარა სხეულში. არც შემცდარა. საბნები გადასწია თუ არა, ბებიის გაშეშებულ ფეხებს წააწყდა. შეშინებულმა ძლივს მოახერხა მილიციის გამოძახება.

— რისთვის? რატომ? ამ გაჭირვებულებს არც ფული ჰქონდათ და არც სხვა სიმდიდრე. ნაკლებად დასაჯერებელია ნახმარი, გაქუცული ავეჯისათვის დაეხოცათ. ზედმეტად უცნაური სიტუაციაა. მკვლელობას კიდევ შეიძლება მოეძებნოს მოტივი, მაგრამ ავეჯის ქურდობა თუ დატაცება აბსოლუტურად ულოგიკოა, — რაიონის პროკურორი თავს იმტვრევდა ამ უცნაური რებუსის ამოხსნის მცდელობაში, მაგრამ უბრალო, სამუშაო ვერსიასაც ვერ აყალიბებდა. არადა, ვერსიის კი არა, ვერსიების გარეშე მკვლელობაზე მუშაობა წყლის ნაყვა იყო და მეტი არაფერი. მერე ნელნელა გონს მოეგნენ. ექსპერტთა მტკიცებით, მკვლელობა ერთი კვირის წინ იყო ჩადენილი. დამნაშავე ან დამნაშავეები ოჯახის წევრების კარგი ნაცნობები იყვნენ, რადგან აშკარა იყო, კარი შიგნიდან გაეღოთ. ბებიას და ირას რაღაც მძიმე საგანი ჰქონდათ თავში ჩარტყმული, იურა სარეცხის თოკით მოეხრჩოთ, რომელიც საბრალოს ახლაც ყელზე ჰქონდა.

აშკარად ჩანდა, მკვლელობა სამზარეულოში მომხდარიყო. გვამები კი შემდეგ გადაეთრიათ განაპირა ოთახში. მეზობლები გამოჰკითხეს — არ შეიძლებოდა, მათ არ დაენახათ, როგორ გაიტანეს ავეჯი ბინიდან და ასეთები მართლაც მოიძებნენ. ისინი ჰყვებოდნენ, თუ როგორ ეზიდებოდა ავეჯს ორი შუახნის მამაკაცი ჯერ სატვირთო ლიფტამდე, შემდეგ კი ეზოში გაჩერებულ ფურგონზე აწყობდნენ. შუადღე იყო და ეჭვი არ აგვიღია, რომ ეს დანაშაული იქნებოდაო.

პირველ სართულზე მცხოვრებმა ერთმა კირკიტა პენსიონერმა ქალმა ისიც გაიხსენა, როგორ გადაულაპარაკა იმ ორმა ერთმანეთს — ავეჯი ჩალის ფასად შევიძინეთ, აგარაკზე მეტი აღარაფერი დაგვჭირდებაო. თუმცა ყველაფერი ეს სამი დღის წინ იყო და თუ ბინის მეპატრონენი ერთი კვირის წინ დახოცეს, გამოდის, ავეჯი მკვლელობიდან ოთხი დღის შემდეგ გაიტანეს ბინიდან.

ახლა გამოძიებას უნდა დაედგინა, ვინ იყო ის ხალხი, ვინც ავეჯი გაიტანა ბებიის ბინიდან. მართლა იყიდეს თუ არა მათ ეს ნივთები. იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ავეჯის გამყიდველი უთუოდ ის უნდა ყოფილიყო, ვინც სამეული დახოცა. მაძებრებმა დაადგინეს, რომ ოჯახი იმ ერთი, თავისუფალი ოთახის გაქირავების ხარჯზე ცხოვრობდა და რომ დამქირავებლები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. თუმცა გარკვევით ვერავინ ამბობდა, ამ ბოლო დროს ჰყავდა თუ არა ნასტასია კირილოვნას მდგმურები. ბაზართან სიახლოვის გამო ამ სადარბაზოში იმდენი უცხო ხალხი შედი-გამოდის, ძნელი გასარკვევია, ვინ ვისი მდგმურია. თითქმის ყველა ჩვენგანს ჰყავს თითო-ოროლა მდგმურიო, — ამბობდნენ მეზობლები.

უბნის ინსპექტორმა საპასპორტო სამსახურში შეამოწმა, აღრიცხავდა თუ არა მოხუცი თავის მდგმურებს და გაარკვია, რომ ნასტასია კირილოვნა ამას იშვიათად აკეთებდა. კი, ჰყავდა ორი თუ სამი კაცი გატარებული, მაგრამ დიდი ხნის წინ. ბოლო თვეებში მასთან მდგმურების არსებობის შესახებ საპასპორტო ჩანაწერებში არაფერი იყო დაფიქსირებული. თუმცა ვიღაცას წამოსცდა — ნასტასია კირილოვნა მხოლოდ სანდო ადამიანების რეკომენდაციით იღებდა მდგმურებს, შემთხვევით ადამიანს არ გაათევინებინებდა ღამესო. ახლა რეკომენდატორის ძებნა დაიწყეს მილიციელებმა და ამ მიზნით ისევ ბაზარში შეიხედეს. სიგარეტის გამყიდველმა ლენკამ მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა და სიამაყით უამბო მათ თავისი ქველმოქმედების შესახებ და ისიც დასძინა, ქართველი ანდრო ზედმიწევნით წესიერი და სანდო კაცია, ზუსტად ისეთი, როგორიც ნასტასია კირილოვნას სჭირდებოდაო. მერე ისიც წვრილად ჩაუკაკლა ოპერმუშაკებს, დაახლოებით ერთი კვირაა, რაც იმ გარეწარმა კრასნოდარელმა მძღოლმა გადააგდო და უკაპიკოდ დარჩა, ანდრო ბაზარში აღარ გამოჩენილაო. ფასკომაც იგივე დაადასტურა — ანდროსთან ერთად საქმიანობას აღარ ვაპირებ, მისი ზედმეტად მიმნდობი ხასიათის გამო მეც უკაპიკოდ დავრჩიო, ჩიოდა განაწყენებული. მაგრამ, როცა შეიტყო, რას სდებდნენ ბრალად მის ყოფილ პარტნიორს, სულ ტკბილები ყარა — ეგ სისულელე თავში როგორ მოგივიდათ. ანდრო მაგნაირ საქმეზე არასოდეს წავიდოდაო, თუმცა კითხვაზე — მთელი კვირა რატომ არ გამოჩნდაო, მხრები აიჩეჩა და ვერაფერი უპასუხა. ისიც ჰკითხეს, საქართველოში ხომ არ წავიდოდაო და უპასუხა: — რით წავიდოდა, ჯიბეში ერთი რუბლიც კი არ ედოო...

...ანდრო თავის სოფელში დააპატიმრეს. წინააღმდეგობა არ გაუწევია, პოლიციელებს თვითონვე გაუწოდა ორივე ხელი, ბორკილები დაადეს და წინ გაიგდეს.

აღიარება თუ აღსარება

ისე დათრგუნვილი არასოდეს ყოფილა, როგორც იმ საღამოს. ვახშმის ფული არ ჰქონდა, მაგრამ არც ჭამის თავი ჰქონდა. ახლა ყველაფერს ტახტზე მიწოლა და დასვენება ერჩივნა. თუნდაც თავისი ოჯახის წინაშე მოვალე იყო ამ სიტუაციიდან გასაღწევი გზა მოეძებნა. ამის იმედი კიდევ ჰქონდა, მაგრამ როცა ბინის კარზე დარეკა, შეახსენეს, რომ მისი კრედიტი იმ საღამოს ამოწურულიყო და ნასტასია კირილოვნა მომავალი თვის გადასახადს სთხოვდა. როგორ არ ეცადა აეხსნა მისთვის, რომ ახლა დიდ ფინანსურ სიძნელეს განიცდიდა, მალე რაღაცას მოიფიქრებს, რამდენიმე დღეში ამ გაჭირვებიდან თავს დაიხსნის და ქირასაც გადაუხდის, მაგრამ კერპი მოხუცი უკან არ იხევდა. თავის ოთახში შესული ანდრო ძალით გამოათრია სამზარეულოში და კატეგორიულად გამოუცხადა — თქვენ, ვაჭრებმა, აღარც კი იცით ფული სად წაიღოთ, მე კი ჩემს კუთვნილს არ მაძლევთო. ანდრომ სცადა კიდევ ერთხელ აეხსნა, რომ ფული არა აქვს, თანაც ჯერჯერობით მისი არაფერი მართებს, დღემდე ყველაფერი გასწორებულია და ამ დღეებში გადაიხდის ავანსს, მაგრამ მოხუცს არაფრის გაგონება არ სურდა: — ან ფულს მაგიდაზე დადებ, ანდა შენს ოთახში არ შეგიშვებ, გაგაგდებო, — ემუქრებოდა. ამასობაში, მოხუცს იურა და ირაც გამოექომაგნენ. მით უმეტეს, ბოლო ბოთლს გამოუყვანეს წირვა და ახლა მოუთმენლად შეჰყურებდნენ, როდის ამოიღებდა ანდრო ჯიბიდან ფულს, რომ მაშინვე მაღაზიაში გავარდნილიყვნენ ახალი ბოთლის საყიდლად. ისეთი ლანძღვა-გინება ატყდა, რომ ანდროს მხოლოდ ეს ადამიანები კი არა, საკუთარი თავიც შეზიზღდა. დაძაბულობამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა სამეული მხრებში სწვდა და გარეთ გაგდება დაუპირეს. შეურაცხყოფილს ერთბაშად დაუბნელდა გონება. იქვე, გაზქურაზე შემოდგმულ მძიმე ტაფას დაავლო ხელი. ჯერ მოხუცს ჩასცხო თავში გამეტებით, მერე ირას და ის იყო, იურასკენ შებრუნდა, რომ სკამს გამოედო და ტაფა ხელიდან გაუვარდა. იურას კი სამზარეულოს დანა ეჭირა ხელში და უეჭველია დაარტყამდა კიდეც, მაგრამ იმარჯვა, სამზარეულოში გაბმული სარეცხის თოკი ჩამოგლიჯა, მერე მაგიდას შემოურბინა, სიმთვრალისაგან მობარბაცე იურას ზურგიდან მოექცა, თოკი კისერში გამოსდო და ისე მოახრჩო, სინდისის ქენჯნაც არ უგრძნია. მერე თავის ოთახში შევიდა, ტახტზე მიესვენა და დილამდე ფიქრობდა, განეცხადებინა თუ არა მილიციისთვის თავისი დანაშაული. მაგრამ რაკი თავს დამნაშავედ თითქმის არ თვლიდა, გადაიფიქრა. თუმცა მარტო რომ ყოფილიყო, აუცილებლად განაცხადებდა, მაგრამ ოჯახი ექაჩებოდა უკან და ამან შეუშალა ხელი. ვალდებული იყო, შვილები გამოეკვება, ციხიდან კი ამას ვერ შეძლებდა. სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ვაგზლამდე მისასვლელი ფულიც კი არ ჰქონდა. ისიც იცოდა, ამ ბინაში ტყუილად დაუწყებდა ძებნას ფულსა და ძვირფასეულობას. ინსტინქტურად უფასო განცხადებების გაზეთი მოხვდა ხელში. ერთი განცხადების ავტორი ძველი, ნახმარი ავეჯის შესყიდვით იყო დაინტერესებული. დაურეკა... უთხრეს, მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოვალთო. სხვა გზა არ ჰქონდა — დახოცილები განაპირა ოთახში დაასვენა, ზედ ლეიბ-საბნები დააყარა და ავეჯის მყიდველებს დაელოდა. ამასობაში კი გამალებით რეკავდა ტელეფონი. არ იცოდა, გამოერთო თუ ეპასუხა და ამან სულ აუწეწა ისედაც აფორიაქებული ნერვები.

ავეჯში აღებული ფულით ანდრო საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ, როგორც ვიცით, ის მალევე დააკავეს. სასამართლომ სავსებით სამართლიანად გადაწყვიტა, რომ მომხდარი ტრაგედია აღელვების, აფექტის ნიადაგზე მოხდა და ამიტომაც მცირე სასჯელი აკმარეს.

ვაჟა გავაშელი


ბოლო წლების ყველაზე ცოდვიანი იარაღი საქართველოში(!)



დანით თამაში სახიფათოა – რას ამბობს კანონი და რას ფიქრობს ხალხი?



გიორგი გელაძე



კოტე ხელაშვილი

ოჩამჩირის ქ. №6-ში მდებარე სახლის ერთ-ერთ ბინაში, დაახლოებით საღამოს 22 საათზე მკვლელობა მოხდა. 18 წლის კოტე ხელაშვილს გულმკერდის არეში დანა ჩაარტყეს. ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. კოტე დედისერთა იყო. ეკონომიკის ინსტიტუტში მუნიციპალური სახელმწიფო მართვის ფაკულტეტზე სწავლობდა. თვითმხილველთა ნაამბობის მიხედვით, მისი მკვლელობის მიზეზი ვითომდა უწყინარი ჯიბის დანა, ე.წ. „ბაბოჩკა“ გახდა.

კოტე ხელაშვილი, გაგა გვერდწითელი და გიორგი თოფურიძე საერთო მეგობრის წვეულებაზე შეხვდნენ ერთმანეთს. გაგა ხელში დანას ათამაშებდა, კოტემ სთხოვა — მათხოვეო, მაგრამ უარი მიიღო. ამას კონფლიქტი მოჰყვა. სიტუაციის განმუხტვას გიორგი თოფურიძე შეეცადა, მაგრამ მალე ბიჭები სუფრიდან ეზოში გავიდნენ და ხელჩართული ჩხუბი გამართეს. გამოძიების მასალებიდან ირკვევა, რომ გიორგი თოფურიძემ დანის ერთი დარტყმით გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა კოტეს. უცებ ვერავინ გაიგო, რა მოხდა, რადგან კოტეს ჭრილობიდან სისხლი მაშინვე არ წამოსვლია. გულზე ხელებაფარებული საპირფარეშოსკენ წავიდა... იქამდე მისვლა კი არ დასცალდა...

ხათუნა სალუქვაძე, გიორგი თოფურიძის ადვოკატი:

„როგორც ვიცი, კოტე ხელაშვილს თავად ჰქონდა დასაკეცი დანა. როცა წვეულებაზე, სადაც მკვლელობა ხდება, ორმოცდაათი კაცია, ძალიან ძნელია იმის გარკვევა, ვისი დანითაა მოკლული ადამიანი“.

რუსუდან ხელაშვილი, კოტე ხელაშვილის დედა:

„მეუბნებიან, კოტესაც ჰქონდა ჯაყვაო. დღეს ყველა ბიჭს აქვს ჯიბეში დანა. სახლში სულ ამ დანაზე გვქონდა ჩხუბი. მეუბნებოდა, დედა, როგორ ფიქრობ, მე ვინმეს დანას დავარტყამო?! მართლაც სიკეთით იყო სავსე.“

მეორე ტრაგედია, რომელმაც 17 წლის გიორგი გელაძის სიცოცხლე იმსხვერპლა, რესტორან „კრისტალში“ დატრიალდა. ბოროტმოქმედებმა გიორგიც დანებით აჩეხეს. ჩხუბის წამოწყების მიზეზი ამჯერადაც უმნიშვნელო იყო. შეზარხოშებულმა ახალგაზრდამ შემთხვევით მხარი გაჰკრა გელაძეებთან მყოფ კოტე ლაბაძეს, შემდეგ ხელკავი გამოსდო და დარბაზის გასასვლელისკენ გაიყვანა. მათ უკან გაჰყვა გიორგი გელაძე. საგამოძიებო მასალების თანახმად, დარბაზიდან გავიდნენ თუ არა, ეჭვმიტანილმა ჯიბიდან მოგრძო დანა ამოიღო და ლაბაძეს მოუქნია, მან უკან დაიხია და დანა აიცდინა. თავდამსხმელის გვერდით იდგა მისი მეგობარი, მეორე ეჭვმიტანილი. სავარაუდოდ, დანა მასაც ჰქონდა და მას შემდეგ, რაც ლაბაძემ უკან დაიხია, ისინი გიორგის მიუბრუნდნენ და დანებით გულმკერდისა და მუცლის არეში 6 ჭრილობა მიაყენეს. ამის შემდეგ, მათ დაჭრეს გელა გელაძეც, გიორგის ძმა, რომელიც მკვლელობის ფაქტს შეესწრო.

გელა გელაძე, გარდაცვლილის უფროსი ძმა:

„როცა შევნიშნე, რომ ჩემი ძმა ვიღაც უცნობ პირებს დარბაზიდან გაჰყავდათ, უკან გავყევი. გასასვლელთან გიორგის ხმა შემომესმა — დაჭრილი ვარო... და ჩაიკეცა. მივვარდი და ჩავეხუტე, რადგან მკვლელს კიდევ უნდოდა ჩაერტყა გიორგისთვის. დანა ზურგში მე მომხვდა და ჩემს გულს ორი მილიმეტრით ასცდა. მკვლელი გაიქცა. მასთან ერთად სხვებიც იყვნენ. დანები ყველას ჰქონდათ. გიორგი საავადმყოფოში გააქანეს. სანამ რესტორნიდან გამოვიდოდი, ვიღაც ბიჭი დამეჯახა, კიდევ უნდოდა ჩემთვის დანა ჩაერტყა. ხელების აფარება მოვასწარი. დანამ მარცხენა ხელი გადამიჭრა. გიორგი დილის ათის ნახევარზე გარდაიცვალა. გული მთლიანად დაფლეთილი ჰქონდა. იმის თქმაც ვერ შეძლო — „მიშველეთო“, ასე უბედური აღმოჩნდა ჩვენთვის ეს დღე“.

ამ ორ ტრაგედიას, რომელიც ბოლო ერთი თვის განმავლობაში მოხდა და 17-18 წლის ბიჭების სიცოცხლე შეწირა, საერთო ის აქვს, რომ ორივე შემთხვევაში მკვლელებმა დანა გამოიყენეს. თითქოს ისეთივე ჩვეულებრივი და უბრალო, როგორსაც დღეს ყოველი მეორე ახალგაზრდა ჯიბით ატარებს და უწყინარი კრიალოსანივით ხელში ათამაშებს. ამ სახიფათო თამაშს ყველამ თვალი მივაჩვიეთ და ვეღარც კი ვაცნობიერებთ, რომ ხვალ შეიძლება ეს „სათამაშო“ მკვლელობის იარაღად, მისი მეპატრონე კი მკვლელად იქცეს...

დანის უკანონოდ ტარება, შენახვა და დამზადება რამდენიმე წლის წინ კვალიფიცირდებოდა როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით ისჯებოდა. მას შემდეგ კი რაც დანის, როგორც ცივი იარაღის დეკრიმინალიზაცია მოხდა, „ფინკა“, „ლისიჩკა“, „ბაბოჩკა“ და მისთანანი, ბოლო წლების ყველაზე ცოდვიან იარაღად იქცა. ის, ვინც დანით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკით დაინტერესდება, დაგვეთანხმება, რომ მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა, თუმცა, თავის დროზე კანონის შეცვლის ერთ-ერთ მოტივად ისიც დასახელდა, რომ ახალგაზრდები დაეცვათ ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი სამართალდამცველისგან, რომლებიც კანონის ამ მუხლს თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. დანის ე.წ. „ჩადება“ ხომ უფრო იოლი იყო, ვიდრე ნარკოტიკის ან იარაღის ჩადება.

დავით კვაჭანტირაძე, იურისტი:

„ამ კანონის დეკრიმინალიზაცია 2000 წლის 1-ელი ივნისიდან შევიდა ძალაში. დღეს თვალნათლივ გამოჩნდა, რომ მაშინ შეცდომა იქნა დაშვებული. უმჯობესი იქნებოდა დანის ტარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიგს მიკუთვნებოდა და მასზე ადმინისტრაციული სახდელი დაწესებულიყო. დღეს მოქმედი კანონით დანაშაულის ჩადენისთვის პირი 14 წლის ასაკიდან აგებს პასუხს. სწორედ 14-დან 20 წლამდე ასაკის პირთა დანაშაულებში ჭარბობს დანაშაულის იარაღად დანის გამოყენების შემთხვევები. არასრულწლოვნების უმეტესობა სრულიად გაუაზრებლად, ერთმანეთის მიბაძვით ატარებს დანას. თუ კანონი გამკაცრდება, დანის ან სხვა იარაღის ტარება კვლავ სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოცხადდება, გაფრთხილდება მშობელი, დაწესდება კონტროლი სკოლებში და შესაბამისად, შემცირდება შეიარაღებულ, ე.ი. პოტენციურ დამნაშავე-მოსწავლეთა რიცხვი. თუ ვაღიარებთ იმას, რომ მუხლი, ცივი იარაღის ტარების შესახებ პოლიციელთა კორუფციის წყარო იყო, მაშინ ვიზრუნოთ სამართალდამცავი სისტემის სრულ რეფორმირებაზე — აი, აქ არის გამოსავალი და არა იმაში, რომ 14-15 წლის ბავშვს კანონი აძლევდეს უფლებას, სკოლაში „ბაბოჩკით“ ან „ლისიჩკით“ იაროს და გარდატეხის ასაკში, საზოგადოებაში „თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში“ დანა მოიშველიოს... საერთოდ, ცნობილია, რომ დანის მოტრფიალენი, ცეცხლასროლ იარაღზე შეყვარებული ხალხისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ ერთი სული აქვთ, საზოგადოებას თავისი იარაღი აჩვენონ. უყვართ დანის ხელში ტრიალი და ამით თავის მოწონება. არადა, ისიც ცნობილია, რომ ნებისმიერი იარაღის საზოგადოების თავშეყრის ადგილას გამოჩენა, ქვეცნობიერად ცვლის ემოციურ ფონს და ყველას ძაბავს — მორჩილები თავდაცვისთვის ემზადებიან, აგრესიულები თავდასხმისთვის. მაგრამ ეს ალბათ ფსიქოლოგების საუბრის თემაა. მე, როგორც იურისტს, მიმაჩნია, რომ დანის ტარების დეკრიმინალიზაციამ უკვე უამრავი ბიჭის სიცოცხლე შეიწირა და დროა, პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა დაიწყოს ახალ კანონზე მუშაობა“.

გაგა ციშვარაძე, ფსიქოლოგი:

„ფსიქოლოგიაში არსებობს აგრესიის გაზომვის სხვადასხვა საშუალება. როცა ახალგაზრდა არ მალავს იარაღს, ის არ არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში. ეს მისი სისუსტეა, ჩანდეს ძლიერი და სისუსტის კომპენსაციას დანის დახმარებით ცდილობს. ნებისმიერი იარაღი ფსიქოლოგიაში მამაკაცის სიმბოლოდ აღიქმება და დანის დემონსტრირებით მოზარდი ამბობს: „მე ვარ მამაკაცი და დანის გარეშე არ ვარ დარწმუნებული, რომ ვარ!“ თუ შევთანხმდებით, რომ ყოველი მეორე ახალგაზრდა შეიარაღებულია, მაშინ რატომ არ იყენებენ ამ იარაღს სხვების გამოსარჩლების მიზნით? ქუჩაში ხომ ძალადობის უამრავი შემთხვევა ხდება: ქალს ჩანთას ართმევენ, შეურაცხყოფას აყენებენ, ოქროულს თუ მობილურს ყელიდან გლეჯენ... ე.ი. ახალგაზრდობა იარაღს ძირითადად მხოლოდ არაკეთილშობილური მიზნისთვის ატარებს და არა ძალადობისგან თავის ან სხვების დაცვის მიზნით. შეიარაღებული ტინეიჯერი, როცა დანას ხელში ათამაშებს, საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენას ცდილობს. ამ ასაკში მოზარდი განსაკუთრებით დაუნდობელია მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი რამ უნდა, რასაც თავისთავად ვერ მიაღწევს, თუ ის ძალით არ მოიპოვა. აგრესია ფილმებიდან, კომპიუტერული თამაშებიდან, ოჯახიდან, ქუჩიდან... და რაც ყველაზე ცუდია, საზოგადოების მხრიდან ინდიფერენტული დამოკიდებულება. ამიტომ მიმაჩნია, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში და განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც აგრესიული ფონი დასაშვებ ზღვარზე გაცილებით მაღალია, კანონი იარაღის ტარების შესახებ უნდა გამკაცრდეს. საზოგადოებამ თვითონ უნდა გამოხატოს პროტესტი ყოველგვარი ძალადობის იარაღის მიმართ და თავისი შვილები ცოდვის ჩადენისგან გადაარჩინოს“.

ეთერ თათარაიძე, ფოლკლორისტი:

„ბოლო ზარის დღეს, მეიდანში ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ჯგუფ-ჯგუფად თავშეყრილი ყვინჩილა ბიჭები, გაშიშვლებული დანებით, ამაზრზენი სიტყვებითა და საკუთარი დედის გინებით, ქუჩის ჩხუბისთვის დამახასიათებელი დაუნდობლობით... ვკანკალებდი და ვლოცულობდი, ისე დამთავრებულიყო ყველა ჩხუბი და გარჩევა, რომ არავის დედა არ გამწარებულიყო. ქვეყანაში, სადაც 100 კაციდან 70-ს — დიდსაც და ბავშვსაც ნევროზი აქვს, ასანთის ერთი გაკვრაა საჭირო, რომ კოცონი აგიზგიზდეს. ბავშვს დანა ჩაუდო ჯიბეში და ქუჩაში გაუშვა — დანაშაულია. ვის, რომელ დედას უნდა მისი შვილი დანით დადიოდეს, ვის უნდა შვილი მოუკლან ან მკვლელის დედად იქცეს?! მაშინ რატომ არავინ იღებს ხმას იმაზე, რაც ჩვენს თავს ხდება? შვილი, რომელსაც ზოგჯერ ტრანსპორტის ფულს ვერ ვაძლევთ, გარდატეხის ასაკშია და არ იცის, როგორ გამოხატოს ესა თუ ის გრძნობა. დაღლილს და უკვე ნერვებდაგლეჯილს შინიდან ვუშვებთ და არ ვიცით, ღრეობიდან, ეგზალტირებული დისკოთეკიდან თუ უნიჭოების კონცერტიდან როგორი დაგვიბრუნდება. მე მესმის, რომ ახლა ქვეყანას „დანა და ყელი“ ერთად აქვს. დიდი პოლიტიკით გართულებს უფრო მნიშვნელოვანი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს: იმ ახალ ქვეყანაში როგორი ქართველები იცხოვრებენ? ვის მიჰბაძავენ ჩვენი შვილები, როგორია პატარა ბიჭებისთვის იდეალური ვაჟკაცი — გამომწვევი, „ნაგლი“, დანით მოთამაშე, დედის მაგინებელი და უზრდელი? ჩვენმა შვილებმა დანები შინ უნდა დატოვონ და კაცობის სკოლა ქუჩაში კი არა, ჯარში გაიარონ.

დროა, საზოგადოებამაც გამოხატოს თავისი დამოკიდებულება, კანონის შემოქმედებმა კი გააანალიზონ, რა სახიფათოა დანა ჩვენი შვილების ხელში!“

აღნიშნული პრობლემის შესახებ ველით მკითხველის აზრს.

ნანა ქებაშაური

პროკრედიტ ბანკის წარმატება ქვეყნის ეკონომიკის წარმატებაა

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

„დღეისთვის, აქტივების მაჩვენებლების მიხედვით პროკრედიტ ბანკი საქართველოს საბანკო ბაზარზე მეოთხე ადგილზეა. საკრედიტო პორტფელის სიდიდის მიხედვით მესამე პოზიციას იკავებს, ხოლო ბიზნესკლიენტების რაოდენობით პირველ ადგილზე დომინირებს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბანკის სტრატეგიას — ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას საქართველოში — ასე დაიწყო საგანგებო პრესკონფერენციაზე ანგარიშის წარდგენა 2003 წლის წარმატებით დასრულების შესახებ ბანკის ხელმძღვანელობამ. მათი მონაცემებით ბანკმა, რომელიც ჯერ მხოლოდ 5 წლისაა, უკვე 185 მლნ ამერიკული დოლარის ოდენობით 38455 სესხი გასცა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. პროკრედიტ ბანკის შედეგებით კმაყოფილი აქციონერები აპირებენ 2004 წელს ივნისისთვის ბანკის კაპიტალის 20 მლნ ლარიდან 28 მლნ ლარამდე გაზრდას. პროკრედიტ ბანკის 2003 წლის შედეგების მიხედვით ბანკის დინამიკურ ზრდას ფანტასტიკური შეიძლება ვუწოდოთ. საკრედიტო პორტფელში სესხების რაოდენობამ 2003 წლის ბოლოს წინა წელთან შედარებით 40%-ით გაზრდილი მაჩვენებელი დააფიქსირა, კლიენტებისგან მოზიდულმა სახსრებმა 2004 წლის აპრილის ბოლოს 40 მლნ ლარს მიაღწია. ხოლო თუ გადასახადების გადახდის შემდეგ ბანკის წმინდა მოგება 2003 წელს 3,1 მლნ ლარი იყო, წინასწარი პროგნოზის მიხედვით, 2004 წლის ბოლოსთვის ბანკის წმინდა მოგებამ 3.9 მლნ ლარი უნდა შეადგინოს.

რა განაპირობებს ბანკის დინამიკურ ზრდას? ამ კითხვას ბანკის ხელმძღვანელობა მარტივად ასე პასუხობს: ჩვენი წარმატება განპირობებულია იმ სწორი სტრატეგიით, რაც გულისხმობს: საერთაშორისო გამოცდილების ადაპტირებას საქართველოს საბანკო სექტორში, თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელმაც მრავალ ევროპულ ბანკს უკვე მოუტანა წარმატება, გამართული საკადრო პოლიტიკის წარმოებას და რაც მთავარია, წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის ჩვენდამი ნდობამ.

უპრიანი იქნება დავძინოთ, რომ წარმატების უმთავრესი გარანტი მაინც ბანკის უცხოელი აქციონერები არიან. მათ უმრავლესობას წარმოადგენენ საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც უპირველესად დაინტერესებულნი არიან თავიანთი კაპიტალდაბანდებებიდან მდგრადი და სტაბილური შემოსავლების მიღებით და არა მოკლე ვადაში მაქსიმალური მოგებით. ეს ფაქტორი განაპირობებს მათ წარმატებულ ბიზნესს. აღსანიშნავია, რომ მათ არსებითი წვლილი შეაქვთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის (სადაც პროკრედიტ ბანკის ჯგუფი არის წარმოდგენილი) და მათ შორის საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში — ძირითადად მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საქმიანობაზე მიმართული ბანკის საკრედიტო საქმიანობა ხელს უწყობს ქვეყანაში საწარმოებისა და დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნას, რაც ხელს უწყობს უმუშევრობის პრობლემის დაძლევას.

პროკრედიტ ბანკი მუდმივი გაფართოების პროცესშია. რეგიონალური გაფართოების კვალდაკვალ გაიხსნა მისი ოთხი ახალი ფილიალი, ერთი — აჭარაში, ორი — თბილისში და ერთიც ზუგდიდში. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზუგდიდში ფილიალის გახსნას. პროკრედიტ ბანკის ზუგდიდის ფილიალის კლიენტთა გარკვეული ნაწილი ბიზნესსაქმიანობას გალის რაიონის ტერიტორიაზე ეწევა. „ამრიგად, ჩვენი კლიენტები არიან აფხაზეთის მკვიდრნიც, რაც კარგ განწყობას ქმნის როგორც ბიზნესინტერესებიდან, ისე ადამიანური დამოკიდებებულებებიდან გამომდინარე“, — აცხადებს ბანკის გენერალური დირექტორი ბ-ნი ფილიპ ზიგვარტი.

პროკრედიტ ბანკმა 2003 წელს წარმატებით დანერგა საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროგრამა გორსა და მარნეულში. 2004 წლისთვის მის დანერგვას გეგმავენ სხვა ფილიალებშიც, მაგ. დასავლეთ საქართველოში, სადაც მცირემასშტაბიანი სოფლის მეურნეობა ძირითადად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს.

პროკრედიტ ბანკი კვლავაც განაგრძობს განვითარებას და მუდმივად იღვწის სრულყოს მომსახურების ხარისხი და დანერგოს ახალი საბანკო პროდუქტები, რაც მისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად დაინერგება უახლოეს თვეებში მრავალი სიახლე. მაგალითად, მომხმარებლებს ბანკი უკვე სთავაზობს პლასტიკურ ბარათებს, რომელთა მიღება და ასევე ლარში თანხის განაღდება უფასო იქნება.

სტაბილურობა და საიმედოობა, მომსახურების სისწრაფე და სიმარტივე, გამჭვირვალობა, დასავლური საბანკო სტანდარტები და მენეჯმენტი ხუთი წლის მანძილზე, ქართული საბანკო სექტორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის — პროკრედიტ ბანკის საგიზიტო ბარათად იქცა.

ეკა ლომიძე

რომელი საათია?



რატომ იგვიანებს „ყველაფერი“ საქართველოში?!

„რაც უფრო ცივილიზებულია საზოგადოება, მით უფრო მეტ ანგარიშს უწევს დროს“

ამას წინათ სამარშრუტო ტაქსიში ჩავჯექი და გულმოდგინედ დავუწყე ღოდინი მის დაძვრას, მზის გულზე დამდგარ მანქანაში ჯდომა, მსუბუქად რომ ვთქვათ, სულაც არ არის სასიამოვნო. მძღოლი კი იდგა და იდგა, დაძვრას არც ფიქრობდა. ბოლოს ერთმა მანდილოსანმა ვეღარ მოითმინა და მძღოლს მიმართა:

— ბოლოს და ბოლოს, აღარ დავიძვრებით? ვის ველოდებით?

— ამაი თავის დრო აქ, — თქვა დინჯად მძღოლმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, კახეთიდან იყო ჩამოსული, თან თითები საჭეზე აათამაშა.

— რა დრო, რის დრო, დავიხოცეთ ამ მზის გულზე, — ხმა ამოიღო მეორე მგზავრმაც — წადი, რა!

— ამაი თავისა აქ! — გაიმეორა მძღოლმა და თვალები დააბრიალა...

ათი წუთის შემდეგ უკვე სავსე ავტომობილი დაიძრა, მაგრამ კარგად ვიცოდით, რომ „ამაი თავის დრო“ ჰქონდა... გზად კიდევ დავიმატეთ ხალხი. უკვე ფეხზე დასადგომი ადგილიც აღარ იყო, ტაქსი კი ისევ ზოზინით მიუყვებოდა ქუჩას.

— კაცო, ხამსა თევზებივით ვართ ჩაწყობილები, ვეღარ ვსუნთქავ, არ შეიძლება სვლას უმატო? — გაისმა ისევ საყვედური.

— არა! როცა საჭიროა, აწყვეტილი კი არ მივლია?!

სალონში სიცილი გაისმა...

მაინც რა ზნე გვჭირს ქართველებს, რომ ვერა და ვერ ვისწავლეთ დროის ყადრი. აქ ყველაფერს „თავის დრო აქვს“, და არაფერს ვაკეთებთ თავის დროზე. ამას ისე ვართ შეჩვეულები, რომ პროტესტის გრძნობაც კი იშვიათად გვიჩნდება.

პოლიკლინიკაში შესულს შეიძლება ექიმი სულაც არ დაგხვდეთ ადგილზე. რას იზამ, ექიმიც ქართველია. ხომ შეიძლება, გუშინდელი ნაბახუსევია, ან დღეს დაკრძალვაზე გამოიარა, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება დროზეც გამოვიდა სახლიდან, მაგრამ მიკროავტობუსში ზის! („ამიტომაც არის შორს წასული!“).

„ცოცხალ კაცს ან რა შეგემთხვევა, ან რა — სერიოზული სახით მსჯელობს დაგვიანებული ქართველი, — ცოცხალი კი არა და მიცვალებულიც „აგვიანებს“ საქართველოში...“ დააგვიანებს, აბა რას იზამს, თუკი დროზე არ გამოასვენებენ! ეს კი დათქმულ საათზე თითქმის არასოდეს ხდება.

იგვიანებს ტრანსპორტი, თათბირი, სასამართლო პროცესი, ოპერაცია, ქორწილი და... დაკრძალვაც კი. ჩვენც, ყველგან დაგვიანებულები და ობიექტური მიზეზების გამო შეფერხებულები ბედს ვემორჩილებით. რას იზამ, საქართველოა... სამთავრობო შეხვედრები და პრესკონფერენციებიც კი არ იწყება დათქმულ დროს და ავტობუსი თუ დაიგვიანებს, მძღოლს როგორღა უნდა ვუსაყვედუროთ?

დაგვიანების მიზეზი არასოდეს დაგველევა... არც „მწარე სინანული“ შეაწუხებს ვინმეს და აკითხვინებს — „რომელი საათია?“

საათი კი მუდმივად წიკწიკებს და დროც მიდის.

ახლა ლხინის სუფრაზე რომ დროზე არ მივა კაცი, იმისი გაკიცხვა რაღა მოსატანია... მერეა და სუფრიდან ადრე ვინ ადგება? ამიტომ შინ თუ დააგვიანდება ვინმეს, ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

ასე დარდიმანდულად გაგვყავს ცხოვრება, თუმცა მარტო ჩვენ ხომ არა ვართ არხეინები. იტალიელები თურმე ნახევარი საათით გვიან იწყებენ ყველა დანიშნულ ღონისძიებას. არსებობს კიდეც გამოთქმა: იტალიური ნახევარი საათი.

ნახევარი საათი რა არის, იტყვის რომელიმე გულდინჯი ქართველი, დაგვიანება ჩვენი უნდა ნახო! — არც ცდება.

დავინტერესდით ჩვენში გავრცელებული არაპუნქტუალობით და ერთადერთი კითხვით მივმართეთ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებს — რა არის მათი დაგვიანების მიზეზი?

რატომ იგვიანებს სასამართლო პროცესი?

მაია ოჭხარელი, საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის მოსამართლე: — ჯერ ერთი, სასამართლო პროცესზე გვიანდება პატიმრების დროულად მოყვანა. ამის მიზეზებს დეტალურად ვერც ჩვენ ვიკვლევთ. გარდა ამისა, აპელაციაში ვიხილავთ როგორც თბილისის, ისე რაიონის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს. რაიონიდან ჩამოსვლა ტრანსპორტზეა დამოკიდებული. ტრანსპორტი იგვიანებს, ჩვენც ვიგვიანებთ სასამართლოს დაწყებას. მოსამართლეები დილის ათი საათიდან სამსახურში ვართ.

— უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში თუ ყოფილხართ, ხომ არ იცით, როგორ მუშაობს იქაური სასამართლოები?

— ერთი თვის წინ ვიყავით გერმანიაში. სასამართლო პროცესები იქ ზედმიწევნით პუნქტუალურად იწყება. აქ კი... მხოლოდ პატიმრის წარმოდგენა როდია დაგვიანების მიზეზი, ხშირად ადვოკატებიც იგვიანებენ, განსაკუთრებით, კერძო საადვოკატო ფირმების წარმომადგენლები... ზოგი რაიონიდანაც მოდის. ჩვენც ანგარიშს ვუწევთ. დღეს ყველა ხელმოკლედ ცხოვრობს, იქნებ რაიონიდან მეორედ ჩამოსვლის სახსრები არც გააჩნდეთ.

ლალი არჩვაძე, სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოსამართლე:

— ხშირად ამა თუ იმ მიზეზით გვაკლია მოსამართლე და გვიხდება მისი ძებნა... მაგალითად, ამჟამად ჩემი კოლეგა დეკრეტულ შვებულებაშია და იძულებული ვარ, ველოდო რომელიმე მოსამართლეს, რომელიც დაასრულებს თავის პროცესს და ჩემს პროცესზე შემოვა... ხშირად პროცესს კაბინეტებში ვატარებთ. ოთხ მოსამართლეს სულ ორი დარბაზი გვაქვს, რა ვქნათ? ველოდებით, როდის გათავისუფლდება დარბაზი.

რატომ იგვიანებს სამედიცინო დახმარება?

მაყვალა მესხიშვილი, სასწრაფო დახმარების ექიმი: — სასწრაფო დახმარების გამოძახების შემთხვევაში, ბრიგადა 7-10 წუთში ადგილზე უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება დააგვიანდეს, ხშირად მანქანა გზაში გაგვფუჭებია, სანამ რაციით სხვა ბრიგადას დავკავშირებივართ, ამსახობაში დროც იკარგებოდა. ხშირად ბევრი გამოძახებაა, მანქანები კი საკმარისი არ არის... ასეთ შემთხვევაში უფრო მოშორებით მდებარე სასწრაფო დახმარების სადგურიდან გამოდიან ექიმები, დროც იწელება, გზებზე საცობებია...

რატომ იგვიანებს მატარებელი?

გია ჯვიჟინაძე, რკინიგზის სამსახურის უფროსი:

— სამი მიზეზია — ან ელექტროენერგიის მოწოდება წყდება, ან ელმავალი ფუჭდება, ან ვაგონის უწესრიგობაა.

— მატარებლის დაგვიანებით შეწუხებული მგზავრები თქვენთან პრეტენზიით არ შემოსულან?

— არა... იციან, რომ მატარებელი ჩვენი სამსახურის მიზეზით არ იგვიანებს(?!).

რატომ ვაგვიანებთ ყველგან?

გივი ძირია, ფსიქოლოგიის მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი:

— რაც უფრო ცივილიზებულია საზოგადოება, მით უფრო მეტ ანგარიშს უწევს დროს. საქართველოში არასოდეს ყოფილა ტექნიკის, ინდუსტრიის და მრეწველობის განვითარების მაღალი დონე. ამიტომ ქართველი კაცი თავისუფლად გრძნობდა დროში თავს. საათს და წუთს კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ იმას, მზე სად იდგა. იტყოდა, მზე შუბისწვერზეაო და ეს მისთვის საკმარისი იყო. პლუს-მინუს ერთი ან ორი საათი მისთვის არც დიდი მოგების საწინდარი იყო და არც წაგების მიზეზი. ამიტომ გვაქვს დროისადმი არხეინი დამოკიდებულება.

იყო დრო, როცა სამსახურში დაგვიანებისათვის სჯიდნენ, ახლა აღარავის სჯიან, რადგან უფროსიც აგვიანებს.

მახსენდება ერთი ამბავი: მსოფლიო ომის დროს გერმანიაში მატარებელმა ორი წუთით დაიგვიანა. ერთნი ამბობდნენ, რა თქმა უნდა, დაიგვიანებდა, ომიაო... მეორენი ამბობდნენ, მატარებელი მაინც ზუსტად მუშაობს, მხოლოდ ორი წუთით დაიგვიანაო... ორ წუთზე საუბრობდნენ გერმანიაში, როცა ჩვენთან, ორი საათის დაგვიანებაც „მოსულა“.

ქართველებს დაჩლუნგებული კი არა აქვთ დროის აღქმის ფსიქოლოგიური მექანიზმი, არამედ არ იყენებენ ამ მექანიზმს. ვიდრე ჩვენში ქცევა არ იქნება დროში რეგლამენტირებული, სულ ასეთი დარდიმანდები დავრჩებით.

— რამდენი ხანი დაგვჭირდება, რომ ჩვენშიც ჩამოყალიბდეს დროისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება?

— სამი-ოთხი წელია საჭირო. ამის გამოსწორება სირთულეს არ წარმოადგენს. ნეტა ამის მეტი არაფერი გვჭირდეს... ამუშავდება ინდუსტრიული საწარმოები, ქარხნები, ფაბრიკები და ხალხიც ნელ-ნელა დროის ანგარიშს ისწავლის.

— პრეზიდენტებიც თუ იგვიანებენ შეხვედრებზე?

— ცოტათი. მაგალითი გადამდებია. საერთოდ, თანამდებობის პირმა უნდა მისცეს პუნქტუალობის მაგალითი სხვას. ჩვენ მაგალითის მომცემი არ გვყავს... დროს არ ვაფასებთ...

ლელა ჯიყაშვილი



რას გვეტყვი, მამაო?

— მე მარინე მქვია. მითხრეს, რომ ჩემი მოსახელე წმინდანი ძალიან ახალგაზრდა ეწამა ქრისტესთვის. გთხოვთ მიამბოთ ამ წმინდანის შესახებ.

— თქვენ ალბათ დიდმოწამე მარინეს გულისხმობთ, რომელსაც წარმართებმა 15 წლის ასაკში მოჰკვეთეს თავი. იგი საუკუნეში, ანტიოქიაში, მდიდარი ქურუმის ოჯახში დაიბადა. გოგონა ადრე დაობლდა და ქრისტე ძიძამ შეაყვარა. სწორედ ამ დროს მეფობდა ქრისტიანების დევნით განთქმული დიოკლეტიანე. მან ქრისტიანების დასასჯელად ანტიოქიაში ეპარქი გაგზავნა, რომელსაც მარინე გზაში შეხვდა. გოგონას არ დაუმალავს, რომ ქრისტიანულად მონათვლას აპირებდა. ეპარქი მოიხიბლა მისი მშვენებით და თან წაიყვანა. იფიქრა, რწმენას შევაცვლევინებ და ცოლად ვითხოვო. არაფერმა არ გაჭრა, არც ხვეწნამ და არც წამებამ. ნაწამები გოგონას საკანში ჯვარი გაბრწყინდა, ზედ მტრედი დაადგა და ზეციური ხმაც გაისმა: გიხაროდეს, მალე ზეციური მეფის სასუფეველში მიხვალო... იმავე წუთს ნაცემი წყლულებიც შეუხორცდა. განრისხებულმა ეპარქმა ბოლოს მისი წყლით სავსე კასრში ჩაგდება ბრძანა. წმ. მარინე ღვთაებრივმა ნათელმა გაანათა და ბორკილები შეეხსნა... ამის შემსწრე ადამიანებმა ჭეშმარიტი ღმერთი ადიდეს. ეპარქმა ისინიც არ დაინდო, სიკვდილით დასჯა. მარინეს თავი მოჰკვეთეს. წმინდა მარინეს უხრწნელი ნაწილები იტალიაში ასვენია. მათგან ერთი მკლავი ათონზე, ვათოპედის მონასტერშია დაცული, მეორე კი ჩვენთან, ზუგდიდში. წმინდა მარინეს მოხსენიების დღეა 30 ივლისი (ახ. სტ.).

— ვერაფრით ვამბობ ბავშვობის ასაკში ჩადენილ ცოდვას მოძღვართან, რადგან მრცხვენია... და განვიცდი. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

— უნდა იცოდეთ, რომ როცა მოძღვარს აღსარებას ეუბნებით, უფალი გისმენთ, ხოლო უფლისთვის ადამიანური სისუსტე, რა ფორმითაც არ უნდა გამოიხატოს, საკვირველი არ არის. რამდენადაც გულწრფელია და გულიდან მოდის სინანული აღსარების დროს, მით უფრო შეენდობა მონანულს. ბავშვობაში ჩადენილი ცოდვა რახან გაწუხებთ, ესე იგი, გულწრფელ ხართ და სანამ აღსარებაში არ იტყვით ამის შესახებ, განცდას ვერ მოიშორებთ. ამიტომაც თქვით მოძღვართან ის, რაც ამდენი ხანია გაწუხებთ. თუ გეუხერხულებათ — დაწვრილებით ნუ ილაპარაკებთ, ზოგადად აღნიშნეთ და ყრმობის შეცოდების სიმძიმეც მოგშორდებათ.

— გატაცებული ვარ კლასიკური მუსიკით და მითხრეს, „მუსიკანობა“ ცოდვააო. მართლა ასეა?

— კლასიკური ხელოვნება საკაცობრიო სიკეთის მატარებელია, ადამიანის ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება. აღსარების წიგნში ნახსენები „მუსიკანობის“ ცოდვა კი გულისხმობს ზღვარდაუდებელ მუსიკას (მაგ. მძიმე როკი!), რომელიც სახეს უცვლის ადამიანს, ურღვევს სულიერ სიმშვიდეს და არანაირი სიკეთისკენ არ მიჰყავს იგი.

— შეიძლება თუ არა ფსალმუნი და ჩვეულებრივი საათი ერთად ვატაროთ მაჯაზე?

— რასაკვირველია, შეიძლება. ფსალმუნი, ჯვარი და ყოველი საეკლესიო სიწმინდე, რომელსაც ატარებთ, რწმენის გამოხატულება უნდა იყოს და არა სამკაული, რომელიც რაღაცას უნდა შეუხამო. სასურველია, საათს არ ჰქონდეს ისეთი აგებულება, რომელიც ფსალმუნის დამცავ საფარს დააზიანებს.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

CMYK

რაზომ ამოწყვიტეს ასე შეუბრალებლად „მოლას“ ოჯახი

საყურადღებო ვერსიები


იმამალიევების სახლი მარნეულში

29 მაისს მარნეულში საზარელი დანაშაული მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა სოფელ ბაიდარში მცხოვრები აზერბაიჯანელი ვაგიფ იმამალიევი და მისი ოჯახის წევრები ავტომატებით დაცხრილეს. მოკლულია ოთხი კაცი. მათ შორის ორი არასრულწლოვანია — 13 წლის ამილა იმამალიევა და 10 წლის იმილ იმამალიევი. მკვლელობა შუაღამისას მოხდა. მაშინ, როცა ოჯახს მშვიდი ძილით ეძინა.

მკვლელობის დეტალებში გასარკვევად „კვირის პალიტრამ“ მარნეულის რაიონს მიაშურა. მომხდარი ფაქტით აქ ყველა გაოგნებულია. რამ გააბოროტა დამნაშავეები ისე, რომ ბავშვებიც არ დაინდეს? ამ კითხვაზე, ჯერჯერობით, ამომწურავი პასუხი არ არსებობს.

„დანაშაულის შესახებ ჩვენთვის დილის 9 საათზე გახდა ცნობილი, — გვითხრა მარნეულის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსმა, დემურ ცომაიამ, — მკვლელობა დაახლოებით ღამის პირველ საათზე მოხდა. ოთხსულიანი ოჯახი მთლიანად ამოწყდა“...

მარნეულის პოლიციაში გამორიცხავენ, რომ ბოროტმოქმედებს ბავშვები შეიძლება შემთხვევით მოეკლათ. იმამალიევები ისე არიან დაცხრილულები, ჩანს, მკვლელები არც აპირებდნენ რომელიმე მათგანის დანდობას.

მაინც ვინ იყო ვაგიფ იმამალიევი, რომელსაც ასე საშინლად გაუსწორდნენ. 35 წლის იმამალიევი თავს მკითხაობითა და სხვადასხვა სახის ჯადოს კეთებით თუ მოხსნით ირჩენდა, რის გამოც მას „მოლას“ ეძახდნენ (იმის მიუხედავად, რომ სასულიერო პირი არასოდეს ყოფილა). ბაიდარელი აზერბაიჯანელების თქმით, „მოლას“ კლიენტურა ასე თუ ისე ჰყავდა, მაგრამ მაინც ღარიბულად ცხოვრობდა. ასე რომ, როგორც მისი მეზობლები, ასევე მარნეულელი სამართალდამცველები, გაძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ. მეტიც, ორი წლის წინ „მოლა“ სიღარიბეს ყაზახეთში გაექცა, მაგრამ საქმეები ვერც იქ აწყო და რვა თვის წინ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც ძველი საქმიანობა — მკითხაობა და ჯადოს კეთება გააგრძელა.

სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ მკვლელობა შეიძლება მის ასეთ საქმიანობას უკავშირდებოდეს. „ამ ხალხს სწამს, რომ ჯადო მართლა არსებობს, — გვითხრა აზერბაიჯანელმა ფიზული ბაირამოვმა, — შეიძლება ვინმემ ცხოვრება ვერ ააწყო და ყველაფერი „მოლას“ დააბრალა. მაგრამ გაუგებარია, რა აზრი ჰქონდა ბავშვების დახოცვას?“.

ამ ვერსიას მარნეულის პოლიციაც ამუშავებს, მაგრამ სამართალდამცველები სხვა შესაძლო მოტივებსაც განიხილავენ. არ გამორიცხავენ, რომ ბაიდარში სასაკლაო რომელიმე დანაშაულებრივ ჯგუფს მოეწყო, რომელიც შიშობდა, რომ ნათელმხილველი „მოლა“ მათი საქმიანობის შესახებ ყველაფერს პოლიციას აცნობებდა(?!).

ერთი სიტყვით, შეიძლება დაუჯერებელი იყოს, მაგრამ მკვლელობის თითქმის ყველა მოტივი „მოლას“ ნათელმხილველობასა და ჯადოს კეთების უნარს უკავშირდება.

თუმცა, „კვირის პალიტრამ“ მარნეულში კიდევ ერთი ვერსიის შესახებ შეიტყო, რომელიც შეიძლება სინამდვილესთან ყველაზე ახლოს იყოს. თავდაპირველად, სამართალდამცველებს ამ ვერსიის შესახებ ჩვენთან საუბარი არ სურდათ. როგორც ბაიდარელები ამბობენ, ყაზახეთში ვაგიფ იმამალიევის ძმას ჩხუბი მოსვლია საკუთარ თანამემამულეებთან და ერთი მათგანი შემოჰკვდომია. „მოლას“ ძმამ სასჯელი მოიხადა, მაგრამ გათავისუფლების შემდეგ შურისძიების შიშით სადღაც გაიქცა. ამ ვერსიის თანახმად, მკვლელები სინამდვილეში „მოლას“ ძმაზე ნადირობდნენ, მაგრამ როცა ვერსად მიაკვლიეს, სისხლიანი ჟინი სრულიად უდანაშაულო ადამიანებზე მოიკლეს. როგორც ჩანს, მარნეულის პოლიციაშიც ეს ვერსია მიაჩნიათ უფრო ყურადსაღებად.

დემურ ცომაია: „ყველა ვერსიაზე ვმუშაობთ. მათ შორის ამ ვერსიაზეც. ვაგიფ იმამალიევის ძმა მაშინ ალმა-ატაში გაასამართლეს და იქიდან ველოდებით ინფორმაციას. იმედი გვაქვს, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება...“

დანაშაულის სწრაფად გახსნის იმედი მარნეულელებსაც აქვთ. როგორიც უნდა იყოს მარნეულური ვენდეტას მოტივები, მისი რაიმეთი გამართლება დაუშვებელია — ბავშვების დახოცვა რიგითი დანაშაულის საზღვრებს სცილდება და კატასტროფის დანაშაულად ფიქსირდება. ერთადერთი ვერსია, რომელსაც სამართალდამცველები არ განიხილავენ და ადგილობრივი მცხოვრებნიც გამორიცხავენ, ეროვნული ნიშნით დაპირისპირებაა: დღეს ქართველები და აზერბაიჯანელები მეგობრულად ცხოვრობენ და ამ დანაშაულთან რაიმე სახით ქართველების დაკავშირება გამორიცხულია. ამას ერთხმად აღიარებენ როგორც პოლიციელები, ასევე ადგილობრივი მცხოვრებლებიც.

P. S. იმედია, მარნეულში მომხდარი ამაზრზენი დანაშაული მალე გაიხსნება და მკვლელები საკადრის პასუხს მიიღებენ. „კვირის პალიტრა“ ამ საქმის ირგვლივ მომავალშიც მოგაწვდით ინფორმაციას.

ყაჩაღებისთვის მარშრუტი წინასწარ იყო ცნობილი

ბოლო დროს თბილისში ყაჩაღობის ფაქტებმა კატასტროფულად იმატა. მიუხედავად იმისა, პოლიციის მაღალჩინოსნები თავს იწონებდნენ ბობოლა დამნაშავეების დაკავებითა და წარმატებით განხორციელებული სხვადასხვა ანტიკრიმინალური ოპერაციით, ფაქტია, რომ ქუჩაში სიარული თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა არცთუ უსაფრთხოა. სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო ათი დღის მანძილზე რამდენიმე ათეული ყაჩაღობის ფაქტი დაფიქსირდა. მათ შორის ყველაზე თავხედური თავდასხმა ბოროტმოქმედებმა ჯავახიშვილის, ყოფილი ელბაქიძის ქუჩაზე, დღისით-მზისით განახორციელეს.

ამჯერად ყაჩაღებმა მიზანში „ჯეოსელის“ თანამშრომლები ამოიღეს. დათო ახვლედიანს, ტარიელ ტყეშელაშვილსა და ნინო შენგელიას, რომლებიც „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომობილით მგზავრობდნენ, საკმაოდ სოლიდური თანხა — 35 ათასი ლარი გადაჰქონდათ. ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში მათ ნიღბიანი პირები შეიჭრნენ. ახვლედიანმა იხუმრა, ალბათ სპეცნაზი ჩვენს აყვანას ცდილობსო. სიტყვა არც ჰქონდა დამთავრებული, რომ უეცრად სროლის ხმა გაისმა. „კალაშნიკოვითა“ და „მაკაროვით“ შეიარაღებულმა ხუთმა ნიღბიანმა პირმა „ფოლკსვაგენის“ მგზავრებს ცეცხლი გაუხსნა.

თავდამსხმელებმა მანქანის გაჩერება მოახერხეს, კარი გამოაღეს და ფული მოითხოვეს. ოღონდ აღარ ესროლათ, დაჭრილები თანახმა იყვნენ, რომ თავდამსხმელებს ფული წაეღოთ. მათაც ფულს დასტაცეს ხელი, შავი ფერის „ბმვ“-ში ჩასხდნენ და მიიმალნენ.

დათო ახვლედიანს, რომელიც ფირმაში მოლარედ მუშაობს, სამი ტყვია აღმოაჩნდა მუცლის არეში. შიდადაცვის თანამშრომელი ტარიელ ტყეშელაშვილი კი ორი ტყვიით დაიჭრა გულმკერდში. საბედნიეროდ, ტყვიას გადაურჩა ნინო შენგელია, რომელმაც სროლის დროს მანქანის სალონში ჩაწოლა მოასწრო. მას ბოროტმოქმედებმა ფულის წართმევის დროს იარაღის კონდახი ჩაარტყეს თავში.

შემთხვევის ადგილზე პოლიციელები ოპერატიულად მივიდნენ, თუმცა თავდამსხმელების გზაკვალი ვერავინ აღმოაჩინა. ყაჩაღებისთვის, ჩანს, კარგად იყო ცნობილი „ჯეოსელის“ თანამშრომელთა გადაადგილების მარშრუტი. „ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომლის გამყღავნება, ჯერჯერობით, არ არის მიზანშეწონილი, — გვითხრეს თბილისის პოლიციის სამმართველოში. — სერიოზულად მუშავდება ვერსია, რომ ბოროტმოქმედებისთვის „ნაკოლი“ შეიძლება „ჯეოსელის“ რომელიმე თანამშრომელს მიეცა. საინტერესო დეტალია, არც ტყეშელაშვილს და არც ახვლედიანს იარაღი არ ჰქონდათ. ისინი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ვიღაცამ კი სასიკვდილოდ გაწირა. საბედნიეროდ, ექიმებმა ორივეს გადარჩენა შეძლეს. ამის მეტს ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით“.

მოახერხებენ თუ არა სამართალდამცველები დანაშაულის გახსნას, ძნელი სათქმელია. ერთი რამ ცხადია, დანაშაულის გასაღები იმ ხალხში იქნება საძებნელი, რომლებმაც „ჯეოსელის“ თანამშრომლების გადაადგილების მარშრუტი იციან. ეს გარემოება არცთუ ისე უმნიშვნელო კოზირია სამართალდამცველების ხელში. პოლიციაშიც ადასტურებენ, რომ გამოძიება სწორედ ამ კუთხით წარიმართება და ყაჩაღების კვალზე გასვლას შეძლებენ.

მოამზადა
დავით დევიძემ



სამხრეთ ოსეთი – სააკაშვილის მეორე მიზანი?



საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა — ჩემი მთავარი მიზანი საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა არისო. აჭარის პრორუსულად განწყობილი მეთაურის, ასლან აბაშიძის ხელისუფლებიდან მოშორებით მან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. სამხრეთ ოსეთი ახალი სამიზნეა. სააკაშვილმა პრესკონფერენციაზე თავად მიანიშნა, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლა მხოლოდ მიზეზი იყო, ხოლო ჯარების გაგზავნა — ნიადაგის მოსინჯვა. საქართველო მტკიცე საზღვრებიანი სახელმწიფოა და არა უპატრონო მიწა, რომელსაც უცერემონიოდ შეიძლება მოექცეს ყოველი გენერალი. რასაკვირველია, იგი გულისხმობდა სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობო ჯარის მეთაურს, გენერალ-მაიორ ნაბზდოროვს. კრემლი ამ ბოლო დროს დაადგა აზრს, რომ ძლიერი საქართველო შეიძლება დიდად სასარგებლო აღმოჩნდეს ჩეჩენ სეპარატისტებთან ბრძოლაში. თავისი მომხრის დამხობას აჭარაში მოსკოვი შედარებით მშვიდად შეხვდა, მაგრამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პრეზიდენტ პუტინს სეპარატისტებთან მოლაპარაკება მოუწევს, თორემ რუსეთის სამხრეთ კავკასიას შავი ღრუ დაადგება.

რეგიონის ზოგიერთი ხალხი აფხაზთა მონათესავეა, მათსავით ისლამის მიმდევარი და თანამოძმეებს ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაეხმარა თბილისთან ბრძოლაში. ახალი შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, შეიძლება პოლიტიკური რუკა შეიცვალოს, რადგან სტალინის მიერ შეკოწიწებული ავტონომიური რესპუბლიკები არამდგრადია პოსტკომუნისტურ რუსეთშიც და მოსკოვისადმი მათი ლოიალობაც პირობითია.

დი პრესე, ავსტრია

რატომ განაკულაკეს თავადი

აჭარელ მეგობარს პოსტს უმზადებენ მოსკოვის მთავრობაშიო...

ასლან აბაშიძე საქართველოში მიმდინარე მოვლენებს რუსეთიდან ადევნებს თვალს. ის ინტერვიუს არავის აძლევს, გამონაკლისი გახდა „არგუმენტი ი ფაქტი“.

აბაშიძეს აეროპორტში პირველი შეხვდა იური ლუჟკოვი. მას შემდეგ ისინი თითქმის სულ ერთად არიან. ბაბუ რამდენიმე დღე ქალაქის თავთან ერთად, სისხამ დილიდან გვიან ღამემდე დადიოდა მშენებლობებსა და სხვა ობიექტებზე. შეიძლება სწორედ ამის გამო გავრცელდა ხმა, აჭარელ მეგობარს პოსტს უმზადებენ მოსკოვის მთავრობაშიო.

— რას ფიქრობთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებზე?

— საქართველოს ახალი ხელისუფლების ქმედებებმა აჭარაში, გზა გადაუკეტა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას. მოვლენები იქ იმავე ფორმულით განვითარდება, როგორც აჭარაში, მაგრამ თითქმის გადაულახავი ბარიერებიც დახვდებათ. ჯერ ერთი, აფხაზები და ოსები სხვადასხვა ეროვნებებია, ამიტომაც წინააღმდეგობებიც მეტი იქნება. მათ სასტიკი სამოქალაქო ომები გადაიტანეს, რის გამოც არ ენდობიან ქართველებს; მეორე — ოსთა და აფხაზთა უმრავლესობა რფ-ის მოქალაქეა, ეს კი ნებისმიერი აგრესიისგან კონსტიტუციური საფუძველი და დაცვის გარანტიაა; მესამე — კონფლიქტს ავტომატურად შეუერთდებიან ოსებისა და აფხაზების მონათესავე კავკასიელი ხალხები. დაბოლოს, თავის როლს ითამაშებს იქ მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტი და, რაც მთავარია, რფ-ის აშკარა და მტკიცე პოზიცია.

— ხომ არ იცით, რა მასშტაბებით „განაკუღაკა“ აჭარა თბილისმა?

— სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებაში ახალი ძალების მოსვლა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტით კი არ დაიწყო, არამედ რეჟიმის ე.წ. მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორებით. სინამდვილეში კი მთავარი მიზანი საკუთრების გადანაწილება იყო, მაგრამ სპეციფიკური სცენარით: სატელევიზიო დაჭერები და გათავისუფლებები, საკუთრების და ფინანსების ექსპროპრიაცია ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე. რაც შეეხება აჭარის „განკულაკებას“ — ყველაფერი, რაც ფასეულობას წარმოადგენს, ეკუთვნოდა და ეკუთვნის სახელმწიფოს და არა კერძო პირებს.

— თუ აპირებთ აჭარაში დაბრუნებას და რა პირობებით?

— აჭარა ჩემი სამშობლოს ის ნაწილია, რომელსაც 1453 წლიდან ჩემმა წინაპრებმა, იმერეთის სამეფოს დიდმა თავადებმა, დაუკავშირეს ბედი. ადამიანს ერთი კერა და ერთი სამშობლო აქვს. მე არავის განვუდევნივარ სამშობლოდან. მოვა გამოფხიზლების დრო, დამთავრდება ეს ქაოსი და აჭარაში დავბრუნები. და არა მარტო მე!

არგუმენტი ი ფაქტი №22

მოსკოველი ოლიგარქები და პარიზელი ქალბატონები

საქართველოს 36 წლის პრეზიდენტი კვლავ აოცებს მსოფლიოს. მან ახალი ილეთი გააკეთა — რუსეთის ოლიგარქი ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. 48 წლის კახა ბენდუქიძე, რომელმაც რუსეთში უდიდესი მანქანათმშენებელი კონცერნი შექმნა, აპირებს, თავისი ორგანიზატორული ნიჭი საქართველოს დანგრეული სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად გამოიყენოს. განათლებით ბიოლოგი, რომელმაც საქმიანობა პატარა კოოპერატივით დაიწყო, ალბათ შეინარჩუნებს რუსეთის მოქალაქეობას. ამის პრეცედენტი თავად სააკაშვილმა შექმნა, როცა საზღვარგარეთელი ქართველი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა. მინისტრი საფრანგეთის მოქალაქედ დარჩა.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სააკაშვილი საოცარი სისწრაფით მოქმედებს. ამ პათოლოგიურად კორუმპირებულ ქვეყანაში, მისი ბრძანებით, ათეულობით კორუმპირებული მაღალჩინოსანი დააპატიმრეს, თანაც ხალხის ოვაციის თანხლებით. სააკაშვილმა დაშლილი სახელმწიფოს აღდგენის პირობაც დადო. მაისის დასაწყისში მოახერხა აჭარის შემოერთება, რომელსაც 13 წლის მანძილზე ერთპიროვნულად, ფაშასავით მართავდა ადგილობრივი თავადი ასლან აბაშიძე. ახლა სააკაშვილს კიდევ ორი მეამბოხე პროვინციის — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება უნდა. რადგან აფხაზეთთან კონფლიქტის მოგვარება გაძნელდება, გადაწყვიტა, ოსეთიდან დაიწყოს. გასულ კვირას მან იქ 400-კაციანი ჯარი გაგზავნა, რამაც სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებისა და მოსკოვის გულისწყრომა გამოიწვია. პუტინთან საუბრის შემდეგ სააკაშვილმა ჯარები უკან დააბრუნა, ხოლო კონტრაბანდასთან მებრძოლ ქართველ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები კვლავ დგანან პოსტზე. ტელეფონით მიღწეული წარმატება აჭარის მოვლენებს ჰგავს. პუტინს სხვა გამოსავალი არ დარჩენია, გარდა სააკაშვილთან კარგი ურთიერთობის დამყარებისა. ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტს ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარებაში დახმარება აღუთქვა, მეორე მხრივ, სააკაშვილს მხარს უჭერს ვაშინგტონი, რომელიც წელს 160 მლნ დოლარის დახმარებას დაჰპირდა საქართველოს. ამავე დროს, რუსეთში არიან ძალები (უმთავრესად, სამხედროთა შორის), რომლებიც ეცდებიან, ხელი შეუშალონ აფხაზეთის თბილისისთვის „დაბრუნებას“. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ საქართველოში დაბრუნება არც აფხაზებს სურთ და არც ოსებს.

ალგემაინე ცაიტუნგი

თბილისური ვარდები სოჭიში მიაქვთ

უკრაინული საწყობები ააფეთქეს, რათა აფხაზეთში იარაღის ჩატანის ფაქტი დაემალათ?



ამ ბოლო დროს პოლიტიკური ისტებლიშმენტი კვლავ ალაპარაკდა საქართველოსა და აფხაზეთს შორის შესაძლო სამხედრო დაპირისპირებაზე. ამბობენ, ეს იყო რუსეთის ხელმძღვანელობასა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას შორის მოლაპარაკებების მთავარი თემაო. სოხუმი თავდაცვისთვის ემზადება. სხვადასხვა ინფორმაციით, უკრაინაში, მელიტოპოლთან სამხედრო საწყობების ამასწინანდელი აფეთქებები და ხანძარი შეიძლება საგანგებოდ მოეწყო აფხაზეთში გატანილი დიდძალი საბრძოლო ტექნიკისა და ტყვიამწამლის კვალის დასაფარავად. ანალიტიკოსების აზრით, აფხაზეთის არმიის არსენალის შევსება შეიძლება სწორედ ამ გზით მოხდა. ცნობილი პოლიტტექნოლოგი ანტონ სურიკოვი, რომელიც აფხაზეთში აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში, უკრაინაში აფეთქებებსა და მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ ამბობს: — „გამორიცხული არ არის, რომ საწყობებიდან იარაღი გაეტაცათ. რუსეთშიც და უკრაინაშიც ასეთი სახით ჩამოწერდნენ ხოლმე საბრძოლო ტექნიკის ქურდობას. ჩემთვის ცნობილია, რომ აფხაზეთის ახლანდელი შეიარაღება არაფრით ჩამოუვარდება საქართველოსას, 1992-93 წლებში აფხაზები გუდაუთაში მდგარი საბჭოთა არმიის ნაწილების იარაღით შეიარაღდნენ.

ადვილი შესაძლებელია, რომ თბილისის სამხედრო ნაწილებმა გალის რაიონი და კოდორის ხეობა კონტროლის ქვეშ აიყვანონ — აქ ქართველები ცხოვრობენ, მაგრამ უფრო ღრმად ვერ შევლენ. კონფლიქტი კვლავ პოზიციურ ხასიათს მიიღებს. ავიაციის გამოყენება შეუძლებელი იქნება, რადგან უკანასკნელი მონაცემებით, აფხაზებს ПВО-ს საშუალებებიც ბლომად აქვთ და უახლესი ПЗРК-ც. ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს, რომ ქართულმა ჯარებმა სოხუმთან მისვლა შეძლონ, აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია“. მისი ინფორმაციით, საქართველოს ხელმძღვანელობა განიხილავს საბრძოლო მოქმედებების დაწყების საკითხს. სოხუმში ჯარების შეყვანა დაახლოებით ნოემბრისთვის არის დაგეგმილი.

სხვადასხვა მონაცემით, ამ კონფლიქტით გარე ძალები არიან დაინტერესებულნი. რუსეთის სპეცსამსახურები არ გამორიცხავენ, რომ ზოგიერთი საერთაშორისო კორპორაცია დაინტერესებულია აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის გაღვივებით და იყენებს მას სამივე ქვეყანაზე — საქართველოზე, აფხაზეთსა და რუსეთზე — ზეწოლის ბერკეტად. რუსეთისთვის ასეთი დესტაბილიზაცია ხელსაყრელი არ არის, რადგან ამან შეიძლება სამხრეთ-კავკასიური რეგიონების და ჩეჩნეთის „აფეთქება“ გამოიწვიოს. კრემლი საქართველოზე ზეწოლის შესაძლებლობას კარგავს, რომელსაც აფხაზეთის საშუალებით ახერხებდა, თანაც რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლის საშიშროება დგება.

საქართველო კასპიის ნავთობისა და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტისთვის კერძო კორპორაციების ბრძოლის ველად გადაიქცევა. ამ კორპორაციებს ინტერესები თავად აფხაზეთშიც აქვთ. ლაპარაკია იმაზე, რომ ლიდერობისთვის ბრძოლა მიმდინარეობს ვლადისლავ არძინბას კლანსა და იმ კლანებს შორის, რომლებსაც აღარაფერი ერგოთ არც პოლიტიკასა და არც კომერციაში. სწორედ ამის გამოყენებას აპირებენ სპეცსამსახურები.

ვერსია №20

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა

თვითინვესტირებული კახა



კახა ბენდუქიძის საქართველოს ეკონომიკის მინისტრად მოწვევის იდეა პრემიერ ზურაბ ჟვანიას ეკუთვნის — მოსკოვში ვიზიტის დროს დაურეკა და სამშობლოში დაბრუნება შესთავაზა. ბენდუქიძე დაჰპირდა — ვიფიქრებო. თბილისში ჟვანიამ მოახერხა ოლიგარქის მინისტრობაზე დათანხმება. სააკაშვილმა მოიწონა პრემიერის არჩევანი — ბენდუქიძე ჭეშმარიტი პატრიოტიაო და დაუმატა, — ჩემი მთავარი მიზანი საქართველოში რუსეთის ინვესტიციების მოზიდვა არისო. ბენდუქიძემ უკვე იცის, რა და როგორ გააკეთოს. რუსეთის კაპიტალს უპირველესად შესთავაზებენ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს: პორტებს, რკინიგზას, ენერგეტიკას, მილგაყვანილობას. ბენდუქიძის მოწვევა ალბათ ორმა მთავარმა ფაქტორმა განაპირობა: ის არა მარტო რუსული ბიზნესის, არამედ რუსეთის ხელისუფლების რეალიების საუკეთესო მცოდნეა. თბილისს კი განზრახული აქვს, ყველა იმ პრობლემის ლიკვიდაცია, რომელიც ხელს უშლის რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარებას. ბენდუქიძე ზელიბერალური იდეებითაა ცნობილი და ახალმა ქართულმა მთავრობამ ჩათვალა, რომ ბიუჯეტის სახსრების კატასტროფული უკმარისობის ერთადერთი საშველი — საგადასახადო სფეროში რეფორმების გატარებაა.

ეკონომისტი ბენდუქიძე ყოველთვის ამტკიცებდა, — რაც ნაკლებია საგადასახადო ნიხრი, მით მეტი ფული შევა ხაზინაშიო. თბილისმაც გადაწყვიტა, ესარგებლა ამ მოსაზრებით. ეკონომიკის მინისტრმა თავის ეკონომიკურ კურსს „ულტრალიბერალური“ დაარქვა, ხოლო კითხვაზე, ხომ არ ეშინია, რომ საქართველოში იგივე მოხდება, რაც სხვა ღარიბ ქვეყნებში, — ანუ ნახევარი წლის შემდეგ გადატრიალება, — მოკლედ უპასუხა: — არა!

28 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ბენდუქიძე ამბობს:

საქართველოს შესახებ: — ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად ხალხის ნდობაა საჭირო. ერთი წლის წინ საქართველოში ასე არ იყო. ახლა შესაფერისი სიტუაციაა.

ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ: — მთავარია, ყველა იმ წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც საქართველოში ბიზნესის შემოსვლას უშლის ხელს. ახლა მოქმედების და გამდიდრების დრო დადგა... შეიძლება რამდენიმე მსხვილი ობიექტის პრივატიზება. იმედი მაქვს, დავარწმუნებ მთავრობას და პარლამენტს, რომ ამის გამო ქვეყნის უსაფრთხოება კი არ შესუსტდება, პირიქით, გაძლიერდება.

ხელფასის შესახებ: — მინისტრებს საქართველოში ხელფასი 1.200 დოლარამდე აქვთ. ეს ფუფუნების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ არსებობა შეიძლება.

სილარიბესთან ბრძოლის შესახებ: სიღარიბესთან ბრძოლა მხოლოდ გამდიდრების გზით შეიძლება.

ოცნებებზე: — ვისურვებდი, საქართველოს ეკონომიკის უკანასკნელი მინისტრი ვიყო, რადგან ნორმალურ ეკონომიკას ეკონომიკის სამინისტრო არ სჭირდება.

კომსომოლსკაია პრავდა №101

იბეჭდება მცირედი შემოკლებით


ექიმ-ექსპერტი
ელექტრონული
ექიმ-ექსპერტის
ელექტრონული
ექიმ-ექსპერტი
ელექტრონული
ექიმ-ექსპერტი
ელექტრონული
ექიმ-ექსპერტი



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



ანეკდოტები გერიატრიაში

5 წლის **გიორგი თურაშვილი** დედას ბაღიდან მოჰყავს. ბიჭუნა ეკითხება:

— დედიკო, მე რომ გიორგობას დავიბადე (დაბადებულია 23 ნოემბერს) და გიორგი მქვია, მაკო მაკოობას დაიბადა?

***

ფილმის ერთ პერსონაჟზე პატარა **ანიმ** თქვა, — ბოროტიაო.

ანიმ ჰკითხა:

— ინსტიტუტი დაამთავრა, ბოროტი რომ გამოვიდა (ბოროტი სპეციალობა ეგონა)?

***

პატარა **ანი გაჩეჩილაძეს** უთხრეს, ბებომ ფეხი მოიტახაო.

— თუ მოიტეხა, რატომ აბია? — გაიკვირვა გოგონამ.

***


5 წლის **ზურა** მამამ დატუქსა:

— საათს ხელი არ ახლო, მასში მგელია დამწყვდეული.

სამსახურიდან დაბრუნებულ მამას ზურამ მიახარა: — მამა, მგელი მოვკალიო.

თურმე ბიჭს საათი ბეტონის იატაკზე დაუდია და ზედ დიდი ქვა დაურტყამს.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ტყავი ფასობს, ხორცი არა, ქათმებს დასდევს წარამარა.“**



ხალიჩების ოსტატი

ზღაპარი

ერთი ქვეყნის მეფემ თავისი ხალხი დაგზავნა ქალაქში, გაიგეთ, სად რა ხმები დადისო. ამ მეფეს ერთი კეთილი ვეზირი ჰყავდა. ერთ საღამოს ამ ვეზირმაც შემოიარა ქალაქის ქუჩები. უცებ რაღაცნაირ ხმას მოჰკრა ყური. ნეტავი რა ხდებაო, — გაიფიქრა ვეზირმა და იქით წავიდა. ხედავს, ერთ ძველ სახლში ზის კაცი, ხალიჩას ქსოვს და თან ცრემლნარევი ხმით იხვეწება, ჩემო ენავ, ათასგზის გემუდარები, უბედურებას ნუ შემამთხვევო.

ეს კაცი ტყუილად არ არის შეწუხებულიო, — თქვა თავის გულში ვეზირმა და იმ დღიდან თითქმის ყოველღამე დადიოდა ყურის საგდებად.

ხალიჩების მქსოველი უბადლო ოსტატი გამოდგა. დაასრულა ხალიჩა და ბაზარზე გაიტანა გასაყიდად. მთელ ბაზარში უკეთესს ვერაფერს ნახავდა კაცის თვალი. ერთი მნახველი მაშინვე გაიქცა მეფესთან ამ ამბის სათქმელად.

— მეფეო, დღეს ბაზარზე ერთი იმისთანა ხალიჩა იყიდება, მსგავსი არსად არაფერი მინახავს. ვიფიქრე, მხოლოდ მეფის სასახლეს დაამშვენებსმეთქი და მაშინვე აქეთ გამოვეშურეო.

— წადი და ის კაცი აქ მომგვარეო, — უბრძანა მეფემ.

კაცი წავიდა და ხალიჩის ოსტატს უთხრა:

— ხელმწიფე გეძახისო.

ოსტატი ეახლა მეფეს. მეფემ ნახა ხალიჩა და გაოცებულმა იკითხა:

— რას აფასებო?

კაცმა თქვა ფასი. ხელმწიფემ იქვე გადაუხადა ფული და ჰკითხა:

— ოსტატო, ეს ხალიჩა შენი ნახელავია და შენ უფრო გეცოდინება, ყველაზე უკეთესად როგორ მოვიხმაროო.

კაცმა მიუგო:

— ო, ჩემო მბრძანებელო, ყველაფერს სჯობია, როცა მოკვდები, ამ ხალიჩაზე დაგასვენონ და გაგაპატიოსნონ, მანამდე კი დაკეცე და შეინახეო.

ხალიჩის ოსტატის პასუხმა მეფე გააცოფა და იქვე უბრძანა ჯალათს:

— ეს კაცი სახრჩობელაზე დაკიდეო.

საქმეში ჭკვიანი ვეზირი ჩაერია და მეფეს შეეხვეწა, მომისმინეო:

— გემუდარები, ჩემო მბრძანებელო, ამ კაცს სიკვდილით ნუ დასჯი. ახლა გეტყვი მიზეზს: ერთ საღამოს, ქალაქს რომ ვუვლიდი, რაღაც ხმა შემომესმა. მივდივე იმ ხმას, მივედი ახლოს და კაცი დავინახე, იჯდა იმ შუაღამისას, ხალიჩას ქსოვდა და თან ცრემლების ყლაპვით იმუდარებოდა, ჩემო ენავ, რა იქნება, უბედურებას არ გადამყაროო. მას მერე ყოველღამე მივდიოდი ამ კაცის დასახედად და შინ დილაბნელზე ვბრუნდებოდი. ყოველღამ ერთი და იგივე მესმოდა. თურმე ძნელი ყოფილა გრძელი ენის დამოკლება, კაცს თავისი ენა ან გააბედნიერებს, ან გააუბედურებს. ეს ოსტატიც ასეა და, მოდი, გავუშვათო.

მეფემ გაუშვა ხალიჩების ოსტატი. ისიც დაბრუნდა შინ, შეუდგა თავის საქმიანობას და ძველებურად ცრემლმორეული ეხვეწებოდა თავის ენას, უბედურებას ნუ გადამყრიო.

მას მერე ჭკვიანი ვეზირი ხშირად იტყოდა ხოლმე: როცა არ იცი, შენი ენა როდის რას წამოროშავს, ჯობია, მუნჯი იყოო.

იპოვე ორი ერთნაირი ჩიტი



III ანა, გამოიცანი

1) ვისი ძე იყო დავით აღმაშენებელი?

ა) გიორგი II-ის; ბ) ბაგრატ IV-ის; გ) დემეტრე I-ის; დ) გიორგი III-ის.

2) რომელი ფრინველი მღერის სიკვდილის წინ?

ა) შაშვი; ბ) იადონი; გ) ყვავი; დ) გედი.

3) ფუნქცია, რომელიც აკისრია ადვოკატს სასამართლოში?

ა) მოწმე; ბ) დამცველი; გ) მსჯავრდებული; დ) მსჯავრმდებელი.

4) რომელი ცხოველი არ არის საქართველოს ტყეებში?

ა) მგელი; ბ) დათვი; გ) ტურა; დ) ვეფხვი.

5) რა ერქვა დონ კიხოტის ცხენს?

ა) პიგმალიონი; ბ) როსინანტი; გ) ბუცეფალი; დ) მარკანი.

6) „ბურატინოს თავგადასავლის“ მიხედვით, ამათგან რომელი იყო პუდელი?

ა) პიერო; ბ) მალვინა; გ) არტემონი; დ) ბაზილიო.

7) რა ეწოდება გასართობ სალამოს, რომელზეც ნიღბები უკეთიათ?

ა) ბიენალე; ბ) მასკარადი; გ) კარნავალი; დ) ა-ლა-ფურშეტი.

8) რა სიტყვებით მოიხსენიებენ კეთილშობილ, უშიშარ, თავდადებულ მამაც მებრძოლს?


ა) პარტიზანი; ბ) რაინდი; გ) მოხალისე; დ) გუშაგი.

9) რა ჰქვია ტაძრის კედელზე ან თაღზე შესრულებულ ნახატს?

ა) გრავიურა; ბ) ბარელიეფი; გ) სკულპტურა; დ) ფრესკა.

იპოვე 11 განსხვავება





პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუცი შვილმა



„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც ნაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — + და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ○ ქელია და ქნუკრიჩიჩა
2. ○ ქალთევზა
3. ○ ნაცარქექია
4. ○ პაწია მზეთუნახავი
5. ○ კოშკლე
6. ○ ირემისა
7. ○ ჩიპოლინო
8. ○ ნიმილაჟუდა
9. ○ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ○ ხუთკუნჭულა
11. ○ ეაკნაგუნა
12. ○ თოვლის დედოფალი
13. ○ ბრემენელი მუსიკოსები
14. ○ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ○ საში გოჭი
16. ○ თორმეტი თვე
17. ○ სიზმარა
18. ○ მაუგლი
19. ○ ჩექმებიანი კატა
20. ○ მგელი და შვიდი თიკანი
21. ○ ნამცეცა
22. ○ ნანევარქათამა
23. ○ საში ფორთოხალი
24. ○ გოგონა და შრჩხული
25. ○ ნიქარა
26. ○ ალადინი
27. ○ ლორების მწყემსი
28. ○ მძლეთამაძლე
29. ○ ქოჩორა რიკე
30. ○ უფლისწული პაპაყი
31. ○ ბულბული
32. ○ რიკი-ტიკი-ტავი
33. ○ კონკია
34. ○ პანიჩკი იხვის ჭუკი
35. ○ კატა, მაგალი და ვერა
36. ○ ცერცლენა
37. ○ პაუცინარი პრინცესა
38. ○ ველური გედები
39. ○ გაქვავებული საქეთო
40. ○ გოგონა და საში დათვი
41. ○ წითელი ფეხსაცმელები
42. ○ ოქროდოგული კატა
43. ○ ვეჩოგბურე
44. ○ თხისყურებიანი მეფე
45. ○ ბურატინოს თავგადასავალი
46. ○ ლოში და კურდღელი
47. ○ ოქროდოგული ბუ
48. ○ არვიცის პატარა
49. ○ ჯიუტი სპილენა
50. ○ შრომის შვილი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში. აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

მამულ-დედული

ივნისის თვის სამუშაოები

ბაღი. ივნისის დასაწყისი კარგი პერიოდია ხეხილის დასაცავად დაავადებებისა და მავნებლებისგან. სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ შეასხურეთ 2%-იანი ბორდოს ხსნარი, ხოლო მავნებლების წინააღმდეგ გამოიყენეთ მცენარეული საშუალებები. ასე მაგალითად, ანწლის ახალმოკრეფილი ფოთლების და ყვავილების წყლიანი ნაყენი ანადგურებს ბუგრებს. ხახვის ფურცლის ნაყენი (200 გრამი ფურცელი 10 ლ წყალზე) ეფექტური საშუალებაა აბლაბუდის მკეთებელი ტკიპის საწინააღმდეგოდ...

მცენარეებს მოაშორეთ გამონაყარი შტამბზე და ვარჯის შუაგულში. შეწამლეთ მხოლოდ ზედმეტი ყლორტების მოცილების შემდეგ.

ებრძოლეთ სარეველებს, დაგლეჯეთ და ხეს ძირში დაუყარეთ.



ვენახი. ახლა ვენახში ყლორტების ახვევისა და ნამხარის შეცლის დროა. ნამხარი ფოთლის იღლიაში ვითარდება და უქმად ხარჯავს სანაყოფე ყლორტებისთვის საჭირო ნივთიერებებს. ასევე მოსაცილებელია შტამბზე და სხვა მრავალწლოვან ტოტებზე არსებული ამონაყრები, ყველა უნაყოფო ყლორტი (გარდა სამამულედ დატოვებულ რქაზე განვითარებულისა). შეწამლეთ 1%-იანი ბორდოს ხსნარით.

ებრძოლეთ მოძალებულ სარეველებს. ძირიანად მოთხარეთ და ვაზებს ძირში მიუყარეთ ირგვლივ. ამას ჰქვია მულჩირება. მულჩი კარგად ინარჩუნებს ტენიანობას, ხოლო შემდგომ მისი ნიადაგში ჩაბარვა ორგანულ სასუქად გამოადგება.

ბოსტანი. აუცილებელია: სარეველებთან ბრძოლა, ნიადაგის გაფხვიერება, პამიდორისთვის სარის შედგმა, ზედმეტი ყლორტების მოცილება და ახვევა.

კარგი დროა მცენარეთა დამატებითი გამოკვებისათვის — შეიტანეთ ბოსტანში წყალში გახსნილი ორგანული სასუქი.

შეიძლება ქინძის და კამის განმეორებითი დათესვა.

ბულბული



ბოლოქანქარასებრთა ოჯახის ეს მშვენიერი წარმომადგენელი სულ 22-30 გრამს იწონის, მაგრამ თავისი უნიკალური ღირსებით — გასაოცარი გალობით, ყველა ფრინველს სჯობს.

ვისაც აყვავებული, ვარდისფერყვავილიანი ასკილის ტოტზე შემომჯდარი, ამღერებული ბულბულისთვის მოუსმენია, ჩათვალეთ, რომ ეს ხმა არასოდეს დაავიწყდება.

ბულბული გალობს დღისითაც და ღამითაც, მაგრამ ღამის გალობა, ღამისეული სიმყუდროვის ფონზე, განსაკუთრებით გამოირჩევა სინაზითა და დახვეწილობით. ყოველი „მელოდია“ რაკრაკით ბოლოვდება, შემდეგ ხელახლა იწყება და ასე გრძელდება დაუსრულებლად...

საინტერესო ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა ბულბულები ზრდასრულებისგან სწავლობენ გალობას — ისინი უბრალოდ ჰბაძავენ მათ, ხოლო შემდგომ, დამოუკიდებლად ხვეწენ.

ბულბულის ბუდობის არეალი მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის შუა და სამხრეთ ნაწილებს, საიდანაც ვრცელდება დასავლეთ ციმბირში. დასავლეთით აღწევს დანიამდე, გერმანიამდე, პოლონეთამდე, უნგრეთამდე; სამხრეთით დაახლოებით, მდ. დუნაის გაყოლებით, ვრცელდება შავი ზღვის სანაპიროებამდე; მოიცავს ყირიმს, ჩრდ. კავკასიას, ყაზახეთის ჩრდილო რაიონებს. ჩრდილოეთით მოიპოვება სკანდინავიის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე. ზამთარს ატარებს აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველოში გვხვდება მიმოფრენის დროს — ორი სახეობა: აღმოსავლური და სამხრეთული. საცხოვრებლად ირჩევს ხშირი ბუჩქნარით დაბურულ ფოთლოვან ტყეებს, ჭალებს, ბაღ-პარკებს, სადაც არის წყალი — მდინარე, ნაკადული ან ტენიანი ნიადაგი მაინც. იკვებება მეტწილად მწერებით, ჭიანჭველებით, ხოჭოებით, ობობებით და სხვ. რითაც დიდი სარგებლობა მოაქვს. ბუდობს ცალკეულ წყვილებად, თუმცა ბუდე შეიძლება იყოს ერთმანეთის მახლობლად. თითოეულ წყვილს აქვს თავისი განსაზღვრული „ნაკვეთი“, რომელსაც თავგანწირვით იცავენ და სხვა ბულბულს იქ არ გააჭაჭანებენ.

ბუდეს იკეთებს მიწაზე, ბუჩქის ან ხის ამონაყრის ძირში. მრავლდება წელიწადში ერთხელ. მაისის პირველ ნახევარში, დებს 4-5 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდია 13-16 დღე.

როგორ მოვრწყოთ ოთახის მცენარეები



მორწყეთ თბილი წყლით, რომლის ტემპერატურა 1-2 გრადუსით აღემატება ოთახისას.

სუბტროპიკული მცენარეები მორწყეთ შინ ნადგომი წყლით, განსაკუთრებით ზამთარში.

ტროპიკული მცენარეების მოსარწყავად გამოიყენეთ 20-25 გრადუს ტემპერატურამდე შემთბარი წყალი. ასეთივე წყლით მორწყეთ მცენარეები, რომელთა ზრდა და კოკრების გაშლაც გეჩქარებათ.

დაუშვებელია ანადუღარი წყლით მორწყვა, რადგან მასში არ არის გახსნილი ჰაერი. არ ვარგა ხისტი, კირიანი ან ჭის წყალი.

მოსარწყავად საუკეთესოა წვიმის ან მდინარის წყალი.

ზაფხულობით მცენარეები მორწყეთ საღამოთი, ხოლო ზამთარში — დილით.

ძლიერი სიცხის დროს მორწყეთ დილა-საღამოს.

მზეზე მცენარის მორწყვა არ შეიძლება, რადგან ღეროსა და ფოთლებზე მოხვედრილი წვეთები გამადიდებელ შუშასავით კრებენ სხივებს და სერიოზულად აზიანებენ მცენარეს.

პატარა ქოთანში დარგულ მცენარეს უფრო ხშირად ესაჭიროება რწყვა, ვიდრე დიდ ქოთანში.

კაქტუსებს რწყავენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ნიადაგი სავსებით გამოშრება.

მორწყვისას წყალმა ქოთნის ძირიდან უნდა გაჟონოს.

თუ ქოთანში ნიადაგი ძალიან გამხმარია, მორწყვის დროს მთელი წყალი ქვედა სადგარში ჩაედინება, ისე რომ მიწას არ ასველებს. ასეთ შემთხვევაში წყალი ჩაასხით ქვედა სადგარში და მიწა გაიჟღინთება ქვემოდან.

ქვესადგარიდან ირწყვება ბოლქვიანი და ტუბერიანი მცენარეები: ტიტა, ყოჩივარდა და სხვ.

ქურციკი ანუ ჯეირანი



ეს ულამაზესი, მაღალფეხება ჩლიქოსანი ცხოველი, საქართველოს ველების მშვენებად ითვლებოდა. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერდა: „არს ველი დიდი ყარაიისა, სავსე ქურციკითა, რომელსა მოინადირებდნენ მეფენი წლითი წლად“. ყარაიის ველი რუსთავთან ახლოსაა და დღესაც ასე ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლების განმავლობაში ჯეირანზე ნადირობა აკრძალული იყო ჩვენში, აზერბაიჯანშიც და ბრაკონიერობისათვის მკაცრი სასჯელიც იყო დაწესებული, ქურციკის რაოდენობა უკიდურესად შემცირდა ამიერკავკასიაში. არადა, საქართველოს ტერიტორიაზე XX საუკუნის მეორე ნახევარში ბინადრობდა სამგორის, ყარაიის, შირაქისა და ელდარის ველებზე. სადღეისოდ, თითო-ოროლა თუ შემორჩენილა აქაიქ. ქურციკის სხეულის სიგრძე 95-105 სმ-ია, წონა 25-30 კგ. რქები 30 სმ სიგრძისაა, რომლებიც მხოლოდ მამრებს აქვს, მდედრებს ან საერთოდ არა აქვთ რქა ან მისი სიგრძე 2-3 სმ-ს არ აღემატება. ქურციკი მომთაბარე ცხოველია. იკვებება უდაბნოს ბალახითა და ბუჩქოვანი მცენარეებით. საძოვრად და წყლის დასალევად განთიადისას ან საღამოს გამოდის, წყურვილს დიდხანს ითმენს, ზოგჯერ მლაშე წყალსაც მიირთმევს. აქვს კარგად განვითარებული სმენა, ყნოსვა და მხედველობა. ოდნავ ხმაურზეც კი გაქცევით შველის თავს, დარბის საათში 60-65 კმ სიჩქარით. ამიერკავკასიის გარდა, ქურციკი გავრცელებულია: ირანში, ერაყში, ავღანეთში, შუა აზიაში, სამხრეთ ყაზახეთში... ქურციკის ხორცი დელიკატესად ითვლება, ტყავიც ძვირფასია და გამოიყენება ზამშის საწარმოებლად. ამიტომ არ იქნება ურიგო, ქურციკის შემოყვანა და გამრავლება.

ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

რატომ ემტერებიან ზოგჯერ ცხოველები თავიანთ შვილებს



— მთელი ჩვენი ოჯახი თქვენს გაზეთს დიდი ინტერესით და სიყვარულით გკითხულობთ. მადლობა მინდა გადაგიხადოთ საინტერესო ინფორმაციებისათვის. რუბრიკაში „მამულ-დედული“ ბევრი საინტერესო რამ იბეჭდება ცხოველებსა თუ ფრინველებზე. მინდა ერთი ამბავი მეც მოგიყვეთ. წინათ, სოფელში თითქმის ყველას ჰყავდა ხარ-კამეჩი. ჩვენც ორი ფურკამეჩი გვყავდა. ერთი, ბაქა რომ მოიგებდა, მოსაკლავად ეტანებოდა, ფეხებგაკრულს იძულებით გაწოვინებდით ბაქა. მეორე ფურმა კი ერთხელ ტყეში მოიგო ბაქა, როდესაც ჩვენებმა იპოვეს დედა-შვილი, ბაქზე გადაფარებული ფური მგლისგან იცავდა შვილს.

მეორე შემთხვევა ცხვარში ყოფნისას დამამახსოვრდა: ერთმა დედაცხვარმა ბატკანი ახლოს არ გაიკარა და პატარაზე მოსაკლავად იწევდა. მწყემსებმა ცხვარი მოწნულ კალათში, ე. წ. კორაკანაში ჩასვეს და იძულებით აწოვებინებდნენ ძუძუს. საოცარია ბუნება. ცხოველებშიც „გამოერევიან“ ისეთები, რომელთაც შვილი არ უყვართ... ეს ამბავი მკითხველისათვის ალბათ ახალი და უცხო იქნება. გთხოვთ სპეციალისტს კომენტარს, რატომ ხდება ასე, რა მიზეზები განაპირობებს დედის გაუცხოებას შვილის მიმართ.

წინასწარ გიხდით მადლობას. პატივისცემით გიორგი აბრამიშვილი, 76 წლის. თიანეთის რაიონი, სოფელი ახალსოფელი

— ბატონო გიორგი, ის რაც თქვენმა კამეჩმა და დედაცხვარმა თავიანთი ნაშიერის მიმართ მოიმოქმედეს, „მოგონილია“ იმასთან შედარებით, რაც ჩვენმა დედაღორმა და ფერმაში ნაყიდმა ქათმებმა ჩაიდინეს. პირველმა 12 გოჭი დაყარა და ნახევარი შესანსლა, ხოლო ქათმები ერთმანეთს დაერივნენ... როგორც წესი, ცხოველებისა და ფრინველების მსგავსი აგრესიულობა დამოკიდებულია მათი საკვების სრულფასოვნებაზე. საკმარისია მოაკლდეთ ისეთი აუცილებელი ნივთიერება სისხლში, როგორიც გახლავთ ცილა (ამას მედიცინის ენაზე პროტეინემია ჰქვია), ვიტამინები — A, D, C, E; მიკროელემენტები — რკინა, კობალტი, სპილენძი, რომ ცხოველების ფსიქიკა იცვლება და მათთვის შეუფერებელ საქციელს სჩადიან.

არც ცხოველთა მეფე (ხვადი) იწუნებს ბოკვრის ხორცს. „სიამოვნებით“ მიირთმევს თავის ნაშიერს მელა და კურდღელიც კი...

მკითხველის ფოტო



პატარა მებაღეები

გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ

მოზაიკა

* * *

ბლის ტოტებზე ჩამოკიდებული პოლიეთილენის ბოთლები და კონსერვის ქილები ქანაობით აფრთხობენ ჩიტებს.

* * *

ვაშლის ხისა და ჟოლოს ბუჩქის მეზობლობა ერთმანეთს დაავადებისაგან იცავს.

* * *

კარგ შედეგს იძლევა ვაზის მახლობლად ოხრახუშის დათესვა, იცავს მას მავნებელი მწერებისაგან.

* * *

მარწყვის კვლებს შორის ოხრახუშის ნათესი აფრთხობს ლოკოკინებს.

რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ. გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

CMYK

უწონი ბერის მოთხრობები უკვე დაიბეჭდა ჩვენს რუბრიკაში. ამჯერად მის ესეებს გთავაზობთ, რომელთა მიზანია „ქვირის პალიტრის“ მკითხველმა მეტად გაითავისოს სახარებისეული სიწრძნე და ყოველდღიურ ცხოვრებაში წესად დაიმკვიდროს ოცხაუკუნოვანი მოძღვრება სიმდაბლისა და სინანულის შესახებ.

ვუძღვნი ნანას, სოფიას და მაკას

უწნეო „ღმერთები“

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობიდან სამოცდათ წელს, ტიტუს მხედართმთავრობით, რომაელებმა იერუსალიმი აიღეს, მის ტაძარში ზევსის ბომონი დადგეს. როგორც წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს, ზევსი წინასახეა ანტიქრისტესი.

საშინელი დევნის მიუხედავად, რომის იმპერიაში ქრისტიანობა სწრაფად ვრცელდებოდა. ვერც მასობრივად ცეცხლზე დაწვა, ვერც ცირკის არენაზე ველურ მხეცებთან შეგდება ვერ აშინებდა სამწყსოს ქრისტესაკენ სწრაფვას. დიდად სახელოვანი რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი საშინელ ედიქტს გამოსცემს: ყველა ქრისტიანი მოიძიონ და დახოცონ. ხოლო მათი ქონება მისცენ დამსმენებსა და მძებნელებს.

იმ დროის მოღვაწე ფილოსოფოსი ცელსი აქვეყნებს ნაშრომს: „ჭეშმარიტი სიტყვა“ — გმობს სახარებას. ცდილობს იდეოლოგიით ებრძოლოს ქრისტიანობის გავრცელებას და მისი მიმდევრობა სამარცხვინოდ, უბირთა საქმედ შერაცხოს.

რომის იმპერია თავის „ღმერთებიანად“ კარგავდა ძალაუფლებას. რა არ იღონეს, როგორ არ ეცადნენ უზნეო „ღმერთები“, მაგრამ... „ნათელი იგი ბნელსა შინა ჰსჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია (იოანე 1,5).

ნათელღებულნი

ნათლობა არის საიდუმლო — ადამიანი იბადება მეორედ წყლისა და სულიწმიდისაგან.

როგორ შეიძლება ადამიანი დაიბადოს მეორედ? იგი იშვება დედის მუცლიდან და მოჰყვება პირველადი ცოდვა: „რამეთუ ესერა უჰშჯულოებათა შინა მიუდგა, და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“ (ფს. 50,5). პირველადი ცოდვა არის მცნების, პირობის დარღვევა, რომელიც ღმერთმა დაუდო სამოთხეში ადამს: არ მიეღო ნაყოფი ხისაგან, ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა.

მცნების — მორჩილების დარღვევის გამო ადამიანი გამოიდევნა სამოთხიდან. სხეული სიკვდილს და ხრწნას დაემორჩილა. გარდაცვალების შემდეგაც არ არსებობდა ხსნა — სული ჯოჯოხეთში მიდიოდა.

სტუმრობა სიმონთან, აიღო ალაბასტრი ნელსაცხებლისა (ალაბასტრი იყო ჭურჭელი, რომელშიც ინახავდნენ სურნელოვან ზეთებს. იმ დროისათვის საკმაოდ ძვირი ღირდა), შევიდა სახლში, დაჰვარდა იესოსთან და იწყო ტირილი. ცრემლით უსველებდა ფეხებს, თმით უმშრალებდა, ჰსცხებდა ნელსაცხებელს.

ფარისეველი და მისი სტუმრები ქალის საქციელით გაოცებულნი არიან, განმკიცხავი

უწონი ბერი ნათელღებულნი



ბადრი ვადაჭკორიას ფოტოეტიუდი

თვალებით შეჰყურებენ. ქალის თვალები კი საოცრად დამდაბლებული (მეძავი მდიდარი იყო და ღამაზი) მარტო ღმერთკაც იესოს ხედავს, გულმხურვალე ცრემლით ევედრება ცოდვათა მიტევებას.

ამ ყოველივეს შემყურე, სიმონის გაცივებული გული ოდნავადაც არ გათბა, არ შეიძრა. პირიქით, ფარისეველთა ჩვეული ამპარტავნებით გულსა შინა განიკითხავს იესოს: „ესე უკეთუმცა იყო წინასწარ-მეტყველი, უწყოდიმცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილ არს“. უფალი გულთამხილველია, ხედავს კაცის ფიქრებს. მიუგო: „ჰხედავა ამას დედაკაცსა? შემოველ სახლსა შენსა, წყალი ფერხთა ჩემთა არ მეც; ხოლო ამან ცრემლითა დალტუნა ფერხნი ჩემნი და თმითა თვისითა წარჰხოცნა. ამბორისყოფა არა მომეც მე; ხოლო ესე, ვინათგან შემოვიდა, არა დაჰსცხრების ამბორის-ყოფითა ფერხთა ჩემთათა. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე; ხოლო ამან ნელსაცხებელი ჰსცხო ფერხთა ჩემთა“. მაშინდელ ისრაელში წესი იყო: სტუმარს, მასპინძელი ან მისი მოსამსახურენი, ფეხებს ბანდნენ, თავზე ზეთს სცხებდნენ. ამპარტავნების გამო ადვილი მისახვედრია, თუ როგორ პატივს მიაგებდა სიმონ ფარისეველი იესოს.

ამპარტავნება სიძვასთან შედარებით მძიმე შეცოდებაა. მას მხოლოდ ძალუძს არსების მყისიერი გადაგვარება: ნათლიდან — ბნელად, სიკეთიდან — ბოროტებად, რაღა ბევრი ვსთქვათ, იგია პირველმიზეზი კოსმოლოგიური ჰარმონიის რღვევისა, რომელიც უცილობლად აღდგება ჩვენი უფლის მეორე მოსვლით.

სიძვა ხორციელია, ამ ვნების მოყვარულმა კარგად იცის, რომ მეძავია და სინანულის ცრემლიც ადვილად იპყრობს. „ჰრქუა დედაკაცსა მას, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; გუალე ვიდოდე მშვიდობით“

სამარიტელი დედაკაცი

(იოანე 4,3-28)

ასირიის მეფე სალმანსარმა — ისრაელის დამპყრობმა, წმინდა მიწაზე ბაბილონიდან წარმართები ჩაასახლა. დროთა განმავლობაში, ადგილობრივი, ებრაული მოსახლეობა და წარმართები ერთმანეთს შეერივნენ, სამარიელებად ჩამოყალიბდნენ. აღიარებდნენ მოსეს ხუთწიგნეულს, წინასწარმეტყველთა წიგნებს არ სცნობდნენ. იუდეველებს სძულდათ სამარიელები, მათთან საუბარიც კი დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

...ერთხელაც მოწაფეებთან ერთად დაუტევა იესომ ურისტანი და წარვიდა გალილეად. გზად სამარია უნდა გაევლოთ.

როდესაც მივიდნენ სამარიაში, იესომ, გზისა სვლისაგან დამაშვრალმა, ქალაქის მახლობლად, ჭასთან, შეისვენა. ხოლო მოწაფეები საზრდელის საყიდლად გაგზავნა.

„მოვიდა დედაკაცი სამარიით ვსებათ წყლისა, ჰრქუა მას იესო: მასუ მე წყალი“.

„ვითარ შენ ურია ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან?“ — ქალი გაოცებულია: იუდეველმა, რომელსაც სამარიელის შეხებაც კი ეკრძალებოდა, ჭურჭლიდან წყლის დალევა სთხოვა.

„უკეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისა, და ვინ არს, რომელიც გეტყვის შენ: მეც მე წყალი, რათა ვსუა, შენმც სთხოვო მას, დაგეცამცა წყალი ცხოველი“. წყალი ცხოველი — რომელი არს რწმენა ღვთისა, მომნიჭებელი უკვდავებისა და სულიწმიდის მადლმოსილი, უბიწო, სიყვარულისა.

დედაკაცს არ ესმის, ხორციელად ხედავს: ჭა ძალიან ღრმაა, მას კი ჭურჭელი არა აქვს.

„ყოველი, რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, ჰსწყუროდეს კუალადცა; ხოლო რომელმან ჰსუას წყლისა მისგან, რომელი მე მივჰსცე მას, არღარა ჰსწუროდეს უკუნისამდე“.

„უფალო! მეც მე წყალი ესე“.

„წარვედ და მოჰხადე ქმარსა შენსა“.

„არა მივის ქმარი“.

„კეთილად ჰსთქუ, ვითარმედ არა მივის ქმარი — რამეთუ ხუთ ქმარ გესხნეს, და აწ, რომელი გივის, არა არს ქმარი შენი“. დედაკაცი ხვდება, რომ ჩვეულებრივი ადამიანი არ ესაუბრება. მას ხუთი ქმარი ჰყავდა, მეექვსე კი საყვარელია.

სიყვარული ორგვარია. არსებობს სიყვარული მიწიერი — „ყოველი რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, ჰსწყუროდეს კუალადცა“. მიწიერი სიყვარული წარმავალია, მოკვდავი — ადამიანის სხეული ბერდება და კვდება, ასევე ემორჩილება ხრწნილებას ხორცისმიერი სიყვარულიც, რამეთუ ვნება შაგრენის ტყავივით ნელ-ნელა ილევა, გალევის შემდეგ კი კვლავ გწყურია.

„რომელმან ჰსუას წყლისა მისგან, რომელი მე მივჰსცე მას, არღარა ჰსწყუროდეს უკუნისამდე“ — სიყვარული მარადიული და უკვდავი, უბიწო სულიწმიდის მადლმოსილი სიყვარული.

„ჰრქუა მას დედაკაცმან: ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქვიან ქრისტე: ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი“.

„ჰრქუა მას იესო: მე ვარ, რომელი გეტყვი შენ“.

...და იქმნა წყალი ცხოველით ნათელღებული სამარიტელი დედაკაცი. არღარა ჰსწყუროდა მას უკუნისამდე.

უფალო იესო ქრისტე! მასვი მეც წყალი ცხოველი.

მეორედ მოსვლის შემდეგ ზეციურ (მოზეიმე) ეკლესიაში, ანუ ახალსა ქალაქსა იერუსალიმში, მზე და მთვარე აღარ იქნება. იქ თვით სიყვარული იქნება მზე. მისი ნათელი მოეფინება ქალაქს. წამი ან წუთი არ იქნება (მარადიულობასთან წამი ან წუთი რა მოსატანია), ღმერთის დიდებას რომ არ ჭვრეტდეს და არ ნეტარებდეს.

ბიბლიის მთლიანობა იყოფა ორად, ძველ და ახალ აღთქმად. რას ნიშნავს ძველი აღთქმა? ძველი აღთქმის არსი მოლოდინია მესიისა, რომელიც აღუთქვა ღმერთმა ადამის მოდგმას ცოდვით დაცემის შემდეგ — დამმარცხებელი სატანისა, გამომხსნელი კაცთა მოდგმისა ეშმაკის ტყვეობიდან. ძველი აღთქმა აღსრულდა, მოიწია ახალი აღთქმა, ოდეს სიტყვა ღვთისამ ხორცი შეისხა ყოვლადწმინდა მარიამისაგან, იშვა მესია — უფალი იესო ქრისტე — სრული კაცი და სრული ღმერთი. ჯვარცმითა და აღდგომით დაამარცხა სიკვდილი, შემუსრა ჯოჯოხეთი, დააარსა ეკლესია, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან. იდება ახალი აღთქმა, ახალი პირობა. ნათლისღება არის ამ ახალი აღთქმის მიღება, რის შემდეგაც ხდება ძველი აღთქმისეული პირველშეცოდების ჩამორეცხვა, განბანვა წყლით. ნათლისღების ფორმულაა: „ნათელს იღებს მონა ღვთისა (ანუ მხევალი) სახელით მამისათა, ამინ. და ძისათა, ამინ. და სულისა წმიდისათა, ამინ. აწ და მარადის და უკუნისი უკუნისამდე. ამინ. ნათელღებული სულიწმიდის მადლით იმოსება და იშვება მეორედ, უკვე ქრისტიანი, სრულუფლებიანი წევრი ეკლესიისა.

ეკლესია არის უხილავი და ხილული. ხილული მებრძოლ ეკლესიას ეწოდება. უხილავი კი, მოზეიმეს — ზეციურს. ნათელღებული ხდება მებრძოლი ეკლესიის წევრი, რომლის მიზანიც არის მოზეიმე ეკლესიის წევრობა, ანუ ახალი იერუსალიმის მოქალაქეობა... და ეს გზა (ღვთისაგან ადამიანისთვის მინიჭებული ძალმოსილება ცათა სასუფევლის დამკვიდრებისა) მებრძოლი ეკლესიიდან მოზეიმეში გადასვლა არის ახალი აღთქმა, ახალი პირობა ღმერთსა და ადამიანს შორის.

„მომეც მე სამოსელი ბრწყინვალე, რომელმა შეიმოსე ნათელი სამოსლად, მრავალ-მოწყალეო ქრისტე ღმერთო ჩუენო!“

სიმონ ფარისეველი და მეძავი

(ლუკა 7,36-50)

გალილეის ერთ-ერთი ქალაქის წარჩინებულმა ფარისეველმა — სიმონმა მიიწვია იესო სახლში, „რათა ჰსჭამოს პური მის თანა“. იესო იღებს მიწვევას, მიდის სტუმრად.

„და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა“, ყველასათვის ცნობილი მეძავი. გაიგო რა იესოს

სიმდაბლე ძე კაცისა

ვნების შვიდეულის ხუთშაბათს, ჟამს საიდუმლო სერობისა, მივიდა იესო იერუსალიმში. მოუმზადეს მოციქულებმა ტრაპეზი პასექისა.

აღმოსავლური წესით ტრაპეზის წინ ხელფეხი უნდა დაებანათ. ფეხბანას სახლის პატრონის მოსამსახურე ან მონა ასრულებდა. საიდუმლო სერობისთვის მოციქულებს ოთახი დროებით ჰქონდათ ნაქირავები, ფეხის დამბანი არავინ იყო, მათ შორის რომელიმეს უნდა აეღო საკუთარ თავზე.

რამდენიმე დღის წინ გალილეადან იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე, მოციქულებს ცილობა ჰქონდათ ერთმანეთში: „ჩვენგან ვინმე უდიდეს იყოს?“ საუბარი კამათში გადაიზარდა. ხოლო იესოს ვითარცა ესმა, ჰრქუა მათ: „რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაი იყოს ყოველთა მონა“.

სიტუაცია მეორდება. მოციქულები ერთმანეთს შეჰყურებენ. ვინ არის მათ შორის უმცირესი (თავისუფალი ებრაელისათვის სხვისი ფეხბანა დამამცირებლად ითვლებოდა)? მაცხოვრის გარდა, ყველანი ფეხზე დგანან. იესო აღჰსდგა სერობისა მისგან, წელზე მოირტყა არდაგი „და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა“. ბანს იუდასაც, რომელმაც წინა დღეს ოცდაათ ვერცხლად გაყიდა.

ჰოი! სიმდაბლე ძე კაცისა — სამების მეორე პირისა.

ადამიანები მესიას ელოდნენ, რომელიც, მათი წარმოდგენით, მეფის სასახლეში უნდა დაბადებულიყო. იესოსთვის კი ერთი ოთახიც არ აღმოჩნდა, ბაგაში ძროხებისა და ცხვრების სადგომში, სიღარიბეში იშვა. ასევე სიმდაბლით მიიღო სიკვდილი. რომის იმპერიაში ჯვარცმით სიკვდილს უმდაბლეს ფენას, ავაზაკებსა და მონებს უსჯიდნენ.

„რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (ლუკა 18,14).

რა უაზროდ მაღლობს დაცემული ადამიანის ბუნება!

ჰე უფალო! მომმადლე სული სიწმინდისა და სიმდაბლისა...

რწმენა, იმედი და სიყვარული

„ხოლო არ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. სამი ესე: ხოლო უფროს ამათსა სიყუარული არს“ (კორ. 13.14).

„სამი ესე“ ადამიანის ბუნების ღვთაებრივი განვითარების თვისებებია. რწმენა და იმედი ლუციფერსაც აქვს. ნათელზე გამარჯვების იმედი რომ არ ჰქონდეს, მის წინააღმდეგობას აზრი დაეკარგებოდა.

...მაგრამ არა აქვს მთავარი — სიყვარული. სარწმუნოების და სასოების გვირგვინი სიყვარულია, რამეთუ „ღმერთი სიყვარული არს“.

მეორედ მოსვლის შემდეგ ზეციურ (მოზეიმე) ეკლესიაში, ანუ ახალსა ქალაქსა იერუსალიმში, მზე და მთვარე აღარ იქნება. იქ თვით სიყვარული იქნება მზე. მისი ნათელი მოეფინება ქალაქს. ვინც ღირსი გახდება მოზეიმე ეკლესიის წევრობისა, მისთვის სარწმუნოება და სასოება განქარდება, დარჩება ოდენ სიყვარული, რამეთუ შეიქმნება მხილველი უფლისა და დიდებისა მისისა. წამი ან წუთი არ იქნება (მარადიულობასთან წამი ან წუთი რა მოსატანია), ღმერთის დიდებას რომ არ ჭვრეტდეს და არ ნეტარებდეს.

უფალო! მომიხსენე სიყვარულის ქალაქსა შინა, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.

„გევედრები და გაფუცებ, ძმანო პატიოსანნო, რომელნი იკითხვიდეთ წიგნს ამას, რათა შემინდოთ ცთომილებანი და სიმრუდენი, ვინაითგან ვითარცა კაცი, ცოდვილი ვარ და ვცდები, რამეთუ არავინ არს სრული, გარნა ღმერთი მხოლო“ (წმ. ანთიმოზ ივერიელი).



XX საუკუნე — ჭკივილი და ხიბლი

— მეამაყება, რომ დათო ტურაშვილმა მოიფიქრა და შემოგვთავაზა — „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე დავაარსოთ 17 ივნისს. ამაზე დიდი დღესასწაული რა უნდა იყოს ქართველი კაცისთვისო, — მითხრა ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ და თვალებში ის ნაპერწკალი გაუკრთა, თავად მას „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას რომ გასჩენია სიყმაწვილეში. წარსულში, ასე ახლობელსა და შორეულ XX საუკუნეში, დიდი დაპირისპირებების დროში, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნელები“, მეორე მხრივ — შარიქოველები ქმნიდნენ იმ განუმეორებელ ეპოქას, რომელიც XX საუკუნის სახელით მიებარა ისტორიას. თითქმის გასული საუკუნის დასაწყისიდან მოვდივარო, — ღიმილით თქვა ბატონმა გიგამ...

სწორედ ამიტომ ბევრი რამ მინდა გაამბობინოთ-მეთქი, — ვუთხარი მასპინძელს და მოგონებების ზარდახშის გახსნა ვთხოვე...

„ვეფხისტყაოსნელები“

დედაჩემის დედა, ანა მიქელაძე, კარგად მახსოვს. ბაბუას, ალექსანდრე მიქელაძეს, არ მოვსწრებივარ. 1919 წელს გარდაიცვალა... ალბათ დროულად, თორემ ბოლშევიკებს რომ მოსწრებოდა, მასაც დაიჭერდნენ და ისე გაანადგურებდნენ, როგორც ჩემი ნათესავები გაანადგურეს. ის ხომ მეფის არმიის გენერალი იყო.

მამაჩემის მამაც თავადი გახლდათ. პროფესია მას არ ჰქონდა, უბრალოდ, დიდი მიწების პატრონი იყო და თავადურად ცხოვრობდა. ბებიაჩემი, მარიამ (მართა) თავდგირიძე, გურიის დიდი თავადების შთამომავალი გახლდათ. ისინი ერთი ხანობა გურიის მთავრებიც კი ყოფილან. ბებიაჩემმა თავიდან ბოლომდე იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად და მე და ჩემს დას — მარიკას გვიკითხავდა ხოლმე. ჩვენ გამოცდას ვუწყობდით. მარიკა აიღებდა და რომელიმე გვერდზე პირველ სტრიქონს წაიკითხავდა. ბებია გააგრძელებდა. არასოდეს შეშლია. ერთხელ ვკითხეთ: — ბებია, სხვა წიგნებიც ხომ უნდა წავიკითხოთ, მარტო „ვეფხისტყაოსანს“ რომ გვიკითხავ?

ჯერ „ვეფხისტყაოსანი“ უნდა იკითხოთ, ყველა დანარჩენი — მერეო, — მოგვიგო.

ივანე მაჩაბელი

ანა მიქელაძე ულამაზესი ქალი იყო, ქუთაისში ცხოვრობდა. ჩვენს ოჯახს წესად ჰქონდა: წელიწადში ერთი დღე მაინც უნდა ჩავსულიყავით მასთან ქუთაისში. ანა ბებია განათლებული ქალი იყო, ლევ ტოლსტოის მიმდევარი გახლდათ. მაშინ ლევ ტოლსტოის საზოგადოება არსებობდა, რომელსაც სათავეში ედგა გამორჩენილი მთარგმნელი და მოღვაწე — ივანე მაჩაბელი. ბებიას შინ ჰქონდა ტოლსტოის უამრავი წიგნი, სხვადასხვა გამოცემა. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ის ტოლსტოის აღმერთებდა.



გიგა ლორთქიფანიძის მშობლები

ბებია კარგად იცნობდა ივანე მაჩაბელს. ვისარგებლებ შემთხვევით და ერთ ამბავს გიამბობთ: ხომ გსმენიათ, რამდენი ეჭვი და ვერსია არსებობს ივანე მაჩაბლის სიკვდილის ირგვლივ? მე ბებიას ნაამბობი მახსოვს: იმ პერიოდში რუსეთიდან ტაიგასა და ციმბირში დუხბორები გაასახლეს. ისინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ლევ ტოლსტოიმ მსოფლიოს მიმართა: — დაეხმარეთ ამ ადამიანებს, უსახლკაროდ, ტყე-ღრეში, მშივრები იხოცებიანო. ივანე მაჩაბელმა დაიწყო დახმარების შეგროვება მთელ საქართველოში. ბებია ამბობდა: — მე და ჩემმა მეგობრებმა გავაცილეთ ივანე მაჩაბელი ციმბირშიო. იქიდან აღარ დაბრუნებულა. მერე გავიგეთ, რომ შავი ჭირის მსხვერპლი გამხდარა. შავი ჭირით გარდაცვლილებს არ ასაფლავებდნენ, წვავდნენ. ამის გამო, ცხადია, მაჩაბლის ცხედარს ვერავინ მიაგნებდა. ამიტომ ვიზიხიანდები, როცა ივანე მაჩაბლის მკვლელობას ვინმეს აბრალებენ. ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია მისი სახელი, თუნდაც იმიტომ, რომ ის არის ქართული თეატრალური ენის შემქმნელი. შექსპირის მისეული თარგმანებით ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური ენა. მაჩაბლის სიკვდილის ვერსიები კი არ უნდა ვთხზათ, საქმე უნდა ვაკეთოთ მისი სახელის პატივსაცემად. გული მტკივა, ცხრილში ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი ვანდალურად რომ დაარბიეს, დაწვეს... თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, ის სახლი, სადაც ვანო მაჩაბელი ცხოვრობდა, განადგურდა, იქ ვიღაცები შევიდნენ და დამკვიდრდნენ...

შეწირული ტალანტი

ჩვენი ოჯახი თეატრთან, ხელოვნებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. გენიალური დირიჟორი, ევგენი მიქელაძე, დედაჩემის ალალი ბიძაშვილი გახლდათ, მაგრამ ისინი ქუთაისში, ერთ ოჯახში აღიზარდნენ. ზუსტად ვიცი როგორ დაიწყო მუსიკოსობა ევგენი მიქელაძემ. მან პირველად ქუთაისის ბაღში (ბაღის კიდეს რომ ეძახიან) სასულე ორკესტრში დაიწყო სიარული. დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა. მაშინდელი პრესა იტყობინებოდა: „სამარცხვინო ამბავია, თავადი მიქელაძის შვილი ბაღში, ორკესტრში უკრავსო“. ქუთაისიდან რომ წამოვიდა, ყველა ინსტრუმენტზე ისწავლა დაკვრა. მერე თბილისში დაიწყო სწავლა, პეტერბურგში გააგრძელა. საქართველოში დაბრუნებულმა სრულიად ახალგაზრდამ ფაქტობრივად ჩამოაყალიბა სიმფონიური ორკესტრი. ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. 34 წლის გახლდათ, როცა დახვრიტეს...



ბებია ანა მიქელაძე

არაერთხელ სთხოვეს ევგენი მიქელაძეს მოსკოვის დიდი თეატრის მთავარი დირიჟორობა, მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდა, საქართველოში უნდოდა მოღვაწეობა.

ძალიან ვუყვარდი მე, როგორც მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი, იმედსაც კი ამყარებდა ჩემს მომავალზე. მაშინ ვსწავლობდი კიდეც ფორტეპიანოზე დაკვრას ვირსალაძის კლასში. მერე ჟენია დახვრიტეს, მერე ომი დაიწყო და სწავლის თავი ვიღას ჰქონდა. მხოლოდ ამიტომ არ გამოვედი მუსიკოსი.

ევგენი მიქელაძის დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მან მამია ორახელაშვილის წერილი წაიღო მოსკოვშიო, — ამბობდნენ. მამია ორახელაშვილი თუ გაატანდა, რატომ არ წაიღებდა, მისი სიძე იყო და... მეორეც, ევგენი მიქელაძე სხვის წერილს არასოდეს წაიკითხავდა, ასე რომ, თავად არ იცოდა, რას სდებდნენ ბრალად.

11 წლისა ვიყავი, ევგენი მიქელაძე რომ დახვრიტეს. ასე რომ, კარგად დამამახსოვრდა ბევრი რამ მის შესახებ. ის და ქეთუსია ორახელაშვილი არაჩვეულებრივი გარეგნობით გამოირჩეოდნენ. ევგენი მიქელაძე მუსიკოსობის გარდა სპორტსაც მისდევდა. იყო ასეთი ორგანიზაცია „შევარდენი“, რომელშიც ისიც იყო გაერთიანებული და სპორტის ყველა სახეობას ეუფლებოდა.

ხუთი წლის ვიყავი, პირველად მე და მარიკა რომ წაგვიყვანა ოპერისა და ბალეტის თეატრში. მას ვემადლიერები, რომ ამ დიდ კულტურას გვაზიარა...

ასფალტი

დღევანდელი ლეო ქიაჩელის ქუჩაზე ხშირად დავდიოდით. ეგ ერთადერთი მოასფალტებული ქუჩა იყო თბილისში. ჩვენ კი გორგოლაჭებიანი ციგურებით სეირნობა გიყვარდა. იქ ცხოვრობდა ლავრენტი ბერიაც. სრიალს არ გვიშლიდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც გვეშინოდა ბერიასი. დაცვა იდგა ხოლმე ქუჩაში. მინახავს, შინიდან როგორ გამოდიოდა ბერია, სულაც არ იყო ცუდი შესახედავი კაცი. ულამაზესი მეუღლე ჰყავდა — ნინო გეგეჭკორი.

თავადის ქალები

ანა მიქელაძე ამაყი ქალი იყო. ქუთაისში ქუჩაში რომ გამოვიდოდა, ამბობდნენ: კნეინა მობრძანდებაო. გარდა იმისა, რომ წარმოსადეგი იყო, დიდი მეოჯახე, მომჭირნე ქალი გახლდათ და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს უკაცობა არ შეამჩნევინა, რაღაც შემატა კიდეც.

მარიამ თავდგირიძეზე მიამბობდნენ, — სულ სხვანაირი იყოო. ძალიან უყვარდა ფულის ხარჯვა. მამულები დაყიდა, ნადიმებს და ნადირობებს ხშირ-ხშირად მართავდა თურმე, ნამდვილი გურიელივით იქცეოდაო.

ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მიქელაძის ქალს ყველაფერი წაართვეს ქუთაისში, მხოლოდ ერთი სახლი დაუტოვეს, ისიც იმიტომ, რომ მისი ერთ-ერთი ვაჟი, გიორგი მიქელაძე, ბოლშევიკი იყო. ორი დიდი სახლი სოფელ კულაშში ჩამოართვეს, ერთში აღმასკომი გახსნეს, მეორეში — სკოლა.

ამ დროისთვის მარიამ თავდგირიძეს ყველაფერი გაფლანგული ჰქონდა. ერთი დიალოგი დამამახსოვრდა. მარიამ ბებო ეუბნებოდა ანა ბებიას:

— ა, ბატონო, ყველა ამბობდა, მიქელაძის ქალი რა ჭკვიანია, როგორ უვლის მამულებსო, მარა ხომ ხედავ, შენ ჩამოგართვეს ყველაფერი, მე კი მოვასწარი და მოვიხმარე.

— არ მითხრა ახლა, ვიცოდი, მამულებს რომ ჩამოგვართმევდნენო, თვარა გავგიჟდები, — უპასუხა მიქელაძის ქალმა.

თავგანწირვა

მახსოვს, ანა ბებია გიორგი მიქელაძის უკანასკნელ წერილს მიკითხავდა. მას თვითონაც უკვირდა, როგორ მოხვდა მისი შვილი ბოლშევიკებთან. გიორგი კი სწერდა: „თქვენ არ გესმით, საქართველოს გათავისუფლება მხოლოდ რუსული ცარიზმის დამხობის გზით შეიძლებაო“.



ქალიშვილებთან და შვილიშვილებთან ერთად

22 წლის გიორგი მიქელაძე რევოლუციონერობის გამო უკვე გაგდებული ჰყავდათ პეტერბურგის და ოდესის უნივერსიტეტებიდან. ბოლოს, ტომსკში ჩავიდა. იქ მოუსწრო კოლჩაკის არმიამ და სხვა ბოლშევიკებთან ერთად დახვრიტა.

უცნაური ამბავი მოხდა: 1949 წელს ჩამოვიდა ტომსკიდან უცნობი ქალი, რომელმაც კითხვა-კითხვით მოგვაგნო. მან ასეთი ამბავი გვიამბო: თურმე ის და გიორგი მიქელაძე დასახვრეტად ერთად გაუყვანიათ. მაშინ პატარა ვიყავი, გიმნაზიაც კი არ მქონდა დამთავრებული. დასახვრეტად რომ დაგვაყენეს, გიორგი მიქელაძის გვერდით აღმოვჩნდიო. რომ დაიძახეს, ისროლეთო, გიორგიმ ხელი მკრა და მიყვირა: — გადახტიო. ჩვენ უკან დიდი თხრილი იყო მომზადებული, სადაც დახვრეტილები უნდა ჩაეყარათ. მართლაც, გადავხტი. თავს დამეყარნენ დახვრეტილებიც. კოლჩაკის ხალხმა ჩამოიხედა, ნახა, დახოცილები როგორ ეყარნენ და წავიდა.

რომ დაღამდა, გვამების ქვემოდან გამოვძვერი და გავიპარე. ასე გადამარჩინა გიორგი მიქელაძემო.

სიამაყის გრძნობა გამიჩნდა. 22 წლის ბიჭი სიკვდილის წინ იმაზე რომ იფიქრებს, როგორ გადაარჩინოს გვერდით მდგომი 14-15 წლის გოგონა, რა ღირსეული კაცი იქნებოდა. ბებიამ არ იცოდა გიორგის დახვრეტის ამბავი. ბოლო წუთამდე ელოდა...

„მთავარია, კაცი იყო“

მამაჩემმა რომ დაინახა, გარშემო ყველა დაიჭირეს, მიხვდა, მასაც ეს დღე ელოდა. ქალაქი შიშში იყო ჩაფლული. მაშინ ხომ მანქანები ძალიან ცოტა დადიოდა. ღამით ქუჩაზე მანქანა რომ გაივლიდა, ყველა ოჯახი ფეხზე დადგებოდა, იცოდნენ, ვიღაცას წაიყვანდნენ.

მამამ თავი აარიდა დაჭერას და საქართველოდან გაიქცა. იმალებოდა ხან შუა აზიაში, ხან — ბაქოში... 6 წელიწადი ვერ მიაგნო მთავრობამ, ბოლოს, 1943 წელს, მოსკოვში დაიჭირეს და დახვრიტეს.

რამდენჯერმე საიდუმლოდ შევხვდი მამას. ცოტა მძიმე ამბავი კი არის, მაგრამ მაინც გიამბობთ. 12 წლისა ვიყავი, ხიდან რომ ჩამოვვარდი, ფეხზე განგრენა დამემართა და ამპუტაცია დამჭირდა. ზუბალაშვილების ქუჩაზე რომ საავადმყოფოა, იქ ვიწექი. ოპერაციიდან ახალგამოყვანილი, ნახევრად უგონოდ ვიწექი პალატაში. დედა მეჯდა სასთუმალთან. პალატაში იყო პროფესორი ჭეიშვილიც. როგორც ჩანს, სადაც ჯერ არს, იცოდნენ, რომ მამა გამოჩნდებოდა ჩემს სანახავად და ელოდნენ. მართლაც, გაიღო კარი და მამა შემოვიდა. დედამ იმწუთას მუდარა დაუწყო: წადი, თორემ დაგიჭერენო. პროფესორმა ჭეიშვილმა იცოდა, რომ მამა იმალებოდა, პირით ფანჯრისკენ შებრუნდა და აქეთ აღარც მოუხედავს. მამა ჩემთან ჩამოჯდა, საბანი გადამიწია, ნაოპერაციებ ფეხზე მაკოცა და მითხრა: — მთავარია, კაცი იყო, შვილო!

დედამ ძალისძალით გაიყვანა ოთახიდან. ძლივს წამოვიწიე ლოგინიდან და ფანჯრიდან დავინახე. მანქანით მეგობრები ელოდნენ მამას... მისი წასვლა და ორგანოს მუშაკების მოცვენა ერთი იყო. შემოვიდნენ პალატაში. ერთ-ერთი ვერცხლისკბილებიანი ჩეკისტი იყო. ეს ვუამბე ჩემს მეგობარს, გენიალურ მწერალ ნოდარ დუმბაძეს და ერთერთი პერსონაჟი „ნუ გეშინია, დედა“-ში სწორედ ასე ჰყავს აღწერილი. დედას ეკითხებიან: — თქვენი ქმარი იყო აქო? არაო, — იუარა დედაჩემმა. ერთ-ერთი ლოგინზე ჩამომიჯდა და დამიწყო გამოკითხვა: — მამაშენი ხომ იყო აქ მოსულიო.

ამ დროს პროფესორი ჭეიშვილი ჩაერთო: — ძალიან გთხოვთ, პალატა დატოვოთ. ბავშვი უმძიმეს მდგომარეობაშია და მასთან საუბარი არ შეიძლებაო!

— ბატონო პროფესორო, თქვენ ხომ არ გინახავთ, მამამისი მოვიდა თუ არა? — ახლა მას ჰკითხეს.

— ორი საათია, ამ პალატაში ვარ და აქ არავინ შემოსულა, — მიუგო. მან, ფაქტობრივად, თავი გასწირა. ჩეკისტებმა დაიჯერეს და წავიდნენ. დედა მივარდა პროფესორს და ხელზე აკოცა. ჭეიშვილმა ხელი გამოჰგლიჯა: — არ არის საჭიროო და გავიდა.

მეორედ მამა ომის დროს ჩამოვიდა საქართველოში. ის მწერალ რეზო ებრალიძის მამასთან მეგობრობდა, მასთან იმალებოდა. იმ ოჯახში შევხვდი ბოლოს... მერე აღარც მინახავს.

ვიდრე მამა იმალებოდა, დედას ყოველ მეორე დღეს იბარებდნენ შინსახკომში. მახსოვს, მე და მარიკა ვისხედით შინ და ვფიქრობდით: — დაბრუნდება დედა თუ არაო...

დედა ისეთ ოჯახში იყო გაზრდილი, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, მაგრამ მართო რომ დავრჩით, ეს თავადის ქალი სარდაფში ჩავიდა, არტელში მუშაობდა (მანუფაქტურული საამქრო იყო), რომ ჩვენ გავეზარდეთ.

დედაჩემმა გაზარდა ჩემი სამივე ქალიშვილი. მას ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ჩემს შვილებს მეათე კლასამდე ყველა საგანში ამეცადინებდა, მუსიკასაც კი ასწავლიდა... აი, ასეთი განათლება ჰქონდა მიღებული.

თეატრი ფარდის მიღმა

მსახიობები ძალიან საინტერესო, მაგრამ რთული ხასიათის ხალხია. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრი ერთი თეატრიდან წარმოიშვა. იყო ტრაგიკული დაპირისპირება ამ ორ დასს შორის. ამას მოჰყვა 1937 წელი. რუსთაველის თეატრი განადგურდა. სანდრო ახმეტელი და 18 კაცი — თეატრის მომსახურე პერსონალი — დააპატიმრეს. გასაგიჟებელი ამბავი იყო: მოკარნახე ღვინიაშვილის ქალიც კი დაიჭირეს და გადაასახლეს.

იცით, ეს ამბავი როგორ მოხდა? სანდრო ახმეტელი თეატრიდან გაათავისუფლეს, მაშინვე მიიღო მიწვევა მოსკოვიდან. მატარებლით მიდიოდა მოსკოვში. ვინც გააცილა სადგურზე, ყველა დაიჭირეს.

ამის შემდეგ ძალიან დიდხანს მარჯანიშვილელები არ დადიოდნენ რუსთაველის თეატრში. ამბობდნენ, — იქ ბინძური ამბები მოხდაო. ნავსი შალვა ღამბაშიძემ გატეხა. პირველად ის წავიდა რუსთაველის თეატრში და შესანიშნავი წერილიც დაწერა მიხეილ თუმანიშვილის „ეს-პანელ მღვდელზე“.

1954 წელს შემომთავაზეს ქუთაისის თეატრის მთავარი რეჟისორობა. მაშინ ეს მოვლენა იყო — 26 ბიჭი ვიყავი, ჩემამდე კი ღადო მესხიშვილის სახელობის თეატრში დიდი ქართველი რეჟისორი ვასილ ყუშიტაშვილი მოღვაწეობდა. თავხედობა მეყო და დავთანხმდი.

მაშინ ავთანდილ გუნია იყო კულტურის მინისტრი. მის კაბინეტში ვიჯექი. კოლეგიის სხდომა მიდიოდა. ამ დროს კარი გაიღო, შალვა ღამბაშიძემ შემოყო თავი და — შეიძლებაო? — იკითხა. შემოვიდა შალვა ღამბაშიძე, შემოჰყვნენ: სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, აკაკი კვანტალიანი და პიერ კობახიძე. შალვა ღამბაშიძემ თქვა:

— ბატონო ავთანდილ, ადრეა ამ ბიჭის ქუთაისის თეატრში გაგზავნა, ორი-სამი წელი დაგვიტოვეთ და მერე დაადგება თავის გზასო...

— როგორც გიგა გადაწყვეტს, ისე იქნებაო, — ბრძანა ბატონმა ავთანდილმა.

წამოვდექი, თვალზე ცრემლი მომადგა: — მადლობელი ვარ, მაგრამ რაკი მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლა გადაწყვიტე, წავალ-მეთქი.

ქუთაისში რომ მივდიოდი, ჩემმა ჯგუფმა (ახალგაზრდა პედაგოგი ვიყავი და ჯგუფი მყავდა) გამაცილა. უცებ შალვა ღამბაშიძე და გიორგი შავგულიძე გამოჩნდნენ სადგურზე. იქვე, რესტორანში, სუფრაც გაუშლევინებიათ, მთხოვეს იქ შესვლა. გზა დამილოცეს. არასოდეს დამავიწყდება, როგორ მიქნევდნენ ხელს, მატარებელი რომ წავიდა...

წავედი ქუთაისში და 6 თვეში ამბავი მოვიდა — შალვა ღამბაშიძე გარდაიცვალაო.

P.S. XX საუკუნე წარსულის კუთვნილებაა, ბევრი ტკივილი და სიხარული, მარცხი და წარმატება გაიყოლა თან, მაგრამ უკვალოდ არაფერი ქრება. ისტორიის დამტვერილი ფურცლების გემო და ელფერი კიდევ არაერთხელ შეგვახსენებს თავს.

ლელა ჯიყაშვილი





1. „უპმანი“, „პერტკაისი“, „მონტეკრისტო“
2. სახელმწიფო აზიაში
3. მოკლე, უვადო ხმალი
4. ნუშისებრი ჯირკვლების მწვავე ანთება
5. ერთმანეთის პირისპირ ... ზავი
6. „ბრილიანტის ხელი“ (მსახიობი)
7. შუა აზიის მოსახლე
8. დროის დიდი პერიოდი
9. სამკურნალო კაქტუსი
10. დიდი, უქოჩრო თუთიყუში
11. ბერძნული ანბანის მეორე ასო
12. ორგანო, რომელმაც ინფარქტი იცის
13. მუნჯი კინოს აკომპანიატორი
14. ქართული კურორტი და მინერ. წყალი
15. კედლის ნათურა
16. სკოლის კომიკური წარმოდგენა
17. „უპმანი“ (ავტორი)
18. ჩრდილოეთ სფეროს კაშკაშა ვარსკვლავი
19. პიპინას ვაჟიშვილი
20. წინასწარი თანხა
21. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული
22. მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი
23. გადასახადი მიწით სარგებლობისათვის
24. სოფელი რაჭაში
25. მათემატიკ. ლოგიკის ფუძემდებელი
26. მთიელების სოფელი
27. ყანწის მასალა
28. ხომალდის ტვირთი
29. იაზონის ხომალდი
30. ჩინური ჭადრაკი
31. კარტოფილი „მაკდონალდსში“
32. სარიტუალო მცენარე
33. ქართული ანბანის ასო
34. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა
35. განთიადი
36. გზაჯვარედინის მსგავსი
37. თვალის ფერადი გარსი
38. მშვიდი, გაბმული საუბარი
39. თმის საღებავი
40. ცხენშებმული ტრანსპორტი
41. ბურთით გუნდური თამაში
42. ახალი ბლოკბასტერი
43. ესპანელი მსახიობი
44. 1/100 ევრო
45. მწერალი ... იოსელიანი
46. საქსოფონის გამომგონებელი
47. აზარტული თამაში ბანქოთი
48. „სიძვილეებზე შონადირენი“ (სერიალი)
49. თვალის გუგა
50. რუსული ვერტმფრენი ... ნიუმენი
51. „აფერა“
52. იუპიტერის თანამგზავრი
53. აკვარიუმის თევზი
54. საქართველოს რაიონული ცენტრი
55. ბრტყელი თევზი
56. ზომიერების გრძნობა
57. საკრედიტო ბარათი „ლაი–...“
58. საქართვ. ისტორიული მხარე
59. მწერი
60. ფსიქოანალიზის ფუძემდებელი
61. „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ (პერსონაჟი)
62. ნოტი
63. საქართველოს პირველი ლედი
64. თევზის ძვალი
65. ყირიმის მეღვინეობის გაერთიანება
66. სახელახლოდ მოხარშული ხორცი – თათარი ...
67. შესაძლო შედეგი ასპარეზობაში







წინა სკანვორდის პასუხები:

1. ძეფირელი; 2. აფროსნობა; 3. არმაგედონი; 4. ლა; 5. ონი; 6. ტონი; 7. ღალი; 8. ლა; 9. ბალატონი; 10. სანთელი; 11. გავა; 12. ვერსია; 13. აბი; 14. დივერსია; 15. პო; 16. დონი; 17. ინდაური; 18. ვივა; 19. სულა; 20. „ორერა“; 21. მაღრაძე; 22. მალიბუ; 23. კუ; 24. ბრა; 25. ღამურა; 26. ბაღი; 27. ვაკანსია; 28. მანი; 29. დრო; 30. ბაგირი; 31. ანგინა; 32. ნეკა; 33. ნავი; 34. კაა; 35. კარამბე; 36. კოლტი; 37. ჭაჭა; 38. იოდი; 39. ნოდია; 40. ისანი; 41. ილა; 42. „კენტი“; 43. მელოდია; 44. ბიზე; 45. ბო; 46. ფსონი; 47. ონდატრა; 48. ივანიშვილი; 49. რა; 50. ოდილია; 51. ტუნისი; 52. იენა; 53. ალტაი; 54. ლიახვი; 55. მთვარე; 56. ენა; 57. ხე; 58. ხუნტა; 59. დუ; 60. ჯო; 61. კიი; 62. ლო.

1. ძლივს არ გამოვიდა მზე; 2. გურმანი; 3. კაცსასრუტი; 4. ოჯახური იდილია; 5. ბურთთან ჭიდილი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ალანიამ

13-დან 19-მდე

„ოროველამ“ რუსებში აღაფრთოვანა



სულ ახლახან მოსკოვი პატარა ქართველმა ხელოვანებმა დაიპყრეს. სპივაკოვის სახელობის ცნობილ მუსიკალურ ფესტივალზე წელს რამდენიმე ქართველი პატარა მუსიკოსი მონაწილეობდა, მათ შორის, ოთხი ესტრადის მომღერალი იყო. აქამდე სპივაკოვის ფესტივალი მხოლოდ კლასიკური მუსიკის შემსრულებლებს მასპინძლობდა. წელს პირველად დაირღვა ეს ტრადიცია და საქართველოდან ფესტივალზე მონაწილეობის უფლება მიიღეს: მარიამ როინიშვილმა, ნატალია ქუთათელაძემ, ზუკა ხუციშვილმა და გვანცა ზაქარეიშვილმა.

საზოგადოდ, „ოროველას“ ურთულესი ტექნიკის გამო, მამაკაცები ასრულებენ. ქალები კი, ჩვეულებრივ, უარს ამბობენ ამ სიმღერაზე. სწორედ „ოროველამ“ აღაფრთოვანა მოსკოველი მუსიკათმცოდნეები, ფოლკლორისტები და მსმენელი. ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პროფესორი პეტრე გულკო „ოროველას“ შემსრულებელ მარიამ როინიშვილს ცნობილ პერუელ მომღერალს, იმა სუმაკს ადარებს.

ქართველი ბავშვების მეშვეობით, როგორც არაერთგზის, საქართველომ სპივაკოვის ფესტივალზე თავისი სათქმელი თქვა. ამის დასტურად ნორჩი პიანისტის, ირმა გიგანის მიღწევებიც საკმარისია (ფესტივალზე გამოსვლის შემდეგ 8 წლის ვუნდერკინდი კრემლში რუსეთის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დაუკრავს).

მოსკოვური ვოიაჟის შესახებ მოგვითხრობს ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილე, **მარიამ როინიშვილი**:



— მარიამ, რით იყო შენთვის მნიშვნელოვანი სპივაკოვის ფესტივალი?

— გაგვიმართლა, წელს რომ საესტრადო სიმღერების შემსრულებლებიც დაუშვეს. ცნობილი ფაქტია, რომ სპივაკოვს ვოკალი თითქმის არ აინტერესებს და ყოველთვის ინსტრუმენტალისტებს გულშემატკივრობს. არ ვიცი, რატომ დაინტერესდა ამჯერად ვოკალისტებითაც. მიხარია, რომ მან მოსკოვში ჩვენი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება მოგვცა.

— როგორც ამბობენ, საკმაოდ რთული რეპერტუარი გქონია...

— შევასრულე „ოროველა“, „მთაწმინდა ჩაფიქრებულა...“ და ლელას არია რევაზ ლაღიძის ოპერიდან „ლელა“. ფესტივალის დახურვაზე კი მე, ნატალიამ, ზუკამ და გვანცამ ოთხ ხმაში ვიმღერეთ „პოდ მოსკოვნიე ვეჩერა“. სხვათა შორის, „დომ მუზიკიში“ გაგვიჭირდა სიმღერა ფონოგრამის გარეშე, — ძალიან ცუდი აპარატურა იდგა, სმენადობა დაბალი იყო. ნიკა მემანიშვილი გვიწევდა აკომპანირებას, მიუხედავად ამისა, ტექნიკურმა ხარვეზებმა მუსიკალური ხელოვნების წარმოჩენა ძალზე გაართულა.

— ფესტივალის შემდეგ ქართველ ბავშვებს საქმიანი წინადადებები ხომ არ შემოგთავაზეს უცხოელებმა?

— იყო საქმიანი წინადადებებიც. თუმცა, ჯერჯერობით კონტრაქტის სახით არაფერი გაფორმებულა.

ქართველმა ბავშვებმა მსმენელთა და მუსიკოსების განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურეს. მხოლოდ ჩვენს ოთხეულს არ ვგულისხმობ, ნორჩმა პიანისტებმა, მარიანა აჩბამ და ირმა გიგანმა, პატარა მევიოლინეებმა, საოპერო სკოლის ნორჩმა ვოკალისტებმა აღაფრთოვანა ფესტივალი. მარიანა აჩბა ფესტივალის დახურვაზე ბისზე რამდენჯერმე გამოიძახეს. ირმა გიგანს კი 3 ივნისს კრემლში კონცერტის ჩატარება სთხოვეს, რომელიც უკვე წარმატებულად შედგა. როცა აფიშაც ვიხილეთ, ძალიან ამაყები დავდიოდით. გვიხაროდა, რომ ასეთმა პატარა გოგონამ რუსეთის დედაქალაქი დაიპყრო.

— ამჟერად რას აკეთებ?

— დაიწყო არდადეგები, რაც ძალიან მახარებს. თუმცა, ისევ ვმეცადინეობ და ალბათ ჩავწერ სიმღერას — „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“.

— ცნობილი მშობლების ჩრდილში თავს როგორ გრძნობ, ხომ არ გზღუდავს მათი პოპულარობა?

— პირიქით, მათი პოპულარობა მალალებს, მაგრამ დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ.

— მარიამ, შენ მხოლოდ 14 წლის ხარ. ცოტა მძიმე ხომ არ არის ჩვენში ასე მომრავალებული ტინეიჯერ „ვარსკვლავთა“ ცხოვრება?

— სხვების რა გითხრათ, არაფერი ვიცი, მე კი არც ვარსკვლავი ვარ და არც მომღერალი. ბავშვი, გენებავთ, ტინეიჯერი ვარ და ჩემი ასაკის შესაფერისად ვცხოვრობ. ჯერჯერობით, ჩემთვის მთავარი სასკოლო განათლებაა, თუმცა, გაცილებით ბევრს ვმეცადინეობ ინგლისურსა და მუსიკაში.

— შენი თაობა რით ერთობა?

— მე და ჩემი მეგობრები წიგნის კითხვას ვუთმობთ დიდ დროს — ჩვენი შეხვედრების სასაუბრო თემა უმეტესად წაკითხულზე მსჯელობაა. უზომოდ მიყვარს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები. ერთი და იგივე ათასჯერ შემიძლია წავიკითხო. ჩემი აზრით, ცდებიან, რომ ამბობენ ჩვენს თაობაზე, უწიგნურები არიანო. ჩემ ირგვლივ ბევრს უყვარს წიგნი. თუმცა, ვიცნობ ისეთებსაც, ვერაფერს რომ ვერ წაკითხულებ. ისინი კომპიუტერით არიან დაინტერესებულნი.

— თამრიკო ქოხონელიძესა და გია როინიშვილზე რას იტყვი, როგორი მშობლები არიან?

— „გიჟი“ მშობლები არიან, ძალიან მოსიყვარულეები და, ამასთან, ჩემი და ჩემი ძმის შესანიშნავი მეგობრები. სხვათა შორის, მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს აზრს, ყოველთვის ყურადღებით გვისმენენ. გამოგიტყდებით და დედაჩემის კონცერტებზე ისე ვნერვიულობ, ხელები სულ მეყინება ხოლმე. როცა მღერის, ღელავს და განიცდის. ამიტომ, როცა ის სცენაზე დგას, ადგილზე ძლივს ვჭერდები. იგივე ემართება დედას სცენაზე ჩემი გამოსვლის დროსაც.

— „იავნანას“ თუ გიმღეროდათ ბავშვობაში?

— არა. არაფერსაც არ გვიმღეროდა ძილის წინ. როცა ფილმში სიმღერა შესთავაზეს, თურმე დათანხმება გაუჭირდა. ერთ საღამოს, ძილის წინ, ჩვენ გვიმღერა, მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა კინოში სიმღერას.

ეკა ლომიძე

საყვარელო „პალიტრავ“

გამოხმაურება

იბრძოლე და გასაოცარ სიმაღლეებს მიაღწევ!

მას შემდეგ, რაც რუბრიკაში „13-დან 19-მდე“ სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მოსწავლის – ჯიმი ყობერაშვილის წერილი გამოქვეყნდა, რედაქციაში უამრავი ზარათი მოვიდა. წერილებს გვწერდნენ არა მხოლოდ ჯიმის თანატოლები, არამედ უფროსი თაობის ადამიანებიც. ყველა წერილს ლაიტმოტივად ერთი – იმედის მომრეში განწყობილება გასდევს. ყველა თანაუგრძნობს ჯიმის, იმავდროულად, ამხნევებს მას და მომავლის იმედს უსახავს. სამწუხაროდ, ყველა გამოხმაურების დაბეჭდვა შეუძლებელია, ამიტომ რამდენიმეს გავეცანით. იმედია, ჯიმი ნაიკითხავს და ყხოვრებაზე ხელჩაქნეულს იმედი ჩაესახება, რადგან მის გარშემო არიან ადამიანები, რომელთათვისაც უხო არ არის მისი ცხოვრება.



შენმა წერილმა ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. იმიტომ, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს ხელი გაქვს ჩაქნეული და გამოსავალს მხოლოდ სხვაზე ჯავრის ამოყრაში ხედავ. თუ პრობლემას ასე მიუდგები, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალში კიდევ მეტად გაგიჭირდება, რაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგიყვანს.

როგორც შენი წერილიდან ჩანს, მორწმუნე ადამიანი ხარ და ისიც გაგებული გექნება, რომ ამქვეყნად ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. ადამიანის უნარს აღემატება ღვთის ნების განსჯა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ იმედი არ დავკარგოთ და მხოლოდ მაშინ შევძლებთ ნებისმიერი მიზნის მიღწევას. განა ისტორიაში ცოტა მაგალითები გვაქვს იმისა, როდესაც ადამიანები, რომლებიც ფიზიკური ნაკლის გამო შენზე მეტად იტანჯებოდნენ და გასაოცარ სიმაღლეებს მიაღწიეს ცხოვრებაში? რამდენ მათგანს შემოუტრიალებია მსოფლიოს ჩარხი, რამდენს შეუქმნია ბრწყინვალე შედევრი? ფიზიკური ნაკლი არ არის ხელისშემშლელი მიზეზი იმისა, რომ განახორციელო შენი მიზნები. ერთადერთი მიზეზი მხოლოდ შენშია და მას სასოწარკვეთილება ჰქვია, ეს კი ის ცოდვაა, რომელსაც მოაქვს ღვთის იმედის დაკარგვა და ეშმაკთან დაახლოება.

როგორც ყველა ჯანმრთელ ადამიანს, შენც თავისუფლად შეგიძლია იცხოვრო შენი შრომით ისე, რომ არ იყო დამოკიდებული სხვაზე. ამისათვის ისეთი სპეციალობის შერჩევა იქნება საჭირო, რომლის შესრულებაშიც ხელი არ შეგეშლება. ასეთი კი ბევრია!

მიჰყევი ჩემს რჩევას — იბრძოლე! ამით ღვთის წინაშე პირნათლად ჩააბარებ გამოცდას, დაამტკიცებ შენი სულის სიმტკიცეს და მისაბაძი მაგალითი იქნები იმ ათასობით პიროვნებისათვის, რომლებიც თავიანთი ფიზიკური ნაკლისა თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო დათრგუნვილები არიან და მხარდაჭერას საჭიროებენ.

დავით გაჩეჩილაძე, რუსთავი

***

ჯიმი, ვერც კი წარმოიდგენ ჩემს გულისტკივილს. რატომ, შვილო! ასე რატომ იტანჯები, არ გინახავს შენზე მეტად გაჭირვებული?

გამხნევდი, ხომ წერ, კითხულობ, ყველაფერს ხედავ, ტკბები ბუნების სილამაზით, შენიანების, მეგობრების ცქერით. მერე რა, რომ სმენა არა გაქვს. მაშინ რა ქნან იმ ადამიანებმა, ვინც ვერ დადის, ვერ ხედავს — ეს ხომ უფრო დიდი უბედურებაა. გამხნევდი, ვაჟკაცი ნუ მიეცემი ასეთ დარდს, ყველაფერს გამკლავება უნდა, ბედნიერებასაც და უბედურებასაც.

მე კი შენთვის სრულიად უცხო ადამიანი, გისურვებ მხნეობას, მომავლის იმედს, სიყვარულს, სწავლა-განათლების მიღებას. შენ ისეთივე ადამიანი ხარ, როგორიც ჩვენ, ყველა.

კეთილი სურვილებით, თინა ბებო

ჯიმი! მინდა გითხრა, რომ პესიმისტი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ყოფილხარ, არადა არც ისე მუქ ფერებშია შენი ცხოვრება და მომავალი. არ იფიქრო, თითქოს, მე რადგან მესმის, ამით უფრო საამურია ცხოვრება და რამეთი შენზე უკეთესი ვარ. ცხოვრება ისეთი უნდა მიიღო, როგორიც ღმერთმა გიბოძა და მაქსიმალურად შეეცადო, შეიქმნა ისეთი გარემო, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობ. მე 33 წლისა ვარ, სპეციალობით პროგრამისტი და სიმართლე გითხრა, როდესაც პროგრამაზე ვმუშაობ, ყურები ჩემთვის ხელისშემშლელი ფაქტორია და ამიტომ ყურებდაცული ვარ. არ იფიქრო, თითქოს ვამტკიცებდე, სმენა ზედმეტია, არა, უბრალოდ მინდა აგიხსნა, რომ არც ისე დიდი უბედურებაა, რომ არ გესმის. უბრალოდ, არ ღირს ამისათვის დედას გული ატკინო და ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიო. დაბოლოს, ერთ რჩევას მოგცემ. შეისწავლე კომპიუტერი კარგად და ჩათვალე, რომ შენი პრობლემა უბრალოდ აღარ იარსებებს. რაც შეეხება სამსახურს, უამრავი ორგანიზაცია არსებობს, სადაც სმენა არაფერში სჭირდებათ, მაგალითად: ნებისმიერ ოფისში კომპიუტერების ადმინისტრატორად. და კიდევ ერთი, თუ შინ ინტერნეტი არა გაქვს, ინტერნეტკაფეში მიდი და კომპიუტერის საშუალებით ნებისმიერ ადამიანთან გექნება ურთიერთობა და შენ წარმოიდგინე, ამ ურთიერთობის დროს ისინი ვერასდროს შეამჩნევენ შენს ნაკლს. ბოლოს კი მოგცემ ჩემი ელექტრონული ფოსტის მისამართს, შენც გახსენი შენი და თუ რამე პრობლემა გექნება, ერთად გავუმკლავდებით. აბა, შენ იცი, ცხვირი არ ჩამოუშვა.

kote44@posta.ge თუ რამემ შეგაწუხოს, მომწერე, ბეჭებზე დავაგდებთ ყველა პრობლემას.

კოტე

***

ჯიმი, წავიკითხე შენი წერილი და ძალიან დამწყდა გული, როდესაც გავიგე, თუ რამხელა დარდს დაატარებ.

მეც ცუდად მესმის, მაგრამ სიმართლე გითხრა, ამის გამო დიდად არასოდეს მინერვიულია, რადგან ბუნებაში არ არსებობს სრულყოფილი ადამიანი. როდესაც ადამიანს რაიმე ნაკლი აქვს, მას ბუნება სხვა ისეთი ღირსებით აჯილდოებს, რაც სხვებს არ გააჩნიათ.

ნუ აიცრუებ გულს ცხოვრებაზე და ნუღარასოდეს იფიქრებ, რომ ჩვენნაირი არავის სჭირდება.

აბა, ერთი წუთით მაინც დაფიქრდი, თუ რამდენი ჩვენზე მძიმე ნაკლის მქონე ადამიანი დადის ქვეყანაზე. ჩვენ ის მაინც შეგვიძლია, აღვიქვათ სამყარო ისეთი, როგორიც არის, მაგრამ რა ქნან იმათ, ვისაც ყვავილის სურნელი კი შეუგრძნია, მაგრამ არასოდეს უნახავს ის მშვენიერება, რომელიც ამ სურნელს აფრქვევს. შეხედე ცხოვრებას იმედის თვალით და იფიქრე მომავალზე, რადგანაც არ ღირს, ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის უსიამოვნო ფიქრებით დამძიმება.

პატივისცემით, დათო ბ.

არ დამიჯერა და ცემა დამიწყო



ძალიან მიყვარს თქვენი გაზეთი და რუბრიკა „13-დან 19-მდე“. ძალიან გთხოვთ, ეს ჩემი პირველი წერილია და უყურადღებოდ ნუ დამტოვებთ.

მინდა ჩემ შესახებ მოგითხროთ. სკოლაში ვსწავლობ, ამიტომ გარეთ გასვლის დრო არ მრჩება, რადგან ძალიან ბევრი სამეცადინო მაქვს. ერთხელ სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდი, რომ ვიღაცამ დამიძახა. მეც მივბრუნდი და ვიღაც უცხო დავინახე. ვიფიქრე, შევეშალე-მეთქი და ისევ გზა გავაგრძელე. ის კი ისევ მეძახდა. ყურადღება რომ არ მივაქციე, გამომედევნა და ლაპარაკი დამიწყო. მე უხეშად ჩამოვიცილე, მან თავისი არ დაიშალა, ჩემს კორპუსამდე მდია. როგორც მოგვიანებით გავიგე, სახლთან მამაჩემი მდგარა და დაუნახავს იმ ბიჭს რომ ველაპარაკებოდი. ის იყო სადარბაზოში შევედი, მამამ ყვირილი მორთო — ვინ იყო ის ბიჭიო. ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. არ დამიჯერა და ცემა დამიწყო. თავში მირტყამდა და ერთსა და იმავეს მიმეორებდა, მეთქვა, ის ბიჭი ვინ იყო. მე ჩემი სიმართლის დამტკიცებას ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ. მეორე დღეს თავი საშინლად მტკიოდა. ექიმმა ტვინის შერყევა დამიდგინა. ახლა კი ვმკურნალობ და არ ვიცი, ამ ყველაფერს როგორ გადავიტან. ძალიან მინდა, თქვენი საშუალებით ყველა მშობელს ვუთხრა, რომ შვილი უმიზეზოდ არ სცემონ.

ძვირფასო „პალიტრავ“, იმედია, ამ წერილს გამომიქვეყნებთ და ჩემი თანატოლები შეიტყობენ, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ჩირადაც არ უღირთ შვილის ჯანმრთელობა.

თქვენი ერთგული მკითხველი ანი, 14 წლის, თბილისი.

გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა

საკუთარ ბედნიერებაზე ისევ სიყვარულის გამო ვთქვი უარი...



„16 წლის ვიყავი, ჩემზე ათი წლით უფროსმა კაცმა რომ მომიტაცა, — გვწერს ოზურგეთელი ნანა, — ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა. ფულიც ჰქონდა და სახელიც... მანამდე არავინ მყვარებია, მაგრამ ქმარი მაინც ვერ შევიყვარე — უხეში იყო. მისი მოფერება და ალერსიანი სიტყვაც კი არ მახსოვს... თავდაპირველად ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი ქმრის ოჯახში, ყველას თავს ვუხრიდი. თურმე როცა თავიდანვე შეაჩვევ მორჩილებას, სიცოცხლის ბოლომდე მოგთხოვენ... 23 წლისას უკვე სამი შვილი მყავდა — ორი გოგონა და ვაჟი. ბევრი შემომნატროდა, შორიდან მართლა ბედნიერი ჩანდა ჩემი ოჯახი, თუმცა ჩემთვის ყოველი დღე უსიხარულო იყო. მხოლოდ შვილები მიხალისებდნენ ცხოვრებას... გულისტკივილით ვფიქრობდი, — ალბათ ბევრი ქალია ჩემს დღეში-მეთქი. მოცალეობისას, როცა მეზობლის ქალები თავს მოვიყრიდით, ჩვენ-ჩვენს სატკივარზე ვყვებოდით და ასე ვიოხებდით გულს.

თითქოს აუცილებელი იყო, — თითოეული ჩვენგანის ქმარს „ქალი“ ჰყავდა. ზოგი კაცი მალავდა, ზოგიც — არა. „არ არსებობს, ნენა, კაცი, რომელსაც საყვარელი არ ჰყავდეს. მთავარია, ოჯახი არ ანაცვალოს, თვარა, კაცმა თუ ქალებში გეიარა, მაი არაა დიდი დანაშაული“, — გვმოძღვრავდა ერთი ჩვენზე უფროსი ქალი.

არ ვიცი, სხვები რას ფიქრობდნენ ამ საკითხზე, მაგრამ მე ძალიან მიკვირდა. მეტიც, აღშფოთებული ვიყავი. ღირსების გრძნობა უფლებას არ მაძლევდა, თუკი მართლაც მყავდა, „მეტოქეს“ შევგუებოდი. არადა, ვატყობდი, რაღაც ისეთი ხდებოდა, ჩემთვის რომ უკიდურესად მიუღებელი იყო. ბადრი ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა შინ, ზოგჯერ საერთოდ არ მოდიოდა. ერთხელ ძალა მოვიკრიბე და ვუთხარი: ჩვენი ცხოვრების ასე გაგრძელება არ შეიძლება-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა. ცოტა ხნის შემდეგ კი მიპასუხა: თუ არ მოგწონს, შეგიძლია, მიბრძანდე. ბავშვებს დედაჩემიც მშვენივრად მიხედავსო.

შენი უხეშობა როდემდე ავიტანო, ქალი ვარ და შვილების მამისაგან სითბო და მეტი ყურადღება მჭირდება-მეთქი, რომ ვუთხარი აგდებულად მომიგო: სწორედ შენზეა ნათქვამი „კვიცი გვარზე ხტისო“. მამიდაშენმაც ასე დაანგრია ოჯახი და ვიღაც უჯიშოს გაეკიდა თბილისში, შენც ისე ხარ აჭიკჭიკებული, ვინმე ხომ არ გყავსო?

ხმა ველარ ამოვიღე. ცრემლი მომადგა და გავეცალე. მამიდის ხსენებამ გული მატკინა. თინა მამიდაც მოიტაცეს, მანაც ვერ ააწყო ცხოვრება. ერთი თბილისელი კაცი გაიცნო. შეუყვარდათ ერთმანეთი. ადგა და მას გაჰყვა ცოლად. კარგა ხანს არ ატანდნენ ბავშვს. ორი წელი ერთი ორომტრიალი, გაწევ-გამოწევა იყო. ბოლოს, დაიბრუნა შვილი და იმ არაჩვეულებრივ კაცს, მეორე ქმარს, ორი შვილი გაუჩინა. თინა მამიდა ჩემი კერპი იყო. ხშირად ჩავდიოდი თბილისში, მისი ყოველი სიტყვა ჩემთვის კანონი იყო. ეს იცოდა ბადრიმ და რადგან ხმა ამოვიღე, ეგონა, მამიდისგან ვიყავი „მომართული“.

იმ დღის მერე ბადრი უფრო გაუხეშდა. ფხიზელი არაფერს მეტყოდა, სამაგიეროდ, ნასვამი გულს მიხეთქავდა, ისეთ რაღაცებს მეუბნებოდა, რამდენჯერმე მცემა კიდეც. აღარ შემეძლო მასთან გაჩერება, ჩემი შვილებიანად მშობლებთან დავბრუნდი. თოფით მომივარდა — ახლავე ბავშვები გამოიყვანე, თორემ დაგხოცავთო. მამაჩემმა — ნუ გაამწვავებ, შვილო, სიტუაციას, გააყოლე ბავშვები, შენ კი დარჩი. ცოტა ხანში გადაუვლის სიბრაზე და შვილებს თავისი ხელით მოგიყვანსო. ბავშვების მიმართ არ იყო ისეთი დესპოტი. მამას დავუჯერე...

ერთი კვირა შვილების გარეშე ისე გამიჭირდა, ყოველდღე ცხარე ცრემლით ვტიროდი. მერე მამაჩემი წავიდა სიძესთან მოსალაპარაკებლად. ბადრიმ უთხრა: ეგ მე არ გამიგდია, თვითონ წავიდა, ამიტომ შვილებს არც დავანახებ. მოსვლა თუ უნდა, მოვიდეს, მაგრამ იცოდეს, კიდევ თუ წავა შინიდან, აღარ ვაპატიებო. მოკლედ, ისე წაიყვანა საქმე, აქეთ მთხოვდა ბოდიშის მოხდას. ბოდიში, რა თქმა უნდა, არ მომიხდია, მაგრამ შვილების სიყვარულმა დამაბრუნა. თუმცა გული უკან მექაჩებოდა.

ბადრი ძაღლადაც არ მაგდებდა. მართალი გითხრათ, ჩხუბს და აყალმაყალს ასე მერჩივნა. ბადრის მშობლებთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა, ბადრი კი უბრალოდ, აღარ არსებობდა ჩემთვის.

ჩემმა მეგობარმა შემომთავაზა სკოლაში გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებლობა. სიხარულით დავთანხმდი. სკოლამ, მოსწავლეებთან ურთიერთობამ ცოტათი გამომიყვანა მდგომარეობიდან... მოგვიანებით გავიგე, რომ ბადრის საყვარელი ჰყოლია. გული ჩამწყდა, მაგრამ ამის გამო ვერ ვუსაყვედურებდი — ჩვენ, უბრალოდ, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით (თანაც, ხანდახან). ზოგიერთი ახლობელი მეტყვის ხოლმე: შვილების გამო უნდა გეცადა მასთან შერიგებაო. მწარედ მეღიმება — განა არ ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჯერ ერთი, ბუნებით იყო უხეში, მეორეც — გვიან მიხვდა, რომ არ ვუყვარდი. „ის“ უყვარდა, ვისთანაც ხშირად იყო. მკითხავთ, მაშინ რატომ არ მიდიოდა იმ ქალთან, რატომ არ გაგშორდაო. იმიტომ, რომ უაზროდ მიმდევარი იყო ადათწესებისა. მიაჩნდა, რომ ოჯახი ხელშეუხებელი იყო, რომელიც ყველა შემთხვევაში მთლიანი სახითა და შემადგენლობით უნდა არსებულიყო. თავის გრძნობას (და ჩემსასაც, რა თქმა უნდა) უკან სწევდა ამ მთლიანობის შესანარჩუნებლად. მას ჩემი განცდები არასოდეს აინტერესებდა... ერთხელ, შემთხვევით მოვკარი ყური, შინ გვიან დაბრუნებულს დედამისი ეუბნებოდა: რატომ დაიდე ამ გოგოს ცოდვა, რომ მოიტაცე და შვილები გააჩენინე, მეტი არაფერი უნდაო? იცით, რა უპასუხა? დედა გავხადე, საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელ-დასახური არ აკლია, სახლიც კარგი აქვს და მეტი რაღა უნდაო.

გეკითხებით, რა ერქვა თორმეტი წლის მანძილზე ჩემს ყოფას ამ ოჯახში? განა ძაღლი ვიყავი, საჭმლის მეტი არაფერი მნდომებოდა?

ერთი სიტყვით, სკოლაში მუშაობისას ცოტა ამოვისუნთქე. ცოტა ხანში ისტორიის მასწავლებელი გავიცანი, კოტე. ხელვაჩაურის რაიონში ცხოვრობდა მისი ოჯახი (დედამამა და ძმები). როცა სკოლაში დავიწყე მუშაობა, იგი არ დამხვედრია. ოპერაცია გაეკეთებინა და ორი თვის შემდეგ დაუბრუნდა სკოლას.... ცოტა ხანში შევატყვე, რომ განსაკუთრებული სითბოთი მეპყრობოდა. ერთხელაც, ახალგაზრდა მასწავლებლები ერთ-ერთის ოჯახში შევიკრიბეთ. სწორედ იქ გადავუშალეთ გული ერთმანეთს მე და კოტემ. ბევრს აღარ გავაგრძელებ, იმ დღიდან ორივე მივხვდით, რომ ჩვენ, მარტოსულები, ბედმა შეგვახვედრა ერთმანეთს.

შეგვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენი ურთიერთობა ხანმოკლე შეხვედრებით (სკოლის შენობაში) შემოიფარგლებოდა. როცა კოტემ გული შემომთავაზა, გადავწყვიტე, მამიდისთვის მეკითხა რჩევა. უმცროს შვილს ხელი მოვკიდე და თბილისში ჩამოვედი... კარგა ხანს მისმინა მამიდამ, ბოლოს მითხრა: ძნელია ოჯახის საქმეში ჩარევა. აბა, გაშორება როგორ გირჩიო, მაგრამ ბადრისთან დარჩენაც სასჯელია. თუკი მართლა გულით უყვარხარ იმ კაცს და შენც გიყვარს, იბრძოლე, თუმცა ტკივილიც მრავლად შეგხვდება და ცრემლიც. მამიდის გარეშეც ვიცოდი, რომ კარგი დღე არ დამადგებოდა, მაგრამ... ჩავედი თუ არა ოზურგეთში, გოგონები მშობლებთან წავიყვანე (ბიჭი მამიდასთან მყავდა), ბადრის კი წერილი დავუტოვე: „მივდივარ, მე ასეთი ცხოვრება აღარ შემიძლია“. სამი დღის მერე წაუკითხავს ბარათი (როცა შინ მივიდა), ისევ მომივარდა, ისევ ერთი ამბავი ატეხა, მაგრამ ამჯერად გოგოებმა უთხრეს, ჩვენ დედასთან ყოფნა გვირჩევნიაო. რაც შეეხება ბიჭს, მაინც თავისი გაიტანა და შინ წაიყვანა: გვარის გამგრძელებელს შენთან არ დავტოვებო.

მე და კოტემ გადავწყვიტეთ, ბათუმში გვეცხოვრა და გვემუშავა. კოტე გადავიდა ბათუმში, ექვსი თვის შემდეგ გოგონებთან ერთად მეც წავედი. კოტემ იქ უკვე დაგვახვედრა ბინა. იმავე შაბათს დავიწერეთ ჯვარი. ჩემი ბედნიერება მხოლოდ თორმეტი დღე გაგრძელდა. ვიღაცისგან გაიგო ბადრიმ ეს ამბავი, მოგვივარდა შინ და ისეთ დღეში ჩაგვყარა ორივე, კოტე საავადმყოფოში წაიყვანეს (ორ ადგილას იყო დაჭრილი), მე კი, ტვინშერყეულს, შინ მივლიდნენ დედა და შვილები. კოტეს დედამისი მთელი ერთი თვე არ მოშორებია გვერდიდან და როცა ფეხზე წამოაყენა შვილი, ჩემს მოსანახულებლად მოვიდა. თბილად შევხვდით ერთმანეთს, ვატყობდი, მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა და როგორც იქნა, მითხრა: შვილო, ვიცი, რომ გიყვართ ერთმანეთი, მაგრამ თუ კოტე მართლა გიყვარს, უარი უნდა თქვა მასზე. გავიკითხე შენი ქმრის ამბავი და მითხრეს, — თავზეხელაღებული კაციაო. ციხიდან მალე გამოვა და ვიცი, არ გაგახარებთ. თურმე კოტეს დამუქრებია: შენ მაინც ჩემი ხელით სიკვდილი გიწერიაო. დედა ხარ და იმედია, გამიგებ. ოღონდ გთხოვ, კოტეს ნუ ეტყვი, რომ მე გელაპარაკეო. დავპირდი, ისე მოვიქცევი, როგორც მირჩიეთ-მეთქი... და მართლაც, საავადმყოფოდან გამოსულ კოტეს უარი ვუთხარი. ბადრისთან ჯვარი არც მქონია დაწერილი; მართალია, მისგან შვილები მყავს, მაგრამ დღემდე მიმაჩნია, რომ კოტეა ჩემი ნამდვილი ქმარი, ჩემი საყვარელი ადამიანი...

ოზურგეთში დავბრუნდი... მას აქეთ 14 წელი გავიდა. შვილებს თავისი ცხოვრება აქვთ, მე კი მარტო ვარ... კოტემ გვიან შეირთო ცოლი. ორი ვაჟი ჰყავს, 7 და 4 წლისანი...

ამ წერილის დაწერა კი „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილმა სტატიებმა გამაბედინა... ძალიან მინდა, საქართველოში ნაკლებად იყოს ისეთი ოჯახები, როგორიც ჩემი იყო. ოჯახის შენარჩუნება კარგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვები ვერ ხედავენ მშობლების ცივ და დაძაბულ ურთიერთობას. თუკი ცოლ-ქმარმა ვერ შეძლო თბილი კერიის შექმნა, მაშინ გაყრა სჯობს. ამით შვილებს, მართალია, ცოტა ხნით გულს ატკენენ, მაგრამ რაც მთავარია, სულს არ დაუმახინჯებენ...“

მარინა ბაბუნაშვილი

უფულობის შიშს რა ვუთხარი, თორემ...

ჩვენს ქვეყანაში უამრავი უმუშევარი დღედაღამ სამსახურზე ოცნებობს, მაგრამ ისეთებიც არიან, ვისაც შემოსავლის ერთადერთი წყარო, საკუთარი სამსახური, როგორც თვითონ ამბობენ, — „ყელში ამოუვიდათ“ და დღის გათენება ეზარებათ...

ნანა (28 წლის): — დიდი უცნაური ძმა მყავს, ვერ გაიგებ, რა მოსწონს და რა — არა. კარგა ხანს იყო უმუშევარი. ნერვებს გვიშლიდა ბუზღუნით — სამსახურს ვერ ვშოულობო. ჩემმა ბიძაშვილმა ერთ ბანკში როგორც ფინანსისტს, გაუჩალიჩა კაი ადგილი. წავიდა ჩემი ძმა მომავალ უფროსთან გასაუბრებაზე და საღამოს გულები დაგვიხეთქა — ის კაცი არ მომეწონა და მასთან ვერ ვიმუშავებო. იმ თანამდებობაზე ხალხი ფულს ხარჯავს, ეს კი უკაპიკოდ ეწყობოდა! ძლივს დავიყოლიეთ სამსახურში წასვლაზე, მაგრამ რად გინდა, ცხოვრებით ისევ უკმაყოფილოა — ჩემი ადგილი იქ არ არის, მუშაობა არ შემიძლიაო. ამნაირზეა ნათქვამი, — კუზიანს სამარე გაასწორებსო. უმადური კაცია ჩემი ძმა.



თაკო (29 წლის): — ოჰ, დღე და ღამე სულ სამსახურზე არ ვფიქრობ?! ზოგჯერ მშურს იმ ქალებისა, ვინც შინ ზის, დიასახლისობს, შვილებს ზრდის, საღამოს კი ქმრის დაბრუნებას ელოდება. ფარმაცევტი ვარ, მაგრამ ერთ-ერთი სავაჭრო კომპანიის მარკეტინგის განყოფილებაში ვმუშაობ. მეზარება ჩემი საქმე, მაგრამ რა ვქნა. ამასაც რომ თავი დავანებო, ცუდად წამივა საქმე — მეც მშიერი დავრჩები და ჩემი შვილიც. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“, მართალი არა არის. მე ახლა სწორედ იმას ვაკეთებ, რაც ჩემი „გვარი“ არ არის, მაგრამ ძალიან კარგად გამომდის საქმე. უფულობის შიშს რა ვუთხარი, თორემ სავაჭრო კომპანიაში რა მინდა!

მერაბი (48 წლის): ჩემს ახლობლებს რომ ჰკითხო, მაგარი თანამდებობა მაქვს. საზოგადოებაში დაკავებული კაცი ვარ, კაი შემოსავლით მარტო ოჯახს კი არა, ახლობლებსაც ვარჩენ. მე კი ყელში ამომივიდა ყველაფერი. წავიდოდი სადმე სოფელში, ვიცხოვრებდი მოკრძალებულად, დილ-დილობით რეზინის „ვალინკებს“ ჩავიცვამდი, წალდს გავიდებდი მხარზე, ტყეში წავიდოდი, სარს მოვჭრიდი. მერე ვაზს დავუსობდი. ფრინველ-ცხოველს ვიყოლიებდი... ამაზე ხშირად ვოცნებობ და ვგრძნობ, რა ამაოა ის, რასაც დღემდე ვემსახურები, მაგრამ რად გინდა! რეალობას ვერ ვანგრევ და ოცნებებს ვერ ვახორციელებ. ამიტომაც გეწუწუნები. ეჰ, ხომ ვარ ახლა სასჯელის ღირსი? ხალხს სამსახური ენატრება, მე კი...

ნატო (36 წლის): — ყოველ თვეში თითო კვირას რომ ვისვენებდე, კარგი იქნება. თუმცა, თვეში კი არა, წელიწადში ერთ კვირასაც კი ვერ იმეტებს უფროსი ჩემს დასასვენებლად. შარშან დიდი მანჭვა-გრეხისა და ვედრების შემდეგ გამიშვა ზღვაზე, მაგრამ რად გინდა, ცალკე უამინდობის გამო ვერ დავისვენე და ცალკე — ჩემი გადარეული უფროსის გამო. ყოველდღე მირეკავდა და სამსახურში სხვადასხვა გაურკვეველი ამბების მოგვარებას მავალებდა... ტელეფონით! თავიდან რომ მომეშორებინა, ვუთხარი, მობილურის დეპოზიტის შესავსები ფული არა მაქვსმეთქი. უზარმაზარი თანხა დამისვა დეპოზიტზე. საერთოდ გამოვრთე ტელეფონი და შევუთვალე, მომპარეს-მეთქი. მეორე დღესვე გამოუტანებია ნაცნობისთვის ახალი აპარატი. კინაღამ გავგიჟდი. ასეთი უფროსის ხელში შეიძლება სამსახურით კმაყოფილი ვიყო? ზოგჯერ მის გვერდით მუშაობას შიმშილით სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოვინდომო, ამის უფლებასაც არ მომცემს...

ეკა ლომიძე

საზაფხულო ნიღბები



კარტოფილის ნიღაბი. კანიანად მოხარშული კარტოფილი გაფცქვენით, გააკეთეთ პიურე, დაუმატეთ 1 ს/კ რძე და 1 კვერცხის გული. ჩადგით ცხელწყლიან ჯამში 25-30 წუთით. ცოტა მოურიეთ. დაიდეთ სახეზე და ნახევარი საათის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით, შეიმშრალეთ და სახე გაიწმინდეთ ლოსიონით.

საფუვრის ნიღაბი ლიმონით. 20 გ ჩვეულებრივი საფუარი გახსენით 1 ჩ/კ ლიმონის წვენში, დაუმატეთ მარწყვის ან მოცხარის წვენი. მიღებული მასა შეათბეთ ცხელი წყლის ორთქლზე. სახეზე გაიჩერეთ 15-20 წუთი, ჩამოიბანეთ თბილი ჩაის ნაყენით. შეიმშრალეთ სახე და წაისვით ნებისმიერი მკვებავი.

ხაჭოს ნიღაბი. გათქვიფეთ 2 ს/კ ხაჭო, 1 კვერცხის გული და რამდენიმე წვეთი წყალბადის ზეჟანგი. ეს სქელი და კრემივით ნაზი მასა წაისვით სახეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

თაფლის და ზეითუნის ზეთის ნარევი. სახის კანი არაჩვეულებრივად იწმინდება და ღამაზდება თაფლისა და ზეითუნის ზეთის ნიღბებით. წაისვით მონაცვლეობით: დღეს — ერთი, ხვალ — მეორე. გაიჩერეთ სახეზე 20 წთ და ჩამოიბანეთ გრილი წყლით.

ჩვენ გვწერენ

ცრუდაპირებით მამაკაცი ღირსებას კარგავს...

„ყველაფერი 2001 წლის ნოემბერში დაიწყო. ჩემმა მეგობარმა მარი მ-მ და ზვიად ც-მ ახლობელთან გაიცნეს ერთმანეთი. დანახვისთანავე შეუყვარდა ზვიადს მარი და იმ საღამოსვე გამოუტყდა სიყვარულში. მალე ეს ამბავი მარის ოჯახმაც გაიგო. წინააღმდეგი არ წასულან მშობლები, ოღონდ ურჩიეს: ჯერ სწავლა დაასრულეთო (მარი საქართველოს ერთ ლამაზ სოფელში ცხოვრობს). ზვიადი ცოტა ხნის მერე თბილისში წამოვიდა, მარის კი დაჰპირდა, ორ თვეში დავბრუნდები და ცოლად მოგიყვანო.

ორი თვეც გავიდა და წელიც, მაგრამ ზვიადი არ გამოჩენილა. მარი ძალიან წუხდა და როცა დარწმუნდა, ზვიადი აღარ დაბრუნდებოდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა. მოუბოდიშა, პრობლემები მოიმიზეზა, კვლავ სიყვარული შეჰფიცა და ისევ დაჰპირდა, რაღაც მაქვს მოსაგვარებელი, როგორც კი ყველაფერს მოვაწესრიგებ, ჩამოვალო.

ისევ გავიდა თვეები, ისევ გახანგრძლივდა დუმილი. მარი საგონებელში ჩავარდა. თაყვანისმცემელი ბევრი ჰყავს, მაგრამ ვატყობ, ზვიადი უყვარს.

თქვენი საშუალებით მინდა მივმართო ზვიადს: — როდემდე უნდა გაგრძელდეს შენი უცნაური საქციელი? თუ არ გიყვარს, მაშინ რაღას ეფიცები სიყვარულს? ცოდოა მარი, შენს გზას გაჰყურებს, იტანჯება... ნუ დაკარგავ ღირსებას, ნუ დაუმალავ ნურაფერს. კაცს არ შეჰფერის სიტყვის გატეხა, — ღირსებას ჰკარგავს, ნუღარ ატყუებ და ცრუდაპირებებით ნუღარ დააიმედებ მარის.


ქეთი.“

ქართველი წამყვანი ისრაელის ტელეეთერში



ერთ სანთელს ყოველთვის საქართველოსთვის ვანთებ

ავსტრიაში აფრიკიდან დაბრუნებულს 7-კვირიანი დეპრესია მქონდა



გრძნობები, რომელსაც ცხოვრების მანძილზე გავცემთ ენერგიის სახით, მარადიულია

თაკის „სარდაფის თეატრში“ კიდევ ერთხელ დასრულდა „ვენეციელი ვაჭარი“. ებრაელი შაილოკი ისევ შთამბეჭდავად ითამაშა **მერაბ ნინიძემ**. სპექტაკლის შემდეგ საგრიმიოროსთან ველოდები. დაღლილი ჩანს, მაგრამ ემოციებით აღსავსე და ბედნიერია. ხელში ფულს ითვლის, თან ღიმილით მეუბნება: — ეს ორი სპექტაკლის ხელფასია, ცოტაა ხომ? მერე რა, სამაგიეროდ, ძალიან ბედნიერი ვარ, ახლა წავალთ მეგობრები და წავიხემსებთ...

ვცდილობ, ინტერვიუზე შევუთანხმდე. სიტყვის თქმას არ მაცდის: აბა, ახლა არ მითხრა, უნდა ჩაგწეროო. მაინც ვახერხებ და ინტერვიუზე ვუთანხმდები. კაროლ ლინკის ოსკაროსან ფილმშიც ებრაელს თამაშობს მერაბი, ამიტომაც ხუმრობს: — ბოლო დროს სულ ებრაელებს ვთამაშობ, ცხოვრების ფაზა მაქვს ახლა ასეთიო. ფილმი აფრიკაში გადახვეწილი ებრაელი ადვოკატის ცხოვრებაზეა. მერაბიც კარგა ხანს იყო სამშობლოდან გადახვეწილი. ალბათ მისთვისაც მნიშვნელოვანია ფილმში ასახული სინამდვილე.

— მერაბ, ფილმში — „არსად აფრიკაში“, თქვენს გმირს გული მუდმივად სამშობლოსაკენ მიუწევს. ალბათ, ორგანულად გრძნობდით როლს.

— დიახ, ასე იყო. იმ წლებში, როცა ჩემი ფიზიკური სხეული სამშობლოდან შორს იყო, სული, ჩემი შინაგანი მე, საქართველოსთან მძაფრ კავშირს განაგრძობდა. ჩემი მოღვაწეობა, თითოეული საქმიანი ნაბიჯი უკავშირდებოდა სამშობლოს და ალბათ გადაჭარბებად არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ ჩემი და თითოეული უცხოეთში მოღვაწე შესანიშნავი ქართველის საქმიანობაც პატრიოტიზმის გამოხატულებაა. საბედნიეროდ, ბევრი ძალიან კარგი ქართველი მოღვაწეობს მსოფლიოში. გული მწყდება, რომ მათ შესახებ ჯერჯერობით თითქმის არაფერი იცის საქართველომ.

— „არ მინდა ისეთ პასპორტს ვატარებდე, რომელიც ჩემი არ იქნება“ — ამ სიტყვებით თქვენ გმირი ფილმში — „არსად აფრიკაში“ უარს ამბობს ინგლისურ პასპორტზე. მერაბ ნინიძე რომელ პასპორტს ატარებს?

— საბჭოთა პასპორტის შემდეგ, მხოლოდ ქართული პასპორტი მაქვს. ეს ზოგჯერ საქმეში პრობლემებსაც მიქმნის ხოლმე, მაგრამ არა უშავს. თუ შემომთავაზებენ სხვა ქვეყნის პასპორტს, ალბათ უარს არ ვიტყვი, მაგრამ მის მოსაპოვებლად თავი არასდროს შემიწუხებია, სურვილიც არ გამჩენია. ისე კი, ჩემი გმირი მართალია. რად გინდა ისეთი პასპორტი, რომელიც შენი არ იქნება? პასპორტი ვერაფერს ცვლის.

— ფილმში ერთ-ერთი ძირითადია ოჯახის თემა. საქართველოში ოჯახის კულტიც კი არსებობს. სხვაგან თუ გინახავთ მსგავსი დამოკიდებულება?

— გადაღებებზე ვიყავი სამხრეთ იტალიაში და იქ ვნახე ოჯახის ზუსტად ისეთი სტრუქტურა და ურთიერთდამოკიდებულება, როგორიც საქართველოშია. ავსტრიაში კი ოჯახის ინსტიტუტი იმდენად მორყეულია და ოჯახის წევრებს შორის ისეთი გაუცხოებაა, რომ შვილმა შეიძლება ტელეფონით თვეში ერთხელ მოიკითხოს მშობელი ორი სიტყვით, 6 თვეში ან სულაც წელიწადში ერთხელ კი ნახოს. იქ ოჯახი ძალიან ვიწრო ცნებაა. ოფიციალური ქორწინებისადმიც გულგრილი დამოკიდებულებაა. არ თვლიან აუცილებლობად დაქორწინებას. მეც ასე ვცხოვროთ ტატიანასთან, რომელთანაც პატარა ვაჟი მყავს. თუმცა ეს არავითარ უხერხულობას არ გვიქმნის საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სიყვარული, ბედნიერება, ურთიერთგაგება. თუ ათი წლის შემდეგაც ასე შევრჩით ერთმანეთს, მაშინ ალბათ ოფიციალურ ქორწინებაზეც ვიფიქრებთ. ჩემთვის მთელი საქართველო ოჯახია, ეს თეატრიც ჩემი ოჯახია. იცი, როგორ მიხარია სცენაზე ასვლა? აქ ისე მიმიღეს, როგორც საკუთარ სახლში.

— ალბათ ბევრი გეუბნებათ, რომ ფიზიკურად დიდ მსახიობს, ალ პაჩინოს ჰგავხართ. „ვენეციელ ვაჭარში“ მეგონა ალ პაჩინოს ვუცქეროდი და არა მერაბ ნინიძეს. ხომ არ შეხვედრიხართ მას?

— ეს ჩემთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტია. უცხოეთში დასტინ ჰოფმანს და დე ნიროსაც მადარებენ. ალ პაჩინოს არასდროს შევხვედრივარ პირადად, თუმცა, ვიმედოვნებ, რომ ეს მოხდება. ოკეანის გადაღმა რამდენიმე საკმაოდ სერიოზული შემოთავაზება მაქვს. ვფიქრობ, წლის ბოლოს უკვე ახალ პროექტზე მუშაობას დავიწყებ. „არსად აფრიკაში“ დიდი წარმატებით გადის ამერიკის ეკრანებზე. კაროლინ ლინკი ახლა ედვარდ ნორტონთან ერთად იღებს ფილმს. ზანგი ოჟუას როლის შემსრულებელი სიდნეი ლანსონ ტრიერთან იმუშავებს, „დოგვილის“ მეორე ნაწილში ერთ-ერთ მთავარ როლს ითამაშებს. ჯერჯერობით ჩემ შესახებ ყველაფრის თქმის უფლება არ მაქვს, ამიტომ ახლა ენას კბილებით ვიჭერ, რომ არაფერი წამომცდეს (ეცინება).

— აქ ხომ არ აპირებთ ახალ როლზე მუშაობას?

— არ მინდა ისე წავიდე, რომ რაღაც ახალი არ დავტოვო. შოთა გლურჯიძეს და ლევან წულაძეს რაღაც იდეები აქვთ და ვნახოთ, რა გამომივა.

— თქვენი ვაჟი მახარე როდის ჩამოვა სამშობლოში?

— ო, მახარე უკვე იყო აქ ახალ წელს. შეიძლება ჩამოვიდეს ახლაც და 14 ივნისს დაბადების დღეც გადავუხადო. მაგრამ ძალიან მეცოდება ჟურნალისტებისაგან მოსალოდნელი „თავდასხმების“ გამო (ეცინება).

— აფრიკელი ოჟუა ძალიან საინტერესო პერსონაჟია. ალბათ გადაღებებზე დამეგობრდით.

— მართლაც ასეა. სიდნეი შესანიშნავი მსახიობია, პროფესიონალი. განათლებით ადვოკატია, სამ ენას ფლობს სრულყოფილად, საოცარი ინტელექტი აქვს და ძალიან გულღიაა. მან მაჩვენა აფრიკა არა ჩვეულებრივი ტურისტის, არამედ სულ სხვა თვალით. როცა გადაღება არ გვქონდა, ვსხდებოდით მანქანაში და იქ მივდიოდით, სადაც თეთრკანიანს ჯერ ფეხი არ დაუდგამს. ვეცნობოდი აფრიკელების ყოფას, იმას, რასაც ტურისტებს იქ არავინ უჩვენებს, რადგან თეთრკანიანების მიმართ აგრესია აქვთ. ისინი თვლიან, რომ ჩვენ მათ ხარჯზე ვმდიდრდებით და ამიტომაც შეგვიძლია ვიმოგზაუროთ და დავტკბეთ ცხოვრებით. აფრიკელების აზრით, თეთრკანიანები დაუმსახურებლად პრივილეგირებულები ვართ. სიდნეი ონიოლომ მაჩვენა ნამდვილი აფრიკა და ბედნიერი ვარ, მისი წყალობით განცდილ შთაბეჭდილებებს რომ დავატარებ.

— მაინც რამ მოგხიბლათ აფრიკელთა ყოფაში ყველაზე მეტად?

— აფრიკელთა უმრავლესობას არ აქვს პასპორტი, ფული, რომელიც ხელშიც კი არასოდეს სჭერია, მაგრამ მაინც უმდიდრესი ადამიანები არიან. მათ სახეზე მუდამ უზომო ბედნიერება აწერიათ. სიმღერა და ცეკვა მათი ყოველდღიური ცხოვრების წესია. სულერთია, სევდა შემოაწვებათ თუ უხარიათ, მაინც მღერიან და ცეკვავენ. მათთან ურთიერთობისას ადამიანის ბუნებასთან იდუმალი კავშირის ძალა ვიგრძენი. ეს პირველად ვნახე ასე უშუალოდ, ამან გამაოცა. ვფიქრობდი, თურმე შეიძლება ცხოვრობდე უკიდურეს გაჭირვებაში, სიდუხჭირეშიც კი და იყო უზომოდ მდიდარი და ბედნიერი. კენიელები ძალიან სტუმართმოყვარეები არიან.

— ასე მგონია, ხშირად გენატრებათ კენია.

— აფრიკაში ოთხთვე-ნახევარი გავატარე. ვენაში დაბრუნებულს 7-კვირიანი დეპრესია მქონდა. ადამიანების სახის გამომეტყველება მაძრწუნებდა, ქუჩაში ვხედავდი სულიერებისაგან აბსოლუტურად დაცლილ არსებებს. აფრიკელებმა ადამიანის ფიქრების კითხვა მასწავლეს. კენიელები ერთმანეთს გულის თვალით უყურებენ. ამიტომაც, უსიტყვოდაც ესმით ერთმანეთის. ევროპაში დაბრუნებულს მომეჩვენა, რომ ყველას ჯვარი ჰქონდა დაწერილი თავის საბანკო ანგარიშზე, ბინაზე, თითქოს თუ რომელიმე მათგანს დაკარგავდნენ, ამით მათი ცხოვრებაც დამთავრდებოდა...

— აფრიკულ ცხოვრებაში ღრმად ჩახედვამ ალბათ საქართველოს პრობლემები სხვაგვარად დაგანახვათ.

— აქ რომ ჩამოვდიოდი, უამრავი სანთელი ჩამომქონდა, ვანთებდი. მინდოდა რომანტიკული გარემო შემექმნა. ყველა „მიჯანყდებოდა“, შუქი აანთე, სანთელი არ გვინდაო. ვხვდებოდი, რომ აქ მყოფებისაგან განსხვავებულად ვაზროვნებდი. როცა არ იყო წყალი, გაზი, ვამბობდი: — მერე რა, ბედნიერება სხვა რამეშიც შეიძლება ვნახო-მეთქი. ამბობდნენ — შენ რა გენაღვლება, ავსტრიაში კომფორტული ცხოვრება არ გაკლიაო. მერე რა, განა ამაშია ბედნიერება? შეიძლება მართლაც განსხვავებულად ვუყურებ ყველაფერს. თუმცა, არა იმიტომ, რომ უზრუნველყოფილი ვარ მატერიალურად. არა, არც ბევრი მაქვს და კიდეც რომ მქონდეს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. აფრიკამ მაგრძნობინა, რომ ადამიანი მხოლოდ მატერიალური ფასეულობების მოსაპოვებლად არ შექმნილა, მისი არსებობის უმთავრესი აზრი ისაა, მეორე ადამიანს ამჩნევდეს და მასთან სიახლოვით ბედნიერება იპოვოს ამ ცხოვრებაში, რადგან ყველაფერი წარმავალია. აფრიკაში სწორედ ასე ფიქრობენ, მათ იციან, რომ გრძნობები, რომელსაც ცხოვრების მანძილზე გავცემთ ენერგიის სახით, მარადიულია.

თითქმის ორი თვე გავიდა, რაც პოპულარული ახალგაზრდა მომღერალი **ნეკა სებისკვერაძე** ისრაელში „გაიტაცეს“. ნეკა ისრაელის ქართულენოვანი ტელევიზიის „GTV ჩვენი არხის“ მუსიკალური რედაქტორი და ორი საავტორო გადაცემის წამყვანია. ისრაელის ქართულენოვან მაყურებელში უკვე დიდი სიმპათიითაც სარგებლობს. ნეკასგან შევიტყვეთ, რომ ის ეცნობა საქართველოს ამბებს „კვირის პალიტრის“ ინტერნეტვერსიის მეშვეობით და ნოსტალგია მოძალებულმა გადაწყვიტა ისევ „კვირის პალიტრის“ დახმარებით მოეფეროს სამშობლოს შორეული ისრაელიდან.

— არ არსებობს უფრო მტკივნეული განცდა, ვიდრე სამშობლოს მონატრებაა. კიდევ კარგი, ქართულ გარემოში მიწევს ყოფნა და აქაც ჩემი ქვეყნის ინტერესებს ვემსახურები. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ხალხს, ვინც ისრაელში ეს ტელეარხი გახსნა. იგი ერთადერთი ქართულენოვანი არხია საქართველოს საზღვრებს გარეთ. მთელ მსოფლიოში მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს.

— ამის გაკეთება ალბათ არც ისე იოლი იყო.

— იდეის ავტორებს: არხის ამჟამინდელ გენერალურ დირექტორს მორის ჯანაშვილს და სამხატვრო ხელმძღვანელს სოსო იოსებიშვილს ორი წელი დასჭირდათ ისრაელის სატელევიზიო სივრცის გამგებლების დასარწმუნებლად, რომ ქართულენოვანი ტელევიზიის დაარსება აუცილებელი და საჭირო საქმე იყო. მაყურებელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

— არხის გამრავალფეროვნებას პოლიტიკური ფორმატის დამატებით ხომ არ აპირებთ?

— არა, „ჩვენი არხი“ მთლიანად მუსიკალურია. მე მაქვს ორი საავტორო გადაცემა: „ნეკას ათეული“, რომელშიც შედის ქართული მუსიკალური კლიპათეული და „პერსონა X“ — ინტელექტუალური თამაში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისრაელში პოპულარიზაცია გავუწიოთ საქართველოში შექმნილ ხარისხიან მუსიკალურ პროდუქციას, კლიპათეულებში განსაკუთრებით ლიდერობს მერაბ სეფიაშვილის სიმღერები, აგრეთვე „სიყვარული დაფრინავს“ — უცნობის, ლიზა ბაგრატიონისა და ნატო მეტონიძის შესრულებით.

— ნეკა, რომელ ქალაქში ცხოვრობ?

— თელ-ავივში. ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო ქალაქია. თავისუფალ დროს ვსეირნობ ფეხით, ვუსმენ აქაურ მუსიკას და ვეცნობი საქართველოდან ათეული წლების წინ ისრაელში საცხოვრებლად გადმოსულ ძალიან საინტერესო ადამიანებს.

— ფეხით სიარულისას ტერორისტების არ გეშინია?

— არა. ისრაელი ის ქვეყანაა, სადაც ყველა მაქსიმალურად შრომობს საერთო წინსვლისთვის. აქ დიდ პატივს სცემენ ტრადიციებს, ერთმანეთს. საოცარი გრძნობა მიჩნდება, როცა ქუჩებში ჯარისკაცის ფორმით მოსიარულე გოგონებს ვხედავ. აღსანიშნავია ქართველი ებრაელების სტუმართმოყვარეობა. ეს ტრადიცია დღემდე ღრმადაა მათ ყოფა-ცხოვრებაში ფესვგადგმული. სუფრაზეც კი ცდილობენ ქართული მენიუ არ შეცვალონ. სტუმრის ღირსეულად დახვედრა თუ უნდათ — გაუჩენელს „გააჩენენ“...

— სატელეფონო საუბრისას მითხარით, რომ ცნობილ ადამიანებთან გქონდა ინტერვიუები ტელეეთერში.

— ისრაელში სტუმრობდნენ ნანი ბრეგვაძე, თამარ გვერდწითელი, იოსებ კობზონი... მაშინ მომეცა შესაძლებლობა, ქალბატონ ნანის შესახებ გადაცემა მომემზადებინა. ერთი წლის წინ, როგორც წარმოვიდგენდი, რომ ისრაელის ტელეეთერში ქალბატონ ნანისთან ინტერვიუს ჩაწერდი. ასევე მოვამზადე გადაცემა თამარ გვერდწითელზე, მერე კი რეზო ჩხეიძის შესახებაც, როცა იგი ისრაელში ფილმს იღებდა. ჩემთვის აქ შეძენილი პრაქტიკული ცოდნა ბევრის მომცემია. მეამაყება ისიც, რომ ისრაელში ქართულენოვანი არხის შექმნისა და პოპულარიზაციის მონაწილე მეც ვარ.

— ნეკა, მჯერა შთაბეჭდილება, რომ რაფიელ ერისთავის ლექსი „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს.“ მუდმივად თანმდევი იქნება შენთვის.

— ახლა წმინდა მიწაზე ვიმყოფები, მაგრამ საქართველო ჩემთვის ყველაზე წმინდაა. თუმცა, ისრაელი, როგორც ყველა მორწმუნე მართლმადიდებლისთვის, ჩემთვისაც ბევრს ნიშნავს. როდესაც გოლგოთაზე ავდივარ, ერთ სანთელს ყოველთვის საქართველოსთვის ვანთებ და მჯერა, რომ სულ მალე იგი ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა იქნება...

გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ



ორშაბათი 7 ივნისი
კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმედერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00 მოამბე 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი“ 23.00 მოამბე 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „დორინი“ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „მაშველები“ 17.25 პერეკროსტოკი 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „უკვდავი“ 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „უდარდელი მოგზაური“. მთ. რ-ში: პიტერ ფონდა, დენის ჰოპერი (18).

06.00 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 08.30, 11.20, 13.15, 17.20, 02.20 იმედის მელოდიები 09.00 „იმედის„ დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი“ 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.50 ტვ-მარკეტი 14.05 თამაში „უდაბნოს სამჭედლოები“ 15.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.30 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ მე-5 ს. 21.30 „ვაკაჭი-ნიუსი“ 23.00 „არ იდარდო“ 01.00 სპორტ. პროგრამა „გოლი“

09.00 დოკ. სერიალი „ექსტრემალური ამბები“ 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.10, 20.50 მინისერიალი „ნიშნებარები“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „პოლიციელთა ამბები“ 13.10 მხ. ფილმი „მისია შეუსრულებელია“ (U) (ტომ კრუზი) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.10 სერიალი „ბარნუმი“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგო“ 18.10 სერიალი „ბარნუმი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 20.30 ფილმი-კატასტროფა „ბრიტანიკი„ 11.05, 01.15 მუსიკა 23.00 თრილერი „სპეციალისტი„ 01.30 მელოდრამა „ქარწყლებულნი„

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Боевик "КРАДУЩИЙСЯ ТИГР, ЗАТАИВШИЙСЯ ДРАКОН" 12.40 Следствие ведет Колобков 13.10 Александр Збруев в фильме "МАЭСТРО-ВОР" 14.40 "Ералаш" 15.00 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ". Закл. серия 16.20 Владислав Галкин в фильме "ТЕАТРАЛЬНЫЙ БЛЮЗ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Прогулки с чудовищами". Док. сериал 19.50 Жди меня 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Алиса Фрейндлих в детективе "ЖЕНСКАЯ ЛОГИКА". 1-я с. 22.00 Время 22.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 Премьера. " Фанатские войны - секретное досье" 00.30 Премьера. "Острова из безмолвия". Фильм 2-й 01.30 "Русский экстрим" 02.15 Мистический триллер "СНОВИДЕНИЯ" 03.30 Джон Кьюсак в фильме "СКАЖИ ЧТО-НИБУДЬ" 05.10 Детектив "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"

სამშაბათი 8 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი „რვაფეხა-4“ მე-2ს. 16.10 დოკ. სერიალი „მაიმუნის ნიშნის ქვეშ“ 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.30 „ამბობენ“ (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმედერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ 23.20 „მუსიკალური არჩევნები“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „წითური„ (U)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. ფილმი „ჯანის ფსტრიული“ 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „ბარტოსული გმირი„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „შვიდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „თავდასხმა სახლი“. მთ. რ-ში: კუნ ლატიფა, სტივ მარტინი (18).

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 13.15, 17.20, 02.20 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 „იმედითა შენითა“ 11.30 სპ. პროგრამა „გოლი“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.50 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.15 მხ. ფილმი „უკომპრომისოდ“ (U) 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.30 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები“ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 21.30 ლარის მახე 23.00 „კანონის უზენაესობა“ 23.30 მხ. ფილმი „შარადა“ (ო. ჰეპბერნი) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 მინისერიალი „ნიშნებარები“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „პოლიციელთა ამბები“ 13.10 მხ. ფილმი „მისია შეუსრულებელია“ (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.10 სერიალი „ბარნუმი“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგო“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 20.30 მხ. ფილმი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. ფილმი „ჩემი საყვარელი ოჯახი“ 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები „საბუდარელი ჭაბუკი„(U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „ნათლია“ 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „უფსკრულთან შეხვედრები“. მთ. რ-ში: რობერტ დუვალი, ტეა ლეონე (18).

06.00 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 08.30, 13.15, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 09.00 „იმედის„ დილა 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 10.10 სერიალი „ცეკვის ისტორია“ 15.20 სერიალი „რვაფეხა-4“ 16.20 დოკ. სერიალი „მაიმუნის ნიშნის ქვეშ„ 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.30 „ჯანმრთელობა“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „მუსიკალური არჩევნები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმედერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. ფილმი „ჩემი საყვარელი ოჯახი“ 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები „საბუდარელი ჭაბუკი„(U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „ნათლია“ 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „უფსკრულთან შეხვედრები“. მთ. რ-ში: რობერტ დუვალი, ტეა ლეონე (18).

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.20 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.30 არტ-ბულვარი 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.55 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.35 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „დომინოს პრინციპი“ (ჯ. ჰეკმანი) (U) 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 21.30 საქმე № 23.00 „ესტაფეტა“ 23.30 მხ. ფილმი „შიში ძაღლის თავზე“ (ბელმონდო) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 მინისერიალი „სენტიმენტალური ამბები“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „პოლიციელთა ამბები“ 13.10 მხ. ფილმი „საუკეთესო მსროლელი“ (ტომ კრუზი) (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „მერლინი“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგო“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „ღამა წყალში“ (ლეონ ნემჩუკი) (18)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„-ს პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "РТР Планета„-ს პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 „ვესტი“ 21.30 სალონი 23.00 ინდ. მხ. ფილმი „ბედშავი“ 00.00 "РТР Планета„-ს პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტროლეა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო„ "ᲐᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲫᲚᲝᲡ“. მთ. რ-ში: პიუ ლორი.

202 10.00 დებატები 202-ზე (განმ). 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ᲭᲝᲙᲚᲔᲜᲘᲡ ᲯᲘᲯᲮᲘ„ (კოლინ ფარელი) (15) 17.00 სპ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (განმ.) 20.00 მხ. ფილმი „სმოკინგი“ (ჯეკი ჩანი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „ᲯᲐᲮᲝᲜᲘ„, (რ. დე ნირო) (18)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი „ᲰᲝᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ„ 11.00, 12.40, 14.35, 17.50 მუსიკა 11.10 კომედია „ᲛᲔᲖᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ„ 12.50 თრილერი „რაზმი„ 14.50 მხატვრული ფილმი„ᲑᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲒᲐᲠᲘ„ 16.30 მულტფილმი „ატლანტიდა„ 18.00 მხატვრული ფილმი „ᲖᲘᲛᲘᲡᲔᲜᲔᲑᲘ-2„ 20.30 ფილმი-კატასტროფა„ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲙᲘ„ 11.05, 01.15 მუსიკა 23.00 თრილერი „ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ„ 01.30 მელოდრამა „ᲥᲐᲠᲬᲧᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ„

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30 Жди меня 12.30 "Ералаш" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.10 Георгий Жженов в фильме "НЕЧАЯННАЯ ЛЮБОВЬ" 14.35 "Ералаш" 15.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 16.20 Сериал "ТЕАТРАЛЬНЫЙ БЛЮЗ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Прогулки с чудовищами". Док. сериал 19.50 Сериал "КЛОН" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Алиса Фрейндлих в детективе "ЖЕНСКАЯ ЛОГИКА". 2-яс. 22.00, 00.30 Время 23.40 Тайны века. "Золото испанской республики" 00.50 "Сканер" 01.20 Футбол. Чемпионат Европы. "Португальские таймы" 01.50 "Формула власти". Президент Португалии 02.35 Том Хэнкс в комедии "ЧЕЛОВЕК В КРАСНОМ БОТИНКЕ" 04.05 Ава Гарднер в фильме "ЗЕМЛЕТРЯСЕНИЕ"

ოთხშაბათი 9 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „ცეკვის ისტორია“ 15.20 სერიალი „რვაფეხა-4“ 16.20 დოკ. სერიალი „მაიმუნის ნიშნის ქვეშ„ 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.30 „ჯანმრთელობა“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „მუსიკალური არჩევნები“ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმედერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი“ 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“(U) 21.00 დოკ. ფილმი „ჩემი საყვარელი ოჯახი“ 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები „საბუდარელი ჭაბუკი„(U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „ნათლია“ 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „უფსკრულთან შეხვედრები“. მთ. რ-ში: რობერტ დუვალი, ტეა ლეონე (18).

06.00 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 08.30, 13.15, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 09.00 „იმედის„ დილა 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 „X-კლუბივიზე„ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.30 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 21.30 „პირველი ნახევარი“ 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „დომინოს პრინციპი“ (U) 01.35 არტ-ბულვარი.

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 მინისერიალი „სენტიმენტალური ამბები“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „პოლიციელთა ამბები“ 13.10 მხ. ფილმი „ლარა კროფტი სამარხების მძარცველი„ (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „ბარნუმი“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგო“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „ეპოქა 2—რევოლუცია„ (ბრაიან ტომსონი) (18)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„-ს პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "РТР Планета„-ს პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 „თინეიჯერი“ 21.00 „ვესტი“ 21.30 სალონი 23.00 ინდ. მხ. ფილმი „მოუტაცებელი სპასებრაძლო“ 00.00 "РТР Планета„-ს პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტროლეა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო„ "ᲐᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲫᲚᲝᲡ“. მთ. რ-ში: ნასტასია კინსკი. 03.00 პაუზის გარეშე

202 10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ᲯᲐᲖᲣᲨᲘ„ (ედი მერფი) (12) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (განმ.) 20.00 მხ. ფილმი „ძველების ბრძოლა“ (ვინი ჯონსი) (15) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲡ ᲢᲔᲠᲔᲤᲝᲜᲘ„ (ჯ. ბრიდი) (15) 02.00 მხ. ფილმი „3000 მილი გრეისლენდამდე“ (კურტ რასელი) (18)

09.00, 18:30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ძროხინება ანბარეებით„ 10.55, 14.10, 22.00, 02.10, 05.25 მუსიკა 11.10 კომედია „თავზეხელაღებულნი„ 12.30 „ზე აქ შემიჩერებია„ 12.40 მხ. ფილმი „ჰეროკლე მოლოხის წინააღმდეგ„ 14.20 სათავგადასავლო ფილმი „სოლო„ 16.00 მულტსერიალი 17.00 ფილმი-კატასტროფა„ცეცხლში„ 19.00 კომედია „ცის კარზე დაკაკუნება„ 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 ბოევიკი „დალი„ 02.20 დოკუმენტური ფილმი 03.10 მიუზიკლი „ჩვეულებრივი სასწაული„

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.30 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.10 Ростислав Янковский в фильме "ЧЕЛОВЕК ИЗ ЧЕРНОЙ ВОЛГИ" 15.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 16.20 Сериал "ТЕАТРАЛЬНЫЙ БЛЮЗ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Прогулки с чудовищами". Док. сериал 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Алиса Фрейндлих в детективе "ЖЕНСКАЯ ЛОГИКА-2". 1-я с. 22.00, 00.30 Время 23.40 Спецназ. "Под залог жизни" 00.50 Искатели. "В поисках снежного человека" 01.20 "Большой взрыв" 01.50 "Форганг" 02.35 Джо Пеши в триллере "ФОТОГРАФ" 04.05 Джек Николсон в фильме "ГРАНИЦА"

ხუთშაბათი 10 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „მადმუაზელ მორო“ 15.15 სერიალი „რვაფეხა-4“ 16.20 დოკ. ფილმი „სტალინის მიერ მახეში გაბმულნი“ 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო“ 17.30 ჯანმრთელობა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი“ 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მირთვით ბავშვებო“ 19.05 „იმედერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.05 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ 23.20 „მუსიკალური არჩევნები“ 23.30 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე“ 00.20 მხ. ფილმი „მამაჩემი გმირია„ (U)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ (U) 21.00 დოკ. ფილმი „ჯან რენო“ 22.00 მხ. ფილმი „ინსპექტორი ლავარდენი„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „ᲔᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲝᲜᲔᲒᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲙᲚᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.50 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 სერიალი „სასწრაფო“ 16.25 სერიალი „ალფი“ 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „ნათლია“ 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ბაბაჯე ბალლები„. მთ. რ-ში: ემილი უოტსონი (18).

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.25 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.30 არტ-ბულვარი 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.55 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.35 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „დომინოს პრინციპი“ (ჯ. ჰეკმანი) (U) 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2“ 21.30 საქმე № 23.00 „ესტაფეტა“ 23.30 მხ. ფილმი „შიში ძაღლის თავზე“ (ბელმონდო) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10, 20.50 მინისერიალი „სენტიმენტალური ამბები“ 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „პოლიციელთა ამბები“ 13.10 მხ. ფილმი „საუკეთესო მსროლელი“ (ტომ კრუზი) (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია“ 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.10 სერიალი „მერლინი“ 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია“ 17.35 მულტსერიალი „არგო“ 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი“ 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „ᲓᲐᲜᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ“ (ლეონ ნემჩუკი) (18)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета„-ს პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი“ "РТР Планета„-ს პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 ექსტრაორდინარული 21.00 „ვესტი“ 21.30 სალონი 23.00 მუს. პაუზა 00.00 "РТР Планета„-ს პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტროლეა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო„ "ᲜᲝᲣᲗᲑᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ“. მთ. რ-ში: დირკ ბოგარტი. 03.00 პაუზის გარეშე

202 10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ᲪᲮᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ„ (ჩარლი შინი) (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (განმ.) 20.00 მხ. ფილმი „დედამიწი ბირთვი“ (ა. ეკბარტი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 23.00 მხ. ფილმი „ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ“ (15)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ფილმი-ზღაპარი„ᲯᲐᲓᲘᲡᲬᲣᲠᲘ ᲠᲘᲜᲩᲘ„ 10.55, 14.40, 22.20, 02.00, 04.15 მუსიკა 11.10 კომედია „თავზეხელაღებულნი-2„ 12.35 მელოდრამა „პირველი რაინდი„ 14.50 ვესტერნი „რამდენიმე დოლარით მეტი„ 18.00 მხ. მულტფილმი 19.00 დრამა „ᲛᲝᲛᲔᲑᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲦᲓᲔᲑᲝ„ 21.00 კომედია „ბრძოლა შუიკერ ჰაისთან„ 23.00 „ექსკლუზივი„ 00.30 თრილერი „ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ„ 02.30 მელოდრამა „ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔ„ 04.20 ბოევიკი „მაგარი

„იძულებული ვიქნები, შური ვიძიო, თუნდაც სიცოცხლის ფასად“

„ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან ადგილი აქვს სამსახურებრივ სიყალბეებს, უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას და სხვა დანაშაულებებს“



დიდუბეში, გუდაუთის ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ავტოსაწარმოს ტერიტორია

ვინ იყო სასამართლო რეფორმის ავტორი საქართველოში?!

– თუ ბოლო არ მოეღო ამ უსამართლობას და თავაშვებულობას, ანუ არ აღდგა ჩემი კანონიერი უფლებები, იძულებული ვიქნები, თუნდაც სიცოცხლის ფასად, შური ვიძიო იმათზე, ვინც დამნაშავეებს მფარველობს და ვისაც წვლილი მიუძღვის ჩემს წამებასა და დამცირებაში.

– მინისტრის მოადგილემ, რომელიც არც წილში ჩავსვი და არც 25 ათასი დოლარი მივეცი, ჯერ ქონების მართვის სამინისტროს ობიექტის პრივატიზება შეაჩერებინა და მერე კი, როდესაც ფულის მიღების იმედი გადაეწურა, სრულიად ამოაღებინა ის საპრივატიზაციო ნუსხიდან...

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

სხდომის ოქმის ქსეროასლიდან ჩანს, რომ შუამდგომლობაზე უარის თქმის ან დაკმაყოფილების შესახებ განჩინება არ არსებობს, რაც მიუთითებს მსხილაძის მიერ ოფიციალურ დოკუმენტში ყალბი ჩანაწერის შეტანაზე. სხვათა შორის, აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს იუსტიციის საბჭომ და მსხილაძეს ყვითელი ბარათი აჩვენეს — გააფრთხილეს. ამ სამოქალაქო დავის განხილვისას სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში მესამე მხარედ ჩართული იყო მაშინდელი ქონების მართვის სამინისტრო, რომლის ინტერესებს სასამართლოზე შპს „არილის“ დირექტორი ბესიკ დავითულიანი იცავდა, რაც კანონით დაუშვებელი იყო. დავის პროცესში გამოიკვეთა სხვა სიყალბეც. რაიონული სასამართლოდან გამოთხოვილი სამოქალაქო საქმის მასალებში არის 6 ნოემბრით დათარიღებული განჩინება. თბილისის საოლქო სასამართლოდან მიღებული იმავე სამოქალაქო დავის მასალებში კი არსებობს აბსოლუტურად იდენტური განჩინება, ოღონდ ის დათარიღებულია უკვე 2002 წლის 1-ელი ნოემბრით...

— რაში დასჭირდა სასამართლოს სასამართლოს თარიღების შეცვლა? — *კვითხე რომან მხეიძეს.*

— 2002 წლის 6 ნოემბრის საოქმო ჩანაწერის მიხედვით, სხდომა დაწყებულია 15 საათზე. დადგენილია, რომ მითითებულ პერიოდში მოსამართლე ნუნუ კვანტალიანი საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ გადაყვანასთან დაკავშირებით გასაუბრებაზე იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტში. ასე რომ, ის განაჩენს ვერ გამოიტანდა. თავის მხრივ, ჭუმბურიძე და მისი ადვოკატი ამტკიცებენ, რომ ისინი სასამართლო პროცესზე მიწვეულები არ ყოფილან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პროცესი არ გამართულა და განაჩენიც ყალბია.

გაყალბებულია ასევე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, შალვა კვარაცხელიას მიერ 2003 წლის 18 მარტს გამოტანილი განჩინება. მასალებით ირკვევა, რომ მან ბესიკ დავითულიანის განცხადების საფუძვლიანობის თაობაზე საქმის განხილვა დაიწყო 2003 წლის 25 თებერვალს, 15 საათსა და 10 წუთზე. საქმის განხილვა დამთავრდა იმავე დღეს და განჩინების გამოტანის მიზნით სასამართლო სათათბიროდ გავიდა. 2003 წლის 26 თებერვალს 11 საათზე მოსამართლე შალვა კვარაცხელია თათბირიდან ყოველგვარი იურიდიული დოკუმენტის მიღებისა და გამოცხადების გარეშე გამოვიდა. დოკუმენტში კი მითითებულია, რომ თითქოს კვარაცხელიამ 2003 წლის 18 მარტს გამოაცხადა განჩინება. მოცემულ შემთხვევაში, დაირღვა განჩინების გამოტანის წესი. საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის თანახმად, მოსამართლე ვალდებული იყო საქმის განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოეტანა განჩინება და მასზე ხელმოწერის შემდეგ დაბრუნებულიყო სხდომის დარბაზში, ანუ განჩინების მიღებამდე მას არ ჰქონდა უფლება, დაემთავრებინა თათბირი. იმავე სხდომის ოქმში არ ჩანს, თუ როდის შევიდა იგი სათათბიროდ, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოსამართლე სრულიად არ ყოფილა იქ... გურამ ჭუმბურიძის სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით ჩვენმა კომისიამ 18 მოსამართლე ამხილა სხვადასხვა დარღვევაში.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისია ამ საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ მოსამართლეების მხილებით არ შემოფარგლულა.

— დიახ... მასალების შესწავლით ირკვევა, რომ გაჭიანურებულია ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს მთაწმინდის რაიონის საგამოძიებო განყოფილებაში 2000 წლის 30 ივნისს აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება. მაშინ, როცა გამოძიების დავალებით ჩატარებული დოკუმენტური რევიზიითა და საბუღალტრო-საფინანსო ექსპერტიზის დასკვნებით გამოკვეთილია შპს „სენაკში“ გაყალბებული დოკუმენტების მეშვეობით თანხების მითვისებისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დამალვის ფაქტები, რითაც სახელმწიფომ 300 ათას ლარამდე იზარალა. გამოძიების მიერ ასევე დადგენილია შპს „არილის“ მიერ შენობა-ნაგებობების უკანონო პრივატიზება გაყალბებული დოკუმენტებით. მეტიც, დოკუმენტების თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან ადგილი ჰქონდა 25 ათასი აშშ დოლარის ქრთამის სახით გამოძალვის მცდელობას...

ჩვენ ამ ინფორმაციამ დაგვაინტერესა და განმარტებისათვის კვლავ **გურამ ჭუმბურიძეს** მივმართეთ: „დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი გალუგრავამ 2001 წელს დაპირისპირებულ მხარესთან შერიგება შემომთავაზა. დავთანხმდი და იმავე წლის 18 ივნისს შპს „არილის“ დირექტორს, ბესიკ დავითულიანსა და ჩემ შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომელშიც დავითულიანი უარს აცხადებს „არილის“ ტერიტორიიდან შპს „სენაკის“ გასახლებასა და ყველა სადავო საკითხზე, მათ შორის ჩემ მიერ დახარჯული 93 ათასი დოლარის ანაზღაურებაზეც თანამშრომლობის პირობას დებს. ამ გარიგების რეალური არსი მოგვიანებით გავიგე. ეს იყო დროებითი შერიგება, რომელიც ხელს აძლევდა დიდბარიძესა და დავითულიანს. მათ მთელი ტერიტორიისა და უძრავი ქონების პრივატიზაცია ჰქონდათ განზრახული, მე კი ამ პროცესს ხელს ვუშლიდი. როდესაც პრივატიზაციის ნუსხაში ჩვენი ობიექტი შეიტანეს, დავითულიანმა ასეთი შინაარსის წერილი მომწერა (სტილი დაცულია): „გურამ, იმ საქმეზე, პრივატიზაციაზე, ვიყავით სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ტყეშელაშვილთან. იგი პრივატიზების სანაცვლოდ ითხოვს 25 ათას დოლარს ან წილში ჩავჯდომას. მე და ჩემს ხალხს უშენოდ ეს საქმე ვერ გადაგვიწყვეტია. სასწრაფოდ გვნახე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტყეშელაშვილი გვემუქრება ობიექტის პრივატიზაციის ნუსხიდან ამოღებით. გთხოვ, განგაში არ ატეხო“. მოგვიანებით იძულებული გავხდი, წერილი სამართალდამცველებისთვის წარმედგინა. მართლაც, მინისტრის მოადგილემ, რომელიც არც წილში ჩავსვი და არც 25 ათასი დოლარი მივეცი, ჯერ ქონების მართვის სამინისტროს ობიექტის პრივატიზება შეაჩერებინა და მერე კი, როდესაც ფულის მიღების იმედი გადაეწურა, სრულიად ამოაღებინა ის საპრივატიზაციო ნუსხიდან...

შვიდი წელია ჩემი სიმართლის დამტკიცებას ვცდილობ. ახლახან გენერალურმა პროკურორმაც აღძრა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ რად გინდა, არავინ დასჯილა და ალბათ არც დაისჯება“.

ახლა კი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დაპირებულ დადგენილებას გაგაცნობთ (სტილი დაცულია. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.): „საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ი. ოქრუაშვილმა განვიხილე და გამოვარკვიე. საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიიდან საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისათვის გადმოგზავნილ იქნა შპს „სენაკის“ გენერალური დირექტორის წერილთან დაკავშირებული შემოწმების მასალები და კომისიის 2003 წლის 24 სექტემბრის დასკვნა, რომელიც შეეხება სამოქალაქო საქმის განხილვისას სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეთა და სხვა მუშაკთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებს. მასალების შესწავლით ირკვევა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის 2000 წლის 5 ივნისისა და 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილდა მოქალაქე ჭუმბურიძის მოთხოვნა და შპს „არილს“ დაეკისრა 93 ათასი დოლარის გადახდა, მაგრამ შემდგომ სასამართლო პროცესებზე, გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომი დოკუმენტების მიღებისას მოსამართლეთა ქმედებებში იკვეთება უკანონო განჩინებების გამოტანისა და სამსახურებრივი სიყალბის ნიშნები. კერძოდ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს (მოსამართლე ნ. კვანტალიანი) 2002 წლის 6 ნოემბრით დათარიღებული განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს განცხადება (თუმცა ასეთი სახის განცხადება არ არსებობს) 2000 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ. თბილისის საოლქო სასამართლოდან წარმოდგენილ სამოქალაქო დავის მასალებში მოთავსებულია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს (მოსამართლე ნ. კვანტალიანი) 2002 წლის 1-ელი ნოემბრით დათარიღებული განჩინება (მაშინ, როდესაც ანალოგიური შინაარსისა და სრულიად იდენტური განჩინება დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოდან წარმოდგენილი სამოქალაქო საქმის მასალებში დათარიღებულია 2002 წლის 6 ნოემბრით). დავადგინე: შემოწმების მასალების მიხედვით აღიძრას სისხლის სამართლის საქმე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 01 და 06 ნოემბრის არასწორი განჩინების გამოტანისა და განჩინებაში არასწორი ჩანაწერების შეტანის ფაქტზე.“

დადგენილების გაცნობის შემდეგ დავუკავშირდით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესმდივანს, ხათუნა ჩარკვიანს და ვთხოვეთ მოსამართლე ნუნუ კვანტალიანთან შეხვედრის ორგანიზება. სამწუხაროდ, კატეგორიული უარი მივიღეთ, რომელიც ორი მოტივით ახსნეს: უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ქმედებების კანონიერებაზე მსჯელობა ჟურნალისტის საქმე არ არის, ხოლო გენერალური პროკურორის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ აღძრული საქმის შესახებ არაფერი სმენიათ. უზენაესი სასამართლოს პრესმდივანს ახლა ლადო ჭანტურიასთან შეხვედრა ვთხოვეთ და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისთვის გათვალისწინებული კითხვები წერილობითი ფორმით, ოფიციალურად გავუგზავნეთ. მალე **ხათუნა ჩარკვიანისგან** ასეთი პასუხი მივიღეთ: — თქვენი წერილი უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს, ვალერი ხრუსტალს დაეწერა. როგორც ბატონმა ვალერიმ მითხრა, მოსამართლე ნუნუ კვანტალიანის საქმე ამჟამად წარმოებაშია და ამიტომ კომენტარის გაკეთება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

— არსებობს ვარაუდი, რომ მოსამართლის წინააღმდეგ საქმის აღძრა პროკურატურის მხრივ გაფრთხილება იყო — მოსამართლეებს დაუყოვნებლივ უნდა დაეკმაყოფილებინათ კორუმპირებული ჩინოვნიკებისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ პროკურატურის მოთხოვნა. რამდენად რეალურია ასეთი ვარაუდი?

— სხვა ჟურნალისტებმაც მომართეს იმავე კითხვით. უნდა გითხრათ, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკების დაპატიმრებების შესახებ უზენაეს სასამართლოში, ჯერჯერობით, არც ერთი საჩივარი არ შემოსულა...

ჩვენ მოვიპოვეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ლადო ჭანტურიას 2003 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებული წერილი. ბატონი ლადო საქართველოს მაშინდელ გენერალურ პროკურორს სწერს (სტილი დაცულია): „გ. ჭუმბურიძის განცხადების საფუძველზე ჩატარებული შემოწმების დასკვნა, სადაც საუბარია სამოქალაქო საქმის განხილვისას მოსამართლეთა მიერ ჩადენილი სამსახურებრივი სიყალბეებისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ... მითითებული დასკვნა შედგენილია „საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც იგი იურიდიული ძალის არმქონედ უნდა ჩაითვალოს. აქვე დავძენთ, რომ დასკვნა სცილდება საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიისთვის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ გამოსაკვლევ საკითხთა წრეს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ დასკვნა შედგენილია არაკვალიფიციურად... საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“(?!).

ამ და სხვა საკითხებზე ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანს, **გია გეწაძეს**:

— მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილების გამო, იუსტიციის საბჭოს მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის განხორციელების უფლება არ აქვს. ეს იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კომისიისა და, ძირითადად, უზენაესი ან საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის საქმეა; ხოლო თუ მოსამართლის ქმედებაში შეინიშნება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები, მაშინ გენერალურ პროკურორს შეუძლია აღძრას საქმე.

თავის მხრივ, იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კომისია სწავლობს მოსამართლეთა გადაცდომებსა და მხოლოდ საპროცესო ნორმების დარღვევისას აღძრავს დისციპლინურ დევნას. მისი სახეებია: სარეკომენდაციო ბარათი, შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური და სამსახურიდან დათხოვნა...

საუბარი იუსტიციის საბჭოს წევრმა, **თენგიზ შარმანაშვილმა** გააგრძელა: „იუსტიციის საბჭოში 2003 წლის 31 იანვარს შესულა მოქალაქე ჭუმბურიძის განცხადება, სადაც იგი მიუთითებს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნონა ზარქუას და თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეების: მანანა ნასარიძის, მარინე ფარცვანიასა და ციცინო დევრისაშვილის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე. განცხადება საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2003 წლის 4 მარტის სხდომაზე განიხილეს და ნონა ზარქუას, მანანა ნასარიძეს, მარინე ფარცვანიას და ციცინო დევრისაშვილს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიეცათ გაფრთხილება.“

ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს გენერალური პროკურორის პრესსამსახურის მდივანს, **ხათუნა ცხვედიაშვილს** და აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პასუხიც მივიღეთ: — როგორც პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მითხრეს, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია არა მოსამართლის წინააღმდეგ, არამედ კონკრეტულ ფაქტზე. უზენაესი სასამართლოდან ელოდებიან ერთ დოკუმენტს, რომელმაც ნათელი უნდა მოჰფინოს ბევრ კითხვას.

— შესაძლებელია, რომ ამ დანაშაულში მოსამართლის ხელი არ ერიოს და ყალბისმქმნელი სულ სხვა პირი აღმოჩნდეს?

— სავსებით შესაძლებელია სასამართლო ოქმის გამყალბებელი იყოს სასამართლოს ის თანამშრომელი, რომელსაც დოკუმენტებზე ხელი მიუწვდებოდა(?!)...

რაც შეეხება გურამ ჭუმბურიძის სამოქალაქო დავის მეორე მხარეს, ჩვენ მოვახერხეთ გავსაუბრებოდით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ამჟამად გაზის საერთაშორისო კორპორაციის გენერალური დირექტორის მოადგილეს, **გურამ ჭუმბურიძეს**: „საუბარია 2001 წლის 18 ივნისის ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე, რომელზეც ბატონი ბესიკ დავითულიანი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ ის ფლობს ინფორმაციას, რომ ჩემ მიმართ ხორციელდება ზეწოლა, რომ ჩემ ოჯახს ემუქრებიან და ამიტომ ის მზადაა, ეს ბინა ჩემ ოჯახს გადასცეს. ეს ბინა ნამდვილად ეკუთვნოდა ბესიკ დავითულიანს, მაგრამ ის ამბობდა, რომ ეს ბინა ჩემ ოჯახს გადასცემდა, ხოლო ჩემ მხრიდან ის მოითხოვდა, რომ მე ხელი მოვაწერო ამ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებას. ეს ბინა ნამდვილად ღირებული იყო და ამიტომ მე ვუთხარი, რომ ეს ბინა მე არ მჭირდება, მაგრამ ის ფული, რომელიც ამ ბინის ღირებულებაა, მე მჭირდება. ამის შემდეგ ბესიკ დავითულიანმა მითხრა, რომ ის ფულს მომცემდა, მაგრამ ამ ფულის მიცემა მას ბინის გაყიდვის შემდეგ შეეძლო.

შეკითხვა ექიმს

მედიცინა

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.

მაქვს შაქრიანი დიაბეტი და ვსვამ დიაბეტის საწინააღმდეგო წამლებს, მაგრამ შაქარი მაინც მაღალი მაქვს (250მგ%). გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მოგვაწოდოთ იმ მცენარეული პრეპარატების დასახელება, რომლებსაც შაქრის დაწევი ეფექტი აქვს.

ერთგული მკითხველი

მართლაც არსებობს ისეთი მცენარეები, რომლებიც აწესრიგებენ შაქრის ცვლას ორგანიზმში. გთავაზობთ მათ დასახელებას და გამოყენების წესებს:

1) ტყის მარწყვის ნაყოფი გაწურეთ და მიიღეთ 4-6 სუფრის კოვზი წვენი დღის განმავლობაში.

2) 10 ცალ დაფნის ფოთოლს დაასხით 3 ჭიქა მდუღარე წყალი. დაახურეთ ჭურჭელს თავსახური და დააყოვნეთ 2-3 საათი. მიიღეთ 1/2 ჭიქა ნაყენი 3-ჯერ დღეში.

3) დაამზადეთ მოცვის ფოთლების ნაყენი (2ს/კ დანამცეცებული ფოთლები 2 ჭიქა წყალზე). მიიღეთ 1/2 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში.

4) 100გ შვრიის მარცვალს დაასხით 3 ჭიქა წყალი. წამოადუღეთ 5-7 წუთი. მიიღეთ 1/2 ჭიქა ნახარში დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე.

თუმცა, ამავე დროს უნდა გითხრათ, რომ საჭიროა შაქრის დონის რეგულარული კონტროლი და თუ გლუკოზის შემცველობა სისხლში არ დაქვეითდება, ალბათ დაგჭირდებათ ანტიდიაბეტური აბების დოზის გაზრდა, დიეტის კიდევ უფრო გამკაცრება. ეს ყველაფერი მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით და მისი მითითებით უნდა მოხდეს.

— ჩემს 8 წლის შვილიშვილს 3 წლის წინ ბზრიალის დროს თავბრუ დაესხა და დავარდა. მას შემდეგ ხშირად იტკივებს საფეთქლებისა და შუბლის არეს, განსაკუთრებით — სირბილის ან ხტუნვის დროს. გთხოვთ, მირჩიოთ რამე, ვის მივმართო?

მ.ს.

— საინტერესოა, ბავშვმა დაცემისას თავის ტრავმა ხომ არ მიიღო, ხომ არ განუვითარდა ტვინის შერყევის თუნდაც მსუბუქი ფორმა. თუ ასეა, მაშინ თქვენ მიერ ჩამოთვლილი ჩივილები შეიძლება ტრავმის ნარჩენი მოვლენები იყოს. გირჩევთ, პატარა აჩვენოთ ნევროლოგს, რომელიც გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა დამატებითი გამოკვლევა. დიაგნოზს რომ დააზუსტებთ, მკურნალობასაც დაგინიშნავენ. არც ის არის გამორიცხული, თავის ტკივილი სულ სხვა მიზეზით იყოს გამოწვეული და თავის ქალის ტრავმასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს. ასეა თუ ისე, გამოკვლევა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

მკურნალობა უნაბით



იმ ქვეყნებში, სადაც უნაბს რეგულარულად ხმარობენ საკვებად, ძალიან იშვიათია ჰიპერტონიული დაავადებები. ამ მცენარის სამშობლოა აზია. უნაბის პატარა პლანტაციები არის ყირიმშიც, სადაც იგი ცნობილია უნაბის, იუუბის, ანაპის, ჩინური ფინიკის სახელწოდებით. ეს მცენარე ხარობს საქართველოშიც. მისი ნაყოფი მოწითალო-მოყავისფროა, მრგვალი, კურკოვანი. კულტურულ მცენარეს ოვალური ფორმის ნაყოფი აქვს. მისგან ამზადებენ კომპოტს, მურაბას და სხვა. უნაბის ნაყოფი შეიცავს 60%-ზე მეტ შაქარს, 3%-მდე ცილებს, C ვიტამინს, კალიუმის მარილებს, ფოსფორს, მდიდარია პექტინით, ნიტრატებით, კალციუმით, რკინით. უნაბის ნაყოფის რეგულარული მიღება ხელს უწყობს სისხლის წნევის დაწევას. წნევის დაწევის პარალელურად ქრება სხვა ტკივილებიც და ნორმალური ხდება ქოლესტერინის შემადგენლობა სისხლში. დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ, უნდა მიირთვათ ოც-ოცი ცალი უნაბი ოცი დღის განმავლობაში, ანუ მკურნალობის ერთი კურსის ჩასატარებლად ადამიანს სჭირდება 1200 ნაყოფი. მკურნალობისათვის გამოსადეგია აგრეთვე გამხმარი უნაბი, რომელიც კარგად ინახება მთელი წლის მანძილზე.

პრიოროდა



ორიენტაციას ცვინი ცვლის?

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხუთიდან ერთ მამაკაცს ქალის ტვინი აქვს — თავისი გარეგნობის მიუხედავად. ასე რომ, ბევრ ცოლს აღარ უნდა გაუკვირდეს, თუ მისი ქმარი გატაცებულია მოდური ტანსაცმლით, ქარგვით, ქსოვით, კულინარიით, პარფიუმერიით. იმავდროულად, მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ყოველ მეშვიდე მანდილოსანს ტვინის მამაკაცური წყობა აქვს. ასეთი ქალებიდან გამოდიან ცნობილი მათემატიკოსები, მეცნიერები, ისინი გამოირჩევიან ანალიტიკური ნიჭით და ხშირად ხდებიან სპორტული კომენტატორები. კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერები ამბობენ, რომ მამაკაცური და ქალური ტვინის თვისებები კარგად არის ცნობილი, ამიტომ ადვილია იმის დადგენა, თითოეული ადამიანის თავში ტვინის რომელი ტიპია. ამისათვის, საშუალო სირთულის ტესტებიც კმარა. პროფესორ საიმონ ბერონ-კოენის თქმით, ბევრ კაცს არა აქვს სისტემატიზების მამაკაცური ნიჭი, რომელიც ხელს უწყობს კარგად ორიენტირებას რუკის მიხედვით, გეგმის და სიის შედგენას. არც ყველა ქალს აქვს ნიჭი საკუთარი თავი წარმოაჩინოს, როგორც სასიამოვნო მოსაუბრემ. ხალხის ნაწილს აქვს ეგრეთწოდებული ბალანსირებული ტვინი, რომელიც შეითავსებს, როგორც მამაკაცის, ასევე ქალის თვისებებს. დადგენილია, რომ ჩვენი ტვინის სქესი ფორმირდება ნაყოფის არსებობის პირველივე დღეს. ძალიან მალე მეცნიერები დაადგენენ ტვინის სქესს ადამიანის ბავშვობაშივე და შედეგიდან გამომდინარე, გაარკვევენ მათი საშუალო და შემდგომი განათლების პროცესს.

ჯენტე

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

- ქსპრეს-დიაგნოსტიკა 15–20 წთ–ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული უველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით ,,ინტრატონი'', რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

პირველად საქართველოში!
მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!
მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:
სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.
ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!
კ. ჩაჩავას სახ. ჰერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!

გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად
შეიძინეთ!!! 95 ლარად
• აპარატები
• ბეს-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტები
• კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი
შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55

N19 ოჯახის
მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.
თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ძათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა, წონაში დაკლება
მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული კომბინირებული მეთოდებით; სამკურნალო-სავარჯიშო კორსეტი „სწორდი".
მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84 I სად, II სართ. ტელ: 95-47-67;
899-26-51-08 75-06-14 (საღამოს)

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21
• ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
• სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
• წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
• სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.
თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.

გეგასერკი – მენიერის დაავადების მკურნალობის ეფექტური საშუალება

მენიერის დაავადება საკმაოდ ხშირი ვესტიბულარული დარღვევაა, თანაბრად ავადდებიან ქალები და მამაკაცები, განსაკუთრებით 30-50 წლის ასაკში, დაავადება იშვიათად ვლინდება ბავშვებში. მენიერის დაავადების კლინიკურ სურათს ახასიათებს ხანგრძლივი თავბრუსხვევის შეტევა, სმენის დაქვეითება, შუილი და ზეწოლის შეგრძნება ყურში.

ხშირად პაციენტი გრძნობს შეტევის მოახლოებას. თავბრუსხვევის შეტევის ხანგრძლივობა მერყეობს 20 წუთიდან რამდენიმე საათამდე. ზოგჯერ 1-2 დღეც კი. შეტევები შეიძლება განმეორდეს სხვადასხვა სიხშირით. სისტემური ხასიათის თავბრუსხვევა ძლიერდება თავის მოძრაობის დროს და თან ახლავს გულისრევა, ღებინება და ნისტაგმი. შესაძლებელია შეტევის შემდეგ პაციენტს ხანგრძლივად დარჩეს წონასწორობის დარღვევის ან მსუბუქი თავბრუსხვევის შეგრძნება.

როგორც წესი, სმენის დაქვეითება თავდაპირველად ცალმხრივია, აქვს გარდამავალი ხასიათი: სმენა ქვეითდება შეტევის დროს და ხდება მისი არასრული აღდგენა შეტევებს შორის პერიოდში, მაგრამ შემდგომ სტადიებში პაციენტს უყალიბდება პროგრესული მყარი ნეიროსენსორული ტიპის სმენის დაქვეითება სრულ სიყრუემდე.

შუილი ხშირად დაბალი ტონალობისაა და ჩნდება სმენის დაქვეითების მხარეს.

ზეწოლის შეგრძნებას აქვს სხვადასხვა ინტენსივობა და ლოკალიზაცია: ტკივილი ყურში, დაცობის შეგრძნება, ზეწოლა კისერში, თავის ტკივილი.

ერთდროულად ყველა სიმპტომის აღმოცენება იშვიათია. პირველი შეტევის დროს ხშირად არის გამოხატული თავბრუსხვევა და შუილი.

მენიერის დაავადების დროს ირღვევა წნევის მექანიზმები ლაბირინთულ სტრუქტურებში.

მენიერის დაავადების სარწმუნო მიზეზი ბოლომდე არ არის გარკვეული, ვარაუდობენ, რომ ის შესაძლებელია გამოწვეული იყოს ინფექციით, აგრეთვე ტრავმული, აუტოიმუნური, ვასკულური და სხვა.

პროცესის სტაბილიზაციისა და ადრეული კონსერვატული თერაპიის დაწყებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაავადების დროულ დაიგნოსტირებას და სხვა დაავადებებისგან დიფერენცირებას.

მწვავე შეტევის დროს მიმართავენ სიმპტომატურ მკურნალობას. პროფილაქტიკა მიმართულია შემდგომი შეტევების აცილებაზე. მენიერის დაავადების პროფილაქტიკა აგრეთვე შეიცავს ცხოვრების სტილის შეცვლას, სტრესის აცილებას, დიეტას: ყავის, ალკოჰოლის, თამბაქოს და მარილის აცილებით.

დღევანდელ დღეს მენიერის დაავადების მკურნალობის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს პრეპარატი ბეტასერკი — ე.წ. ჰისტამინის ანალოგი. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბეტასერკი მნიშვნელოვნად ამცირებს თავბრუსხვევის შეტევების ინტენსივობასა და სიხშირეს, აუმჯობესებს როგორც სმენით, ასევე ვესტიბულარულ ფუნქციას, ბეტასერკის მოქმედება განსაკუთრებით ეფექტურია დაავადების ადრეულ სტადიებზე და შესაძლებელია ხანგრძლივი რემისიის შენარჩუნება.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბეტასერკი თავისი ე.წ. პირდაპირი H_1 აგონისტური რეცეპტორული და არაპირდაპირი H_3 ანტაგონისტური რეცეპტორული მოქმედებით ახდენს შიგნითა ყურის მიკროცირკულაციის გაუმჯობესებას — ვაზოდილატაციას და თრგუნავს, აკავებს ცენტრალური ვესტიბულარული სტრუქტურების აქტივობას. ამ თვისებების გამო ბეტასერკი წარმატებით იხმარება სხვა ვესტიბულარული დარღვევების მკურნალობაში.

ბეტასერკი ინიშნება 16 მგ 3-ჯერ დღეში არანაკლებ ოთხი კვირის განმავლობაში, პროფილაქტიკურად რეკომენდებულია ხანგრძლივი გამოყენება 6-დან 12 თვემდე, შეტევის დროს მიზანშეწონილია დოზის მომატება 32 მგ-მდე დღეში 3-ჯერ.

პრეპარატი ეფექტურია როგორც მონოთერაპიაში, ასევე კომბინაციაში დიურეტიკებთან ერთად. ბეტასერკი სხვა თავბრუსხვევის საწინააღმდეგო პრეპარატებთან შედარებით (მაგ. ცინარიზინთან უპირატესობით) არ იწვევს ძილიანობას და სედაციას და არ აქვეითებს ნორმალურ ადაპტაციას, არ ახდენს გავლენას ცენტრალური კომპენსაციის მექანიზმებზე და შესაძლებელია ვესტიბულარულ ვარჯიშებთან კომბინაციაში იქნას გამოყენებული, გამოირჩევა კარგი ამტანობით და გვერდითი მოვლენების შედარებით პატარა სპექტრით.

ამრიგად, ბეტასერკი წარმოადგენს პირველი რიგის ეფექტურ პრეპარატს მენიერის დაავადების მკურნალობაში და აძლევს საშუალებას პაციენტს ხანგრძლივად შეინარჩუნოს შრომისუნარიანობა.

სამ. აკადემიის კლინიკის ექიმი-ოტონევროლოგი ნანა თევზაძე

ცნობილ რუს ჟურნალისტს ტელევიზია დააჯოვებინეს

რუსეთის ტელეკომპანია „ენ-ტე-ვეს“ გადაცემა „ნამედნის“ წამყვანი და ხელმძღვანელი ლეონიდ პარფიონოვი შრომითი ხელშეკრულების დარღვევის მოტივით ტელეკომპანიიდან გაათავისუფლეს, მისი პროგრამა დახურეს.

ლეონიდ პარფიონოვმა განაცხადა: — ჟურნალისტმა ელენა სამოილოვამ ზელიმხან იანდარბიევის ქვრივს, მალიქას, ინტერვიუ მაისის დასაწყისში ჩამოართვა. მისი გაშვება წინა გადაცემაში გვინდოდა, მაგრამ ტელევიზიის ხელმძღვანელობამ გვთხოვა, არ გაგვეშვა — სასამართლოს დამთავრებამდე დავიცადოთო (კატარაში გრძელდება ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში ბრალდებულ რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელთა სასამართლო პროცესი). ერთი კვირის შემდეგ სიუჟეტი „ენ-ტე-ვე-ზე“ დღისით, „ორბიტაზე“ გავუშვით. ტრადიციულად, არხის ხელმძღვანელობა გადაცემებს დღისით უყურებს და ამიტომ საღამოს გადაცემაში ტექნიკური ან პოლიტიკური კორექტივის შეტანის საშუალება გვაქვს. „ნამედნის“ დღის ეთერის სანახავად „ენ-ტე-ვე-ს“ გენდირექტორის მოადგილე, საინფორმაციო და პოლიტიკურ გადაცემათა კურატორი ალ. გერასიმოვი მოვიდა. მან მკაცრად მითხრა: — სპეცსამსახურების თხოვნა უნდა გაითვალისწინოთ, ეს სიუჟეტი საღამოს არ გაუშვათო. ვუპასუხე: — ჩვენ ვცდილობთ ექსკლუზიური სიუჟეტების გაშვებას, მალიქა იანდარბიევას ინტერვიუ სხვისთვის არ მიუცია და გაუშვებლობა ჩვენი არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელი იქნება-მეთქი.

ლეონიდ პარფიონოვის თქმით, მან გერასიმოვს წერილობითი განკარგულება მოსთხოვა ეთერიდან ელ. სამოილოვას სიუჟეტის მოხსნის თაობაზე.

ჟურნალისტ პარფიონოვს თავნებობა არ აპატიეს. მით უმეტეს, რომ სიუჟეტის შინაარსი გაზეთ „კომერსანტში“ დაიბეჭდა.

ზელიმხან იანდარბიევის ქვრივი ამბობს: „ენ-ტე-ვეს“ კორესპონდენტს ვუამბე ის, რაც კატარის სასამართლოზე ვნახე. ეტყობა, რუსეთის ხელისუფლებას სიმართლის გამჟღავნებისა შეეშინდა, სასამართლოც ამიტომ დაახურინესო.

რუსული პრესის მიხედვით

საკუთარი ხალხისგან თავდასაცავად



ვენესუელის პრეზიდენტს ჰუგო ჩავესს ყველგან გარეშე მტრების შემოსევა ელანდება. ხშირად იმეორებს, — ჩემს წინააღმდეგ კონტრრევოლუცია მზადდება, რომელსაც შეერთებული შტატები და კოლუმბია უმაგრებენ ზურგსო. როდესაც პოლიციამ ქვეყანაში შემოპარული ვენესუელის სამხედროფორმიანი 100 კოლუმბიელი დააპატიმრა, ჩავესს ნამდვილი პარანოია დაეწყო. მაშინვე ბრძანება გამოსცა — არმიის შეიარაღება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს და ამასთანავე, შეიქმნას 100.000-კაციანი კარგად შეიარაღებული და სათანადოდ გაწვრთნილი სამოქალაქო პირებისაგან შემდგარი „პატრიოტული ლაშქარიო“. ამ უკანასკნელმა, ჩავესის თქმით, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ნებისმიერი კონტრრევოლუციური გამოსვლების აღსაკვეთად, თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ ჰუგო ჩავესი „პატრიოტულ ლაშქარს“ სულ სხვა მიზნით ქმნის — ქვეყანაში აგვისტოს რეფერენდუმისათვის ემზადებიან.

უკვე ასიათასობით ადამიანმა წერილობით დაიფიქსირა თავისი პოზიცია — რეფერენდუმში მიიღებს მონაწილეობას და ჩავესის რეჟიმის წინააღმდეგ გამოვა.

აგვისტოში ვენესუელაში „ცხელი დღეები“ დადგება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. არ არის გამორიცხული, გრანდიოზული ანტიჩავესური გამოსვლებიც მოეწყოს.

ამას პრეზიდენტი აუცილებლად დაარქმევს გარეშე მტრების მიერ მოწყობილ კონტრრევოლუციას და შესაძლოა, საკუთარ ხალხს ისევ საკუთარი, ოღონდ „პეტრიოტები“ დაუპირისპიროს.

ნიუ ზუიკი



ერაყს პრეზიდენტი ჰყავს



ეს დღე ერაყის ისტორიაში შევა — სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყანას პირველად ჰყავს საკუთარი პრეზიდენტი და მთავრობა.

ერაყის ადმინისტრაციის მეთაურის, ბატონი ბრემერის მდგომარეობა ბოლო დღეებში შესაშური არ იყო — თეთრ სახლში გარკვევით უთხრეს: — უმოკლეს დროში „საიმედო ერაყელთაგან“ მთავრობა უნდა შექმნაო. საიდუმლო არ არის, რომ ჯორჯ ბუშს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, სურს, ხელისუფლება ერაყელებს დროულად გადასცეს. ეს პროცედურა ფარსად რომ არ ქცეულიყო, მთავრობაში მეტ-ნაკლებად გამოცდილი ადამიანები შეიყვანეს, რომლებსაც ერთ თვეში მოამზადებენ ქვეყნის სამართავად. პოლ ბრემერმა დავალება შეასრულა, თუმცა ერაყელი რჩეულები კი გაანაწყენა. ისინი ჩივიან: — ჩვენსავე ქვეყანაში არაფრის გადაწყვეტის ნებას არ გვაძლევს, სურს, თავის ჭკუაზე გვატაროსო. მაგრამ არც გაეროს და არც ვაშინგტონს ყურად არ უღიათ მათი საჩივარი.

პრეზიდენტის პოსტისთვის ხელჩართულ ბრძოლაში ორი კანდიდატი ჩაება — ადნან პაჩაჩი და ღაზი ალ-იავარი, აშშ-სა და გაეროს ერაყის ლიდერად ადნან პაჩაჩი სურდათ, მაგრამ ერაყელებმა მხარი არ დაუჭირეს. მის მეტოქეს, ღაზი ალ-იავარს მძლავრი კლანი უჭერდა მხარს, რომელშიც შიიტებიც არიან და სუნიტებიც, იგი ქურთებისა და ქრისტიანებისთვისაც მისაღებია. მას აშშ-ში აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, დიდხანს ცხოვრობდა საუდის არაბეთში და ბიზნესს ეწეოდა. სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და პოლიტიკაში ჩაება. ალ-იავარი დროებით მმართველ საბჭოში შეიყვანეს და მისი თავმჯდომარის, იზედინ სალიმის მკვლელობის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა. ძნელი სათქმელია, რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება ახალი ხელისუფლება — 30 ივნისამდე იარსებებს თუ 2005 წლის იანვრამდე, როცა ერაყში საყოველთაო არჩევნები ჩატარდება.

ნიუს რუ

ჩინელები ჰიანანში იხსენებენ

ჩინეთში ბოლო ხანს უფრო და უფრო ხშირად მოუწოდებენ მთავრობას გამოიძიოს 1989 წლის 4 ივნისს მომხდარი მოვლენები, — როცა ჯარმა პეკინში, ტიანანმინის მოედანზე, სროლა აუტეხა უიარაღო დემონსტრანტებს. მაშინ ასობით ადამიანი დაიღუპა. ცნობილმა სამართალდამცავმა „საერთაშორისო ორგანიზაციამ“ საზოგადოებრიობას ურჩია, ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება და დამნაშავეებს პასუხი აგებინოს. თუმცა საეჭვოა ოფიციალურმა პეკინმა უარი თქვას თავის ახლანდელ პოზიციაზე, — ჯარი იძულებული იყო, ცეცხლი გაეხსნა კონტრრევოლუციური ამბოხების აღსაკვეთადო.

ჩინეთის მთავრობამ ამ თარიღს მდუმარედ აუარა გვერდი, ჰონკონგში კი დემონსტრანტები ქუჩაში გამოვიდნენ დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.

ეს თარიღი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებმა ჩინელებმაც აღნიშნეს.

სამართალდამცავმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩინეთის ხელისუფალთ მოუწოდა, გაათავისუფლოს ის ოცი ადამიანი, რომლებიც 1989 წელს საპროტესტო მარშში მონაწილეობისთვის დღემდე ციხეში სხედან.

იზვესტია №96

მოკლედ

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს დირექტორი ჯორჯ ტენეტი თანამდებობიდან გადადგა. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის განცხადებით, ტენეტის გადაწყვეტილება პირადი მოტივითაა გამოწვეული. ბუშმა ტენეტს სამმართველოს ძლიერი და უნარიანი ხელმძღვანელი უწოდა. ჯორჯ ტენეტი პოსტს ივლისის შუა რიცხვებში დატოვებს. ბრიტანული გაზეთი „ტელეგრაფი“ წერს — ტენეტს წასვლა ბუშის ადმინისტრაციამ აიძულა, ახლა ის აღარავის სჭირდებაო.

პარიზის ერთ-ერთ ისტორიულ რაიონში, ციხე-კოშკ ლე ვიკონტში ინდოელი მაგნატი ლაქშმი მიტალა ქორწილს უხდის თავის ქალიშვილს — ვანიშას, რომელიც ბანკირს მიჰყვება. ტრადიციულ ინდურ ქორწილს 1200 სტუმარი დაესწრება და დაახლოებით 55 მლნ დოლარი დაჯდება. ლე ვიკონტი 1650 წელს ააგეს ლუდოვიკო XIV-ის ფინანსთა მინისტრისათვის. ლაქშმის ოჯახის წევრები ვეგეტარიანელები არიან და საქორწინო სუფრაც ვეგეტარიანული იქნება.

თურქმენეთის პრეზიდენტის, საფარმურატ ნიაზოვის ბრძანებით, ბოლო 10 წლის მანძილზე უცხოეთში მიღებული დიპლომები ბათილად ითვლება — მნიშვნელობა არა აქვს, სად მიიღო განათლება მოქალაქემ — რუსეთში, ოქსფორდსა თუ ჰარვარდში. სამსახურში მისულ ბევრ სახელმწიფო მოხელეს სამუშაო მაგიდაზე დახვდა უწყება, რომელშიც ნათქვამია: — თქვენი დიპლომი გაბათილებულია, სამსახურიდან დათხოვნილი ხართო.

ჩრდილოეთ კორეა დამცავი კედლის აგებას გეგმავს, რათა თავი დაიცვას ჩინელი კონტრაბანდისტებისგან. დამცავი კედელი აიგება ქალაქების მუსანისა და ჰორენის რაიონებში, სადაც შავ ბაზარზე აუარება ჩინური საქონელი შემოაქვთ.

აფრიკაზე მოდის მსოფლიოში მოპოვებული ურანის მეხუთედი. ურანის ექსპორტს ეწევა ნიგერია, ნამიბია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და გაბონი. ურანის საბადოები არსებობს კიდევ კონგოში, ზამბიაში, ბოტსვანასა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

ნიუ-იორკში გრძელდება სასამართლო პროცესი — ამერიკელ ბიზნესმენს ჯეიმს გიფენს ადანაშაულებენ იმაში, რომ მან ყაზახეთის ხელმძღვანელობას დიდი ქრთამი მისცა ნავთობის ხელსაყრელი კონტრაქტების მისაღებად.

22 წლის ჩინელისათვის ლატარიის ყალბი ბილეთი ყველაზე ბედნიერი გამოდგა. როცა ლიუ ლანს უთხრეს — მოგებული ბილეთი ყალბიაო, ისე გაბრაზდა, რომ ლატარიის ორგანიზატორებს დაემუქრა — თავს მოვიკლავ თუ ბილეთს არ გამინაღდებთო. ორგანიზატორებმა ლიუ ლანი შინ ახალი ბმგ-თი გაუშვეს და 15 ათასი დოლარიც გადაუხადეს. ამ თანხით დააჯარიმეს ყალბი ბილეთის გამყიდველი.

მოსკოვში, პაველეცკაიას სადგურში, გროზნოდან ჩამოდგა მატარებელი, რომელიც ამიერიდან რეგულარულად ივლის გროზნოსა და მოსკოვს შორის. უკვე ათი წელია, ეს რეისი აღარ ფუნქციონირებს. მატარებელს დახვდა ორკესტრი, აგრეთვე ფორმიანი ადამიანები და... ძაღლები. გროზნოდან ჩამოსულებს საბუთები შეუმოწმეს.

ჟურნალ ELLE-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად (ჟიურიში შედიოდნენ ქალთა ცნობილი ჟურნალების რედაქტორები, დიზაინერები, სამოდელო სააგენტოების პატრონები), ყველა დროისა და ხალხის ყველაზე ლამაზ ქალად აღიარეს კინოვარსკვლავი ოდრი ჰეპბერნი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა, აპარტეიდთან და რასიზმთან შეურიგებელმა მებრძოლმა ნელსონ მანდელამ იოჰანესბურგში საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, — პოლიტიკიდან მივდივარ. რამდენიმე კვირაში 86 წლისა ვხდები. დარწმუნებული ვარ, ეგოიზმს არავინ დამწამებს, თუ დარჩენილ სიცოცხლეს ოჯახს და მეგობრებს დავუთმობო და გაიხუმრა, — როცა ჩემს მრჩევლებს ვუთხარი, უნდა გადავდგემეთქი, მითხრეს, — დიდი ხანია გადამდგარი ხარო.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ევროპის ქვეყნებს მოუწოდა, უარი თქვან სუვერენიტეტზე და ევროკავშირი სუპერსახელმწიფოდ აქციონ. მან დასძინა: — ევროპა დაყოფილია და ვერ ასრულებს მთავარ როლს მსოფლიო არენაზე, მას ავტორიტეტის გასაძლიერებლად არმია სჭირდება. მხოლოდ მაშინ შეძლებს რომ ჩინეთს, ინდოეთს, იაპონიას, შეერთებულ შტატებს თანასწორივით ელაპარაკოს.

პლანეტის უხუცესი ქალი, ბელორუსი ანა ბორისევიჩი 5 მაისს 116 წლის გახდა. უსინათლო (შარშან დაკარგა თვალისჩინი) ანა ბორისევიჩი ქალიშვილთან ცხოვრობს მინსკში.

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უფროსმა დაბადების დღეზე მიიწვია მიხაილ გორბაჩოვი და შესთავაზა, — პარაშუტით ერთად გადმოვხტეთო. მიხაილ გორბაჩოვმა მიწვევა მიიღო, მაგრამ პარაშუტით გადმოხტომაზე უარი თქვა. ჯორჯ ბუშს მაინც მარტოს არ მოუწევს გადმოხტომა — მასთან ერთად გადმოხტებიან პროფესიონალი პარაშუტისტები და კინომსახიობები: ჩაკ ნორისი და ბრუს უილისი.

აშშ-ში მალე გაუშვებენ პირველ კერძო კოსმოსურ ხომალდს. პროექტი კოსმოსური სივრცის ათვისების პირველი არასამთავრობო მცდელობაა, რომელიც უწინარესად, კოსმოსური ტურიზმის გასავითარებლადაა გამიზნული.

ბრაზილიაში კოკისპირული წვიმების შედეგად წარმოქმნილმა მეწყერმა 28 კაცის სიცოცხლე შეიწირა, 2 ათასზე მეტი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

გვერდი მოამზადა
ნანა ანტონოვა-ილურიძემ

კახა ბენდუქიძე – შტრიხები პორტრეტისათვის

БЕНДУКИДЗЕ ПРОСИЛ ПЕРЕДАТЬ...



(დასაწყისი იხ. გვ. 6)

ახლა ეს ალბათ დაახლოებით იმავე დროს მოხდება „ძალურ დანადგარებთან“ გაერთიანების გამო (გასული წლის დასასრულს, ცნობილი გახდა რუსეთის მანქანათმშენებლობაში უმსხვილესი გარიგების შესახებ. ეს იყო ბენდუქიძის „ОМЗ“-ის და პოტანინის „Силовые машины“-ს გაერთიანება. ამ წელიწადს, მათი ერთობლივი წარმოების ბრუნვას ერთ მილიარდ დოლარამდე უნდა მიეღწია, რაც ენერგეტიკული მოწყობილობების წარმოებაში ლიდერობის გარანტი გახდებოდა). კიდევ რა გითხრათ? აი, მაგალითად, ლექციებს როგორც ვკითხულობდი ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში, ისევე წავიკითხავ.

— საინტერესოა სტუდენტებთან ურთიერთობა?

— *ყოველი შემთხვევაში, ისინი წამხდრები არ არიან.“*

ხშირად ისმის კითხვა, თუ რატომ გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ არჩევანი მაინცდამაინც ბენდუქიძეზე. გაჩნდა ეჭვი, რომ ოფიციალური თბილისი ყველა იმ პრობლემის აღმოფხვრას აპირებს, რაც აქამდე რუსულ-ქართული ურთიერთობის აღდგენას უშლიდა ხელს. კახა ბენდუქიძე მხოლოდ რუსული ბიზნესის კი არა, რუსეთის სახელისუფლებო მართვის უბადლო მცოდნედაც ითვლება. უკვე აღვნიშნე, რომ ბენდუქიძე რუსეთში ულტრალიბერალური იდეებით არის ცნობილი. ჩვენმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ვერ მოაბა თავი საგადასახადო რეფორმების განხორციელებას. ეკონომისტი ბენდუქიძე კი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ საგადასახადო განაკვეთების შემცირება ზრდის გადახდის მაჩვენებელს, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის შედგენისას, ახალი ეკონომიკის მინისტრის იდეებიც გამოიყენონ. მინისტრის რანგში კახა ბენდუქიძემ ერთი განზრახვა უკვე გაამჟღავნა. კერძოდ იგი აპირებს, რომ დაბეგვრის დიდი წილი საწარმოებიდან მოქალაქეებზე, განსაკუთრებით მდიდრებზე გადაიტანოს, რითაც ამ უკანასკნელთ მეტ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას დააკისრებს. ამასთან ერთად, ბენდუქიძემ უკვე ზუსტად იცის, სადაც გაამწესებს საქართველოში შემოსულ რუსულ კაპიტალს. მისი განცხადებით, ეს იქნება რკინიგზა, პორტები, ენერგეტიკა და მილსადენები (თუ რა თქმა უნდა, ვაშინგტონი და თბილისი ამის წინააღმდეგ არ წავლენ). ააყვავებს თუ არა ბიზნესმენი ბენდუქიძე ჩვენი ქვეყნის დაქცეულ ეკონომიკას, ამას მომავალი განსჯის, თუმცა, თუ მის განცხადებებს გადავავლებთ თვალს, ამ კაცს უსაგნო ყბედობა ნამდვილად არ ეპიტნავება.

„კახა ბენდუქიძე:

— ეს საერთო პრობლემაა, რომ ჩვენთან (იგულისხმება რუსეთი) რეალური რეფორმები მხოლოდ რეფორმებზე საუბრებით შემოიფარგლება. ამგვარი საუბრები შეიძლება ორი წელიც გაგრძელდეს, შემდეგ კი ხალხი აღშფოთებული კითხულობს: — რამდენ ხანს შეიძლება, მხოლოდ რეფორმებზე ყბედობა, დროა, სახელმწიფოს როლი გაძლიერდეს. ამისთვის კი აუცილებელია წინასწარ მოვამზადოთ საფუძველი. წარმოიდგინეთ, ჯერ ავადმყოფი გაჭრათ და მერე დაიწყოთ ოპერაციაზე ფიქრი. სანამ თქვენ უმოქმედოდ იდგებით, ის დაიღუპება. იცით, იყო ასეთი შემთხვევა მარინდ-ანიმის ტომის პაპუასების ცხოვრებიდან. მათთან ჩინელი ჩავიდა ქოქოსის საყიდლად და ერთერთ ადგილობრივ გოგონას შებმა დაუწყო. აღმოჩნდა, რომ ამ გოგონას მამაც ჰყავდა, ძმაც და საქმროც. როდესაც ეს ამბავი გაიგეს, მივარდნენ ჩინელს და ქვის კომბლებით ცემა დაუწყეს. როგორც ამ ამბის თვითმხილველმა, თავადაც პაპუასმა წიგნის ავტორს მოუთხრო, ჩინელი დაეცა და რატომღაც მოკვდა. მაშინ პაპუასები ცხედრის გარშემო შეკრებილან და ხმამაღლა დაუწყიათ ბჭობა, თუ რა უნდა ექნათ გვამისთვის. ეს სჯა-ბაასი თურმე დიდხანს გაგრძელებულა, ვიდრე ერთ-ერთ მოხუცს არ უთქვამს: თუ კიდევ დიდხანს იხმაურებთ, ხორცი აყროლდება და ვეღარ შევჭამთო. მაშინ ბრბო დაფიქრებულა და ქალებისთვის ჩინელის ხორცისაგან კვერების გამოცხობა უბრძანებია. ჩვენთანაც იგივე ხდება. ყველა ყბედობს, ყბედობს, სინამდვილეში კი არაფერი ხდება“.

საწყენია, რომ ეკონომიკის მინისტრი, დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო, ვრცელი განცხადებების გაკეთებას ჯერ ვერ ახერხებს. საინტერესოა, მას შემდეგ, რაც რუსი რეფორმატორები პაპუასებს შეადარა, ჩვენს თანამემამულეებს ვის მიუსადაგებს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. როგორც ბატონი კახას დედის, ცნობილი ეთნოლოგის ჯულიეტა რუხაძის ნაამბობიდან ირკვევა, აფხაზეთის ომის დროს ბიზნესმენს საქართველოში საკმაოდ სოლიდური თანხა გადმოურიცხავს. თუმცა არავინ იცის, სად წავიდა ეს ფული. ახლა, როდესაც ჩვენი ხელისუფლება შავბნელი საქმეების გამოაშკარავებითაა დაკავებული, არ არის გამორიცხული, რომ კოლეგას ანგარიში გაუწიონ და მისი ინტერესი დააკმაყოფილონ.

ცხოველებიდან დიდ ბიზნესამდე

ბავშვობაში კახა ბედუქიძეს ბუნება და ცხოველები ჰყვარებია. სახლში ხშირად ჰყავდა ზღარბი, კუ და გველები. შესაძლოა, სწორედ ბუნების სიყვარულმა გადააწყვეტინა ბიოლოგობა.

21 წლის ასაკში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, 1980 წელს კი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. 1981 წელს ქალაქ პუშჩინოს ბიოქიმიისა და მიკროორგანიზმების ინსტიტუტში მთავარი ლაბორანტის თანამდებობაზე მიიწვიეს. 1985 წელს მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში (სამედიცინო წარმოების სამინისტროს ეკუთვნოდა) სათავეში ჩაუდგა ცხოველების უჯრედების მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიას. 1988 წელს იწყება მისი პირველი კომერციული საქმიანობა, რომელიც სამეცნიერო დანიშნულების ბიოქიმიური პრეპარატების წარმოებას გულისხმობს. 1991 წელს „НИПЕК“-ის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედის. 1992 წელს მიხეილ ხოდორკოვსკისთან, კონსტანტინ ზატულინთან, ვლადიმირ გუსინსკისთან და სხვებთან ერთად „მეწარმეთა პოლიტიკური ინიციატივა-92“-ში ერთიანდება. 1993 წელს მისი კომპანია „ბიოპროცესი“ რუსეთის აუქციონებზე „ურალმაშის“ აქციების 18%-ს ყიდულობს. 1993 წლის დეკემბერში საერთო ფედერალური ბლოკის „პრეობრაჟენიეს“ სიებით (სადაც მეშვიდე ნომრით იყო) რუსეთის სახელმწიფო დუმის არჩევნებში იღებს მონაწილეობას. თუმცა აღნიშნული ბლოკი ხმის 5%-ის მოგროვებას ვერ ახერხებს. 1997 წელს „ურალმაშისა“ და მისი შვილობილი საწარმოების საკონტროლო პაკეტების გაერთიანებით, უზარმაზარი ჰოლდინგის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ხდება. 2002 წელს „მეექვსე ტელეარხის“ ინვესტორთა რიცხვში შედის, თუმცა მალევე ტოვებს მათ. 2000-2002 წლებში მონაწილეობს პუტინთან მსხვილი მეწარმეებისა და ფინანსისტების შეხვედრებში.

2004 წელს, მაისში ინიშნება საქართველოს ეკონომიკის მინისტრად...

ემა ტუხაშვილი

„ვინც იმას მეუყვის, პაპიოსან ხალხს იჭერდიო, პირველად ქვა მან მესროლოს!“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

მათი საქმეები, რომლებიც იმ დღეს მორიგეობდნენ, პროკურატურას გადავეცით. იზოლატორი კი ამჟამად იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. თუკი რომელიმე პოლიციელმა კანონი დაარღვია და პატიმრები აწამა, ხელი დავაფარე? სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა სწორედ იმას ესწრაფვის, რომ არაადამიანური ქმედებები აღიკვეთოს პოლიციაში. შსს-ს ცხელი ხაზი იმიტომ არსებობს, რომ თუკი ასეთი ფაქტი ვინმემ იცის, დარეკოს და შეგვატყობინოს. რა, აშშ-ში არ სცემენ პოლიციელები პატიმრებს? ეს სამწუხარო რეალობაა, რომელიც არც ჩვენ მოგვწონს. თუ ვინმე ადამიანთა წამების ფაქტით არის შეწუხებული, უპირველესად მე ვარ, რადგან ამ სისტემის ხელმძღვანელი ვარ და მე მაკისრია პასუხისმგებლობა. ამაზე მავანთა მიერ ატეხილი ხმაური პოპულიზმია და მეტი არაფერი. ხალხიც ალბათ კარგად ხვდება, ვინ ვინ არის. როგორც კი ქრთამს ავიღებ, მაშინვე გაიგებს ამას ყველა. ჯერჯერობით, არ მიღალატია ჩემი სინდისნამუსისთვის და ამიტომაც არ აქვს ხალხს ინფორმაცია, ბარამიძე ფულს იღებსო.

ზოგჯერ იმასაც ამბობენ, პოლიციაში ისევ ძველი კადრებია, რომლებიც შემჩნეულნი არიან რაღაც საქმეებშიო. რა ვქნა, აბა, თუ ძველი კადრები დავითხოვე, ლოყებტაცაღაჟა, ახალმოსული ბიჭები გამიკეთებენ საქმეს? სისტემა იყო ისეთი, რომ ყველა ყველაფერში იყო გარეული და ამის გამო გამოცდილ კადრებზე უარს ვერ ვიტყოდი. სამწუხაროდ, არც ვიცნობ აბსოლუტურად უმწიკვლო რეპუტაციის მქონე პოლიციელს. აქ დავრწმუნდი, რომ პოლიციაში რაც უნდა სუფთად იმუშაო, რაღაც ჭორს უთუოდ შეგითითხნიან, რაღაცას მაინც მოგიგონებენ.

— თქვენზე რა ჭორი გაგიგიათ?

— ბარამიძე თანამშრომლებს აქეზებს — ქურდებს იარაღი ჩაუდეთო.

— ითქვა, ერგნეთის ცნობილი საძმოს მეთაურის „რობოტას“ ახლობელი, ვინმე იმერლიშვილი შიდა ქართლის პოლიციაში მაღალ თანამდებობაზე დაინიშნაო.

— თქვენ გულისხმობთ ალბათ „რობოტას“ ნათესავს, რომელიც თავის დროზე ჩვენ გავათავისუფლეთ სამსახურიდან. ის შემდეგ ფინანსურ პოლიციაში შეცდომით აუყვანიათ, მაგრამ რამდენადაც ვიცი, იქიდან უკვე დაითხოვეს.

— რატომ დადის შიდა ქართლის პოლიცია ოსური ნომრებით?

— ასეთი ფაქტი ჩემთვის ცნობილი არ არის. ეს ალბათ ჭორია, მაგრამ რადგან თქვენ მეუბნებით, უთუოდ გადავამოწმებ. შიდა ქართლის პოლიციას არაფერში სჭირდება ოსური ნომრებით სიარული. შესაძლოა ამ ნომრებს კონსპირაციის მიზნით იყენებენ ის ოპერატიული სამსახურები, რომელთაც დავალებული აქვთ ცხინვალის რეგიონში შეღწევა. არსებობს უამრავი ისეთი ოპერატიული ნომერი, რომლებითაც სარგებლობენ პოლიციელები და თქვენ ვერასოდეს მიხვდებით, რომ ისინი ჩვენი თანამშრომლები არიან. აბა, პოლიციელები „პალის“ სერიით ხომ არ ივლიან და იძახებენ — პოლიციელი ვარ, დაგდევთ და გითვალთვალებთო.

პოლიცია არის ხილულიც და ისეთიც, რომელსაც საზოგადოება ვერ ხედავს. ისე არიან ქუჩაში გაბნეულები, რომ თვალში არავის ხვდებიან. აბა სხვანაირად როგორ მივიღებთ აგენტურულ ინფორმაციებს, როგორ შევაღწევთ კრიმინალურ სამყაროში და როგორ გამოვიტანთ იქიდან ინფორმაციებს?

— კოკოითი საქართველოს სამხედრო გზის გადაკეტვით იმუქრებოდა. რას მოიმოქმედებენ ასეთ შემთხვევაში ჩვენი ძალოვნები?

— ნათქვამია, „გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ვნებასაო“ — კოკოითსაც ასე დაემართება. ის დღითი დღე ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომლის გადადგმაც კავკასიელ კაცს არ ეკადრება. კაცი რომ ქალს გზას გადაუკეტავს და ბავშვებთან საჩუქრის მიტანაში ხელს შეუშლის, ის არც პოლიტიკოსია და არც კაცი, თვითონ ოსები გასცემენ პასუხს კოკოითს...

— თქვენზე ამბობენ, თავდაცვის მინისტრად გადაჰყავთო. რომ შეგოგთავაზონ, დათანხმდებით?

— მე შინაგან საქმეთა მინისტრობაზეც არ მიოცნებია, მაგრამ სადაც საჭიროდ ჩათვალეს პრეზიდენტმა და მთავრობამ, იქ გამამწესეს. მინისტრიც ვიქნები, მოადგილეც და თუ ამის საჭიროება იქნება, არავინაც არ ვიქნები. დაკარგვით მაინც არსად დავიკარგები. მტრებიც მყავს (საკმაოდ ძლიერი) და მოყვრებიც. თუ საჭიროდ ჩათვლის პრეზიდენტი და სხვაგან გადამიყვანს, ერთი მხრივ კარგიც იქნება — ამდენი უძილო ღამე მაინც არ მექნება. თუ სადმე რამე ხდება, ნებისმიერ დროს მირეკავენ — ამის მითითება თავად მივეცი.

— რამდენი საათი გძინავთ დღე-ღამეში?

— ხან 2, ხან 4 და ხანაც — 6, რამდენის საშუალებაც მექნება...

დასასრულ მინდა გითხრათ, რომ ყველას სათანამშრომლოდ ვიწვევ. ჩვენი ერთობლივი მცდელობით გახდება პოლიცია უკეთესი. მალე დაინახავს ხალხი, რომ პოლიცია უკეთესი გახდა. სერიოზულ ზომებს მივიღებთ ნარკომანიის წინააღმდეგ და გავამკაცრებთ ბრძოლას ქუჩაში ტელეფონების, ჩანთების წართმევის, დაყაჩაღების ფაქტებზე.

P.S. თავდაცვის მინისტრად გიორგი ბარამიძის სავარაუდო დანიშვნას კულუარებში საკმაოდ არგუმენტირებული ახსნა მოუძებნეს — რაკი სააკაშვილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას აპირებს და ცხინვალის შემდეგ კი აფხაზეთია დასაბრუნებელი, თავდაცვის მინისტრის პოსტზე აფხაზეთში ნაომარ, გამოცდილ და გულად ბარამიძეზე უკეთეს კანდიდატურას პრეზიდენტი ვერც მოძებნიდაო.

მაშ, ასე, სააკაშვილი ბარამიძის საბრძოლო გამოცდილების გამოყენებას ქვეყნის მთლიანობის აღდგენისთვის აპირებს და ექსშინაგან საქმეთა მინისტრიც, როგორც ამბობენ, ამით ამაყი და კმაყოფილია, თანაც სფერო, რომლის ხელმძღვანელობა ამჯერად ჩააბარეს, მისთვის (როგორც თავად ამბობს) გაცილებით ნაცნობი და ახლობელია, ვიდრე პოლიცია.

იზო რკაძე

ჩემი ინფორმაციით, ქვეყანაში დღეს არც ერთი ქურდი არ არის და თუ გამოჩნდება სადმე ვინმე, აუცილებლად გამოვძებნით ლეგალურ საფუძველს, რომ დავაპატიმროთ.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
5 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	1,9200
ევრო	2,3407
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,5253
რუსული რუბლი	0,0661
თურქული ლირა (1.000.000)	1,2757

შპს „პოლიგრაფისტი“
(სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13
(რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97


„ვრცელი“ თქრმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
შერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაქაგონი, ვითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი – ვ-კამერიანია
მის: ზღვითლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საპრეზის სასახლის უკან), რიო. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ლუიზოლი
Louise-all
ნაბუნარული კოსმეტიკა
თქვენ მრავალი საშუალება გაქვთ ნაცადი ჯარბთმიანობისაგან განსაკურნებლად... გაგიცრუვდათ იმედი?! გულს ნუ გაიტეხთ!!!
ჩვენ გთავაზობთ ჯარბთმიანობის საწინააღმდეგო
კრემს და ლოსიონს – „ლუიზოლი“ –
სრულყოფილი შედეგით!
„ლუიზოლი“ დაგეხმარებათ ადვილი, უვნებელი და ძალზე ეფექტური საშუალებით სამუდამოდ გათავისუფლდეთ ჯარბთმიანობის უსიამოვნო პომპლექსისაგან.
ეს სიახლეა!!!
ქაბინეტი „ლუიზოლი“ ☎ 37-38-13; 92-17-10

ცხოვრებისეული კურიოზები

1. ხუთთუმნიანი



ეს ამბავი ჩემმა მეზობელმა გივიმ მიამბო:

— თხუთმეტიოდე წლის წინ ცოლი მივიყვანე სამშობიაროდ. მაშინ ჯერ კიდევ სქესის წინასწარ დასადგენი ექოსკოპია არ იყო „მოდაში“ და ვაჟის მომლოდინე (ორი გოგოს პატრონი უკვე ვიყავი) წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი... ჰოდა, ბებიაქალს შევპირდი, თუ ბიჭი იქნება, ხუთთუმნიანს (ჯერ კიდევ საბჭოთა ფული იყო მიმოქცევაში) გაგაკრავ შუბლზე, გოგოზე კი ათ მანეთს უნდა დასჯერდე-მეთქი...

...და აი, იღება ნანატრი კარი, საიდანაც ჩემი ნაცნობი ბებიაქალი რაც შეიძლება ხმამაღლა გაჰკივის:

— მაისურაძე, ხუთთუმნიანი გყავს, ხუთთუმნიანი!...

ასეთი „სქესის“ გამგონე ირგვლივმყოფნი გაკვირვებულნი შემოგვცქეროდნენ, მერე კი, პირობისამებრ მახარობელს ხუთთუმნიანი მართლაც შუბლზე რომ ავაკარი, მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და სიცილ-ხარხარი ატეხეს...

შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი

2. ოპერის თეატრში



1950 წლებში თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრაზე მოღვაწეობდა პროფესორი მიშელ ერისთავი. განათლება მიღებული ჰქონდა პარიზში, ფლობდა ასევე რუსულს და ლექციებს ამ ენაზე ატარებდა, რადგან ქართული არ იცოდა კარგად.

ერთხელ ბატონი მიშელი ოპერის თეატრში სპექტაკლს დაესწრო ცოლთან ერთად. ვიდრე პარტერში თავის ადგილებამდე მივიდოდნენ, სინათლე ჩაქრა და თავისუფალ სავარძლებში მოკალათდნენ. მალე ორი მანდილოსანი მოვიდა და მორიდებით აუწყეს, რომ ეს მათი ადგილებია. ბატონი მიშელი შეწუხდა, უნდოდა ეთქვა, რომ როგორც კი სინათლეს ჩართავდნენ, გადასხდებიან თავის ადგილებზე, რაც ასე გამოთქვა: „მოითმინეთ ქალბატონო, გათენდება და გადაგაჯდებით“.

მ.ს., თბილისი

3. პეტრეს ხუმრობა



სვანეთში, სოფელ ნაკრაში ცხოვრობდა პეტრე ცინდელიანი, პატიოსანი, კეთილშობილი, მშრომელი კაცი. ოდნავ კოჭლი. გამორჩეული იყო იუმორით. ხანდახან წაქეიფებაც უყვარდა.


გაგანია თიბვის სეზონში სოფლის ცენტრში, ნათესავის ოჯახში ლხინის სუფრაზე შემოათენდა. მეორე დღეღამეც მოაყოლა. მესამე დღეს მიაგნო ცოლმა, ქალბატონმა ჯუბამ. რა დროს ქეიფია, ყველა მამაკაცი სათიბშია გასული შენ გარდა, შე ოხერო და სასიკვდილე, შენ მენახე ჩამხრჩვალი და კუბოში გაჭიმული!.. არ დაიშურა სალანძღავი სიტყვები და წამოიყვანა სახლისკენ ნაბახუსევი პეტრე. იგი სამმაგ წნეხშია: „პახმელიაზე“ გამოსვლა არ აცალეს, ივლისის მზე უმოწყალოდ აჭერს, ზედ ერთვის ცოლის შეუსვენებელი ლანძღვა.

პეტრე რისი პეტრეა, თუ გამოსავალს ვერ იპოვის. მდინარის ნაპირს მოუყვებიან. მისთვის სწორედ მისწრებაა ცივ წყალში გაგრილება. სირბილით გაექცა გაავებულ ცოლს, წინასწარ შეთვალიერებულ, თხილნარით დაბურულ ნაპირთან ჯუბას შესძახა: — ვინაიდან სასიკვდილოდ გამიმეტე, ვასრულებ შენს სურვილს, მშვიდობით! შვილები გაზარდე ღირსეულადო!.. და გადაეშვა მდინარეში. ოციოდე მეტრის ქვემოთ ნაპირზე გამოვიდა, გაგრილებული და კმაყოფილი. ჯუბამ დაიჯერა, რომ პეტრემ თავი დაიხრჩო. ისეთი კივილი ატეხა, მდინარის ხმაური გადაფარა. სოფლის ცენტრიდან მყისვე მოვარდნენ ქალიან-კაციანად. ქალები ჯუბას შეუერთდნენ წივილ-კივილით, კაცები მდინარის ნაპირზე მირბიან, ეგებ ცხედარი მაინც გამოსტაცონ ტალღებს. მაშველებმა დაინახეს პეტრეს მიერ განგებ გადაგდებული ქუდი, რითაც ბოლომდე დაიჯერეს მისი დაღუპვა. ჯუბა კივის და მოთქვამს, ეს რა ჩაიდინე, ჩემო ძვირფასო, რატომ დაღუპე ოჯახი, რა ვქნა, უშენოდ სამი გოგონას დედამ, მიშველეთ ხალხო, გადამირჩინეთ ჩემი პეტრეო და ვინ მოთვლის გაუბედურებული ქალის სიტყვებს.

პეტრეს ესმის ქალების კივილი და გოდება. ჩათვალა, რომ ამჯერად საკმარისიაო და ღიმილით გამოძვრა სამალავიდან. სამოცზე მეტი ქალი და ბავშვი განცვიფრებული მიაშტერდა გამოტირებულ პეტრეს, რომელმაც დატუქსა ისინი, მდინარეში გაგრილება რატომ არ მაცალეთო. მგლოვიარეებმა რა ამბავი ატეხეს, მისი გადმოცემა შეუძლებელია. კაცებმა ძლივს გამოსტაცეს ქალებს პეტრე და საჩქაროდ წაიყვანეს... საქეიფოდ.

მარკოზ სვანიძე, თბილისი

4. გაუმარჯოს, ვასიკოს!..




ჩემმა მეგობარმა ირაკლი მირცხულავამ ერთი საინტერესო ამბავი მომითხრო.

გასული საუკუნის სამოციან წლებში მისი ძმა ტურისტული საგზურით ყოფილა ეგვიპტეში. ქაიროში ჩაფრენილებს, საშინელი პაპანაქება დახვდათ. სიცხით გათანგულმა ქართველებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს სასტუმროს. ერთი სული ჰქონდათ, მალე შესულიყვნენ შენობაში და ამით როგორმე დაეღწიათ თავი მცხუნვარე მზის სხივებისთვის. თავის გასაჭირს ერთმანეთს, ბუნებრივია, ქართულად უზიარებდნენ. უცებ, სასტუმროს შესასვლელ კართან გამოჩნდა მუგუზალივით შავი ნუბიელი (ნუბია ხომ იცით, ისტორიული ოლქია სუდანში). მისი თეთრი სამოსი კიდევ უფრო ამკვეთრებდა სიშავეს. და მოულოდნელად ამ ნუბიელმა გამართული ქართულით წამოიძახა — გაუმარჯოს ვასიკოს!.. სიცხით გასავათებულმა ქართველებმა გაკვირვებისგან პირი დააღეს, ხოლო დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, რომელსაც ვასიკო ერქვა, თვალები ლამის შუბლზე აუვიდა... მაშინ მართლაც საკვირველი იყო ქართულის გაგონება საზღვარგარეთ, თანაც აფრიკაში და თანაც, ნოდარ დუმბაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტარაკანასავით შავი“ ნუბიელისაგან. ჩვენს ტურისტებს სულ გადაავიწყდათ დაღლაც და სიცხეც. ისინი შემოესივნენ აფრიკელ აბორიგენს (მგონი, უკანასკნელს) და ჩააცივდნენ კითხვებით: — ვინა ხარ? — რა გქვია? — საიდან იცი ქართული? განსაკუთრებით კი ჭიათურელი ვასიკო აქტიურობდა — საიდან გეცნობიო. ყურებამდე გაღიმებული ნუბიელი კი რობოტივით ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა: — გაუმარჯოს ვასიკოს! — მეტს არაფერს. შემდგომში, დამშვიდებულ გულზე, ქართველებმა „გამოიკვლიეს“, რომ თურმე ამ სასტუმროში ცხოვრობდა ერთი ქართველი, რომელიც ინჟინერი ყოფილა და ასუანის კაშხალის მშენებლობაში მონაწილეობდა. მას სამშობლოდან ჩამოჰქონდა ჭაჭა და ასმევდა სასტუმროს მომსახურე პერსონალს. განსაკუთრებით ამ ნუბიელს მოსწონებია ქართული არაყი. წამდაუწუმ ვასიკოს სასტუმროს ნომერთან ყოფილა თურმე ატუზული. ვასიკო კი იმ შემთხვევაში უმასპინძლდებოდა აფრიკელს, თუ ის გამართული ქართულით ადღეგრძელებდა — „გაუმარჯოს ვასიკოს!..“ ახლა კი, გაიგონა თუ არა ქართული ლაპარაკი, იფიქრა — ამათ ნამდვილად ჭაჭა ექნებათ ჩამოტანილიო და ამ იმედით, შესძახა: — „გაუმარჯოს ვასიკოს!“

არც შემცდარა...

იური ცუცქირიძე, თბილისი

5. გაუშვი და გამოუშვი



გაგანია კომუნისტების ეპოქაა. თბილისის კოლორიტი, ვერელი ნიაზ დიასამიძე ფეხბურთზე წასასვლელად ემზადება. ჯიბეში კი აქვს 5 მანეთი ბილეთისთვის, მაგრამ მთლად ფხიზელმა ფეხბურთს ჩემმა მტერმა უყურაო, იფიქრა, ხინკალი და ლუდი აიღო და „დაეჩითა“ კიდევაც პლეხანოველი ძმაკაცი კოკა. ცოტა იმასაც ჰქონდა ჯიბეში და გვარიანი პურისჭამა გამოუვიდათ. ფეხბურთის დაწყების დრო მოახლოვდა. ჯიბეცარიელები მიადგნენ „დინამოს“ სტადიონს. გულშემატკივრების ჯგრო სქლად მისჯარვოდა შესასვლელებს, ხუმრობა ხომ არ იყო, თბილისის „დინამო“ კიეველ თანაკლუბელებს ხვდებოდა.

— რა ჭირი და ჯახდაბა ვქნათ ახლა? — იკითხა კოკამ.

— აბა, კაცო, აბა... ნაცნობიც რომ არ ჩანს არავინ!

— არ უნდა დაგვეხარჯა ის ფული, მაგარი მატჩი იქნება! — ისევ თქვა კოკამ.

— რავა დალევა ცუდი იყო თუ? წამო შენ ჩემთან! — ეს ნიაზის ხმა იყო — და რასაც გეტყვი, კარგად დაიმახსოვრე. არ დაიბნე, იცოდე.

მეგობრები ჯგროში შეერივნენ. კოკა წინ მიდის, ნიაზი კარგა ნ-ნ კაცით უკან ჩამორჩა.

— თქვენი ბილეთი? — ეუბნებიან კოკას.

— ჩემთანაა, ჩემთან! გაუშვით! — დაიყვირა ნიაზმა.

კოკა სამშვიდობოს გავიდა და ძმაკაცს ელოდება. აგერ, ნიაზიც მოადგა შესასვლელს.

— თქვენი ბილეთი? — ეუბნებიან.

— გამოუშვი, ჩემთანაა, გამოუშვი, კაცო! — ყვირის კოკა.

არადა, მართლაც გადასარევი მატჩი იყო იმ დღეს...

მურმან მერკვილიშვილი, თბილისი

6. ვერ მოვასწრებთ...



ამ ამბავზე ჩვენთან დიდხანს იცინოდნენ. იგი კი ასე მოხდა: სამსახურიდან დაბრუნებული მოშივებული ალექსანდრე პირდაპირ სამზარეულოში შევიდა. ქვაბებს თავს ხდიდა, რომ გაეგო, სადილად რა ჰქონდათ. მოულოდნელად მოიჯნავე სასტუმრო ოთახიდან ხმა შემოესმა, მიაყურა და იცნო: მისი მეუღლე და მეზობელი მამაკაცი საუბრობდნენ.

კაცი: — ალექსანდრეს მოსვლამდე, კიდევ მოვასწრებთ ერთს!

ქალი: — არა, არა, ვერ მოვასწრებთ, ალექსანდრე სადაცაა უნდა მოვიდეს.

კაცი: — მე გეუბნები, მოვასწრებთ, ჩქარა დავამთავრებთ.

ქალი: — ვერ მოვასწრებთ, ვერა, ხვალისთვის იყოს.

თავზარდაცემულმა ალექსანდრემ კარი თითქმის შეამტვრია და... ალექსანდრესთან სადილად მეზობელი გადმოსულა, დროის გასაყვანად კი ის და დიასახლისი ნარდს თამაშობდნენ.

ჯიმშერ აბესაძე, ჭიათურა

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



7. ჭიჭიკია, აღიარე ახლა, როგორი ქალები მოგწონს: გონიერი თუ ლამაზი? — შეუჩნდა ნაზიკია ქმარს.

— არც ერთი და არც მეორე, შე ჩემა, ამიტო მოგიყვანე შენ!

ს.ნ., თბილისი



8. — ჭიჭიკია ეკითხება ქუთაისელ რუს მეზობელს:

— რატო ხარ მოწყენილი, ვასია?

— ჩემი ცოლი საყვარელთან იცვა, ბიჩო!

— მერე, რა ქენი, ვერ მოკალი?

— ვერა, მაგრამ კარი ისე გამოიჯახუნე, გაიგო, რომ ძაან გაუბრაზდი!..

იოსებ ნაცვლიშვილი, თბილისი

ყურადღება!

ჯეიოზების ჯონჯუისი

„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 9 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 10 ივნისის 13 საათამდე.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ——

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №23

მილოცვა



მედეა სულიკაშვილს!

ჩვენო პატარა, ლამაზო მედო, დედ-მამისა და და-ძმის სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს, გაიზარდე ლაღი, კეთილი, თავისუფალი, ბედნიერი. გისურვებთ ნათელი გზებით სიარულს.

სიყვარულით – შენი ოჯახი

თეონა ბოჭორიშვილს!

თეო, ჩემო ძვირფასო, ჩემო სანატრელო, ძალიან მიყვარხარ, ძალიან მენატრები. ყველაზე ძალიან მიყვარხარ. მინდა გისურვო ბედნიერება და ყველაფერი საუკეთესო. მინდა იცოდე, რომ ყველაზე ძვირფასი, რაც კი გამაჩნია, შენ ხარ. მიყვარხარ.

აჩიკო



25 წლის იუბილარს კობა პაპავას!

ჩემო ძამიკო! გილოცავ დაბადების დღეს 8 ივნისს. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს. ღმერთი იყოს ჩვენი ოჯახის მფარველი.

ტატო პაპავა

ბინები

ქირავდება ყიფშიძის ქუჩაძე, გალაკტიონის ძეგლთან ოთახნახევრიანი (გადაკეთებული 2-ად) სუფთა, უცხოვრებელი ბინა, ახალაშენებულ სახლში, ბ/აირით, მუდმივი დენით და წყლით, ტელეფონით, საჭირო ავეჯით. სასტუმრო ოთახის ფართი – 40 კვმ, საძინებელი – 12 კვმ. აქვს შემინული ლოჯია და სამზარეულო ერთად. მის: ყიფშიძის ქ. №5ა, მე-3 სადარბაზო, მე-3 სართ. ბინა №45. ფასი $200. ტელ: 34-32-79; 899 53-42-51; 893 96-00-42

იყიდება ან ქირავდება (უცხოელებზე) ვაკეში, ფალიაშვილზე, პრესტიჟულ სახლში, 5-ოთახიანი გარემონტებული ბინა, ორ-ორი სველი წერტილით და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-79-03; 899 22-20-29

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი **საზღვარგარეთ მუშაობისა** (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ქართული სამედიცინო ორგანიზაცია აცხადებს შესარჩევ კონკურსს ექიმ-თერაპევტის თანამდებობაზე. გვესაჭიროება 5 სხვადასხვა პროფილის ექიმი. სამუშაო მკაცრად საოფისეა. ტელ: 92-17-62. ნინო ბურჯანაძე

გვესაჭიროება პარტნიორები ახალი ტექნოლოგიების განვითარებად საერთაშორისო კომპანიაში, სადაც ასაკისა და პროფესიის მიუხედავად ეძლევათ შანსი, ხელმძღვანელ ადგილებზე გამოიმუშაონ მზარდი შემოსავალი მუშაობის თავისუფალი გრაფიკით. მსურველებს ვიზმობთ რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 38-15-64

სასწრაფოდ! მესაჭიროება კადრების შესავსებად უ/გ პირები გამოცდილებით ჯანმრთელობის სფეროში – ექიმები, ექთანები, ფარმაცევტები, ფიტოთერაპევტები, ბიოქიმიკოსები. დასაშვებია წარმატებული კურსდამთავრებული სტუდენტები. სამუშაო მკაცრად საოფისეა. იქონიეთ პირადობის მოწმობა და ავტობიოგრაფია. ტელ: 92-17-62. შორენა

საერთაშორისო ფირმას ოფისში სათანამშრომლოდ ესაჭიროება უ/გ მქონე ადამიანები. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ. 33-59-23. ლეილა

მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობაინი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

გთავაზობთ კანის ნებისმიერი პრობლემის მოგვარებას, გამონაყარისა და ლაქების გაქრობას, ნაოჭების გასწორებას და სხეულის კორექცია-გახდომას. აგრეთვე სიმაღლეში ზრდას, თვეში 3-4 სმ, 25 წლამდე. მცენარეული პრეპარატებით მოგიგვარებთ ყველა პრობლემას. კონსულტანტი მედეა. ტელ: 34-02-38; 899 51-18-20

გთავაზობთ სხეულის კორექციას: 1. სიმაღლეში ზრდა 5-10 სმ-ით, გოგონებისა და ვაჟებისათვის 25 წლამდე, უნიკალური ნატურალური არაჰორმონალური საშუალებებით; 2. წონაში დაკლება მკაცრი დიეტისა და ვარჯიშის გარეშე, ძალზე ეფექტურად, იმუნური სისტემის აღდგენის, ნივთიერებათა ცვლისა და ნერვიული ფონის მოწესრიგების ხარჯზე, მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. ტელ: 95-33-47, 899 14-64-95

რბილი ავეჯის რესტავრაცია, მეორად სამეულებზე შალითების გამოცვლა-დარბილება, ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების, მატრასების, სკამების გაახლება, სამზარეულოების და სხვა, ნებისმიერი ავეჯის დამზადება ლამინატისგან, თანამედროვე ევროპული დიზაინით, ხარისხიანი შესრულების გარანტიით. ტელ: 96-22-59. ვიქტორი

მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, სხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 54-64-81

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ალკოჰოლიზმისაგან განკურნება, პაციენტისგან ფარულად (ოჯახის წევრის მიერ), კრემლის ყოფილი ლაბორატორიის პრეპარატებით! მცენარეები – საპატრიარქოს მიწებიდან. აქვს რუსეთის პატრიარქის ლოცვა-კურთხევა. დამზადებულია მარილმადიდებელი ეკლესიის ნაკურთხ წყალზე. მაღალი ეფექტები, აბსოლუტურად უვნებელი, სერტიფიცირებული პრეპარატები. ტელ: 899 22-63-90 ნინო

ალკოჰოლისა და თამბაქოსაგან გათავისუფლება სწრაფად და ეფექტურად, ექსკლუზივის უფლებით თითოეული პაციენტისთვის, Лоовит პროგრამებით. ემსახურება ორგანიზმის ეფექტურ გაჯანსაღებას, არა აქვს უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები. გამოიცადა წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში და გაიარა კლინიკური გამოკვლევები. ანალოგი არ გააჩნია. ტელ: 899 43-97-34; 32-39-46 (საღამოს). ნათია

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ყურის ანთების, ხმაურის, ქავილის, ტკივილის მკურნალობა ბიოენერგოკორექციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციის ჩარევის გარეშე. ვმკურნალობ აგრეთვე ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, სისხლძარღვთა შევიწროებას და სხვა. ლევან სეხნიაშვილი. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (სამების ეკლესიის უკან). ტელ: 91-31-19; 91-32-42

ძვირფასო მშობლებო, მეუღლეებო, შვილებო, თუ ალკოჰოლიზმი და ნარკომანია იქცა თქვენი ოჯახის, სიყვარულის და მომავლის დამანგრეველ მიზეზად, თუ ვეღარ უმკლავდებით ამ დაავადებისგან გამოწვეულ ყოველდღიურ პრობლემებს, მოგვმართეთ და სულ მალე დარწმუნდებით, რომ უკურნებელი არაფერია. ტელ: 98-86-19; 893 12-71-43. ექიმი-კონსულტანტი ქ-ნი ნინო

ალკოჰოლიზმით დაავადებულთათვის! გთავაზობთ მოსკოვში დამზადებულ სერტიფიცირებულ პრეპარატებს, რომლებიც ეფექტურად ხსნის ალკოჰოლზე დამოკიდებულებას (პაციენტისგან დამოუკიდებლად), გვერდითი მოვლენების გარეშე. აგრეთვე, ალკოჰოლიზმის გართულებები – „პახმელიის“ სინდრომი, ფსიქოემოციური პრობლემები – კურსი 1-2 თვე; თამბაქოსაგან გათავისუფლება. ტელ: 893 36-87-62. ავთანდილი

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

გთავაზობთ შკურნალობას ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. აგრეთვე ვმკურნალობ ინსულტის შემდგომ პერიოდს, ჰიპერტონიას, ვენების ვარიკოზულ გაგანიერებას, ნევროზებს, შიშებს. მკურნალობა მიმდინარეობს ძალზე ეფექტურად, გვერდითი მოვლენების გარეშე. ტელ: 77-71-22 (საღამოს); 99-75-90 (12-15 სთ). ლელა

ბრონქული ასთმის, ქრონიკული სეზონური სურდოს, ალერგიული დაავადებების გამოკვლევა და მკურნალობა მაღალი შედეგებით. მის: რკინიგზის საავადმყოფო (ვაგზალთან), V სართ, ალერგოლოგიური განყოფილება. ტელ: 893 30-36-99

В бальнеологическом курорте открыт лечебно-диагностический компьютерный центр. Запись на обследование по тел: 72-04-63 (дом); 99-73-09 (раб.)

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით და ულტრათამედროვე ტექნოლოგიებით: ალკოჰოლიზმი, შიში, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, კლიმაქსი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, პროსტატიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი, ასთმა, ალერგია. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48 (საღამოს)

ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („დაკონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; vebdizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან“, რესტორან „სამოთხის“ უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

იყიდება

სასწრაფოდ! პურის ქარხანა „ბნ“ ტიპის, კომპლექტში, რეალიზაციით. 2000 პური. აქვს ყველა მოწყობილობა. ტელ. 893 96-06-47

იყიდება ა/მ „ბერსედეს-ბენცი ML-320“, ჯიპი, 1998 წლის გამოშვება, შავი, სრული ელექტროპაკეტი, ტყავის სალონი, ავტომატიკა, კონდიციონერით, ახალი ჩამოყვანილი, განუბაჟებელი. ფასი $22.000. ტელ. 899 56-79-23

იყიდება ახალი ირანულ-ამერიკული სტომატოლოგიური დანადგარი „ფახრესინა“, ექიმის სკამით, კომპრესორით, ბუნიკებით. ტელ: 22-64-08 (ბინა); 877 49-76-09. მანანა; 877 47-46-00. თამარი

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

კვიპაროსი, ფიჭვი, კედარი, ტირიფი, ჟასმინი, იუკა, აგავა, ლუგუსტრუმი, ტუია გაზონისათვის, ღობის ვარდები, ნამყენი ვარდები, ყვავილები ეზოსათვის, ყვავილები ოთახის და სხვა მცენარეები. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი, რომელიც დაურგავს გახარების გარანტიით. მის: სანერგე მეურნეობა, თბილისის ზღვასთან. ტელ. 69-97-05 ამირანი; 899 16-93-15

იაფად! წიგნების კარადა, საწერი მაგიდა, სერვანდი, ბავშვის საწოლი (ჩეხური), გერმანული სამზარეულოს სერვანდი, მაგიდა და ორი სკამი, ტელევიზორი. ტელ: 35-33-81

მოსკოვის კაფელი, 15X15, ღია ფირუზისფერი, 10 კვმ. ფასი: 1 კვმ – 6 ლარი. ტელ. 35-33-85

შევიძენ

მუშა მდგომარეობაში მყოფ 1 და 3-ტონიან ავტოკარს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 92-09-59





ლალი ღვინჯილია-ძაგანიას ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. უკურნებელი სენით შეპყრობილი, სიცოცხლის ბოლომდე სიმშვიდეს ინარჩუნებდი და ასე მშვიდად გადაინაცვლე მარადისობაში.

ძალიან, ძალიან გვენატრები, უსაზღვროა ტკივილი, მძიმეა შენი ნალოლიავები ოჯახისთვის უშენობა.

ყველას ძალიან ენატრები, შენ ხომ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარ ნიჭს ფლობდი. ყველგან სიკეთეს და სიყვარულს თესდი.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და სპეტაკი სული.

შენი დამწუხრებული ოჯახი

აბდულა ოდიშელიძის მონატრება



ჩემო ერთადერთო მონატრებულო ძმაო, აბდულ, ეს სახელი ხომ გამორჩეულად დაგარქვეს ჩვენმა მშობლებმა. ამ სახელსაც აქვს თავისი ახსნა. ორი წელი გადის შენი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, ორი მძიმე, ჩემთვის ტკივილიანი და დარდიანი წელი. უცხოეთში გადაკარგული შენი და, დღედაღამ დაგტირის. თითქოს გუშინ იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა – სულ თვალწინ მიდგას. ჩვენი დაშორებიდან ერთი წლის შემდეგ წახვედი. ოჰ, როგორ დავივიწყო შენი ნაღვლიანი თვალები. ვაი ჩემს თავს, რომ შენი ცხედარი ვერ ვნახე, ვერ მოვეფერე უკანასკნელად.


წახვედი და მოურჩენელი ტკივილი დამიტოვე, ძმაო, რასაც მონატრება ჰქვია. ოჰ, რამდენი რამე მაქვს შენთვის სათქმელი. რომ ჩამოვალ, ყველაფერს გეტყვი – ყველა ჩემს საიდუმლოს. ვიცი, რომ მოუსმენ შენს ავადმყოფ დას და მოვა შენი სული და მანუგეშებს. ცრემლი და დარდი არ აკმარე შენს უფროს დას თამარს, რომელმაც ახალგაზრდა შვილი დაკარგა და მეორმოცე დღეს კი შენ – ძმა დაგკარგა.

ნათელში გამყოფოთ ორივენი, სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა. გზა გაგინათოს ჩემი პატარა შვილიშვილის ქრისტინას (რომელსაც არ იცნობდი, რომელიც მთხოვს, – ბებო, წავიდეთ ეკლესიაში, პაპა აბდულას სანთელი დავუნთოთო) ხელით ანთებულმა სანთლებმა საბერძნეთიდან.

არასოდეს განელდება ჩემს ოჯახში შენი სიყვარული და მოგონება.

შენი გულმოკლული და ლილი

მანანა ტოფაძე-ელიავას მოგონება



გაიარა ცრემლითა და ტკივილით აღსავსე ექვსმა თვემ. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო გულისტკივილი. 20 მაისს 54 წელი შეგისრულდებოდა. უშენოდ პირველად შევხვდით შენს დაბადების დღეს.

გარეგნულად მუდამ ლამაზო, მუდამ ღიმილიანო, მუდამ თბილო და მოსიყვარულე დაიკო, ძალიან მენატრები და სატირლად მენანები. 29 მაისს – 6 თვის თავზე ყველა შენი ახლობელი შევიკრიბეთ და ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ შენი საფლავი.

ჩვენგან დანთებული სანთლები კი გზას გაგინათებს ცათა სასუფეველში.

დიდი ტკივილით, ნელი და ზური გუჯაბიძეები

გურამ ტატიშვილის გახსენება



10 ივნისს 65 წელი გისრულდება, ჩვენო ძვირფასო გურამ. უკვე მეორედ ვხვდებით უშენოდ ამ დღეს. რაც შენ აღარ ხარ ჩვენ გვერდით, ყოველი დღე შენზე ფიქრით და მონატრებით იწყება ჩვენს ოჯახში. რაც დრო გადის, უფრო მძიმე ხდება უშენობით გამოწვეული სევდა.

გვენატრები ყველას, ენატრები შენს საყვარელ შვილიშვილებს – მარიამს და თორნიკეს, რომლებიც თითქმის ყოველდღე გახსენებენ და ფიცულობენ ბაბუას. შენ ხომ ყველასთვის ეტალონი იყავი, ღირსეულად იცხოვრე ამ ქვეყანაზე.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ღირსეულად შევინახოთ შენი ხსოვნა, ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი მოსიყვარულე ოჯახი



ქრისტინა თოდაძეს!

„ჩვენ შენს საფლავთან დავინისლებთ, და დაგიკოცნით გაყინულ თვალებს.“

21 წლის გახდი, 9 ივნისი შენი დაბადების დღეა, რომლის მოსვლა ასე ძალიან გიხაროდა. დღეს კი ბედნიერების დღე უსაშველო ტკივილმა და სევდამ შეცვალა. ნუთუ აღარ შემოგვხვდები პირმცინარი, მოტიკტიკე, აღარ გვეტყვი მეგობრულ, ალერსიან, სითბოთი სავსე სიტყვებს... ამის გაგება, გათავისება, ჩვენთვის ორმაგი ტკივილია.


დრო ძალიან ჩქარა მიდის და შენი მონატრების სურვილი უფრო მძაფრდება. შეუბრალებელი და სასტიკია სიკვდილი, დაუნდობლად ჩაგიკლა გულში ბავშვური ოცნებები და ნასათუთევი სიყვარული. შენ ირგვლივ ყველაფერი, მშვენიერი, ლამაზი და ამაღლებული იყო, რადგან შენ თვითონ ქმნიდი ამ ხალისიან, მხიარულ იმედიან განწყობას. უეცრად გაფერმკრთალდა ირგვლივ ყველაფერი, თითქოს ბუნებაც შეაკრთო უშენობამ. კიდევ ერთი ლამაზი ფერი გახუნდა, მზეს შენი წილი სითბო დააკლდა, ცას შენი მეგობარი ვარსკვლავი ჩაუქრა. ნუთუ შენი ფაფუკი სხეულით ის მიწა უნდა გაათბო, რომელზეც ფერიასავით დააბიჯებდი და სიკეთით, სითბოთი, სიყვარულით იხდიდი ვალს მეგობრების წინაშე?!

გვეგონა, შენი დიდრონი, მეოცნებე თვალები, სიკეთით სავსე გული და ჩვენი უდიდესი სიყვარული, საუკუნოდ დაგიფარავდა, მაგრამ ზეცას შენი სიქათქათე დასჭირდა, ჩვენ კი ცრემლი გვადინა, გული გვატკინა, სანუგეშო სიტყვები გვათქმევინა... მაგრამ გჯეროდეს, რომ შენს თავს მაინც ვერ წაგვართმევს, რადგან ჩვენში, შენს მეგობრებში იცოცხლებ მანამ, სანამ სიყვარულის, მეგობრობის, უსაშველო მონატრების ზღვა არ დაილევა. ის კი იცოდე, უსაზღვროა.

შენ სასუფეველი დაამშვენე, რომელიც ჩვენთვის შეუცნობელია, მაგრამ ჩვენ, მეგობრებმა რა ვუყოთ სულში ჩარჩენილ იმ სიცარიელეს, რომელსაც შენი მონატრება ჰქვია?

შენი მეგობრები – სალომე, ნანა, თიკო, თეო

მევლუდ ფაიქრიძის გახსენება



მეორე ზაფხული დგება, რაც შენს დაბადების დღეს – 13 ივნისს უშენოდ აღვნიშნავთ, მევლუდ, შენს ტკბილ ოჯახში. შენ ხომ 40 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო მწვარე, მოუშუშებელო ტკივილო. განუმეორებელი ადამიანი იყავი, როგორ შეძელი ამდენი სიკეთის კეთება და ყველა ადამიანის გულის მოგება. შენ ჩვენთვის სიძეც იყავი და ძმაც.

ძალიან გვენატრება, მევლუდ, შენი რიხიანი ხმა. შენ იმდენი კარგი გაგიკეთებია, შენს ოჯახს არაფერი გაუჭირდება, მაგრამ ნეტავ გასჭირვებოდათ და შენ გვერდით ჰყოლოდი. შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა ისინი, ახლა როგორ ძლებ მათ გარეშე?

ვაი, რომ ცრემლების გარდა ვერაფერს გჩუქნით.

ცრემლი, ლოცვა და წმინდა სანთელი არ მოჰკლებოდეს შენს საფლავს.

დაე, ჩვენმა მონატრებამ გაგინათოს გზა სასუფეველში.

შენი ცოლისდები და ქვისლები

გოგი (გიორგი) თათაშვილის გახსენება



გოგი, სამი თვეა, რაც მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან და წახვედი იმ ქვეყნად. გაუნელებელი ცეცხლი და ტკივილი დაგვინთე ყველას გულში. როგორ უნდა მოგინელონ გულდამწვარმა მშობლებმა, ძმებმა, ცოლ-შვილმა და გულდათუთქულმა დედამ, შვილო?! შენი სიკვდილის შემდეგ დედაშენი ყოველდღე ტირის და ავად არის. როგორ უნდა გადაიტანოს შენი სიკვდილი?! ყველასთვის კარგი იყავი, ზრდილობიანი, ნიჭიერი, ნასწავლი, კეთილი, აღალი გულის, ცოლ-შვილის მოყვარული. გვენატრები ყველას, ენატრები შვილებს, პატარა ნიკას... სიკვდილსაც კარგები ნდომებია.

გოგი, მოვიდა შენი დაბადების დღე 13 ივნისი. 46 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დაგაცალა. ჩვენ ყველანი მოვალთ შენს საფლავზე, ყვავილებით შევამკობთ და მოვეფერებით შენ სურათს. აგინთებთ სანთელს და ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

მსუბუქი იყოს შენს გულზე უდროოდ დაყრილი ხაშურის მიწა.

შენი გულდამწვარი დეიდა იზოლდა (ნაზი) ნოზაძე

გიგა გაბელაიას ხსოვნას



ექვს ივნისს ორმოცი დღე გავა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხართ, ბატონო გიგა. ძნელია იმასთან შეგუება, რომ ვერასოდეს განახვათ, ველარ გავიგებთ თქვენს რჩევებს, მითითებებს.

იყავით საუკეთესო პიროვნება, ბრწყინვალე ხელმძღვანელი. სამი წელიც ვერ გაუძლო თქვენმა ავადმყოფმა გულმა შვილის – დათოს გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს.

ძალიან უჭირთ თქვენს ოჯახს, ახლობლებს, თანამშრომლებს, ძმაკაცებს უთქვენობა. კაცურად იცხოვრეთ ამ ქვეყანაზე და სახელიც კაცური დატოვეთ.

ნათელში ამყოფოს უფალმა თქვენი სული.

აბაშის შპს ფირმა „დავითის“ თანამშრომლები



ვენერა გოგრიჭიანის მონატრება

თორმეტი ტკივილიანი წელი გავიდა, რაც მოულოდნელად წახვედი ამ წუთისოფლიდან. შენ ხომ შვილებზე ზრუნვაში განვლე მთელი ცხოვრება და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მათ უფრთხილდებოდი. იყავი დაუზარელი, გიყვარდა ცხოვრება. შენ ხომ შეუდარებლად კარგი მეუღლე, დედა და ბებია იყავი. რამხელა ტკივილი დაგვიტოვა შენმა წასვლამ, როგორ გვიყვარდი და და გვეამაყებოდი. წახვედი საყვარელ სიძესთან – გივისთან და შენს უსაყვარლეს ძმებთან – ვახტანგთან და ელგუჯასთან.


დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სპეტაკი სული.

შენი საყვარელი შვილები და შვილიშვილები

ლევან გოგალაძეს!

დედის მონატრება



ჩემო ლევან, მე-5 თვე სრულდება, რაც წახვედი ამ ქვეყნიდან და დატოვე დიდი ტკივილი ყველას გულში. მოვიდა შენი დაბადების დღე, 6 ივნისი, უშენოდ. ამ დღეს შენ 24 წლის შესრულდები. უბედურმა შემთხვევამ მე და შენ სამუდამოდ დაგვაშორა ერთმანეთს. რა ძნელია სიცოცხლე. მენატრები, შვილო. ყველგან დამყვება შენი ლამაზი თვალები. როგორ მაკლიხარ. შენი დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, რას არ გავაკეთებდი, მაგრამ ამაოდ. შენს ნატვრასა და დარდში გავატარებ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს. ვიცლით შენს საფლავზე, სანამ შევძლებთ, იქნებ ამით ცოტა შვება ვიგრძნოთ. რატომ არგუნეთ დეიდაშვილებმა ასეთი მწარე სიბერე თქვენს გამზრდელ ბაბოს. უკვალოდ წახვედით ამ ქვეყნიდან შენ და დათო.

რა მძიმეა და რა უფერული ცხოვრება უშენოდ.

შენი გულგახეთქილი დედა, პაატა, ნათია და მეგობრები

თენგიზ გელოვანის გახსენება

6 ივნისს 40 დღე შესრულდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ არის ნაღდი თბილისელი, უზადო, დახვეწილი ინტელიგენტი და კეთილშობილი კაცი – თენგიზ გელოვანი.

არსებობენ ადამიანები, რომელთა ერთი შეხვედრაც საკმარისია, შეგექმნას წარმოდგენა მათ ადამიანობაზე, სულზე, განათლებასა და შინაგან კულტურაზე. ასეთი კაცი იყო თენგიზ გელოვანი. მისმა სიკვდილმა დიდი ტკივილიანი სიცარიელე დატოვა ჩვენს გულებში. უზარმაზარ სიკეთეს იტევდა მისი მგრძნობიარე და ადამიანის სიყვარულით გამთბარი გული. ფატალური იყო მისი სიკვდილი. საღსალამათი კაცი მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შევძელით მისი გადარჩენა. ყველას დააკლდა თენგიზ გელოვანი. დააკლდა პირველ ყოვლისა მის არაჩვეულებრივ ოჯახს, შვილებს, პატარა შვილიშვილებს, რომელთათვისაც აუხსნელია, სად წავიდა მათი მოსიყვარულე ბაბუა და ყოველ ცისმარე დღეს ეძებენ მას. დააკლდა მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებს, ყველას, ვინც მას იცნობდა. დააკლდა საყვარელ მეუღლეს – იზას, რომელთანაც მთელი ცხოვრება ტკბილად გაატარა. გვიჭირს იზას დამშვიდება. ძნელია ქმრის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი დავუამოთ, ძალიან ძნელი.

ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი კაცურ კაცს – თენგიზ გელოვანს.

მეზობლები

ნინო ნინოშვილის მონატრება



ნინო, უშენოდ მოვიდა გაზაფხული. ირგვლივ ყველაფერი ყვავის და ცოცხლობს. შენთვის განგებამ მხოლოდ ცხრამეტი გაზაფხული გაიმეტა.

უზომოდ გვენატრები.

9 ივნისს შენი დაბადების დღეა.

ღმერთს შევთხოვთ, სათელ-საკმეველი არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ სულს.

მამიდები, მამიდაშვილები



თემურ ჩაგელიშვილის მონატრება

10 ივნისს 53 წლის გახდებოდი. მესამე წელია იმ დღიდან, რაც გაჩერდა შენი კეთილშობილი გული, გული, რომელიც ნათესავებისა და ახლობლების უსაზღვრო სიყვარულს იტევდა. რაც დრო გადის, მით უფრო სანატრელი ხდება შენთან გატარებული წუთები, თემო. დრო მკურნალიაო – დაუჯერებელია. მე მარადიული ტკივილი მარგუნა ბედმა, რომელსაც უშენობა ჰქვია, ჩემო თემო. ალბათ ვერასოდეს შევეგუები უშენობას და ვერც თვალი გადაეჩვევა შენს ლოდინს.

მჯერა, რომ წმინდა სასუფეველში დაიმკვიდრებ სამუდამო ბინას, შენს ძმებთან – შოთასთან და თამაზთან, რძალთან – ლამარასთან და სიძეებთან – ცაცოსთან და ელგუჯასთან ერთად.

ღმერთს შევთხოვ, შენი სული სიმშვიდესა და ნათელში ამყოფოს.

შენი მეუღლე ლეილა

მეუღლე გივი კიკაბიძე, შვილები სვეტა, ენვერი, მალხაზი, და დაგმარა კაჭარავა, შვილიშვილები ზურა შუბლაძე, გივიკო, ინგა, ირმა, მიშიკო, მალხაზ კიკაბიძეები, დეიდა თალიკო მანწკავა, რძლები ნინო მაჭავარიანი, მანანა გუგუშვილი, სიძეები მალხაზ შუმახია, დიდიკო კაჭარავა, პეტრე ჯიბლაძე, ალეკო ნაზღიდისი, რეზო ღლიღვაშვილი, დისშვილები, მულისშვილები, მაზლისშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნელი ფალავა-კიკაბიძის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: სამშაბათს, 8 ივნისს, 15 სთ-ზე.
მისამართი: აბაშა, გამსახურდიას ქ. №10

მეუღლე ჯუსო მეზვრიშვილი, შვილები ნინო, სოსო, ძმა გივი სომხიშვილი, მულები მედეა, ლამარა მეზვრიშვილები, რძლები ზანი ხატიაშვილი, იზოლდა ნიკოლაიშვილი, ელენე შაიშმელაშვილი, მაია მათიკაშვილი, სიძე გია თათრიშვილი, შვილიშვილები თამუნა, ნინო, ლიკა, ნატო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



ელენე (ლიანა) გარსევანის ასული სომხიშვილი-მეზვრიშვილისა.

პანაშვიდი: 8, 9 ივნისს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 10 ივნისს, 14 საათზე.
მისამართი: ქ. საგარეჯო, გულისაშვილის ქ. №24

ნიკო სამადაშვილი: „მიყვარხარ, როგორც ღვთისმშობლის ფიცი“

დღეს თავისუფლად შეიძლება ნიკო სამადაშვილს ხსენება, გაიმართა კიდეც მისი ხსოვნის საღამოები, ოუბილე, გამოვიდა მისი ქალიშვილის, მზია სამადაშვილის არაჩვეულებრივი მოგონებების წიგნი „უცნობი ნიკო სამადაშვილი“, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ზღაპრად წვეთია იმასთან შედარებით, რაც დაგვიტოვა ნიკო სამადაშვილმა, მართლაც და, გარკვეულწილად ჯერ კიდევ უცნობმა, მომავლის პოეტმა.

ნიკო სამადაშვილი 1905 წლის 19 ივლისს დაიბადა თბილისში. 8 წლისა გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, 1917 წელს ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადმოიყვანეს ვაჟთა გიმნაზიაში. აქ შეახვედრა ღმერთმა ერეკლე ტატიშვილს, ევროპაში განსაკუთრებულ დიდ მეცნიერსა და უნაზესი სულის ადამიანს. მან ყურადღება მიაქცია ნიჭიერ ჭაბუკს და იმ დროს უკვე დაობლებულ ნიკოს მამობა გაუწია.

ნიკომ ლექსების წერა 12 წლიდან დაიწყო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა. პოეტი იხსენებდა: შალვა ნუცუბიძესთან საგანი მჭონდა ჩასაბარებელი. ერთი კვირა დავდიოდი სასაფლაოზე (ყოფილ კიროვის პარკში) ამოჩემებული მჭონდა ერთი საფლავის ლოდი, ზედ ვიკეცე, ასე მოვემზადე. საგანი ფრიადზე ჩავაბარე ბატონ შალვას, გამოვედი გამოცდიდან და შიშმილისაგან გული წამიდგა. ნიკო სამადაშვილი იძულებული გახდა, სწავლის პარალელურად, მოანგარიშედ დაეწყო მუშაობა. ამან ვერ იხსნა. სიღუხჭირე, თითქოს, შეესისხლხორცა. 1928 წელს სწორედ ხელმოკლეობისა და შიშმილის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს. ბორჯომის რაიონის სოფელ სადგურში წავიდა მასწავლებლად.

1929 წელს შეუყვარდა ულამაზესი ბერძენი ქალი ევა ჩაკალიდი, რომელსაც გასაცარ სამოცზურო წერილებს სწერდა. მაგრამ მათ ერთად ყოფნა არ ეწერათ. შემდეგ ნიკოს თავდავიწყებით შეუყვარდა მომავალი შეუღლე მარიამ ამანათაშვილი, რომელსაც არაჩვეულებრივი სასიყვარულო სტრიქონები მიუძღვნა:

„მიყვარხარ, როგორც ღვთისმშობლის ფიცი,
შენი ცხოვრება გულის მწვერალია,
ისე კი არა, ხალხმა რომ იტყის,
არც წყნეტში როგორც სწერია“.

ქალიშვილი, ქალბატონი მზია სამადაშვილი იხსენებს: „ნიკო გამუდმებით საქართველოს კეთილდღეობაზე, მის თავისუფლებაზე ფიქრობდა და ამიტომაც ისჯებოდა. ხშირად უთქვამს: ვერც კი წარმოიდგენ, რა საშინელებაა, რომ საქართველოს მშვენიერება, სიმდიდრე, სხვის ხელშია საჯოჯოხეთოდ. დღე დაბადებული ვარ, მხოლოდ ღამე ვარ თავისუფალი, რომ ჩემს ფიქრებს მივეცეო“.

1943 წლის 12 იანვარს ნიკო დააპატიმრეს, იმავე წლის 28 აგვისტოს გაასამართლეს, როგორც საზოგადოებისათვის საშიში ელემენტი და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს...

ნიკო სამადაშვილის დევნა სიცოცხლის ბოლომდე არ შენელებულა. მას ხშირად აკითხავდნენ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები. მათი „ვიზიტის“ შემდეგ ნიკო სამადაშვილი სამსახურს კარგავდა. ისიც გამუდმებით იცვლიდა სამსახურს. ხან რევიზორ-ბუღალტრად, ხან რევიზორ-ექსპერტად, ხან სტილისტად მუშაობდა. წამოიდგინეთ, რა საშინელება იყო ნიკო სამადაშვილისათვის ეს პროზაული სამსახური. 1947 წელს პოეტი კვლავ დააპატიმრეს, ახლა ერთი წლით.

1945 წლიდან გარდაცვალებამდე პოეტი ოჯახთან ერთად ეკატერინე გაბაშვილის ქუჩაზე №14-ში ცხოვრობდა. ბინა პატარა და უბადრუკი იყო. საერთოდ ეს პატარა ჩიხი საინტერესო მცხოვრებლებით გამოირჩეოდა. აქ ცხოვრობდა ორი მომავალი აკადემიკოსი – რეზო და თამაზ გამყრელიძეები...

არაჩვეულებრივი სიზუსტით გადმოსცა მწერალმა ზაალ სამადაშვილმა ნიკო სამადაშვილის შესახებ: დაჭერილია ვახტანგ კოტეტიშვილი. ძერჟინსკის ქუჩის ბოლოში მდგარ აივნებიან სახლს შიშით უყურებენ გვერდს დამფრთხალი მოქალაქეები. ძნელად გასამტყუნებელია მათი სიმფრთხალე, დღე არ გავა, რომ ვინმეს გაქრობის ამბავი არ შეიტყონ. გაქრობის „მიზეზებს“ შორის ერთ-ერთი მთავარი – ხალხის მტრებად შერაცხულ ადამიანებთან ურთიერთობაა. სტუმრად მისვლაც კი არა, მათი ოჯახის წევრებისათვის გამარჯობის თქმაც დანაშაულად ითვლება. ერთ მშვენიერ დღეს, შიშიანობისა და განუკითხაობის დროშიც თენდებოდა ასეთი დღეები, რუსთაველის გამზირის მხრიდან აღმართს ამოყვება სანოვაგითა და საბაშო საჩუქრებით დატვირთული კაცი (ერთ-ერთი საჩუქარი პლუშის დათუნიაა). აივნებიან სახლამდე ჯერ კიდევ შორის რომ არის, იმ ადგილიდან იწყებს ეს კაცი ძახილს – კოტეტიანებო, მოვედი და გადმომხედეთ ვინმემო. ეს გახლავთ გამომწვევი საქციელი (თან ვისი გამომწვევი), დემონსტრირება იმისა, რომ ყველას არ ეშინია, და რაც მთავარია, არა მარტო მასპინძლების, არამედ მთელი იმ უბნის მაცხოვრებელთა გამხნევება, მათ გულებში იმ იმედის ჩასახვა, რომ „ჩეკა“ მთლად ყოვლისშემძლე არ არის... იმ დღის მშვენიერების ავტორი (და კიდევ არაერთისა) რუსთაველის მხრიდან ამომავალი კაცი იყო – ნიკო სამადაშვილი, რომელსაც ეკუთვნის ასეთი სტრიქონები: „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, ტანზე გამონაყარი...“

ნიკო სამადაშვილი დარჩა პოეტად, რომელსაც შეეძლო ეტყობინა „პოეტური უმანკოება“. მას გალაკტიონი საქართველოს დიდ პოეტს უწოდებდა.

ბოლოს მინდა გაიოზ იმედაშვილის სიტყვები შემოგთავაზოთ: „ეს გოროზი პიროვნება ნაკლებად ნიჭიერი და ნაღებად ამყი რომ ყოფილიყო, უფრო პრაქტიკული იქნებოდა, ალღოს აუღებდა სინამდვილეს, გაარღვევდა მის მიერვე შექმნილი წყდიადის კედელს, როგორც თანამედროვეობისაგან აშორებდა და მოახერხებდა, როგორც ბევრი სხვა, ბედნიერი, ცხოვრების მოტივებზე ლექსების წერით პოეტური კარიერის გაკეთებას.“

ნიკო სამადაშვილი გარდაიცვალა 1963 წლის პირველ მაისს...

დღეს იმავეს ვეტყოდით გაუხარელ პოეტს, რაც ერთ დროს თავის სათაყვანებელ ერეკლე ტატიშვილს უთხრა თავად:

„კეთილი, შენ რომ ჰმუნავ გადამღე,
არც კი ვუშნელდი ბინდდარა ველებს,
და გინაზავდი განთიადამდე
გულის უძეში მოგროვილ ცრემლებს“.

ლელა ჯიყაშვილი

მას შემდეგ სულ მისი გამოჩენის მოლოდინში ვარ... მენატრება...

— ძალიან შეგვაწუხეს ცხოველებმა, პირდაპირ გომურებში გვივარდებოდნენ დამშეულნი მგლები, თორემ იმოდენა თოვლი დადო, სანადიროდ ტყეში წასვლას რა გვაფიქრებინებდა, თავი კი არ მოგვძულებოდა! — გვითხრა ბატონმა ვალიკომ და გაგვაფრთხილა: — მხოლოდ იმ შემთხვევაში გიამბობთ, რაც შეგვემთხვა, თუ არც გვარს გაამხელთ ჩემსას და არც მისამართს, თორემ ერთმა გიჟმეცნიერმა მომაკითხა ამ ორი წლის წინ და ჭკუაზე გადამიყვანა სულელური კითხვებით, — რით დაამტკიცებთ, რომ მართლა ასე იყო და ჰალუცინაციას არ ჰქონდა ადგილი... რას გრძნობდით იმ დროს, სისხლის წნევას ხომ არ აუწევიაო?.. — ტყეში წნევის გასაზომად და ვალერიანის წვეთებისთვის მეცალა, კაცო?!. — თუ არ გჯერა, რასაც გიყვები, წადი და შენს გზას ეწიე. ვალიკოს სიტყვის კაცად იცნობს ყველა და მეზღაპრეობა ჩემი საქმე არასოდეს ყოფილა. თანაც, მეორე კაცი იყო ჩემთან და იმასაც ხომ უსმენ, ორივეს ერთად დაგვეწყო მოჩვენებები?!. არა, მეცნიერებთან მე არაფერი მესაქმება და ჩემს წნევასაც თავად მივხედავ...



ძალიან მომინდა იმ მეცნიერის დაცვა და გამართლება, — ეჭვის გამო კი არა, მეტი სიცხადისთვის სჭირდებოდა-თქო დამატებითი ინფორმაცია! — მაგრამ, სიტყვის თქმის უფლებაც არ მოგვცა: თუ შემეკამათებით, ვერც თქვენ გამომრჩებით რამეს, წადით და იმ მეცნიერს ელაპარაკეთო... ჰოდა, იძულებულნი გავხდით, კომენტარის გარეშე მოგვესმინა ეს უჩვეულო ამბავი.

— ზაფხულში არ გვაწუხებს ნადირი, შორს, ტყის სიღრმეში გადაიხვეწებიან ხოლმე, მაგრამ კიდეც რომ გამოჩნდნენ, მაძღარი მგელი არაა საშიში. ისე მშვიდად ჩაგივლის და გააგრძელებს გზას, თუ გამოცდილი მონადირე არა ხარ, უცებ ვერც გაარჩევ შინაურ ძაღლში. დათვი, მით უმეტეს, ერიდება კაცს, თუმცა თუ გადააწყდა, პირუტყვს მაინც ერჩის, ამიტომ ზაფხულობით დათვზე უფრო ვნადირობთ. ზამთარში შედარებით მშვიდად ვართ, პირუტყვიც შინ გვყავს, დათვები ზამთრის ძილს მიეცემიან. თუ ძალიან არ გაუჭირდათ, არც მგელი და მელა ეკარება სიახლოვეს სოფელს. მაგრამ ამ ოთხიოდე წლის წინ იმოდენა თოვლი ჩამოყარა და ისეთი ყინვები დაიჭირა, საჭმელს კი არა, წყალსაც ვერ შოულობდა ნადირი ტყეში, სულ გაყინა მდინარეები და ნაკადულები ხომ მიწაში გაიპარა...

შიმშილმა ისე გაათავხედა მგელი, გითხარით, გომურში გვივარდებოდა პირდაპირ და განსაკუთრებით ცხვარს ერჩოდა. მეტი გზა არ დაგვრჩა, ავისხით კაცებმა იარაღი, ჩავილაგეთ საგზალი აბგებში და წავედით ნადირთან საომრად.

ზამთარში დღე მოკლეა, იცით. ამიტომ გათენებისთანავე გავედით, რომ დაღამებისთვის მოგვესწრო შინ. დავწყვილდით კაცები, რომ ყველა მიმართულებით გვეძებნა ნადირის კვალი. ჩემთან გივი იყო, გამოცდილი მონადირეა, გაფრენილ ჩიტს არ ააცდენს ტყვიას და ამიტომ მშვიდად ვიყავი მის გვერდით, თავის იმედიც მქონდა. კურდღლის კვალიღა გვხვდებოდა... ის კვალი გივიმ შეამჩნია და ჩაიმუხლა, ყურადღებით დააცქერდა: — მგონი, დათვი უნდა იყოსო. არადა, აშკარად კაცის შიშველ ნაფეხურს უფრო ჰგავდა. ძალიან დიდი ზომისა იყო, თორემ ვიფიქრებდით, რომ ვიღაცამ გამასხრება დაგვიპირა და შიშველი ფეხით ირბინა თოვლში. ცნობისმოყვარეობამ არ მოგვასვენა და იარაღმომარჯვებულები ავუყევით აღმართს... კარგა ხანს ვიარეთ და უცებ...

ერთი ნახატი მაქვს სადღაც ჟურნალში ნანახი: გოლიათი ზის, ცალი იდაყვით მუხლს ეყრდნობა, ხელზე კი თავი ჩამოუდვია და შუბლშეკრული იყურება შორეთში. ჰოდა, დგას ასეთი გოლიათი, მაიმუნისმაგვარი არსება და ჩვენ მოგვჩერებია.

შორს იყო და კარგად ვერ ვარჩევდით სახეს, თუმცა მაინც ჩანდა, რომ წვრილი, ჩაცვენილი თვალები, წინ წამოწეული შუბლი და დიდი ზომის, ჩაბრტყელებული ცხვირი ჰქონდა. ტუჩებიც დიდი, მაგრამ უფერო... სულ ბეწვში იყო გახვეული, თეთრ ფერს აღაგალაგ მოყვითალო, ზოგან კი ნაცრისფერი შერეოდა...

მივჩერებოდით ერთმანეთს გაშეშებულები, თითქოს ვიცდიდით, რომელი დააპირებდა იერიშზე გადმოსვლას, რომ თავის დაცვაზე გვეფიქრა. პირველი ის უცნაური არსება მიხვდა, რომ არ ვიყავით „მტრად მისულები“ — წამოდგა და რომ გაიმართა, კიდევ უფრო დიდი გამოჩნდა — ორმეტრ-ნახევარს არც ბევრი დააკლდებოდა, შეგვეშინდა და გამოქცევაც ვიფიქრეთ, მაგრამ გივიმ ვერ მოითმინა, — მოვკვდები ცნობისმოყვარეობით და ვერასოდეს ვაპატიებ თავს, რომ არ გავიგო, რა არსებაა და სად მიდისო?!.

სადმე ბუნაგი არ ჰქონდეს, ორმასამმა რომ შემოგვიტიოს, ღუკმად არ ვეყოფით, დაგვგლეჯენ-მეთქი! — მაგრამ არ დაიშალა და მეც გავყევი...

ის უცნაური არსება არ გარბოდა, მაგრამ იმხელა ნაბიჯები ჰქონდა, შეგვეშინდა, თვალთახედვის არედან არ დაგვკარგოდა და ნამდვილად მივრბოდით. დროდადრო შეჩერდებოდა და თითქოს გაკვირვებული გვიცქერდა: რა უნდათ, რას მთხოვენო?!. თითქოს ელოდებოდა, რომ რაღაცას ვეტყოდით... მაგრამ რა უნდა გვეთქვა, ან რა ენაზე?!.

...ამასობაში „ის“ მთის იმ ნაწილს მიადგა, რომლის იქითაც საცალფეხო ბილიკიც აღარ მიდიოდა და ყველა წესით, უკან უნდა მობრუნებულიყო, მაგრამ... შეხებით ნამდვილად არაფერს შეხებია, თითქოს თვალით გაუკეთაო ჰიპნოზი — თოვლი ჩამოიშალა და გამოქვაბულის შესასვლელი გამოჩნდა. შიგ შევიდა და გაუჩინარდა...

გამოქვაბულში შესვლა ვერ გავბედეთ. რამდენიმე რომ დაგვხვედროდა, რა დღეში ჩავცივდებოდით!.. — გამოვბრუნდით უკან, თან გზაზე ნიშანი დავტოვეთ, რომ მეორე დღეს მთელი სოფლის კაცები ამოგვეყვანა და კბილებამდე შეიარაღებულებს დაგვეთვალიერებინა ის გამოქვაბული, მაგრამ... ველარ მივაგენით შესასვლელს... 50-ზე მეტნი წავედით მეორე დღეს ტყეში და ნიშნის მიხედვით ზუსტად მივადექით მთის იმ ნაწილს, რომლის გამოქვაბულშიც ის არსება გაუჩინარდა, მაგრამ აღარსად იყო შესასვლელი. იმ ზამთარმაც ჩაიარა, გადნა თოვლი და ზაფხულშიც ბევრი ვუტრიალეთ იქაურობას, მაგრამ ვერავითარ გამოქვაბულს ვერ მივაგენით. სოფელშიც არ დაგვიჯერა ბევრმა, რომ მართლა უჩვეულო არსება ვნახეთ: — ალბათ არყით გაილეშეთ და დათვი ვეღარ იცანითო. ნეტავი დაგენახათ, როგორი იყო და მთვრალიც რომ ყოფილიყავით, შიში უცებ გამოგაფხიზლებდათ. სხვას ვერაფერს გეტყვით ამ ამბავზე. იმ მეცნიერმა სურათები დამიწყო წინ — აბა, რომელიმეს თუ მიამსგავსებო. ვიცანი, როგორ არ ვიცანი, იმის ცხვირ-პირს და გამოხედვას რა დამავიწყებდა... მითხრა, — ეგ თოვლის კაცი — იეტიაო!.. გაგიგიათ ალბათ, ნასწავლი ხალხი ხართ...

...მას შემდეგ ზამთარშიც სულ მისი გამოჩენის მოლოდინში ვარ და ზაფხულშიც, მაგრამ... აღარსად შემხვედრია და... მენატრება! მართლა მენატრება, კაცო... ასე მგონია, თუ ვერ ვნახე, ჩემი ცხოვრების ზღაპარიც დასრულდება და აღარასოდეს განმეორდება სასწაული!..

ლამაზად თქვა ბოლოს ბატონმა ვალიკომ: — არ მინდა ზღაპარი დასრულდეს ჩემს ცხოვრებაშიო!..

ამბობენ, ზღაპრებიც რეალობა იყოო შორეულ წარსულში და არცაა ალბათ საფუძველს მოკლებული მსგავსი ვერსია, რადგან დროდადრო ისინი თანამედროვე ცხოვრებაში შემოჭრითაც გახსენებენ თავს. თოვლის კაცი — იეტიც ზღაპრებიდან შემორჩენილი არსებაა — დევივით დიდი, მაგრამ კეთილი და უწყინარი, ამიტომაც არ გააქრო უფალმა ჩვენი ცხოვრებიდან, რათა გვახსოვდეს, რომ სამყარო იმაზე ბევრად დიდი და იდუმალია, ვიდრე ჩვენ, ადამიანებს შეგვიძლია ამისი წარმოდგენა... თუმცა კი, სიცოცხლე იმიტომაცაა ალბათ ასეთი საინტერესო და მომხიბვლელი — სასწაულები რომ არსებობს მასში...

ინგა ჯაფელი

„საბავშვო-სავაჟო“ გვერდის პასუხები

I. მელია.
II. მე-8 და მე-9 ჩიტები.
III. აბა, გამოიცანი:

1) — ა); 2) — დ); 3) — ბ); 4) — დ); 5) — ბ); 6) — გ); 7) — ბ); 8) — ბ); 9) — დ).

ჩვენ გვწერენ

ქუდბედი

ბებიაჩემისაგან მსმენია, — პირველი ქალიშვილი ქუდბედიანი დამებადაო. ახალშობილის თავზე ქუდივით წამოცმული თხელი კანი თურმე დიდი ბედნიერების მომტანი ყოფილა. თქვენც ხომ გაგიგონიათ მავანზე: ქუდბედიანიაო, ესე იგი, ბედნიერიაო... გასული საუკუნის 40-იან წლებში მთელი საქართველოდან მიჰყავდათ ახალგაზრდები ომში, ასე იყო ქუთაისშიც, სადაც ბებია იყო გათხოვილი. გამოუტანია ბებიაჩემის დედამთილს ქუდბედი, ნაწილებად დაუჭრია და მის ქუჩაზე თუკი ვინმე ჯარში იყო გაწვეული, მათთვის თილისმად დაურიგებია. მამიდაჩემს, ქუდბედით დაბადებულს, სულ სათქმელად ჰქონდა: — ჩემი იღბალი იმ ბიჭებმა დაინაწილეს, ყველა უვნებლად დაბრუნდა ომიდან, მე კი ქუდბედის მეშვიდედი, პატარა ნაწილიღა დამრჩა... მოვდივარ ჩემი მეშვიდედი ბედნიერებით და ამიტომაც ვერ ვეღირსე დიდ ბედნიერებასო.

ბებიაჩემისა და მამიდაჩემის ნაამბობს ღიმილით ვუსმენდით ხოლმე, მაგრამ რა ვიცოდი, სახუმარო არ ყოფილა ქუდბედის ამბავი. შარშან მე, ჩემი და, ძმა და მამიდაშვილები ქუთაისში ჩავედით მამიდასთან სტუმრად. ერთი კვირა მოვილხინეთ, რა არ გავიხსენეთ, რა არ მოვყევით. წამოსვლის წინ, ჩემმა მამიდაშვილმა — გურამმა, რომელიც ჩვენ შორის ერთადერთი უმუშევარი კაცი იყო, მამიდას ხუმრობით უთხრა: — ერთი, შენი მეშვიდედი იღბალი გამომიტანე, მთელი თუ არა, ეგება მეშვიდედგანაკვეთიანი სამსახური მაინც ვიშოვოო.

სიცილ-სიცილით გამოიტანა მამიდამ შავ ნაჭერში გამოკრული ქუდბედი და ქინძისთავით მიამაგრა ქურთუკის სარჩულზე: — ა, ბატონო, ოღონდ შენ გეშველოს და ამას როგორ დაგიჭერო...

საუბარსა და სიცილში კიდეც დაგვავიწყდა ქუდბედის ამბავი. ჩავსხედით მანქანაში და თბილისში წამოვედით. გზად საშინელ ავტოავარიაში მოვყევით. ჩვენი მანქანა დიდი სიმაღლიდან გადავარდა ხევში, ისე იყო დაჭყლეტილი, რომ მანქანის დაჭრა მოუხდათ ჩვენს გამოსაყვანად. ისე მძიმედ ვიყავით დამსხვრეულ-დაჩეხილები, რომ მართლაც თავიდან აგვაწყეს და მოგვავლინეს ამ ქვეყანას... გურამი კი სრულიად უვნებელი გამოიყვანეს...

ყველას გასაკვირად, რამდენიმე დღეში გურამმა მშვენიერი სამსახური იშოვა.

ახლა ის სათუთად ინახავს მეშვიდედ ქუდბედს და ამბობს, რომ მხოლოდ მას უმადლის საკუთარ გადარჩენას.

თათია ნებიერიძე

ქალი არსაიდან...



56 წლის კაცი ვარ, რაც დრო გაფუჭდა, ქირის მუშად დავიწყე მუშაობა, ხან ერთ ოჯახში მიხდება კედლების ნგრევა-აშენება, ხან მეორეში... არც მიწის სამუშაოებს ვარიდებ თავს...

ერთი კვირის წინ ახალგაზრდა კაცებმა დამიქირავეს, ერთ, ძველ, ერთსართულიან სახლში მიმიყვანეს, სადაც, როგორც ჩანს, არავინ ცხოვრობდა. ცარიელი, ჩამოხეულ-ჩამოფლეთილი კედლები შემომატარეს და ამიხსნეს, რისი გაკეთება უნდოდათ: ორი კედელი უნდა დამენგრია, რომ სასტუმრო ოთახი გაფართოებულიყო, ერთი ავარიული კედელი კი თავიდან ამეშენებინა. დამიტოვეს გასაღები, საჭმელი და წავიდნენ. საღამოს მოვალთ და გაგისწორდებითო.

მივადექი საქმეს. აგურის კედელი ნელ-ნელა იშლებოდა. მტვერსა და ჭუჭყში უცებ ლამაზი ქალი დავინახე. დოინჯშემოყრილი იდგა და ბრაზით მიყურებდა. ერთი კი გამკრა გულში, ნეტავ იმ ყმაწვილკაცებმა ხომ არ გამაბიაბრუეს, სხვის სახლში ხომ არ მომიყვანეს-მეთქი... ნელა გავიმართე წელში და ჩხუბის მოლოდინში გავიტრუნე. ქალი ჩემკენ დაიძრა. ისეთი თვალებით მიყურებდა, ადგილზე მაქვავებდა პირდაპირ. ორჯერ შემომიარა ხმის ამოუღებლად ირგვლივ...

— მე რა შუაში ვარ, მომიყვანეს და მოვედი, — ვლუღლუღებდი ამხელა კაცი. იმან კი, ჩემს ყროს დაავლო ხელი. ერთი მსუბუქად მოიქნია და ტარი გადაუტეხა. მუხლები მომეკვეთა.

— ქალბატონო, ნუ ბრაზობთ, დამშვიდდით, — ჩავილაპარაკე ნირწამხდარმა და მაშინღა დავფიქრდი, რომ ის ხმას არ იღებდა. არც ყვიროდა, არც მლანძღავდა, მხოლოდ აქეთ-იქით დადიოდა, კედლებს ხელს უსვამდა, მერე მომიბრუნდებოდა და მრისხანედ მომაჩერდებოდა.

შარვალი ჩამოვიფერთხე და წამოსვლა დავაპირე — თუ არ მამუშავებდა, თავს ხომ არ შევაკლავდი! დავიძარი თუ არა კარისკენ, წინ გადამიდგა. ამ უბედურებაში გაიარა თითქმის მთელმა დღემ. საღამოს ჩემი დამქირავებელი კაცები მოვიდნენ, მაგრამ ქალი სად წავიდა, არ ვიცი — გაქრა. მისმინეს, მისმინეს, ხან გაეღიმათ, ხან ერთმანეთს გადახედეს. ბოლოს, ერთ-ერთმა მითხრა: — ძია კაცო, კარგი, დღეს შინ წადი, ხვალ მოდი, ჩვენც მოვალთ და ერთი ვნახოთ, ვინ დაგიშლის ჩვენს სახლში მუშაობასო.

იმ ღამით არ დამეძინა, სულ სიმწრის ოფლი მასხამდა. დილით ისევ მივდექი იმ სახლს. ცოტა ადრე მომივიდა მისვლა, პატრონები არ ჩანდნენ. მეც, დრო მქონდა და სახლს შემოვუარე, გარშემო ძველი, მოუვლელი ბაღი ერტყა — ტევრ ბალახში ვერ გაივლიდი, არც ნაკვალევი ეტყობოდა. კიბესთან კი მიდიოდა ბილიკი, მაგრამ მე კარი ჩაკეტილი მქონდა, საიდან უნდა შესულიყო ის ქალი სახლში, არ ვიცი.

როგორც იქნა, ის კაცებიც მოვიდნენ. კარი გავაღეთ და შევედით. ჩემთან ერთად მოათვალიერეს ყველა ოთახი, მერე მითხრეს: — შენ ნურავისი გეშინია, ეს სახლი ყველა კანონის დაცვით ვიყიდეთ. ვინც არ უნდა მოვიდეს, არ შეეპაროს, აბა, მიდი, მუშაობა დაიწყე, ჩვენ ეზოში ჩავალთ, ვნახავთ, ვინმე თუ მოდისო.

უნდილად დავიწყე კედლის ნგრევა, ტანით ვგრძნობდი, საქმე კარგად ვერ იყო. სულ რამდენჯერმე მოვიქნიე ხელი და ისევ გამოჩნდა ქალი. ისევ ჩემკენ წამოვიდა... დაყვირება მინდა, ხმას ვერ ვიღებ, არადა, ბიჭები გარეთ არიან. მინდა ვაგრძნობინო, რა ხდება. უკან დავიხიე და რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელში შერჩენილი სატეხი მოვიქნიე. ქალი თითქოს ჰაერისა იყო, წელში გაუარა რკინის ნაჭერმა და კედელს მოხვდა. უფრო და უფრო მომიახლოვდა. უცებ ისე ვიღრიალე, თვითონაც შემეშინდა. კაცები შემოცვივდნენ ოთახში და აყვირდნენ: — აბა, ქალი სად არისო...


ქალი ვერ დაინახეს, მაგრამ... კედლებიდან, ჭერიდან ქვებმა დაიწყო ცვენა, თითქოს ვიღაცას ჩვენი გაძევება უნდოდა. აბა, თავს ვუშველოთ-მეთქი და გარეთ გამოვვარდი...

მგონი, შინამდე სირბილით მივედი.

მას მერე გულის ტკივილი დამჩემდა, ღონეც კი გამომელია, ვეღარ ვმუშაობ. ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გამიგია, რა იყო ეს...

გელა თორაძე, თბილისი

ეჭვიანობის თილისმა ვერ უშველის



ინგლისელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ თილისმას ნამდვილად მოაქვს ბედნიერება. ამ დასკვნამდე მეცნიერები მივიდნენ მას შემდეგ, რაც აკვირდებოდნენ რამდენიმე მოხალისეს, რომელთაც დაურიგეს ვიქტორიას მეფობის დროინდელი მონეტები. ერთი თვის მანძილზე უნდა შემოწმებულიყო „თილისმის“ მოქმედება. შედეგად, ყოველ მეორეს ბედნიერი შემთხვევების რიცხვი 2-ჯერ გაეზარდა. მეცნიერები თვლიან, რომ მათ უშველა რწმენამ — ამ შემთხვევაში თილისმის რწმენამ მოახდინა სასწაული. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვისაც არ სჯეროდა „სასწაულის“ — არც აუხდა.

გამოდის, რომ ადამიანმა თავად უნდა დაარწმუნოს საკუთარი თავი. თავად უნდა განეწყოს ფსიქოლოგიურად, რომ ყოველთვის ყველაფერში გაუმართლებს, ყველა სიტუაციაში გამარჯვებული იქნება და მაშინ თილისმა მასზე იმოქმედებს.

გარდიანი



„ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ“

ეს მუზეუმი, რომელსაც უნგრეთში ჩასული ყველა ტურისტი სტუმრობს, სულ ათი წლისაა და როგორც ყველა „ნორჩი“, მზად არის, დამთვალიერებელთან იანცოს, მაგალითად, საკუთარი ექსპონატების ჭამის უფლება მისცეს. ასეთი გახლავთ მარციპანის მუზეუმი. სიტყვა „მარციპანი“ იტალიურად სააღდგომო კვერს ნიშნავს. მოგვიანებით მარციპანი კონდიტერიაში დამკვიდრდა და უგემრიელეს ტკბილეულად იქცა.

პირველი მარციპანი თურმე საფრანგეთში დაამზადეს ნუშითა და შაქრით. მისგან სხვადასხვანაირ ფიგურებს ძერწავდნენ და ხილის წვენებით ღებავდნენ. უნგრეთში მარციპანი იტალიელებმა ჩაიტანეს. დროთა განმავლობაში გემრიელი ტკბილეული უნგრელების საყვარელი ნუგბარი გახდა. ათიოდ წლის წინ კი მისი მუზეუმიც გაიხსნა. მისმა დამფუძნებელმა, კონდიტერმა საბომ იცოდა, რომ დამთვალიერებელი არ მოაკლდებოდა. არც შემცდარა. რას არ ნახავთ აქ. მნახველს ხშირად არც კი სჯერა, თუ ეს ლამაზი ფიგურები მარციპანისაა. „მარციპანის იმპერიაში“ (ასე უწოდებენ უნგრელები მუზეუმს) მნახველები ამ ნუგბარის დამზადებისა და მისგან ფიგურების ძერწვის ტექნოლოგიასაც ეზიარებიან. ამბობენ, მუზეუმში გამეფებული ატმოსფერო შემოქმედებით აღმაფრენას უღვივებს დამთვალიერებელსო. გარდა ამისა, „მარციპანის იმპერიაში“ უამრავ სასუსნავს გთავაზობენ — აქ ყველას შეუძლია პირის ჩაგემრიელება.

ოგონიოკი

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ — ᲥᲣᲠᲓᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ

რას იფიქრებდა ერთი უტვინო ლონდონელი ქურდი, თუ საყასბოში ხორცის მოსაპარავად შესულს მოშივდებოდა და ერთადერთ კატლეტს ჩაკბეჭდა. თუ დაიწყო, ბარემ დაესრულებინა ჭამა. სწორედ ის თავმოჭმული კატლეტი შეიქნა ქურდისთვის ციხისკენ გზის გამკვლევი. ურთულესი ექსპერტიზის შემდეგ დამნაშავის დნმ დადგინდა. რეციდივისტების დნმ-თა მონაცემები მონაცემთა კომპიუტერულ ბანკში ინახება, ამიტომ იოლად მიაგნეს სულწასულ ქურდს.

როცა გამომძიებელმა ჰკითხა ქურდს, ასეთი სამხილი დანაშაულის ადგილას როგორ დატოვეო, მან მორცხვად აღიარა — იმდენად მშიოდა, რომ მაგაზე აღარ მიფიქრიაო. ამასთან, კატლეტი ისეთი უგემური ყოფილა, მისი ჭამის სურვილი ჩაკბეჭისთანავე გაჰქრობია ქურდს.

მირ ნოვოსტეი №20

ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲘᲐᲜ

საფრანგეთის პოლიციამ ვერაფრით მოახერხა ჯგუფური გაუპატიურების შეჩერება, რომელმაც მოიცვა დიდი ქალაქების გარეუბნები, სადაც ცხოვრობენ მუსლიმანური ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტები. ახალგაზრდა არაბები თავს ესხმიან მარტო მიმავალ მცირეწლოვან გოგონებსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ, ქალიშვილებზე. ახლახან მთელი საფრანგეთი შეაძრწუნა ცნობამ — ათი 15-18 წლამდე ყმაწვილი რამდენიმე თვის მანძილზე აუპატიურებდა ორ 13 წლის გოგონას, რომლებიც ქალაქ რუანის სკვერიდან გაიტაცეს.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ მუსლიმანთა უბნების მცხოვრები ახალგაზრდა ფრანგები ცდილობენ, ისე ჩაიცვან, რომ თვალში არავის მოხვდნენ, თმას არ ივარცხნიან, კოსმეტიკაზე ღაპაპარაკი ხომ ზედმეტია! ბევრმა ფრანგმა გოგონამ საღამოს, შინიდან გასვლის წინ, ჩადრის ჩამოფარებაც კი დაიწყო.

მეგაპოლის-ექსპრესი №22



ᲯᲘᲚᲓᲝ ᲚᲣᲚᲣᲡᲗᲕᲘᲡ

მწვანე კონტინენტის ისტორიაში პირველად წარადგინეს კენგურუ ჯილდოზე — 5 წლის ლულუს ავსტრალიის ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოების ორდენი გადასცეს.


ცერემონიალზე ორდენოსანი დამფრთხალი ჩანდა, მაგრამ ჯილდო მაინც შეაბმევინა ყელზე ჟიურის თავმჯდომარეს.

ჩანთოსანს ეს პატივი ადამიანის გადარჩენისათვის ერგო. მან ფერმერი რალფ ბინგლი უზარმაზარი ხის ქვეშ მოყოლილი იპოვა. გვერდით მიუცუცქდა და საზარელი ყმუილი ატეხა. მანამ არ გაჩერებულა, ვიდრე ხალხმა არ მოიყარა თავი საცოდავ ფერმერთან. პატარა ლულუ (5 წელი კენგურუსათვის საყმაწვილო ასაკია) ბინგლისთან ერთად ფერმაში წაიყვანეს.

ჯილდოს მისაღებად კი ორივე ერთად გამოცხადდა.

ნიუზუიკი

ᲡᲣᲞᲔᲠᲮᲔᲚᲯᲝᲮᲘ — ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ



სერბ პენსიონერებს გამომგონებლებმა მშვიდი და უსაფრთხო სეირნობისთვის სუპერხელჯოხი უსაჩუქრეს. მისი მეშვეობით მოხუცები შეძლებენ მძარცველების იოლად და, რაც მთავარია, ეფექტიანად მოგერიებას.

ერთი შეხედვით უბრალო ხელჯოხი ხან ისვრის, მაგრამ ყალბ ტყვიებს, ხან ნინძას მრისხანე იარაღად იქცევა — ხელჯოხის ბოლოს ორი სამართებელი ღილაკზე თითის მსუბუქი დაჭერით გამოხტება. გარდა ამისა, ხელჯოხს განგაშის სიგნალის გაგზავნაც შეუძლია.

ოკნა №21

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ

პენსილვანიელებს (აშშ-ის შტატი) მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული პენსიონერი ჰყავთ. რეი კრაისტი, ერთ-ერთი კოლეჯის მასწავლებელი, ბავშვობიდანვე მუხლჩაუხრელად შრომობდა. 1926 წელს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი გახდა, 1945 წელს ცნობილი პროექტის, „მანჰეტენის“ (საიდუმლო პროგრამა, რომელიც ატომური ბომბის შექმნას ითვალისწინებდა) განხორციელებაში იღებდა მონაწილეობას. შემდეგ 10 წლის განმავლობაში დიკინსონის უნივერსიტეტში იმუშავა, 1970 წლიდან კი კოლეჯში ასწავლის. ამასთან, სამუშაოში სიმბოლურ ხელფასს... წელიწადში 1 დოლარს იღებდა. შარშან რეი კრაისტი პლანეტის უხუცეს მშრომელად აღიარეს და პენსია დაუნიშნეს. მიუხედავად ამისა, 104 წლის მეცნიერი უქმად ყოფნას არ აპირებს და მეცნიერულ კვლევას განაგრძობს.

შტერნი №19

ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ ᲙᲔᲠᲐᲕᲡ



ინგლისში, ერთ ოჯახში მობინადრე თუთიყუშმა ბაჯო მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი: შეუძლია კერვა. ბაჯო იოლად იჭერს ნემსს ნისკარტით და ნელ-ნელა ავლებს სწორ ღამბს. ამ ზაფხულს ნიჭიერი თუთიყუში მონაწილობას მიიღებს ტელეშოუში „გამოსცადე შენი საყვარელი“. შოუს მაყურებელმა უნდა აირჩიოს გამარჯვებული, თავისი ქვეყნის ყველაზე ნიჭიერი შინაური ცხოველები. ბაჯოს პატრონს ეჭვი არ ეპარება თავისი ფრინველის გამარჯვებაში. „როცა ტელემაყურებელი ნახავს, რისი გაკეთება შეუძლია ჩემს თუთიყუშს, ისინი უპირატესობას სწორედ მას მიანიჭებენ. დარწმუნებული ვარ, რომ ბაჯო ფურორს მოახდენს“.

იტოგი №20

ᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

იტალიის ქალაქ პოლენცაში ახალი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა. სიახლის გარდა იგი უჩვეულოცაა და გასტრონომიულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი ჰქვია. დოცენტების, პროფესორების და სამეცნიერო ხელმძღვანელების ნაცვლად, აქ ლექციებს მზარეულები, კონდიტერები და ბარმენები კითხულობენ, ლექციების გრაფიკი კი რესტორნის მენიუს ჰგავს.

„გემრიელი“ უნივერსიტეტი დღეს მოდური მოძრაობა „სლოუ ფუდის“ აქტივისტების ინიციატივით შეიქმნა („სლოუ ფუდი“ სიტყვასიტყვით „ნელ საკვებს“ ნიშნავს). მოძრაობის მიზანია ხალხების გასტრონომიული ტრადიციების შენახვა და ჯანსაღი საკვების პოპულარიზაცია.

უნივერსიტეტში 600 კაცი ისწავლის. სამი წელი და გასტრონომიულ მეცნიერებათა ბაკალავრებიც გახდებიან. ორი წლის შემდეგ დისერტაციას დაიცავენ მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. სწავლა წელიწადში 19.000 ევრო ღირს. უნივერსიტეტი კვების მრეწველობის მენეჯერებს, კომერციულ დირექტორებსა და კრიტიკოს-ჟურნალისტებსაც მოამზადებს.

ლექტორ-მასწავლებლები სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს მცოდნეები არიან. აქ არიან ავსტრალიელი, იტალიელი, ამერიკელი, ფრანგი კონდიტერები თუ მზარეულები. ასე რომ, „გემრიელი“ უნივერსიტეტი გამალებით ემზადება მისაღები გამოცდებისათვის.

ეხო პლანეტი №21



ᲙᲐᲢᲐᲣᲠᲐ ᲙᲐᲢᲐᲡᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲜᲣᲜᲔᲑᲐ

ცოლქმრული ცხოვრების პრობლემებისა და უსიამოვნებებისგან ერთადერთ ხსნად ერთ ამსტერდამელ ქალბატონს არატრადიციული ქორწინება მიაჩნია და აირჩია კიდეც „მსუბუქი ვარიანტი“ — ინტერნეტით სასიძო მონახა და კატაზე იქორწინა.

მისი აზრით, ბედმა გაუღიმა — არც არავინ ჰყავს მოსავლელი და არც სანერვიულო აქვს რამე. „შინაური ცხოველი ალერსიანია, არ გაგლანძღავს, არ გიღალატებს, არ ილოთებს“, — ამბობს ბედნიერი პატარძალი. მაგრამ თავის მხრივ, მასაც აქვს ვალდებულებები „მეუღლის“ წინაშე. მალე ის საქორწინო კონტრაქტს გააფორმებს კატასთან, სადაც დაფიქსირებული იქნება, რომ უფლება არა აქვს, „მეუღლე“ შეურაცხყოს. კატაც კორექტულად უნდა მოიქცეს და ცოლს თეფშიდან ლუკმა არ უნდა აართვას, არ უნდა დაკაწროს ავეჯი. საქორწინო მოწმობაში პატარძალმა სულ 35 დოლარი უნდა გადაიხადოს.

ჟენსკიე დელა №20

ᲩᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲫᲐᲚᲚᲡ ᲣᲙᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ...

ერთი კარგად გამობრუჟული შანხაელი მეგობართან ერთად შინ ბრუნდებოდა. გზაზე ძაღლი აეკიდა. ეტყობა, თვალში არ მოუვიდა შეზარხოშებული კაცი. გარს ურბენდა და უღრენდა, ცდილობდა, როგორმე ეკბინა. ბოლოს და ბოლოს, მთვრალ ჩინელს მოთმინების ფიალა აევსო. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ჩინელი ოთხ ფეხზე დადგა, ცხოველს შეუღრინა და... ეცა.


მთვრალის მიერ დაკბენილი ძაღლი გარდაიცვალა.

ოტდოხნი! №21

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ „ᲙᲐᲠᲣᲡᲔᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲨᲘᲠᲛᲝ ᲑᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“



ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს ამოიკითხავთ.



ა. შექსპირის „ოტელოს“ პერსონაჟი; **ბ.** საზღვაო მოგზაურობა; **გ.** საზაფხულო საძოვარი მთაში; **დ.** რა წაუსვეს შიშველ ტანზე მონღოლებმა კოხტასთავის შეთქმულების წევრებს, სანამ შუაგულ მზეზე დააწვენდნენ (ცოტნე დადიანის გმირობა); **ე.** ფანდი, ოინი; **ვ.** მიწის დასამუშავებელი იარაღი; **ზ.** ისტორიკოსი ლეონტი ...; **თ.** პურის მცხობელი; **ი.** კანადის დედაქალაქი; **კ.** რა ჰქვია რიცხვს, რომელიც ორზე იყოფა; **ლ.** ჟაკლინ კენედის მეორე ქმრის გვარი; **მ.** სამწლიანი ცხენების დოღი; **ნ.** იაპონური ნაციონალური სამოსი; **ო.** ქალის პირბადე; **პ.** კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; **რ.** აკინძული და ყდაში ჩასმული საწერი ფურცლები; **ს.** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ტ.** პატარა თევზსაჭერი გემი; **უ.** პროტესტანტების მღვდელი; **ფ.** „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; **ქ.** ბალტიისპირეთის ერთ-ერთი სახელმწიფო; **ღ.** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ყ.** სომეხი მღვდელი; **შ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ჩ.** კაზაკთა სამხედრო რაზმის მეთაური.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

შ. შურდული; **ე.** ეპარქია; **ი.** იკებანა; **ძ.** ძუნძული; **ი.** იმამატი; **ნ.** ნაწნავი; **ე.** ეტაპი; **თ.** თოხი; **კ.** კიდმანი; **ვ.** ვოევოდა; **ი.** იოსები; **რ.** რეესტრი; **ი.** იორდანე; **ს.** სტიმფული; **პ.** პიცა; **ა.** აიდა; **ლ.** ლიახვი; **ი.** იმედი; **ტ.** ტიციანი; **რ.** როენა; **ა.** აქსიომა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს.

კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს უსურვებს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:



7 ივნისი:

პოლ გოგენი, მხატვარი; **ტომ ჯონსი**, მომღერალი; **ანა კურნიკოვა**, ჩოგბურთელი; **ჯიმ ბრედოკი**, მოკრივე.

8 ივნისი:

რობერტ შუმანი, კომპოზიტორი და კრიტიკოსი; **ლუიჯი კომენჩინი**, რეჟისორი; **ბონი ტაილერი**, მომღერალი.

9 ივნისი:

პეტრე პირველი, რუსეთის იმპერატორი; **ჯონი დეპი**, მსახიობი; **ნატალი პორტმანი**, მსახიობი.

10 ივნისი:

რევაზ ლალიძე, კომპოზიტორი; **მერაბ ბერძენიშვილი**, მოქანდაკე; **ჯუდი გარლენდი**, მსახიობი; **ჯუდი დევისი**, მსახიობი.

11 ივნისი:

მორის ფოცხიშვილი, პოეტი; **ჟაკ ივ კუსტო**, ოკეანოგრაფი, აკვალანგის გამომგონებელი; **რიჰარდ შტრაუსი**, კომპოზიტორი და დირიჟორი.

12 ივნისი:

ირვინ ალენი, რეჟისორი, სცენარისტი; **ჯორჯ ბუში** (უფროსი), ამერიკის პრეზიდენტი.

13 ივნისი:

მალკოლმ მაკდაუელი, მსახიობი; **ჯონ ნეში**, მათემატიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **რინატ დასაევი**, ფეხბურთელი.

სიტყვათა კონა

კერკი — წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი (ალუბლის კერკი).

კერტი — ძუძუს თავი.

კერშვა, კერშილობა — დაგრილება (ღორისა).

კეწკეწი — ჯერ უხმარი, ხელუხლებელი, ახალთახალი.

კეჭნი — ჭდე, ნაჭდევი.

კეჭნა — კოდვა, ბალთვა, ჭდევა.

კეხი — 1. უნაგირის ხის ჩონჩხი. 2. ამოზნექილი, მაღალი ადგილი ადამიანის ცხვირის ზურგისა.

კეჭნაობს — იგივეა, რაც ფარიკაობს.

კვალწმინდად — უკვალოდ; სულ ერთიანად, მთლიანად, სავსებით, პირწმინდად.

კვანტი (კუთხ.) — იგივეა, რაც სარმა.

კვანჩხი (კუთხ.) — იგივეა, რაც მუჭი.

კვანწი (ძვ.) — თამაშობა, ცეკვა.

კვართი (ძვ.) — იგივეა, რაც პერანგი.

კვაწარახი — გათუთქული მწიფე ტყემლის წვენი, მოდუღებული შესანახად (იციან იმერეთში) — წუა.

კვაწია — პატარა ქოთანი, — კოჭობი.


კვაჭი (საუბ.) — გაქნილი, მოხერხებული ადამიანი (მ. ჯავახიშვილის რომანის პერსონაჟის — კვაჭი კვაჭანტირაძის — სახელიდან).

კვებულა — ერთი წლის ხბო ან ზაქი.

ქეთა თოფურია საცხოვრებლად რუსეთში მიემგზავრება

— მართალია, რომ ქეთა თოფურია თურქეთში მიდის დროებით საცხოვრებლად? ამბობენ, რომ მოდელად მიიწვია ერთ-ერთმა თურქულმა სააგენტომ.

ნიკა თევზაძე



კითხვაზე უპასუხებს **ქეთა თოფურია**, მომღერალი.

— არა, ეს ნამდვილად არ არის მართალი. თურქეთში კი ვაპირებ გამგზავრებას ზაფხულში, მაგრამ მხოლოდ დასასვენებლად და არა საცხოვრებლად, მით უფრო, სამუშაოდ. საერთოდ, მოდელობას თავი დავანებე და ამ საქმით აღარ ვარ დაინტერესებული. ისე, თურქეთში არა, მაგრამ მოსკოვში კი მომავალ წელს აუცილებლად გავემგზავრები. მოგეხსენებათ, მამაჩემი მოსკოვში ცხოვრობს. მე და დედა კი თბილისში ვართ. ხშირად ვერ ვხედავთ ერთმანეთს, ხან მამა ვერ ჩამოდის და ხანაც ჩვენ ვერ მივემგზავრებით. ამდენად, ეს ჩვენი ოჯახის გადაწყვეტილებაა. გარდა ამისა, ჩემი რამდენიმე მეგობარი აპირებს მოსკოვში სასწავლებლად გამგზავრებას და მგონი, არ გამიჭირდება იქ ყოფნა. თბილისში კი ნებისმიერ დროს შევძლებ ჩამოსვლას, როდესაც მომენატრება ჩემი ქალაქი და ის ხალხი, ვისთანაც კარგი და თბილი დამოკიდებულება მაქვს.

ციმბირის წყლული – სამხედრო «იარაღი»

— ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში ციმბირის წყლული მოხსენიებული იყო, როგორც მასობრივი განადგურების ბიოლოგიური იარაღი. საინტერესოა, ეს დაავადება მართლაც ხელოვნურადაა შექმნილი? თუ ასეა, როდის და სად შეიქმნა პირველად, იქნებ გვიპასუხოთ?

მალხაზ ხოშტარია

კითხვაზე უპასუხებს **თამარ კაპანაძე**, თსუ სამხედრო კათედრის სამოქალაქო თავდაცვის პედაგოგი.

— ისეთი დაავადებები, როგორიცაა ციმბირის წყლული, შავი ჭირი, მუცლის ტიფი, ქოლერა და სხვა, უხსოვარი დროიდან გამოიყენება როგორც სტრატეგიული სამხედრო იარაღი. წარსულში, ომების დროს ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეთა კედლებიდან ისროდნენ ან გზაზე ტოვებდნენ დახოცილი მეომრების გვამებს იმ მიზნით, რომ დაესნებოვნებინათ და მწყობრიდან გამოეყვანათ მოწინააღმდეგის ჯარი. მაგალითად, ცნობილია, რომ რომაელები იყენებდნენ მკვდარ ცხოველებს მოწინააღმდეგე მხარის წყლის მარაგის დასაბინძურებლად, რასაც ორმაგი ეფექტი ჰქონდა. მტერი არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც ეცემოდა. ამის შემდეგ იგი სტრატეგიულად ადვილი დასამარცხებელი იყო.

ზემოთ მოყვანილი დაავადებები ისევე, როგორც ციმბირის წყლული, ბუნებაში არსებული დაავადებებია. ბიოლოგიურ იარაღად ყველა დაავადება როდი გამოდგება. ამ მიზნისათვის ისეთებია შერჩეული, რომლებსაც მასობრივი განადგურების შედეგები მოჰყვება და მარტივად გადამდებია. ისტორიას შემორჩა ისეთი ფაქტებიც, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეს შეგნებულად უგზავნიდა სხვადასხვა ბაქტერიით დაავადებულ სურსათს და სხვა. მაგალითად: 1500-იან წლებში ესპანელმა კონკისტადორებმა შავი ჭირის ყვავილით ინფიცირების მეთოდი გამოიყენეს ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ. 1779 წელს ინგლისელებმა ჩრდილოეთ ამერიკაში ფრანგებსა და ინდიელებს შავი ჭირით ინფიცირებული საბნები გაუგზავნეს.

ბიოლოგიური იარაღის დამზადება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ქიმიური ან ბირთვული, ამდენად, მოხშირდა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ იმავე ციმბირის წყლულის ბაქტერიების გამოყენება. მაგალითად, ტოკიოში 10 წლის წინ ერთ-ერთმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ ცათამბჯენიდან ციმბირის წყლულის ბაქტერიები გადმოყარა, რათა ქალაქში ეპიდემია გავრცელებულიყო, თუმცა, საბედნიეროდ, ამ ფაქტს სავალალო შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც დედამიწაზე დაცემისას ციმბირის წყლულის ბაქტერიებმა მომწამვლელი თვისება დაკარგა და მოსახლეობა გადარჩა. შეერთებულ შტატებში სექტემბრის ტერაქტის შემდეგ სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფება არაერთხელ ცდილობდა ციმბირის წყლულის გავრცელებას საფოსტო კონვერტების მეშვეობით. რთულია იმისი თქმა, თუ როდის და კონკრეტულად, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურის მიერ შემუშავდა პირველად ხელოვნურად ციმბირის წყლულის ბაქტერიები, თუმცა ცნობილია, რომ ბიოლოგიური იარაღის პირველი წარმოება გერმანიაში დაიწყო და მის გამოყენებას ეს ქვეყანა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ცდილობდა. მოგვიანებით ბაქტერიული იარაღის შესაქმნელად ფართომასშტაბიანი მუშაობა დაიწყო ასევე იაპონიამ, ამერიკამ, სადაც შექმნეს სპეციალიზებული ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები, რომლებშიც კვალიფიციური სპეციალისტები ამუშავებდნენ ქოლერის, შავი ჭირის, მუცლის ტიფის, ციმბირის წყლულის და სხვა დაავადებათა გამომწვევ მიკრობებს. ამრავლებდნენ აგრეთვე მწერებს, მღრღნელებს, რომლებსაც უნდა გადაეტანათ და გაევრცელებინათ ეს დაავადებები.

რომელი უფრო პრესტიჟულია, მსოფლიო ჩემპიონატი თუ ოლიმპიადა

— გთხოვთ გვიპასუხოთ, რომელი უფრო პრესტიჟულია, მსოფლიო ჩემპიონატი თუ ოლიმპიადა და რატომ?

თემურ დავლაშერიძე

კითხვაზე უპასუხებს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური.

— თუ არ ჩავთვლით ფეხბურთს, რა თქმა უნდა, ოლიმპიადა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატი. მსოფლიო ჩემპიონატი იმართება სპორტის რომელიმე კონკრეტულ სახეობაში, მაგალითად, კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში და სხვა. ხოლო ოლიმპიადა მასშტაბურია და მასზე თამაშდება სპორტის თითქმის ყველა სახეობა. როგორც წესი, სპორტის სახეობათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ოლიმპიური ჩემპიონობა უფრო პრესტიჟულია, ვიდრე მსოფლიო.

ხისგან ბარიც გამოვა და...

— ხალხში გავრცელებულია ასეთი გამოთქმა — „ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიც“. აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკში“ კი ვკითხულობთ: — „ხისგან ბარიც გამოვა და ჯვარიც“. საინტერესოა, რომელი გამოთქმაა სწორი?

ნოდარ გოგრიჭიანი


კითხვაზე უპასუხებს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეცნიერების კულტურის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **შუქია აფრიდონიძე**.

— ლოგიკურად აკაკისეული ვარიანტი უფრო მართებულად მიმაჩნია, ვინაიდან ანდაზებში ხშირად გარითმულია ხოლმე სიტყვები (ცნობილია, რომ ანდაზა ხშირად ლექსადაა გამართული). ამის მიხედვით: „ხისგან ბარიც გამოვა და ჯვარიცო“ — ბარიც და ჯვარიც გარითმულია და აზრობრივადაც თითქოს უპირისპირდებიან ერთმანეთს: ბარი შრომის იარაღია, ჯვარი კი — ქრისტიანული რწმენის სიმბოლო. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი მიწისაა, მეორე კი ცისა (გავიხსენოთ ისევ აკაკი: ხან მიწისა ვარ, ხან — ცისა). საერთოდ კი პარალელური ვარიანტები ანდაზებში ხშირია.

თემურ თათარაშვილი მანქანას ჰყიდის...

— რაშია საქმე, რატომ აღარ ჩანს თემურ თათარაშვილი. თითქმის ერთი წელია, რაც ტელეეკრანებსა თუ რადიოტალღებზე ტრიალებს მისი ძველი სიმღერები. აღარაფერს ქმნის ახალს?

მარიკა ხუნჯუა



კითხვაზე უპასუხებს **თემურ თათარაშვილი**, მომღერალი.

— ამ კითხვაზე ძალიან მარტივი და მოკლე პასუხი მაქვს. სამწუხაროდ, უმუშევარი დავრჩი. გაერთიანებული არსად არ ვარ (მიმიხვდით ალბათ, რას ვგულისხმობ). ვზივარ სახლში. თუ კონცერტზე მიმიწვევენ, გამოვდივარ და ვმღერი. აი, ეს არის სულ. შიგადაშიგ ახალი ალბომების ჩაწერაზეც ვმუშაობ. მენატრება სცენა, ახალი სიმღერით გამოსვლა თუ კლიპის გადაღება, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერს ვახერხებ. თანაც, დღეს ბევრი ახალგაზრდა გამოჩნდა სცენაზე. მათთან შეჯიბრს არ ვაპირებ. სად მათი ენერგია და სად — ჩემი. თუმცა ვფიქრობ, რომ ჩემი ადგილი ყოველთვის მექნება შოუბიზნესში, იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდობა გაფრინდა. ჩემი პასიურობის მიზეზი ფინანსური პრობლემებია. თქვენ წარმოიდგინეთ, „ვოლვო“, რომლის ჩამოსვლასაც დიდი ხანია ველი (8 ივნისს უნდა ჩამომიყვანონ თბილისში), გასაყიდად „გავიმეტე“. გული ძალიან მწყდება, არ მინდა ამ მანქანის გაყიდვა, მაგრამ რას ვიზამ. დიდი მადლობა თქვენი გაზეთის მკითხველს ჩემი გულშემატკივრობისთვის. ვიმედოვნებ, რომ ხვალინდელი დღე გაცილებით უკეთესი იქნება და სურვილი მხოლოდ სურვილად არ დარჩება. ცხოვრება ცვალებადია და მთავარია, სისუსტე არ გამოიჩინო. დანარჩენს კი ნელ-ნელა მოევლება.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა

ძვირფასო მკითხველო, „ბიდან ბოლომდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

ჰენსიონერებს ჰენსიიდან არაფერი ექვითება

— წინანდალში ჰენსიონერებს ჰენსიიდან დაუქვითეს 1 ლარი — როგორც პროფკავშირის გადასახადი, რამდენად სამართლიანია ეს მოქმედება?

ერთგული მკითხველი

კითხვაზე უპასუხებს **მერაბ უძილაური**, საქართველოს ერთიანი პროფკავშირების იურიდიული სამსახურის უფროსი.

— პენსიონერებს, როგორც წესი, პენსიიდან არავითარი პროცენტი არ ექვითება. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია, რომ ეს პირი გაერთიანებული იყოს „პენსიონერთა პროფკავშირში“. ეს კავშირი შეიქმნა სწორედ პენსიონერების უფლებების დასაცავად და მათი წესდების მიხედვით, ე. წ. სიმბოლური საწევრო შეადგენს 1 ლარს, ოღონდ ეს გახლავთ ერთჯერადი წლიური გადასახადი. თუ შეკითხვის ავტორი გაერთიანებული არ არის ზემოთ აღნიშნულ პროფკავშირში, მაშინ ყოველგვარი დაქვითვა კანონდარღვევად ჩაითვლება.

CMYK

ოქროს მატჩი „თბილისისთვის“

მართლაც ოქროს ფასი დაედო თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და ბოლნისის „სიონს“ შორის 30 მაისს გამართულ „ოქროს მატჩს“ (შეგახსენებთ, რომ შეხვედრა ჯერ ტრიბუნებზე მომხდარი არეულობის, შემდეგ კი მოედანზე გულშემატკივართა შეჭრისა და მათ მიერ მსაჯების ცემის გამო, სამჯერ შეწყდა) საფეხბურთო კლუბ „თბილისისთვის“, რომლის წარმომადგენლებსაც ახლა უკვე მშვიდად შეუძლიათ იანგარიშონ, რამდენი ოქრო მოუვათ 80 ათას შვეიცარიულ ფრანკად. სწორედ ამდენს მიიღებენ ისინი უეფას თასის ერთ წრეში მონაწილეობისათვის, ხოლო თუ ფორტუნამ გაუღიმათ და კიდევ უფრო წინ წაიწევენ... თუმცა, თანხაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი „თბილისისთვის“, ოლიმპიური გამოთქმისა არ იყოს, უეფას თასზე მონაწილეობა, ანუ ევროპული ფეხბურთის კარის შელებაა.



ყოველივე ზემოაღნიშნული საკმარისი საბაბია იმისათვის, რომ ოქროს მატჩში მომხდარ არეულობებსა და მისგან გამომდინარე შედეგებში, მავანს „თბილისელთა“ შუამავლობაზე აეღო ეჭვი. თავად „თბილისის“ ერთერთმა შეფმა მამუკა გუგეშაშვილმა ისიც კი თქვა, — უეფას თასზე ასპარეზობა არ გვინდოდა, რადგან ახლა ყველა იმას ფიქრობს, რომ „სიონის“ დისკვალიფიკაცია ჩვენს ინტერესებში შედიოდაო, — თუმცა, იქვე დაამატა: — ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა დაჟინებული თხოვნის შედეგად, საბოლოოდ, მაინც დავთანხმდით უეფას თასზე მონაწილეობაზე, რადგან როგორც აგვიხსნეს, უარის შემთხვევაში, ევროპის თასზე თბილისის „სპარტაკს“ გაუშვებდნენ... მართალია გუგეშაშვილი, როდესაც ამბობს, ახლა ყველა იმას ფიქრობსო... არათუ ფიქრობენ, აქა-იქ ლაპარაკობენ კიდეც და იმასაც ამბობენ (სხვათა შორის, ფეხბურთელები), რომ იმ ბოლნისელ გულშემატკივართა შორის, რომლებმაც ოქროს მატჩის მსვლელობისას მოედანზე მსაჯები სცემეს, „თბილისელი“ პროვოკატორებიც იყვნენო. ანუ, ეს პროვოკატორები ყველაფერს ცდილობდნენ იმისათვის, რომ ბოლნისელი გულშემატკივარი აეყოლიებინათ და შედეგად, ფეხბურთის ფედერაციას „სიონის“ დისკვალიფიკაციისთვის მეტი საბაბი მისცემოდა. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებათა ავტორები თავიანთი ვინაობის გამხელას ერიდებიან. შესაბამისად, ყოველივე ეს ჭორის ფარგლებს არ სცილდება, თუმცა, დაინტერესებულმა პირებმა ამაში შეიძლება სიმართლის მარცვალიც იპოვონ. დაინტერესებულთა შორის კი მხოლოდ ბოლნისის „სიონის“ ხელმძღვანელობას არ ვგულისხმობ, უწინარესად, ეს ფედერაციისა და პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობას ეხება. გასაგებია, რომ „სიონის“ ნაცვლად უეფას თასზე „თბილისი“ იასპარეზებს და ამ მხრივ, უკვე ვერაფერს შეცვლი, მაგრამ რაც შეეხება აღნიშნული ინციდენტების გამოძიებას, ფედერაციამაც და პროფლიგამაც ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანონ. თუკი ამ ჭორს საფუძველი არ ექნება, ამით „თბილისი“ და მისი ხელმძღვანელობა თავს გაიმართლებს, ხოლო თუ საპირისპირო დამტკიცდა, ფედერაციისა და პროფლიგის ხელმძღვანელებს მეტ-ნაკლებად სამართლიანობის აღდგენის საშუალება მაინც მიეცემათ — ბოლოს და ბოლოს „სიონისთვის“ ჯარიმის სახით წართმეული 10 ათასი ლარის დაბრუნება და მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში პირველი 10 მატჩის, ნეიტრალური მოედნის ნაცვლად, შინ გამართვა, რწმენის დასაბრუნებლად უდიდესი სტიმული მაინც იქნება. რწმენისა, რომელიც ბოლნისური კლუბის წარმომადგენლებს თითქმის დაკარგული აქვთ და შესაბამისად, „სიონიც“ უკვე დაშლის პირასაა მისული. „სიონის“ ხელმძღვანელები ამბობენ, რომ მათ, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლითა და მეორე ადგილის მოპოვებით, თბილისელთა გეგმები არიეს.

გამოდის, რომ „სიონის“ ჩამოცილებით, აღნიშნულმა გეგმამ პირვანდელი სახე დაიბრუნა. თუმცა აქ მთავარი ისაა, რომ ამ გეგმას მარტო „თბილისი“ ვერ შეადგენდა, ანუ პირდაპირ თუ ირიბად, ბოლნისელები ყოველივე ამის დაგეგმვაში ფეხბურთის ფედერაციასა და პროფესიულ ლიგას ადანაშაულებენ. მგონი, ეს ბრალდება მაინც სავსებით საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ მოხსენიებული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მიხვდნენ — ამ საქმის ბოლომდე არმიყვანა და მრავალი კითხვის უპასუხოდ დატოვება საზოგადოების უნდობლობას გააძლიერებს მათდამი და თუკი ადრე ამის ყურადღების მიღმა დატოვებაც შეიძლებოდა, ახლა უკვე, ასე ვეღარ მოიქცევიან, რადგან თავად დარჩებიან ყველაფრის მიღმა...

გიორგი ბაკურაძე

ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია. 2004



A ჯგუფი	B ჯგუფი	C ჯგუფი	D ჯგუფი
პორტუგალია	საფრანგეთი	შვედეთი	ჩეხეთი
საბერძნეთი	ინგლისი	ბულგარეთი	ლატვია
ესპანეთი	შვეიცარია	დანია	გერმანია
რუსეთი	ხორვატია	იტალია	ჰოლანდია

A ჯგუფი

12.06
პორტუგალია – საბერძნეთი
ესპანეთი – რუსეთი
16.06
ესპანეთი – საბერძნეთი
პორტუგალია – რუსეთი
20.06
პორტუგალია – ესპანეთი
საბერძნეთი – რუსეთი

B ჯგუფი

13.06
საფრანგეთი – ინგლისი
ხორვატია – შვეიცარია
17.06
საფრანგეთი – ხორვატია
ინგლისი – შვეიცარია
21.06
საფრანგეთი – შვეიცარია
ინგლისი – ხორვატია

C ჯგუფი

14.06
შვედეთი – ბულგარეთი
იტალია – დანია
18.06
შვედეთი – იტალია
დანია – ბულგარეთი
22.06
იტალია – ბულგარეთი
დანია – შვედეთი

D ჯგუფი

15.06
ჩეხეთი – ლატვია
გერმანია – ჰოლანდია
19.06
ჩეხეთი – ჰოლანდია
გერმანია – ლატვია
23.06
გერმანია – ჩეხეთი
ჰოლანდია – ლატვია

მეოთხედფინალები

24.06 I A1 – B2
25.06 II B1 – A2
25.06 III C1 – D2
27.06 IV D1 – C2

ნახევარფინალები

30.06 I – III
1.07 II – IV

ფინალი

04.07 (ლისაბონი)

ბერძნები ოლიმპიადას შლიან?



28-ე ზაფხულის ოლიმპიადის გახსნიდან ორი თვით ადრე ათენში გაჩნდა ორჭოფული აზრი იმის შესახებ, რამდენად იყო მიზანშეწონილი ოლიმპიადის მასპინძლობა და შესაბამისად, უდიდესი პასუხისმგებლობა თავის თავზე აეღო საბერძნეთს...

როგორც საბერძნეთის ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრმა გეორგიოს ალოგოსკუპოლოსმა განაცხადა — საბერძნეთის მთავრობას წინასწარ რომ სცოდნოდა იმ დანახარჯების შესახებ, რასაც ოლიმპიადა მოითხოვს, მის ათენში ჩატარებას ენთუზიაზმით არ შევხვდებითო.

ალოგოსკუპოლოსი ახალი დემოკრატების პარტიის წარმომადგენელია, ისინი ხელისუფლების სათავეში მარტში, საპარლამენტო არჩევნებით მოვიდნენ. ოლიმპიადის ჩატარება კი წინა ხელისუფლების სოციალისტების სურვილი იყო.

ალოგოსკუპოლოსი არ არის აღფრთოვანებული იმით, რომ ახალ ხელისუფლებას ძველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება უწევს. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სახელმწიფო მოხელეები ფარულ სოლიდარობას უცხადებენ საბერძნეთის ანარქისტულ ორგანიზაციას, რომელმაც მაისში ათენის შუაგულში ორჯერ განახორციელა აფეთქება და ამით გამოხატა პროტესტი ათენში ოლიმპიადის ჩატარების გამო.

ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროში ახლა უკვე ღიად საუბრობენ იმ უზარმაზარი გაბერილი ხარჯების შესახებ, რაც საბერძნეთის ბიუჯეტმა უნდა გაიღოს. წინასწარი გათვლებით, ხარჯები დაახლოებით ერთიორადაა ხელოვნურად გაზრდილი. თუმცა ამას ვინ ჩივის, სამშენებლო სამუშაოები ბევრგან ჯერ კიდევ არაა დასრულებული.

სიტუაციის დაძაბვამ აიძულა ოლიმპიადის ორგანიზატორები კიდევ უფრო გაეზარდათ ბიუჯეტი. მარტო უსაფრთხოების დაცვაზე ბოლო ხანს დამატებით 1 მილიარდი ევრო გამოიყო. არადა, ოთხი წლის წინ სიდნეის ოლიმპიადაზე ეს ხარჯები რამდენჯერმე ნაკლები იყო — მთელი ოლიმპიადის ორგანიზება ავსტრალიელებს სულ 2 მილიარდი დოლარი დაუჯდათ.

სხვათა შორის, მოსკოვში 2012 წელს ოლიმპიადის ჩატარების მსურველთ წინასწარ გათვლილი ხარჯთაღრიცხვით სწორედ 2 მილიარდი ევრო აქვთ ნავარაუდევი.

ერთი სიტყვით, ბერძნებმა საკუთარი ქვეყნის ღირსებას ფულის „მოტეხვა“ ამჯობინეს... აქა-იქ ოლიმპიადის ჩაშლაზეც კი საუბრობენ. საქმეს ისეთი პირი უჭირს, მოვლენათა განვითარება არც ერთი მიმართულებით არ უნდა გამოვრიცხოთ.

ანჭუანეტა სტეფანოვა მსოფლიო ჩემპიონია



ელისტაში გამართული მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ქართველებისთვის ერთდროულად წარმატებულადაც შეიძლება ჩაითვალოს და წარუმატებლადაც.

ქართველ მოჭადრაკეთაგან ყველაზე უკეთ მაია ჩიბურდანიძემ იასპარეზა, რომელიც ნახევარფინალში 0,5-1,5 დამარცხდა ბულგარელ ანტუანეტა სტეფანოვასთან. არადა, პირველ ნახევარფინალურ პარტიაში შავი ფიგურებით ყაიმის მიღწევის შემდეგ, სპეციალისტები სწორედ ჩიბურდანიძეს ანიჭებდნენ უპირატესობას. თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, იმ ორწლიანმა „შესვენებამ“, რომლის დროსაც მაიას ტურნირებში თითქმის არ უსაპარეზია, გადამწყვეტი როლი ითამაშა და შედეგად, თეთრებით მოთამაშე ჩიბურდანიძე ბულგარელ სპორტსმენთან დამარცხდა.

მაიაზე ადრე გამოეთიშა ჩემპიონატს ქუთაისელი ნანა ძაგნიძე, თუმცა, ამ შემთხვევაში ეს შედეგი წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძაგნიძე მხოლოდ 17 წლისაა. სხვათა შორის, მეოთხედფინალში ნანაც იმავე სტეფანოვასთან დამარცხდა, მერვედფინალში კი ძაგნიძემ თანამემამულე მაია ლომინეიშვილს სძლია. ამდენად, არც ლომინეიშვილის გამოსვლაზე ითქმის ურიგო.

რაც შეეხება, დანარჩენ ქართველ მოჭადრაკეებს: ნინო ხურციძეს, ლელა ჯავახიშვილს, ანა მათნაძესა და სოფო ტყეშელაშვილს, ისინი ჩემპიონატს პირველივე წრიდან გამოეთიშნენ და როგორც ჩანს, მათი წარმატებული გამოსვლების იმედი სამომავლოდ უნდა ვიქონიოთ...

P.S. ფინალში ანტუანეტა სტეფანოვამ 2,5:0,5 დაამარცხა რუსი ეკატერინა კოვალევსკაია და ქალთა შორის მსოფლიოს მეათე ჩემპიონი გახდა.

გიორგი ბაკურაძე

ვიერი „იუვენტუსში“



კრისტიან ვიერისა და „ინტერის“ თავკაცის ალბერტო ძაკერონის გამწვავებული ურთიერთობა ლოგიკურად დასრულდა — ვიერი „იუვენტუსში“ გადავიდა.

„ბებერი ქალბატონი“ შარშანდელი წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ახალ ძალებს იკრებს და გუნდის გაძლიერების თვალსაზრისით, ვიერის ერთ-ერთ რეალურ ძალად მიიჩნევს. კონტრაქტი ოთხწლიანია და ფეხბურთელი ამ პერიოდში ოთხ მილიონ ევროს მიიღებს. „ინტერს“ ბუნებრივია, სათანადო ფულადი კომპენსაცია ეკუთვნის, თუმცა, „იუვენტუსმა“ „ხურდაში“ მარკო დი ვაიოც მიაყოლა.

კანი „ბაიერნიდან“ მიდის

ოლივერ კანი, ფეხბურთელი, რომელიც ბოლო ათწლეულის მანძილზე მიუნხენის „ბაიერნის“ სიმბოლოდ იქცა, კლუბიდან მიდის. კანი, რომელსაც 2006 წელს, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ უნდა დაეკავებინა „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერის პოსტი, კარიერის გაგრძელებას საზღვარგარეთ ამჯობინებს: „მინდა უმაღლესი დონის გუნდში გადავიდე და მასთან ერთად მოვიგო ჩემპიონთა ლიგა და ეროვნული პირველობა. უკვე ჩავაყენე საქმის კურსში ბეკენბაუერი, რუმენიგე, ჰიონესი. თუკი არსებობს ჩემი წასვლის ვარიანტი, ეს ზაფხულშია შესაძლებელი და ეს შანსი უნდა გამოვიყენო“.



გასული სეზონი კოშმარული აღმოჩნდა 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის. მისმა შეცდომებმა „ბაიერნს“ დააკარგვინა ბუნდესლიგის ჩემპიონობა, — ჩემპიონთა ლიგაზე „რეალთან“ მისმა შეცდომებმა კიდევ ერთი ბარიერი აღმართა. ბოლოს კი რუმინეთის ნაკრებთან მატჩისას კანმა პირველივე ტაიმში ოთხი ბურთი გაუშვა.

ახლა უკვე აღარავინ აყენებს ეჭვქვეშ, რომ პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბუნდესნაკრების ძირითადი მეკარე იენს ლემანი იქნება.

ვარაუდობენ, რომ კანის წასვლა „ბაიერნიდან“ სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს ამ კლუბის კრახს, რადგანაც სუპეროლივერის უშუალო კონკურენტი გუნდში, გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე მიხაელ რენზინგი თავის დროს ელის. ელის ისე, როგორც არცთუ ისე დიდი ხნის წინ თავად კანი ელოდა საკუთარ შანსს...

„ბაიერნის“ ხელმძღვანელობა აქედანვე იჭერს თადარიგს და „პარმას“ მეკარის, სებასტიან ფრეის გადასაბირებლად მოლაპარაკებას იწყებს, თუმცა, მას დიდი ბრძოლა მოუწევს მადრიდის „რეალისა“ და „ჩელსის“ ხელმძღვანელობასთან, რომელნიც თავის მხრივ მზად არიან იტალიელის შესაძენად.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი

№22 (400) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 481 რესპონდენტი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 155-მა ქალმა და 319-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ძველაზე ხშირად ვინ ხდება თძვენი კრიტიკის ობიექტი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობის კრიტიკის ქარცეცხლში დღეს ყველაზე მეტად სამართალდამცველები ეხვევიან. მკითხველთა 36%-მა შეაფასა ისინი მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური — 1 ქულა მხოლოდ 1%-მა დაუწერა. **6,39** საშუალო ქულით „სამართალდამცველები“ პირველ ადგილზე არიან.

რესპონდენტთა არანაკლებ გაღიზიანებას იწვევენ პარლამენტსმილმა დარჩენილი პოლიტიკოსები. ყველაზე მეტად მათი ქმედება მკითხველთა 32%-ს აღიზიანებს.


მიუხედავად იმისა, რომ „მთავრობა/მინისტრები“ არც ერთ რესპონდენტს არ შეუფასებია მაქსიმალური ქულით, საშუალო ქულების მიხედვით მესამე ადგილზეა და მკითხველთა 17% ყველაზე ხშირად სწორედ მათ აკრიტიკებს.

რესპონდენტთა კრიტიკის ობიექტები შედარებით ნაკლებად ხდებიან მსხვილი ბიზნესმენები, ტელეჟურნალისტები და პრეზიდენტი. ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულა „პრეზიდენტს“ ხვდა წილად — რესპონდენტთა 71%-მა შეაფასა იგი 1 ქულით.

ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა (1,7%) კი „ტელეჟურნალისტებმა“ დაიმსახურეს.

2003 წლის სექტემბერში, მაშინ, როცა ვარდების რევოლუცია მწიფდებოდა, ანალოგიური კითხვით მივმართეთ მკითხველებს. როგორც აღმოჩნდა, მაშინ რესპონდენტთა უმრავლესობის კრიტიკას ყველაზე მეტად პრეზიდენტი იმსახურებდა, შემდეგ — პოლიტიკოსები და ენერგეტიკოსები და რაც ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენება, სამართალდამცველები მაშინდელ რეიტინგში მეოთხე ადგილს ფლობდნენ.

არადა, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ ირაკლი ოქრუაშვილი და გიორგი ბარამიძე ყველაზე კომპეტენტურ და პროფესიონალ ლიდერებად დასახელდნენ. ლიდერი ლიდერად, მაგრამ თვით უწყებებში, როგორც ჩანს, კვლავ ბევრი პრობლემაა. ბოლოდროინდელი დაპატიმრებათა კანონიერება-უკანონობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, ფარული ვიდეოკამერით გადაღებული და მედიის საშუალებით გავრცელებული პოლიციელთა ქრთამის აღების კადრები და... შედეგმაც არ დააყოვნა — საზოგადოების კრიტიკას ყველაზე მეტად დღეს სწორედ სამართალდამცველები იმსახურებენ. თანაც, ძველი ქართული სიბრძნის ჭეშმარიტებაც ხომ გვახსოვს — სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო...



საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან 66 წლის თბილისელი **თეთნულდ ტყეშელაშვა** და 55 წლის ქუთაისელი **ნიკოლოზ იობიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 9 ივნისს, 17 საათზე.

№23 (401) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

№23 (401) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 9 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 10 ივნისის 13 საათამდე.

© თბილისი

ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად მიეძღვება ჟურნალ „რეიტინგებსაც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებიდან ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებიდან.

თემა №23(401) — წარმატებული სფერო

თქვენი აზრით, ძველაზე მეტად რომელ სფეროში ბძვს ხელისუფლებას წარმატებები (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№23(401) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№		ქულა
1	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	
2	ხელფასებისა და პენსიების დროული გაცემა	
3	კანონის უზენაესობა	
4	აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები	
5	ადამიანთა უფლებების დაცვა	
6	კრიმინალებთან ბრძოლა	
7	სამუშაო ადგილების შექმნა	
8	ენერგოკრიზისის აღმოფხვრა	
9	ეკონომიკისა და ბიზნესის ხელშეწყობა	

დამატებითი კითხვა

უყურებთ თუ არა ტელესერიალებს?

დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

დადებითი პასუხის შემთხვევაში – რომელ ტელესერიალს უყურებთ ყველაზე ხშირად?

✓ _____

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ _____

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)


ასაკი ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „დამატებით კითხვასა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

დამატებითი კითხვის შედეგები

მოგწონთ თუ არა კონკურსში გამარჯვებული საქართველოს გერბი?



1. დიახ
2. არა
3. მიჭირს პასუხის გაცემა


დამატებით კითხვას 446-მა რესპონდენტმა უპასუხა.

ჟოჟოვნიკვარი © „ფოტოპალიტრა“



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— მატარებლით მგზავრობა ბავშვობაშიც მიყვარდა...



ედვარდ სურმანიძე, ზურაბ ჟვანია

ე.ს. — (ფიქრობს) ჯერ სიბრძნის კბილიც კი არ ამოსვლია და პრემიერ-მინისტრია...

ნ. აბაშიძე, ხაშური

ე.ს. — ბატონო ზურაბ, ყბა ხომ არ ამოგივარდათ?

ზ.ჟ. — არა, დავითაშვილის გადასაყლაპად ვემზადები.

რევაზ რაზმაძე, თბილისი

ე.ს. — ასლანაში ხომ არ გეშლები, შე კაი კაცო, მსანსლავ?

ზ.ჟ. — დესერტად ახალგაზრდა „ჩიჩია“ ასწორებს...

თინა რეხვიაშვილი, თბილისი

ე.ს. — აკი ამბობდი, ვერ გაფრინდებაო, ხომ გაფრინდა (აბაშიძეზე). აბა, ახლა შენ გაღე პირი და თქვი, აააა!

ზ.ჟ. — აააა!

(კ/ფ-დან „შერეკილები“) დურმიშხან ყიფიანი, თბილისი

ზ.ჟ. — (ყვირის) აააა!

ე.ს. — რა გაღრიალებს? თქვი, რომელი საქეიფო სიმღერა გინდა და რადიო „არ დაიდარდოს“ შეკუკვეთ.

ალიკო ნადირაშვილი, თბილისი

ე.ს. — ნახე, მეორე რიგში კაცს სძინავს, ზურა!

ზ.ჟ. — მერე მაგისთვის გამაღვიძე?

მედიკო მიქაძე, თბილისი

ზ.ჟ. — ედვარდ, ოპერაში გამოვდგები? ნახე რა ხმა მაქვს...

ე.ს. — (ფიქრობს: „აქლემი და გალია“). გადასარევი ხმა გქონიათ, ბატონო ზურაბ.

ლერი ქარელი

ე.ს. — ჩემი რჩევაა ზურიკო, მოაშენე ვარდები, დაატრიალე ბიზნესი და მთელი ცხოვრება ფეხებზე გეკიდება.

ზ.ჟ. — აააა! ახლა რა, ფეხებზე არა მკიდია?!

ნუგზარ ტუაევი, თბილისი



ჯონჯურსზე „მის მსოფლიო – 2004“, რომელიც ჩატარდა ეკვადორში, გაიმარჯვა ავსტრალიელმა ჯენიფერ ჰოუკინსმა

ოთხი ვაჟის მამას — მიხოს ექვსი აწუხებს:

— მაროო, დედაკაცო, ერთი რამ არ მასვენებს, ჩვენი შაქრუა ჩემი შვილია?!

— იი, მეხი კი დაგაყარე მაგ უტვინო თავზედა! — აღშფოთდა მარო, — ჩვენი შაქრო „კაკ რაზ“ შენია!



9/VI

უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია:

7/VI 16-დან 18 საათამდე
12/VI 10-დან 12 საათამდე

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. თურქეთი; 2. კურატორი; 3. ქეთი; 4. ქალაქი; 5. თორაძე; 6. მი; 7. მალა; 8. რიო; 9. რომა; 10. ლარა; 11. სნაიპერი; 12. მთა; 13. ბალასტი; 14. ჭონქაძე; 15. ატა; 16. ტაბახმელა; 17. ანჟელიკა; 18. იარაღი; 19. ღელვა; 20. პუმა; 21. უნტერ; 22. ელ; 23. პერი; 24. ია; 25. ვანილი; 26. ვალენსია; 27. ახლა; 28. ლიკა; 29. ვიტრინა; 30. რელეი; 31. ანცი; 32. ანი; 33. რინა; 34. სეკანსი; 35. მილანი; 36. რიწა; 37. დაგი; 38. თეო; 39. თილისმა; 40. ხალი; 41. ცოცხალი; 42. დომინო; 43. მელოდია; 44. ბონდი; 45. ბახალა; 46. კია; 47. ლირი; 48. მაგნიტი; 49. ნარდი; 50. კიი.

1. თითიჭამია; 2. მაინც დაგეწევი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.











თარაზულად: 1. დათო ევგენიძის საყვარელი თავსაკრავი; 4. ნაპოლეონის მშობლიური კუნძული; 6. კეთრი მეცნიერულად; 7. ჩრდილოამერიკელთა ეროვნული საკრავი; 8. მდინარე დასავლეთ ევროპაში; 9. ლუის კეროლის ზღაპრის გმირი; 10. არგონავტთა წინამძღოლი; 13. ტანკენაობა, სინარნარე მოძრაობაში; 16. საბჭოთა მაღალჩინოსნების ავტომობილების მარკა; 18. დაბადების მოწმობა; 19. წელკავი; 20. ტრამვაის წინამორბედი; 22. ორგანიზმის ქსოვილებისა და კუნთების მოდუნება; 23. ლითონის ძალიან თხელი ფენა; 25. კურორტი აფხაზეთში; 27. გერმანელი ფილოსოფოსი; 28. თხელი ტალახი, ლაფი; 29. ბოსტნეული; 30. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 31. შტატი ამერიკაში.

შვეულად: 1. უკვდავი ქვა; 2. ძველებური შვეიცარიული ცივი იარაღი; 3. აპენდიქსის ანთება; 4. მონაკოს პრინცესა; 5. ქვეყანა რომლის წარმომადგენელმაც მოიპოვა 2004წ. ტიტული „მის სამყარო“; 11. ხილის გაზიანი უალკოჰოლო სასმელი; 12. სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა; 14. დეფორმირებული კვადრატი; 15. მცენარეთა ზედაპირზე გაჩენილი წყლის წვრილი წვეთები; 16. როკ-ენ-როლის ცოცხალი კლასიკოსი — ... ბერი; 17. რუსული ესტრადის ლეგენდა... პუგაჩოვა; 21. ბითუმად მოვაჭრე, დიდი ვაჭარი, სოვდაგარი; 22. ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 24. მსახიობი; 25. მემკვიდრეობის შემსწავლელი მეცნიერება; 26. აზრის იგავურად გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში.

შეადგინა რამაზ ალანიამ



ჯენიფერ ლოპესის მესამე ქორწინება

მათი ნიშნობის სენსაციური ამბავი ჟურნალისტებს ჰოლივუდის ვარსკვლავის ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა გაანდო — ჯენიფერს 34 წლის ლათინურამერიკელი პოპ-მომღერალი და მსახიობი მარკ ენტონი შეუყვარდაო. მათი შეხვედრები ჯენიფერის ბენ აფლეკთან განშორებიდან (ეს იანვარში მოხდა) რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყო. ისიც უნდა ითქვას, რომ მარკსა და ჯენიფერს 3-4 წლის წინათაც ჰქონდათ რომანი. მაშინ მარკს ცოლი მიტოვებული ჰყავდა, მაგრამ მალე დაუბრუნდა ოჯახს, რადგან შვილი შეეძინა. ახლა კი ჯენიფერისა და მარკის სიყვარულს საფრთხე აღარ ემუქრება — წყვილმა ზარ-ზეიმით იქორწინა.

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(ს/ტ სპეც. წარჩინებით აცნობებს მიღებას 2004/2005 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა; ბ) სამხედრო სამართალი; გ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი (ქართული, რუსული და ინგლისური სექტორი).

2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი); ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).

3. მთარგმნელობითი საქმიანობა: ა) ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა.

4. ა) ჟურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები.

დღის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე.

ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ლიცეუმი. სწავლა ფასიანია, აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად).

საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა, 10–15სთ. მის: თბილისი, ქ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VIII სასწავლო კორპ. II სართ.

☎ 36-30-72; 36-30-73; 36-60-78; 36-34-34

ᲬᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲝ) ᲛᲣᲨᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©

შენასრულებელი სიტყვა და საქმე

(23)

შენასრულებელი განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვეველად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№23 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 10 ივნისს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთაში, კასპში, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.